

იოსებ ომაძე

გვირაბი

ანუ

პანდურეთის, იგივე საჩალეთის, ზეიმების შესახება,
ზოგიცა კიდენა – დღესასწაულებისა, მაშა!

რომანი-გროტესკა

თბილისი, გამომცემლობა “რაეო”, 2004 წ.

Copyright იოსებ ომაძე, 2004 წ.

ISBN 99928-30-82-4

სარჩევი

კარი I. პანდურეთი ანუ საჩაღეთი – ზეიმ-დღესასწაულების ქვეყანა	1
კარი II. პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი	6
კარი III. პანდურეთში კრიზისის აჩრდილი დაბორილობს....	10
კარი IV. ცხვირი ჩამოგიშვია – გადაიხადე!..	13
კარი V. კიდევ ერთი ზეიმი!.. მეორეცა!	17
კარი VI. სამწუნაროდ, ცუდი ამბავი უნდა გაუწყოთ...	20
კარი VII. ოთხი გმირი თხრის გვირაბსა!	23
კარი VIII. გვირაბი ბნელი ადგილია...	25
კარი IX. ვინ არის ეს მხიარული ჩონჩხა?	29
კარი X. ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ გესვრით!	32
კარი XI. ახალი დღესასწაული – დიდი გვირაბის დღე!	37
კარი XII. გამარჯობა, ხვანთქარო, რაღაც უნდა განარო!..	41
კარი XIII. ცისფერი სახლის საიდუმლო	45
კარი XIV. აწი ჯმუნა პანდურს ველარავის უთავაზებს!	50
კარი XV. ლურჯი თმების ამბავი	52
კარი XVI. დღეს ამოპანდურების რეკორდი დავამყარე!	56
კარი XVII. აუჰ, უამრავი საქმე დამრჩენია საბოლოოდ მოსაკვარახჭინებელი!..	59
კარი XVIII. რაც იყო – იყო, აწი ვიწყებთ ახალ ცხოვრებას!..	63

კარი I. პანდურეთი ანუ საჩაღეთი – ზეიმ-დღესასწაულების ქვეყანა

ახლო მოდით, შვილნო ჩემნო, – ვისაც ხუმრობა უყვარს, იტაცებს უჩვეულო ფათერაკები, უნდა, გულით იმხიარულოს, – მინდა, მოგიტხროთ დიდად გასართობი და ერთობ საღალღობო ამბები, – მისაბაძი რუდუნებით, ჭეშმარიტი კეთილსინდისიერებითა და სწორუპოვარი სიმართლით მოგიყვებით!

სანამ ამ ფრიად უცნაური, მოულოდნელი და სასერიო მოვლენების შესახებ თხრობას დავიწყებდეთ (მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, სატირალი უფროა ისინი თუ მათში სასაცილო სჭარბობს – ერთობ ჩახლართულ-ჩახუჭუჭებული კი ნაღდად გახლავთ!), მინდა, გთხოვოთ: თუ გავაფრინე, მეტისმეტად გამიგრძელდა ლაქლაქი ან რაიმე შემეშალოს, დაუკრეფავში გადავიდე – მაშინვე გამაჩერეთ, გეთაყვა, შემობახეთ: “ჰაი! საით გააჭენე, ვერან!..”

მაშ მისმინეთ...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიად მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც პანდურეთი ერქვა და მისი მეუფეც გახლდათ პრეზიდენტი პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი. ეს ქვეყანა ჩალით იყო დახურული და ამიტომ მეორე, არანაკლებ კეთილმშვენი სახელიც ჰქონდა – საჩაღეთი!

ღიას, რაღა დაგიმალოთ: დიდად უყვარდათ პანდურეთში დღესასწაულები, ზეიმებს არაფერი ერჩინათ, სული მისდიოდათ გართობა-თამაშობებზე! ზეიმ-დღესასწაულთა საგანგებო ვაზირი კი ჰყავდათ – სახელგანთქმული ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი, მაშა! არც არის გასაკვირი: ჯერ მხოლოდ დღესასწაულთა ჩამოთვლას ერთი გვერდი არ ეყოფა! დროსაც დაგზოგავ, თქვენს მოთმინებასაც და მხოლოდ ზოგიერთს ვახსენებ: ზეიმი პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის სახელობის პანდურეთის სახელმწიფო პრემიების გადაცემასთან დაკავშირებით; არჩევნების სრულიად სახალხო ზეიმი – ყოველწლიურად სხვადასხვა დონის უამრავი არჩევნები ტარდება; ხონთქარზე მრავალგზის განხორციელებული ნამდვილი თუ ცრუ თავდასხმის აღსანიშნავი ტერორისტული აქტი-ზეიმი; სინამდვილესთან მიხლოებული თეატრალიზებული სანახაობა პანდურეთის შეიარაღებულ ძალებში რამდენიმე ჯანყის მოსახსენიებლად – სროლით, სასწავლო პეტარდების აფეთქებით და ფოიერვერკით; ახალი გადასახადების გამოცხადების დღესასწაული (სხვა დღესასწაულებსგან განსხვავებით, არასდროს წინდაწინ არ არის ცნობილი მოსახლეობისთვის და მით უფრო სასიამოვნო ხდება სიურპრიზის დაგეგმვება); საპნის ბუშტების გაშვების დღესასწაული (ამ დღეს ამთხვევს ხონთქარი სახელმწიფოებრივი სიბრძნით დატვირთული სამომავლო გეგმების “პრეზენტაციას”, მეორენაირად ეწოდება “ახალი დაპირებების გამოცხადების დღესასწაული”); საპარლამენტო დებატების მორიგი სპექტაკლი (თითქმის ყოველდღე, ზოგჯერ – შაბათ-კვირას და დასვენების დღეებშიც კი – ურთიერთ ლანძღვა-გინების ნაირ-ნაირი თაიგულები, კინკლაობა-ჩხუბი, დავა-დაკა-დაკა, თავისუფალი ჭიდაობა და ქუჩური მუშტი-კრიგი), ასევე, ყოველ ორშაბათ დილით – პრეზიდენტის მიმართვა ერისადმი რადიო-ტელევიზიით, რომელიც მეორდება შუადღეზე და საღამოს – რა ბრძნულად ხელმძღვანელობს პანდურეთს, რა უდიდესი მორიგი წარმატებებია მოპოვებული ცხოვრების ყველა სფეროში და რა ბედნიერია ხალხი...

თითქმის ყველა ზეიმი თამაშდება წინასწარ შედგენილი დაწვრილებითი გეგმის მიხედვით, რომელსაც ადგენს და, პრეზიდენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, განხორციელებს სცენარისტთა და რეჟისორთა დიდად დახელოვებული გუნდი ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირის ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილის სწორუპოვარი ხელმძღვანელობით.

ჰოდა, ვატყობ: მოვლენები ისე წაეწყობა ერთმანეთს, რომ, თუ მშვიდობა იქნა, სულ მალე პანდურელები ოფიციალურად იზეიმებენ კიდევ ერთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს – დიდი გვირაბის გაყვანისა!

უეჭველად იკითხავთ: რატომ – გვირაბის გაყვანისა? რომელი გვირაბის? რით დაიმსახურა გვირაბმა ესოდენი პატივი?

ჯობს, ჯერ ის მოგახსენოთ, რა ქვეყანაა ეს პანდურეთი და რა აქვთ ამდენი საზეიმო?

ღიას, მე მინდა, მოგიტხროთ იმ ბრწყინვალე დროების შესახებაც, რომელსაც პანდურეთთა შთამომავლები ნეტარებითა და აღფრთოვანებით იხსენიებენ: “ეს იყო დიდი გვირაბის დრო!” ამ ქვეყანას კი პანდურეთი იმიტომ ეწოდებოდა, რომ...

მოიცაოთ, ცოტა შორიდან ხომ არ აჯობებს დაწყება?

პანდურეთს უკვე ოცდაათი წლის განმავლობაში მართავდა ფრიად ბრძენი და შორსმჭვრეტელი პრეზიდენტი, სახელგანთქმული პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი. რა უცნაური სახელის მატარებელი გახლავთ, ხომ კი? თვითონ როგორღა ეგუებოდა ამგვარ სახელს? მშვენიერად! მოსწონდა კიდევ – თვალეში ნაცრის შეყრის დიდოსტატი გახლდათ, სინამდვილეში მგელკაცა ან

აფთარა უფრო შეეფერებოდა... მისი ამგვარი განწყობა არც იყო გასაკვირი: პანდურეთში ყველა-ფერი თავდაყირა იყო და ამას ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ სიტყვით ჩანჩურ-პანჩურა პრეზიდენტი კი იყო, მაგრამ ხალხი უფრო ხონთქრად მოიხსენიებდა, რადგან საქმით უსაზღვრო უფლებები ჰქონდა მიტაცებული... და ცოტა დაბნეულიც კი ვარ, მიჭირს: მე როგორღა მოვიხსენიო – პრეზიდენტად თუ ხონთქრად? რამდენადაც სიტყვას ყოველთვის საქმე სჯობს, მე უფრო ხშირად ალბათ მისი ხონთქრად მოხსენიება მომიწევს... პანჩურ-ჩანჩურა თუ ჩანჩურ-პანჩურა? ესეც სულ მეშლება, დალახვროს ეშმაკმა! ასე რატომღა ერქვა? იმიტომ, რომ ნებისმიერ მის სამსახურში მყოფს ჩანჩურად აქცევდა, მისი ნების უსიტყვო შემსრულებლად, ბოლოს კი ერთ ლაზათიან პანდურს უთავაზებდა და მოიცილებდა... ბოლომდე არავის ენდობოდა; ერთხელ გულახდილობისას წამოსცდა: მე ჩემ საკუთარ საჯდომსაც კი ვერ ვენდობი – ზოგჯერ, როცა არ ველი, სწორედ მაშინ მოულოდნელად მიღალატებს, აირს ვერ შეიკავებს, თვით ხმაურით მიესალმება განთავისუფლებას, მე კი შემარცხვენსო...

ჰოდა, ხონთქრის საყვარელი გართობა გახლდათ პანდურის ამორტყმა დიდ-პატარისთვის, ოღონდ, რა თქმა უნდა, დამსახურებისამებრ, ტყუილშობრალოდ კი არა – ეს დიდი, გამორჩეული პატივი გახლდათ! თუკი მისი მრავალრიცხოვანი ნაზირ-ვაზირებიდან რომელიმე კეთილ, ქვეყნისა და ხალხისთვის სასარგებლოს რასმე მოიმოქმედებდა თუნდაც უნებლიედ, მაშინვე ხონთქრისგან ჯილდოდ გემრიელ პანდურს დაიმსახურებდა – პირადად მოწყალე მეუფისგან. მაგალითად, საკმარისი იყო, ხელჯოხიანთა ვაზირს, ჯმუხა ხელჯოხაძეს, ქვეყნის ამკლები ყაჩაღი დაეჭირა, ხონთქარი მაშინვე დაიბარებდა და სანახაობაზე მოწვეული რჩეული საკრებულოს წინაშე ერთ ჯანმრთელ ჭიტლაყს უთავაზებდა: როგორ გაბედა ჩემს დაუკითხავად ყველასგან პატივსაცემი პიროვნების ხელის ხლებათ... დიახ, მხოლოდ ერთადერთ ჭიტლაყს აკმარებდა, რადგან ისე დაოსტატებული იყო ამ საქმეში, რომ ერთი მარჯვე ამოპანდურებით ზოგს – ხეზე შეაფრენდა, ზოგს – სახურავზე შეასკუპებდა, ზოგს – გუბურისკენ გაისტუმრებდა ბაყაყებთან შესახვედრად, ზოგსაც... რა ვიცი აბა, დანარჩენი ახლა თქვენ მოიფიქრეთ... იმას კი ადვილად მიხვდებით, რომ ხონთქარს იმ ნაპარცვ-ნაყაჩადარიდან მსუქანი წილი ერგებოდა.

რაღა თქმა უნდა, ნაზირ-ვაზირნიც ხონთქრის მიბაძვით თვითონაც ხელს არ აკლებდნენ საკუთარ ხელქვეითთა გაპანდურებას; არავის აპატიებდნენ: არც – სიმართლის თქმას, არც – კეთილ საქმეს... ხელქვეითნი კი, თავის მხრივ, ხალხს დაერეოდნენ ხოლმე: დადარაჯებულნი იყვნენ, ვინმეს ან ტკბილი სიტყვა დასცდენოდა, ან უსამართლოდ დაჩაგრულს მხარში ამოსდგომოდა, გაჭირვებულისთვის ხელი გაემართა, “დამნაშავეს” – ბაიყუშს, ქერქეტს, ცერცეტს, დონდლოს, თავქარიანს, ყურპარტყუნას, აბდალს, ბენტერას, აფრაკს, უნიათოს, ყყყენს, ჩერჩეტს, უმეცარს, ბრიყვს, სულელს, რეგენს, გაუთლელს, ოხერს, ოყრაყს, უგერგილოს, ბედოვლათს, უიღბლოს, უბედოს, შავ დღეზე გაჩენილს, დილით მარცხენა ფეხზე ამდგარს, წერას ატანილს, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულს, ტეტიას, გაგრიას, ოტროველას, მუტრუკს, თავაგდებულს, უშნოს, ტვინნადრძობს, ბედოვლათს – მაშინვე ათი-თხუთმეტი ხელჯოხიანი დაესეოდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ და ყოველი მათგანი თავგამოდებით ცდილობდა, პირველს მოესწრო პანდურის ამორტყმა – ყველაზე ყოჩაღისთვის საგანგებო ჯილდოც იყო დაწესებული!

სამაგიეროდ, გახარებული და გალადებული იყო ცრუ და მამებელი, მამუხლარი და უმეცარი, ქურდი და მამაძაღლობის ოსტატი, ყაჩაღ-თული და გამომძაღველი, ოხერი და მუდრევი, უღმობელი და თავაშვებული, თავხედი და გაიძვერა... სიის გაგრძელება თქვენთვის მომინდვია!

მიუსია ჩანჩურ-პანჩურამ პანდურელთა ერთი ნაწილი მეორეს; თან ტკბებოდა შეხლა-შემოხლის ხილვით, თან საკუთარ უსაფრთხოებას, მისი შეხედულებით, იმყარებდა ამით. ხონთქრის წაქეზებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მლიქვნელობასა და მამებლობაში, გაუტანლობასა და ძალადობაში, ძარცვასა და გლეჯაში, სიცრუესა და ცილისწამებაში და ასე შემდეგ... რაც უფრო მამალ ტყუილს დაახეთქებდი, მით დიდ ჯილდოსაც გიბოძებდა ხონთქარი – სიმართლის I ხარისხის ორდენს! ყაჩაღსა და მკვლელს – სამართლიანობის ორდენს! ქურდსა და თაღლითს – პატიოსნების ორდენს!..

ჯან!
საერთოდ, ორდენების სიმრავლითა და მრავალფეროვნებითაც დაიტრახახებდა პანდურეთი; მაგალითად, დიდად საპატიოდ ითვლებოდა პანდურთამორტყმის დიდი ორდენი, დიპის დიდი ორდენი, იღლიის ორდენი, ბუასილის დიდი ორდენიც კი იყო! ეს უკანასკნელი სად უნდა დაიკიდო?

რასაკვირველია, პანდურეთში ყველა ბედნიერი გახლდათ, გახარებული და გალადებული იყო დიდ-პატარა, აბა არა?!. სწავლა-განათლება სრულიად ზედმეტ ბარგად იყო მიჩნეული და უფრო მეტიც – დიდ სისულელედ! შრომა-გარჯა – წარსულის მაგნე გადმონაშთად, წესიერება და პატიოსნება – პათოლოგიურ სიშტერედ... ჩამოყალიბებული იყო მრავალრიცხოვანი სამშობი: სიმართლის მთქმელთა (ოსტატდებოდნენ ჭორებსა და ცილისწამებებზე), სამართლიანობის (ხელს იწაფავდნენ დარბევებსა და ძალადობაზე), პიროვნების უფლებების დაცვის (დახელოვნდნენ ყოველგვარი უკანონობის ლაქლაქით გამართლებაზე) და სხვა. ამიტომაც პანდურეთში მშვენივრად იყო აწყობილი ყველაფერი: ქვეყანა – გაფურჩქნილ-აყვავებული, ხალხი – დიდად კმაყოფილი და სრულიად თავისუფალი: გინდა – იყაჩაღე! გინდა – მოიპარე! გინდა – მოჰკალე! გინდა – სიკეთეს უღალატე! გინდა – ბოროტებაზე თვალი დახუჭე! სუსტსა და დაჩაგრულს – წიხლი უთავაზე!

მოძალადეს – ფიანდაზად ფეხქვეშ გაეგე! რაც შეიძლება მეტი მიითაღე, მოიხვეჭე, დააგროვე – სხვისი სისხლისა და ოფლის, ცრემლისა და ტკივილის ფასად! თვითონ იყავ კარგად და დაე, დანარჩენი ყველაფერი სიავის წყალსა და ბოროტების მეწყერს წაუღია და გულცივობის ზეგას დაუმარხავს! მიდი, შაუბერე: იგრიალე! გაერთე! გაიხარე! ამისთვის ყველა და ყველაფერი გადა-თელე – ნურავის გაუწევ ანგარიშს, ამ საწუთროში მეორედ კი ველარ მოხვალ!

ოღონდ ერთი რამ კი კარგად დაიმახსოვრე, ჭირიმე, – ხონთქარს ნუ აწყენინებ! ამას არ გა-პატიებენ! მართალია, იყვენ ბოროტი ცილისმწამებლებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ღიმი-ლი დაიკარგა ქვეყანაში, დღესასწაულებსა და ზიემებზეც კი ყველა დაბღვერილი დადისო... მხო-ლოდ ხონთქრის სასახლეში ისმის სიცილი და მხიარული ყიჟინა, განსაკუთრებით – ხონთქრისა: ყოველთვის მშვენიერ ხასიათზეა, სულ ხუმრობს, მისი ნაზირ-ვაზირებიც ყველანი ყველის გაჭ-რებივით იკრიჭებიან – ყველაფერი ბრწყინვალეაა! ყველა კმაყოფილია! ტყუილად კი არ მიიღო პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენმა საერთაშორისო დიდი ჯილდო, როგორც ყველაზე ხუმარა მეუფემ! ასე რომ, პანჩურ-ჩანჩურა I ხითხითაც თუ ქირქილაც შეიძლება ვუწოდოთ. ისე კი, რა ეხუმრებოდა ნეტავი: სულ თავდასხმის შიში ჰქონდა, ფეხსალაგშიც კი პირადი დაცვის თანხლე-ბით მიბრძანდებოდა... აბა ერთი, ამაზე ეხუმრა ვინმეს!

ხონთქარ ჩანჩურ-პანჩურა I ბრძენთა ბრძენს სურდა, ამწვანებულ-აყვავებული ქვეყანა მოეოხ-რებინა, ყანები, ბოსტან-ბაღები მოესპო, ტყეები გაეჩნება და ამოეძირკვა, – სამაგიეროდ, მიწათ-მოქმედება მოისპობოდა და საძოვრები გაჩნდებოდა ბლომად, მთელი მოსახლეობა მომთაბარე მესაქონლეობას მიჰყოფდა ხელს... სხვა რაღა უნდა ექნათ – სწავლა-განათლება მიინავლა, ხალხს წერა-კითხვაც კი გადაავიწყდა, მრეწველობის სახსენებელიც გაქრა... გადაშენდა მემინ-დვრეობა, მებაღეობა, მეფრინველეობა – მხოლოდ ცხვარს და საქონელს მოაშენებდნენ, აგრეთვე – ცხენ-ჯორსა და ვირსაც, რასაკვირველია.

დაგეგმილი იყო პანდურეთი გამხდარიყო მთელი მსოფლიოს გასართობი ცენტრი: მთელი ქვე-ყანა უდაბნოდ გადაიქცეოდა და აქლემებით სერირობა და რბოლა დრომადერებით ტურისტთა საყვარელი გასართობი გახდებოდა, აგრეთვე – ნადირობა ქურციკებზე, გნოლსა, კაკაბსა და ხო-ხოზზე; მესაქონლეობის პროდუქტებიც მრავალ დამსვენებელს მიიზიდავდა, აყვავდებოდა საჭაე-რო ბურთებით ფრენა-მოგზაურობაც: მას აღარაფერი შეუშლიდა ხელს – ელექტროდენის მაღა-ლი ძაბვის ხაზები ყველა ჩამოხსნილია და ანძებიანად ჯართადაა გაყიდული საზღვარგარეთ...

გართობა და ღხენა-თამაში, როგორც მოგახსენეთ, უპირველესთაგანი გახდა, ყაჩაღობისა და თაღლითობის შემდეგ, რაღა თქმა უნდა. გემრიელადაც ერთობოდნენ! ხონთქარი ვერ იტანდა მყუდრო ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს ბედნიერად, როცა იყო შფოთი, განხეთქი-ლება-დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა...

ხონთქრის კარზე ერთი მშვენიერი მოდა შემოვიდა ტანსაცმლისა: ყველა ნაზირ-ვაზირსა და კარის წარჩინებულს ეცვა ძალიან ფართო შარვალი, შეიძლება ითქვას, ნამყენი გალიფეს ფორ-მისა. ალბათ მიზეზი გაინტერესებთ... კეთილი და პატიოსანი, მოგახსენებთ.

ერთი გულმხიარული და პატიოსანი კაცი იყო, სახელად – მახარე. თუმცა მას ბევრნი ტვინ-დასეტყვილსა და შექანებულს, ტლუსა და უბირს, სულელსა და ჭეშმარიტად სამაგალითო გამო-თაყვანებულს უწოდებდნენ, რადგან მახარეს არასგზით სურდა საერთო მდინარებას აჰყოლოდა, დამორჩილებოდა ძალადობისა და მტრობის, გაუტანლობისა და სიცრუის, ქურდობისა და სისას-ტიკის “სიკეთეს”... “შე შავ დღეზე გაჩენილო, – ეჩინებოდნენ კეთილის მსურველნი, – მარ-ტომ გინდა, ეს ოღოროღრო ქვეყანა გაასწორო? ჩვენს დიდებულ მეუფეს სიცილის ხელოვნება-ში ტყუილად ექიშაები, ხომ იცი, ხონთქარი – ყველაფერში პირველი! – ამ საქმეშიც პირველი უნდა იყოს! მასზე რომ შაირების შეთხზვას არ ეშვები და ხალხს აშფოთებ, არ გირჩვენია, მეუ-ფის კარზე უზრუნველად განვლო ცხოვრების ტკბილი დღენი? სახელიცა და სახრავიც არ მო-გაკლდება, მეტი რაღა გინდა? ხომ იცი, ხელოვანთ როგორ გამორჩეულად აფასებს ჩვენი ბრძენ-თა ბრძენი, კარის მგოსნის საპატიო სახელოსაც გიბოძებს, ერთგულების ორდენითაც დაგაჯილ-დობს და მრავალ სხვა წყალობასაც არ მოგაკლებს! შეხედე, მეუფის კარის პოეტები ტრიფონ ტრამახაული და ბაქარ ბაქიაშვილი რა პატივში არიან – დიდი წყალობა ერგოთ: ერთი მარჯვენა ჩექმის გამკრიალებლის საპატიო სახელოს ფლობს, ლაურეატობაც უბოძეს, მეორე – მარცხე-ნა ჩექმის გამკრიალებელია! ვის აქვს პატივი ხონთქართან მათზე უფრო ახლოს ყოფნისა!”

მახარე ფრიად ჯიშტი გამოდგა, ჭკუის დამრიგებელთა რჩევას ყური არ ათხოვდა, პირიქით – მისი ფანდურზე დამღერებული შაირები უფრო მწვავე და ფრთიანი გახდა!..

დაიჭირეს ჩვენი მახარე, მიჰგვარეს სასახლეში თვით ბრწყინვალე ხონთქარსა; იმას გაუხარ-და, ხომ იცი – ერთი ჩემს წინაშეც იმღეროს მაგ ჩიტმა, სანამ ჯილდოდ ჩემს სწორუპოვარ პან-დურს ვუბოძებო; მერე კიდევ, “გალიაშიც” იტიკტიკოს, როგორც გაუხარდება და რამდენიც ენე-ბოსო, – აი ასე ბრძანა.

- რა სულ იღიმები, გულში დაგვცინი? – ჰკითხა მახარეს გაბრაზებულმა.
- არა, კარგი სიზმარი ვნახე! – უპასუხა მახარემ.
- გვიბრძანე!!! – თავს დაადგა ღრიალით ჯმუხა ხელჯოხაძე.
- კეთილი! – ყაბულს იყო მახარე. – დამესიზმრა, რომ ყველა უკეთური და ქვეყნის წურბე-ლა, ვინც კი ამ სეფედარბაზში შეკრებილხართ, პანდურთქალაქის მთავარ მოედანზე რკინისგო-

სოსებიან გალიაში ისხედით მშიერნი. გამგლეღ-გამომგლეღნი ვაშლის ნაქურჩალებს გესროლ-
ნენ, რომლებსაც ნაზირ-ვაზირნი წიოკობით მივარდებოდნენ, რათა სხვებისთვის დაესწროთ და
მსწრაფლ შეესანსლათ. თქვენ კი, თქვენო უდიდებულესობავ, სულ ბრდღვინავდით და ცოფებს
ჰყრიდით, რადგან დამსახურებისამებრ პატივი დაგდეს და ცალკე გალია გიბოძეს; ამიტომ ვერ
მონაწილეობდით დანარჩენებთან ერთად ნარჩენების დასაკუთრებისთვის ბრძოლაში და მეტწი-
ლად სულ მშიერი რჩებიდით... ამოდ ცდილობდით გამგლეღთა კეთილგანწყობისა და რაიმეს
მოპოვებას თქვენი განსაკუთრებული ნიჭით ხუმრობისა...

– გეყოფა, მოკეტე! – უყვირა ხონთქარმა, მერე მინაზებული ხმით განაგრძო: – შენ ხომ სულ
თავხედურად მატრიზაგებ შაირებით, ცოდვა იქნება, სანაცვლოდ ჯილდო არ გიბოძო!

ხონთქარმა, ფრიად და ფრიად კმაყოფილმა, მოიფშენიბა ბუნწულა ხელები – ახლა კი გიჩვე-
ნებ სეირსო, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და ნაცადი იღეთით გამეტებით ამოსცხო საჯდომზე ჩქ-
მის ჭვინტი მგოსანსა...

– ბრახ!.. – იგრიალა უცებ დარბაზში, მაგრამ არა ნაზირ-ვაზირთა მოწონების ერთსულოვან-
მა ტაშმა, არამედ... დიახ, დიახ, ხონთქრის მაღალჭვინტიან, საგანგებოდ შეკერილ ფენსამოსს ამ-
ჯერად ვაზირის ან კარის წარჩინებულის თუ დიდებულის ფუმფულა საჯდომი კი არ შეხვდა,
არამედ – გამხდარ-გახიკინებული მეშაირისა, რომელ მეშაირესაც ამასთანავე შარვალში უკა-
ნალზე სამურაბე სპილენძის ტაშტიც ჰქონიყო ჩატანებული..

ამა დიდასა გრიალსა კინაღამ იქ მყოფთა გულების გახეთქვა მოჰყვა!
– ვაი, ვაი!.. – ამის დაძახებადა მოასწრო ბრძენთა ბრძენმა; გულწასულს მისი პირადი აქიმი
და ნაზირ-ვაზირნი დაესივნენ, ხელჯოხიანთ კი მახარე დაიჭირეს და სატუსაღოში სულ პანდუ-
რის ცემით მიაბრძანეს.

ბრძენთა ბრძენს თავი ყველაზე გაქნილ და ჭკვიან ადამიანად მიაჩნდა სრულიად პანდურეთ-
სა შინა და უყურეთ ერთი – ვიდაც ტეტია მეშაირემ როგორ გააცუცურაქა?!. თანაც – საჯა-
როდ!.. აწი კარგა ხანს კოჭლობით ივლის და საყვარელ გართობაზეც – მაგანთა ამოპანდურება-
ზე – დროებით უარის თქმა მოუწევს...

ამის შემდეგ ვაზირთ, ხონთქართან წარდგომის წინარე, დაიწვეს ყოველი შემთხვევისთვის
(ვინ იცის, მეუფე რა განწყობაზე ბრძანდება!) ტაშტის მიფარება ერთ ადგილზე. ამისთვის საჭი-
რო გახდა ახალი თარგის შარვლის შექმნა, რომელიც, როგორც ადრეც მოგახსენეთ, განიერი
იყო ფრიად და ნამყენ გალიფეს ჰგავდა ნამეტნავად, ხალხში კი სახელად “სიხარულა” დაარ-
ქვეს.

მაგრამ ბრძენთა ბრძენის გაცურება ვერე ადვილი იყო? ხონთქარმა საგანგებო ფირმანით მი-
მართა პანდურეთის მოსახლეობას:

“ჩემო ერთგულო ქვეშევრდომნო!

ჩვენ, საჭეთმპყრობელმან სრულიად პანდურეთისა, მეუფემ ყოველად უბრწყინვალესმან და
უკეთილშობილესმან, სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით დიდად შემკულმან პანდურელთა უსაყ-
ვარლესმა და სათაყვანებელმა გამგებელმან და მზრუნველმან და სხვა და სხვა... ქვეყანაში დე-
მოკრატიული და სამართლიანი წესწყობილების შემდგომი განვითარებისა და მართლწესრიგის
განმტკიცების მიზნით, ხალხის ფართო ფენების მოთხოვნათა გათვალისწინებით და სხვა და
სხვა... ვინებე და ვბრძანებ: გაუქმდეს ვაზირთ ვაზირის დრომოჭმული სახელო, რომელმაც ვერ
გაამართლა ჩემი და მოსახლეობის იმედი, და მის მაგივრად შეიქმნას სრულიად ახალი, პანწურ-
თამორტყმის მთავარვაზირის თანამდებობა, რომელსაც სრულიად და სავსებით დაემორჩილოს
ყველა სხვა ვაზირი. ჩვენ დემოკრატიის, სამართლიანობისა და თავისუფლების მოწინავე ქვეყანა
გახლავართ, ამიტომ ამ საპატიო თანამდებობის დასაკავებლად ვაცხადებ ღია კონკურსს პანდუ-
რის ამორტყმის ხელოვნებაში გამარჯვებულის გამოსავლენად, რომელშიც მონაწილეობის უფ-
ლება აქვს ყველა მსურველს – პანდურეთის მოქალაქეს. შეჯიბრი ჩატარდება ერთ კვირაში, ჩემს
სასახლეში, საჯაროდ; გამარჯვებულს გამოვავლენ პირადად მე ხალხისა და ქვეყნის სახელით.

თქვენი საყვარელი მეუფე და მბრძანებელი,
პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენი.
პანწურთქალაქი, თიბათვის 13”.

დაფაცურდნენ ნაზირ-ვაზირები და დიდებულნი, – აბა სხვა ვინ გაბედავდა ამ სანატრელი
სახელის დაუფლების სურვილს! – ერთმანეთს ათასგვარ ხრიკებს უწყობდნენ, რათა მოცილებ
გზიდან ჩამოეშორებინათ. მათი ოინების აღწერა დიდად სამხიარულო იქნებოდა, მაგრამ ამბავს
გაგვიჭიანურებს, იმავე მიზეზით არ მოვიყვებით თვით შეჯიბრის მიმდინარეობასაც – თქვენ
თვითონ შეგიძლიათ, საკუთარი წარმოსახვისა და გემოვნების კვალობაზე, არანაკლებ კარგად
და ხატონად წარმოიდგინოთ ყოველივე.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამართლიანად და ყოველად დამსახურებულად გაიმარჯვა
ხელჯოხიანთა ვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ, რომელსაც მანამდე ეჭირა ვაზირთ ვაზირის სახე-
ლო. ნუ გგონიათ, რომ იგი სხვებზე ღონიერი ან ჭკუით გამორჩეული გახლდათ, თუმცა სიმარ-
ჯვე მართლაც გამოიჩინა! სხვა ვაზირებმა პანდურის ამორტყმაში შეჯიბრებისას ყველამ სირ-

ცხვილი ჭამა – ფეხი თუ არ მოიტეხა, გვარიანად იღრძო ან დაიბეგვა მაინც... ჯმუხამ კი საგანგებო ჩექმები შეაკერინა ნაწრთობი ფოლადის ჭვინტით, სხვებს მოხერხებულობით აჯობა – გაიმარჯვა და გაიხარა კიდევ!..

ყველაზე გახარებული კი, ცხადია, ხონთქარი გახლდათ – არასდროს ამდენი არ უცინია!

შეჯიბრების დამთავრების შემდგომაც პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენი მშვენიერად ერთობოდა: დროდადრო ხონთქრის სასახლიდან ისმოდა გრგვინვა-ვაება – ბრახს! – ვიღაცას ახალი “წამალი” გამოუწერეს!

ხონთქრის წაქეზებით, ნაზირ-ვაზირების ლოცვა-კურთხევით, დიდებულთა, კარისკაცთა და სხვათა ძლიერთა ამა ქვეყნისა რუღუნებითა და ძალისხმევით, მთელ პანდურეთს მოედო ახალი გასართობი: მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდღა ერთმანეთთან შარის მოდებით, კინკლაობითა და პანდურის ამორტყმით იყო დაკავებული. უცხოელები კვირობდნენ: მიდიან ქუჩაში და თუ ვინმეს გზას ზრდილობიანად დაუთმობენ, მაშინვე პანდურს მიიღებენ ჯილდოდ...

ჩაკვდა ყოველგვარი სხვა საქმიანობა – ისედაც ხომ ჰყვაროდა ყველაფერი! გაიფურჩქნა და გალაღდა მხოლოდ ორი დარგი: სამურაბე ტაშტების წარმოება და გაყიდვა და გალიფე შარვლების პანდურეთის სახეობის – “სიხარულას” – კერვა და გასაღება! (მათი განვითარების მხრივ პანდურეთმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა, რაც დიდად საამაყოდ ჰქონდათ მეუფესა და ნაზირ-ვაზირებს! გარდა ამისა, “სიხარულა” “გინეის რეკორდთა წიგნშიც” მოხვდა!) ყველა ამ საქმიანობას მოზრდილი გადასახადები დაადეს და პანდურეთის ხაზინაც, უფრო სწორედ – ხონთქრისა და მისი გარემოცვის ჯიბე – გვარიანად ივსებოდა.

პანდურეთამორტყმის მთავარვაზირი ჯმუხა ხელჯოხსაძე ისე დაოსტატდა, რომ საოცრებას აღედგინა: ერთ ლაზათიან პანწურს რომ ამოჰკრავდა მავანს, ეს უკანასკნელი ლაღად გაფრინდებოდა, ჰაერში სამჯერ კოხტად მაღაყს გადავიდოდა და ხონთქრის მიერ წინდაწინ დათქმულ ადგილზე ზუსტად დაეშვებოდა კიდევ – ამაზე ჩანწურ-პანწურა დანადგებდებოდა ხოლმე და ყოველთვის იგებდა! შეიძლებოდა, მავანი ოთხ-ხუთჯერ და მეტადაც ამორტყმულიყო ჰაერში (მაშინ ხონთქარი შესაბამისად მეტსაც მოიგებდა!) – ეს დამოკიდებული იყო უპირველესად ხონთქრის მიერ გაცემულ ბრძანებაზე, აგრეთვე – ჯმუხას გუნება-განწყობილებაზე, “დანაშაულის” სიმძიმეზე და “დამნაშავის” სიმძიმეზეც ანუ წონაზე.

“ამ გასართობს რაღა სჯობს! – ფიქრობდა ბრძენთა ბრძენი, – თან ვერთობი, თან ჯიბეში ოქრო-ვერცხლიც მოხსრიალებს!”

მაგრამ... მაგრამ თანდათან ჩანწურ-პანწურა მტანჯველმა ეჭვმა შეიპყრო: “ეგ გაიძვერა ჯმუხა პანწურთამორტყმელი ისეთი მოხერხებული გაიძვერა, ლამის მეც მაჯობოს და ერთ მშვენიერ დღეს მეც ლაზათიანი პანდური მითავაზოს!.. არადა, მაგის ბადალი პანდურთამორტყმის მთავარვაზირს სადღა ვიშოვი? ნაძღვევიდან წილი ხომ არ გაეუდიდო?”

იფიქრა, აწონ-დაწონა, გამოთვალა-გადათვალა, ბევრზე ბევრი ვარაუდი და შესაძლებლობა გადაღეჭა-გადაცონხა...

ამასობაში, როგორც მოგახსენეთ, პანდურეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძარცვა-გლეჯითა და ერთმანეთისთვის პანდურის ამორტყმით იყო დაკავებული. ქვეყანა ჩაკვდა, ვალებში ჩაეფლო, გაძვალტყავებული მოსახლეობისგან ველარაფერს “წველიდნენ”, ამიტომ პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენი ახალ-ახალ სესხებს იღებდა. განსაკუთრებით დოლარეთი სწყალობდა ხონთქარს – აძლევდა და აძლევდა ფულს ქვეყნის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად და სხვა კეთილი მიზნებისთვის, თუმცა კარგად იცოდა, რომ იმ უზარმაზარი თანხებიდან ერთი გროშიც არ იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ.

ფული ფართო ნაკადად მიედინებოდა ხონთქრისა და მისი ვაზირ-დიდებულების ღრმა ჯიბეებში. მაღე მათ ნაქურდალით თითქმის მთელი პანდურეთი იყიდეს – ჩალის ფასად ხელში ჩაიგდეს სამთანადრო და სამრეწველო საწარმოები, სახანავ-სათესის სავარგულები, ტყეები და სხვა და სხვა. მათი გახდა რადიო-სატელევიზიო სადგურები და ჟურნალ-გაზეთები, თეატრები და სკოლები, საავადმყოფოები და რა აღარა – საერთოდ ყველაფერი, რასაც კი რაიმე ღირებულება გააჩნდა... იყიდეს “ტვინებიც” – ჟურნალისტებისა და მწერლების, მხატვრებისა და მუსიკოსების, მსახიობებისა და მეცნიერების და სხვათა და სხვათა... უპირველესად კი, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა!

ფული კი ისევ მოჩუხჩუხე ნაკადად იღვრებოდა მათ ჯიბეებში, ივსებოდა ეს ჯიბეები და ივსებოდა სიამით ჯიბეთა პატრონების გულებიც... მერე ახალი ტანსაცმლის ტარება მოუწიათ – უფრო დიდი ჯიბეებით! როცა ეს ჯიბეებიც ეცოტავათ, კიდევ უფრო ღრმა და ფართო ჯიბეებიანი ტანსაცმელი გახდა მოდური პანდურეთის ელიტურ ფენაში... მაღე ფულის სიმძიმისგან წველში მოხრილნი ძლივს დააბიჯებდნენ, საბრალოდ ხენეშოდნენ და ოფლად იღვრებოდნენ – სახის შემშრალეობაც კი ვერ მოეხერხებინათ – ხელები ფულით ჰქონდათ დაკავებული! ხვეტავდნენ და ხვეტავდნენ ფულებს, ქშინავდნენ და ოხრავდნენ... თან გამჩენს აგინებდნენ, რატომ იძუნწა და მხოლოდ ორი, ორად ორი ხელი გვარგუნაო! ამჯერად არ იძუნწეს, გვარიანი თანხა გაიღეს და დაიწყეს გენური ინჟინერიის დახმარებით ადამიანის მანამდე არნახული სახეობის გამოყვანაზე ზრუნვა – ჯერჯერობით ოთხი ხელი უნდა ჰქონოდა და ორი პირი!.. უყვარდათ მრავალჯიბიანი ტანსაცმლის ტარება – რაც მეტი ჯიბე ჰქონდა და ღიდ-ღიდი, მით უფრო პატივსაცემი და დაფა-

სებულები პიროვნება ბრძანდებოდა, მით უფროსი თანამდებობა ეკავა (აბა თუ მიხვდებით – ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ტანსაცმელი ვის ეცვა? რა თქმა უნდა, ხონთქარს – პანჩურ-ჩანჩურ-რა I ბრძენთა ბრძენს მეფურ კაბაზე 365 ჯიბე ჰქონდა დააკერებული და ლამაზად ამოქარგული!

ჯან!

კარი II. პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი

ჩვენს მიერ აღწერილი ამბები იმ დროს ხდებოდა, როცა პანდურეთს უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში ბრძნულად მართავდა საყოველთაო სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით მოსილი ხონთქარი პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი. მას დიდი, ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღოდა ქვეყნისა და პანდურელთა წინაშე. თვით განსაჯეთ: ქვეყანას მღელვარე ოკეანის მიერ დატბორვა ააცილა; ხანგრძლივი გვაღვის დროს მაცოცხლებელი წვიმა მოიყვანა; ველური ურდოების შემოჭრისას მათთან მორიგება შესძლო: ნუ შეჭამდნენ ხალხს ცოცხლად, სამაგიეროდ მოსახლეობის ერთ მეხუთედს მონებად მისცემდა; უზარმაზარ მეტეორიტთან შეჯახებისგან გადაარჩინა პანდურეთი (მთელი პანდურეთის გაზეთები და რადიო-ტელევიზია გაჰკიოდნენ ბრძენთა ბრძენის გმირულ ქმედებაზე – მან პირადი სახსრებით დოლარეთში შეიძინა საოცრება – მეფე-ქვემეხი; იმით შეძლეს მეტეორიტის ჩამოგდება – არ აცალეს ძირს ჩამოვარდნა... თუმცა ეს ქვემეხი თვალთ არავის უნახავს!); საკუთარი ხელით მოახრჩო საშინელი გველეშაპი, რომელიც მაცოცხლებელ წყალს არ უშვებდა პანდურეთქალაქში (ზოგ-ზოგნი, მოქირქილენი, ამ მოვლენის ამსახველ ტელეგადაცემას უნიჭოდ დადგმულ მისტიფიკაციად ნათლავდნენ, მაგრამ გულდრძო აღამიანებს ქვეყანაზე რა დაღვეს!)... მაღლიერი ხალხის სახელით ტყუილად კი არ წამოაყენა წინადადება ხელჯოხიანთა ვაზირმა და იმავდროულად ვაზირთ ვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ: “ჩვენი პრეზიდენტი ღირსია იმისა, რომ სამუდამო ხონთქარად ავირჩიოთ! იგია შეუცდომელი ბრძენთა ბრძენი, შორსმჭვრეტელი, ქვეყნისა და ერის გადარჩენა მხოლოდ მას ძალუძს! მართალია, ქვეყანა გადაშენების პირსაა მისული, მაგრამ ეგ რომ არ გვეყოლოდა წინამძღოლად, ბეგრად უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდით! ცოტაც მოვითმინოთ, მეგობრებო, და აგერ თვით დარწმუნდებით – ბნელი გვირაბის ბოლოში სულ მალე გამოჩნდება ნათელი! რამდენიმე წელიწადში პანდურეთი აყვავებული, თითოთ საჩვენებელი ქვეყანა გახდება, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის დონე ერთ-ერთი მოწინავე იქნება მსოფლიოში!”

ეს “ცოტა მოთმენა” უკვე რამდენიმე თაობის განმავლობაში გრძელდებოდა და და ყველაფერი კი სულ უარესობისკენ მიდიოდა. პანდურეთში ხალხი გაჭირვებისგან სულს ღაფავდა და სადაცაა, ჯანყიც დაიწყებოდა...

კიდევ კარგი, როგორც ადრეც მოგახსენეთ, პანდურეთში ჰყვავდა გენური ინჟინერია; წელს პანდურეთის პანჩურ-ჩანჩურას სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა გამორჩენილ მეცნიერთა ჯგუფს პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პანჩურ ჩანჩურიშვილის თავაჯობით, რომელმაც მოახდინა უდიდესი სამეცნიერო აღმოჩენა – მიაგნო საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა გადაურჩებოდა ზამთრის სუსხსა და შიმშილიც დაავიწყდებოდა! რა ხერხს მიაგნეს? პანდურს! ერთმანეთს უნდა ამოჰკრათ პანდურიო, გვირგვინი დიდი მეცნიერები! ამით ორ კურდღელს დავიჭერთ: პირველი – დიდებული ვარჯიშია და მშვენივრად გაგხურდებით; მეორე – გავერთობით და ცარიელ კუჭზე მავნე ფიქრი გადაგვავიწყდება! გახურებული მუშაობა მიმდინარეობს მეორე პროექტზეც: პანდურელთა მომავალი თაობა გენური ინჟინერიის საოცარი ხერხების მოშველიებით დათვის თვისებებს შეიძენს – ზამთარში დაიძინებს 3-4 თვით!

პანჩურ-ჩანჩურას სასახლის სეფედარბაზში კედლებზე ეკიდა სახელგანთქმულ ისტორიულ პირთა პორტრეტები: ნერონის, მაკიაველის, რიჩარდ მესამის, ლოიოლასი, ალა მაჰმად ხანის, ნაპოლეონის, კვაჭი კვაჭანტირაძის, ადოლფ ჰიტლერის, იოსებ სტალინის, ყვარყვარე თუთაბერის, ბოკასასი, პოლ პოტისა და თვით ბატონ პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენისაც; ამ ბოლო პორტრეტზე ბატონი პრეზიდენტი სულ ახალგაზრდად იყო წარმოდგენილი – პირმშვენიერი და ნორჩი...ამაგრამ, დიდი მონღოლების მიუხედავად, ფრიად დახელოვნებულმა კარის მხატვარმა ზელიმ-ხან წირპლაშვილმა ვერაფრით მოახერხა მოდელის ამპარტავნული და თვითკმაყოფილებით აღსავსე იერის ოდნავ მაინც დათბობა – პორტრეტზე პანჩურ-ჩანჩურა კი იღიმებოდა, მაგრამ თვალები ყინულივით ცივი ჰქონდა.

ბატონი პრეზიდენტი ხშირად უყურებდა ამ პორტრეტებს, ეძებდა გამორჩენილ აღამიანთა რკინის ურყევი ნებისყოფის გამომხატველ, გამჭოლავ მზერაში შთაგონებას და აღივსებოდა სიმტკიცითა და მიზანწარაფულობით. ასევე, ხშირად უსმენდა გამორჩენილ მსახიობს, მხატვრული დეკლამაციის ოსტატს, კარის პოეტს ტრიფონ ტირიფონელს, რომელიც მგზნებარე გამოთქმით უკითხავდა ამ დიდ პიროვნებათა უკვდავ სტრიქონებს... ხონთქარის სანუკვარი ოცნება გახლდათ: მთელი მსოფლიოს უპირველესი მგოსნები უდიდეს პატივად მიიჩნევენ პანჩურ-ჩანჩურას კარზე მიწვევას, რათა იქ პირადად დაატკბონ ხონთქარის სული მისდამი მიძღვნილი ხოტბა-დიდებით აღსავსე ლექსებით... მეუფეს უყვარდა ფილოსოფოსებისა და პოეტების ნააზრვის ჩართვა საკუ-

თარ საჯარო გამოსვლებში – ციტატებს საგანგებოდ კარის მრჩეველები ურჩევდნენ. თვითონ ბრძენთა ბრძენმა სკოლა ძლივს დაამთავრა და მას შემდეგ ორი წიგნიც არ წაუკითხავს – მაგისტრის დრო სად რჩებოდა: მთელი ენერჯია უკლებლივ ხალხის ერთგულ მსახურებაზე ფიქრსა და ქმედებას ახმარდა! მერე ვინ დაუფასა? ავის მდომნი ამტკიცებდნენ, რომ ბატონი პრეზიდენტი დღეღამეში 24 საათს სულ ინტრიგებზე ფიქრს ახმარდა (სიზმარშიც!) – ერთი სული ჰქონდა, როგორმე ერთმანეთისთვის წაეკიდებინა საკუთარი ნაზირ-გაზირებიც კი, მტრებზე ხომ რაღა იტქმის! ვერავის ენდობოდა, და თუ ორ-სამ კაცს ერთად მოსაუბრეს დაინახავდა, მაშინვე ეჭვი იპყრობდა – მის წინააღმდეგ ხომ არ ხლართავდნენ ჩუმ-ჩუმად რაღაც ბნელ საქმეს?

ჰო, ერთი რამ დამავიწყდა: მართლა ამდენს ვლაქლაქებ და, როგორც წესი და რიგია, ჯერ ხონთქარი არ წარმოვიდგინე, ჩემო მკითხველო... დროა, ეს ნაკლი გამოვასწორო!

ამრიგად, რა წარმოშობით დაიკვებნის პანჩურ-ჩანჩურა?

მეცნიერებს შორის ამ საკითხზე თანხმობა ჯერჯერობით არ არის მიღწეული. ერთნი ამტკიცებენ, რომ ბრძენთა ბრძენის პაპის პაპა გურული ფირალი იყო, მეორენი, სრულიად სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, ასაბუთებენ, რომ იგი შუა საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის მკვრობელი ტუნისელი მეკობრის ალი სულთან მუჰამედ იბნ თეიმურის პირდაპირი შთამომავალია; მესამენი მის უშუალო წინაპრად ცნობილ ავანტიურისტს კალიოსტროს ანუ ჯუზეპე ბალზამოს ასახელებენ; მეოთხენი ნებისმიერი თანხის სანაძლეოს დადებაზე თანახმა არიან, რომ მათი პრეზიდენტის თუ ხონთქრის გენეალოგიურ შტოს დადგენილი სახით პირდაპირ მივყავართ ლეგენდარულ ჩიკაგოელ განგსტერთან ალფრედო კაპონესთან (ამ ვერსიას რამდენიმე დიდი მეცნიერი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა; სამწუხაროდ, ყველა მათგანმა უდროოდ, ფრიად უცნაურ და გაურკვეველ გარემოებებში, წაიღო საიქიოს წერილი მათი მოსაზრებების დამადასტურებელი არგუმენტებით)... ბევრიც სხვა ჭორ-მართალი ვრცელდებოდა პანდურელებში მათი პრეზიდენტის წარმომავლობის შესახებ – კვირა არ გავიდოდა, რომ ახალი, ეპოქალური აღმოჩენა არ გაეკეთებინათ; მაგალითად, ხონთქრის წინაპრთა შორის ასახელებდნენ ალა მაჰმად ხანს, ნაპოლეონს, თემურლენგს, რომის ერთ-ერთ პაპს და მრავალ სხვას. ხონთქრის ზურგს უკან ქირქილებდნენ, რომ ყველა ეს აღმოჩენა ბატონ პრეზიდენტის წაქეზებით მისი პირადი მდივნის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ასე იყო თუ არა, ერთი რამ უცილობელია: ბატონი პრეზიდენტი დიდი რუდუნებით ამოჭრიდა ხოლმე ჟურნალ-გაზეთებიდან ამგვარ წერილებს და პირადად აკრავდა საგანგებოდ ცნობილი ოსტატის მიერ მხატვრულად გაკეთებულ იაგუარის ტყავისყდიან დიდ ალბომში – უკვე რამდენიმე ასეთი წიგნი იყო შეგესებული. იმასაც დავძენ, რომ ბატონმა პრეზიდენტმა დაავალა რამდენიმე მეტად ცნობილ ისტორიკოსსა და მწერალს, კარის მემეტრიანეთ, ჩანჩურ-პანჩურას ბიოგრაფიის დაწერა. რამდენჯერმე ჩატარდა გაფართოებული სამეცნიერო სესიაც ამ თემაზე, რითაც პანჩურ-ჩანჩურამ დიდად ისიამოვნა – კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი! ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ყველა საკუთარ ვერსიას ამტკიცებდა დაბეჯითებით და ოპონენტებს ცრუპენტლებს, ჯამილოკია გამყალბებლებს, უპრინციპო მამებლებსა და სინდისგარეცხილ თაღლითებს უწოდებდა.

ბატონი პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა მერე ამითაც არ დაკმაყოფილდა და მისი პატრონაჟით დიდი საერთაშორისო კონფერენციაც გაიმართა; ბრძენთა ბრძენის გენეალოგიის კვლევამ მრავალრიცხოვან მეცნიერთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია – ერთკვირიან ყოველდღიურ დისკუსტებს ძველი ტრადიციების თანახმად თან ახლდა გაშლილი სუფრა, რომელსაც უძვირფასესი კერძების გარდა (საგანგებოდ მოიწვიეს უცხოეთიდან ფრანგი, იტალიელი, მექსიკელი, ინდოელი და ჩინელი მზარეულები – ყოველგვარი გემოვნება გაითვალისწინეს!), ამშვენებდა საკოლექციო ღვინოები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აუქციონებზე შეძენილი... შედეგმაც არ დააყოვნა: დიდას დაწვეული ყოველი სხდომა სადამოს გრანდიოზული ჩხუბით მთავრდებოდა – ხონთქრის გულის გასახარად! დიახ, თვით ხონთქარი ფრიად კმაყოფილი იფშენებდა ხელებს – “მიდით, ბიჭებო!” – დიდი სიამოვნებით უყურებდა მეცნიერთა ხელჩართულ ბრძოლას – აყალმაყალი და თავ-პირის ლეწვა მისთვის ციური მანანა იყო, უიმისოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა და თუნდაც ეგინებინათ და აუგი ეთქვათ მასზე და მისი წინაპრები ლაფში ამოეთხვარათ, არაფრად აგდებდა – ოღონდ სენსაცია აგორებულყოფო და მის სახელს საერთაშორისო სკანდალის რეზონანსი გამოეწვია! განსაკუთრებით აღაფრთოვანა ხონთქარი ერთ-ერთი მკვლევარის მიერ აღმოჩენილმა მითმა თუ ფაქტმა: მეფის წინაპარი თურმე გახლდათ აწ გადაშენებული ხალხის ხირიარტელთა წმინდა მეფის ანადახტუს შთამომავალი! ეს ანადახტუ, ხირიარტელთა წეს-ჩვეულების თანახმად, 60 წლის ასაკის მიღწევისას, როგორც უშვილიძირი, მსხვერპლად უნდა შეეწირათ; ვიღაც მეძაგმა ქალმა წინა ღამეს რაღაც ხერხით შეადწვია თურმე მასთან და გადაარჩინა მისი ჯილაგი გადაშენებას... ამ ეპოქალურ აღმოჩენასთან დაკავშირებით პანდურეთის პანჩურთამორტემის აკადემიის პრეზიდენტმა პანჩუ ჩანჩურიშვილმა სახეიმოდ განაცხადა: “ჩვენი ჩანჩურ-პანჩურა – მესია გახლავთ! მართლაც გამორჩეული ერი ვართ და გვეამაყება – ჩვენი ბრძენთა ბრძენი დგითური შვილია! მე ვნახე წინასწარმეტყველური სიზმარი: ის არის სიმბოლო წყალობისა და ის უნდა წარგვიძღვეს, მან უნდა გადაგვარჩინოს! ამიტომ თაყვანი ვცეთ მას! ყველამ ადგავლინოთ მისი სადიდებელ-სამადლობელი!”

პანდურეთის მეცნიერების ცის კაბადონზე მოულოდნელად აღმოებრწინდა ახალი კაშკაშა ვარსკვლავი – თანამედროვეთაგან მაშინვე გენიოსად აღიარებული სეფე სეფედავლაძე, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერულ დისციპლინას – პანურ-ჩანურმცოდნეობას, რომელიც მიძღვნილი იყო მძლეოთა მძლე, მზეთა მზე, ბრძენთა ბრძენი ხონთქრის განუმეორებელი პიროვნების ფენომენის შესწავლისადმი.

არ გასულა დიდი ხანი და პანდურელნი კიდევ ერთი საოცრების მოწმენი გახდნენ – მეორე გენიოსის, სავლე სავლედავლაძის უშურველი და მიზანსწრაფული მოღვაწეობის შედეგად დაარსდა ასევე სრულიად ახალი მეცნიერება – პანდუროლოგია, რომელიც შეისწავლიდა პანდურის ამორტყმის ხელოვნებას.

თუმცა კვლევის სფეროები ამ ორ ახალ მეცნიერებას შორის იმთავითვე გამიჯნული იყო, მოკლე ხანში წარმოიშვა და დიდად გაიფურჩქნა ქიშპობა დიდ სწავლულებს – სეფე სეფედავლაძესა და სავლე სავლედავლაძეს – შორის, ერთმანეთს დაერივნენ მათი მიმდევრებიც. ჩნები იმით დამთავრდა, რომ მომრიგებელ შუამავლად მათ მოვევლინათ თვით ხონთქარი: მაგარი შეხლა-შემოხლა გაჩაღდა და შეეშინდა, საბოლოოდ არ გაეწყვიტათ ერთმანეთი – მან, ბალანსირების, გაწონასწორების საკუთარი პოლიტიკიდან გამომდინარე, მართლზომიერად მიიჩნია, ორივე მხარის მხარდაჭერა.

მეცნიერების ორივე კორიფემ მჩქევარე მოღვაწეობა გააჩაღა. სეფემ თანმიმდევრულად ჯერ დააარსა პანურ-ჩანურას პიროვნების შესწავლის კაბინეტი, შემდეგ გარდაქმნა იგი სამეცნიერო ცენტრად, რომელსაც შემდგომ გაუჩნდა ფილიალები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში; პანურთქალაქის უნივერსიტეტში სეფემ ჩამოაყალიბა პანურ-ჩანურმცოდნეობის კათედრა, მერე – ფაკულტეტი; სეფეს სამაგალითო ძალისხმევა კი დაგვირგვინდა პანურ-ჩანურმცოდნეობის საერთაშორისო აკადემიის ჩამოყალიბებით! დამფუძნებელ სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ბატონი სეფე, ხოლო შემდგომ, სეფეს წინადადებით, საპატიო პრეზიდენტის წოდება ერთსულოვნად მიანიჭეს ბატონ ხონთქარს!

ბატონ სავლეს მიერ ჩამოყალიბებულმა პანდუროლოგიამ განვითარების მსგავსი გზა გაიარა: დაიწყო პანდურის მეცნიერულად დასაბუთებული ამორტყმის 24 ხერხის კათედრისა და სავარჯიშო ცენტრის დაფუძნებით და დაგვირგვინდა პანდუროლოგიის საერთაშორისო აკადემიის შექმნით, რომლის პრეზიდენტის ვინაობის გამოცნობა თქვენ არ გაგიჭირდებათ, ისევე, როგორც საპატიო პრეზიდენტისა.

ამ ორი მეცნიერული აკადემიის მოღვაწეობაში განსხვავება ის გახლდათ, რომ თუ პანურ-ჩანურმცოდნეობა მეტწილად თეორიული საკითხების დამუშავებით იყო დაკავებული, პანდუროლოგია ამასთანავე პრაქტიკულ, გამოყენებით მხარესაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.

პანურ-ჩანურა I ბრძენთა ბრძენი ცხოველი ყურადღებით აკვირდებოდა პანურ-ჩანურმცოდნეობის საერთაშორისო აკადემიისა და პანდუროლოგიის საერთაშორისო აკადემიის ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას, დიდადაც მფარველობდა – მატერიალურ მხარდაჭერასა და მორალურ თანადგომას არ აკლებდა. აკადემიების ღვაწლით და რუდუნებით გაჩნდნენ პროფესიონალი პანურის ამომრტყმელები, ამოპანდურების ხელოვნებას ასწავლიდნენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, წვრთნიდნენ ხელჯოხიანებს... პანდურელთა სასახელოდ და საამაყოდ ამოპანდურება სპორტის ეროვნული სახეობა გახდა! გამოჩენილი მეპანდურენი ხალხის გამორჩეულ სიყვარულსა და საყოველთაო პატივისცემას იმკიდნენ, მათ ეროვნულ გმირებად მიიჩნევდნენ და საზოგადოებრიობის თვალში ვაზირთა შემდეგ ყველაზე სახელოვანი და საპატიო პიროვნებები იყვნენ! ვაზირად კი არა, უბრალო მოხელედაც არავინ დაგნიშნავდა, თუ მოპანდურეთა რომელიმე კლუბის წევრი არ იყავი და თანრიგი არ გქონდა მოპოვებული ამოპანდურებაში!

კლუბები გაერთიანებულნი იყვნენ სრულიად პანდურეთის პანდურის ამომრტყმელთა კავშირში, დაყოფილნი იყვნენ ოსტატობის მიხედვით და მონაწილეობდნენ პანდურეთის I, II და III ლიგის შეჯიბრებებში. იყო წარმატებული მცდელობა საზღვარგარეთაც გაეტანათ ეს საყურებლად დიდად მიზიდველი სპორტის სახეობა და რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრიც ჩატარდა.

მჩქევარედ მიედინებოდა, დუღდა და გადმოღუღდა მეცნიერული მოღვაწეობაც. ორი აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, ბრძენთა ბრძენის, სურვილითა და უმაღლესი ნებით ჩატარდა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი პანურ-ჩანურმცოდნეობისა და პანდუროლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი, რომელსაც ასევე დაესწრნენ მოწვეული სტუმრები – გამოჩენილი უცხოელი მეკვლევარნი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. პანურ-ჩანურა დიდად კმაყოფილი გახლდათ – გრანდიოზული ცემა-ტყეპა გაიმართა! სესიაზე წაკითხული მოხსენებები მაშინვე გამოიცა დასურათხატებული კრებულის სახით ათ ტომად, თვალსაჩინოების სახით მათ ჰქონდათ დართული მდიდრული ფერადი ილუსტრაციები, რომლებიც ასახავდნენ სესიის მიმდინარეობისას წარმოშობილი უთანხმოებების დროს გამოყენებული ილეთების მდიდრულ არსენალს.

სამეცნიერო სესიის მაღალ დონეზე ჩატარების შემდგომ თვით ხონთქარმა პირადად ჩაატარა დიდი შეჯიბრება პანდურის ამორტყმის ხელოვნებაში პანურ-ჩანურას დიდ პრიზზე დევნილი: “პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი!” ათ წონით კატეგორიაში გამარჯვებულებს ხონთქრის უუმაღლესი ბრძანებულებით მიენიჭათ პანდურის ამორტყმის ოსტატის წოდება და გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებულს კი – დიდოსტატის წოდება,

აგრეთვე პრეზიდენტის პირადი მეპანდურის საპატიო წოდება და დაჯილდოვდა “ჭვინტიანი ოქროს ქოშით”; რა თქმა უნდა, ყოველ გამარჯვებულს დაჯილდოების შემდეგ ერგო აგრეთვე ყველაზე დიდი ჯილდო – პირადად ხონთქრის პანდური! ასევე ყველა მონაწილეს საზეიმო ვითარებაში გადასცეს საკმაო რაოდენობის უმაღლესი ხარისხის ბამბა და მანგანუმის ზეჟანგის სუსტი ხსნარი დალილაგებულები საჯდომებისა და დაჟეჟილი ფეხის თითების დასაამებლად. სხვათა შორის, ბამბა ჩადებული იყო უმაღლესი მხატვრული ოსტატობით შემკულ უნიკალურ ფაიფურის კოლოფში ჭვინტიანი ქოშის ფორმისა, ხოლო ხსნარი ესხა ასეთსავე ბროლის ფლაკონში – მათი ესკიზების საგანგებოდ შესრულებას ჩანჩურ-პანჩურას კარის მხატვარმა ზელიმხან წირპლაშვილმა რამდენიმე თვე მოანდომა! ის იყო ავტორ-შემსრულებელიც ჭიტლაყის ორდენის ესკიზისაც. ეს ორდენი I, II, და III ხარისხისა გახლდათ და გადაეცემოდა სამეცნიერო ნაშრომების ავტორებს, შესრულებულს პანჩურ-ჩანჩურმცოდნეობასა და პანდუროლოგიაში. ორდენზე გამოსახული იყო საჯდომი და მოქნული ფეხი; ჩემი შეხედულებით, ცოტა უხეში ნახატი გამოვიდა, სამაგიეროდ, უაღრესად ექსპრესიული! შეხედავდი და იმ წამსვე სურვილი გიჩნდებოდა, ღირსეულად დაგემსახურებინა ეს მაღალი ჯილდო – ფეხის წვერი ავექავებოდა და იწვებდი წაკუზული პიროვნების ძებნას ამოპანდურების მიზნით.

ჭიტლაყის I ხარისხის ორდენის ერთადერთი კავალერი გახდა პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი, II ხარისხის ორდენიც მხოლოდ ერთ კაცს ერგო – განუმეორებელ ჯმუნა ხელჯოხაძეს! ეკუთვნოდა კიდევ – სეფე სეფედავლაძისა და სავლე სავლედავლაძის მეცნიერულ დაგასა და ცემა-ტყეპას ჯმუნამ მოუღო ბოლო – პირდაპირ კონკურენტებად მიიჩნია: “ეგ ვირეშმაკები – ვაიმეცნიერები, ვაისწავლელები!” – სულ პანჩურის ცემით გამოაპანდურა ისინი აკადემიებიდან და ამ მაღალ დაწესებულებებში თვით პანჩურ-ჩანჩურა აარჩევინა პრეზიდენტად. რაც შეეხება ჭიტლაყის III ხარისხის ორდენს, ის მიანიჭეს გამოჩენილ მეცნიერებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ შემდეგ დისციპლინებში:

1. “პანჩურ-ჩანჩურმცოდნეობა პერსონოლოგიის თვალსაზრისით”;
2. “პანჩურ-ჩანჩურმცოდნეობის აქტუალური საკითხები”;
3. “პანდუროლოგიის ისტორია”;
4. “პანდუროლოგიის თეორიული საფუძვლები”;
5. “პრაქტიკული ანუ გამოყენებითი პანდუროლოგია (სპეციალიზაცია კერძო დისციპლინების მიხედვით: ქუჩის ჩხუბი, სამეცნიერო დისპუტები, საოჯახო დავა, სპორტული შეჯიბრებები, ცირკი, საპარლამენტო დისკუსიები, სასამართლო საქმეთა გარჩევა, სხვა და სხვა)”...

გაუმარჯოს პანჩურ-ჩანჩურმცოდნეობას!

პანდუროლოგიამ რაღა დააშავა – იმასაც გაუმარჯოს!

და, რასაკვირველია, უპირველესად გაუმარჯოს ჩანჩურ-პანჩურა I ბრძენთა ბრძენს!..

აბა ერთხმად: გა-უ-მარ-ჯოს!.. გა-უ-მარ-ჯოს!..

ჯან!..

კარი III. პანდურეთში კრიზისის აჩრდილი დაბორილობა...

ადრეც მოგახსენეთ – პანდურეთი დღესასწაულების ქვეყანაა!

იმის დათვლაც კი ჭირს, ზუსტად რამდენი ზეიმი ტარდება იქ წელიწადს. პანდურელნი დიდად ამაყობენ ზეიმთა ამ სიუხვით, დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს გამართული დღესასწაულების რაოდენობით. როგორც კვიმატი ენის პატრონები ამბობენ, პანდურეთის კალენდარი ყაყაჩოებიან მდელს ჰგავს, იმდენად გადაწითლებულია საზეიმო დღეებით; ყოველ წელს კი ახალ-ახალი დღესასწაულები ემატება და ალბათ შორს აღარ არის ის ბედნიერი დროც, როცა კალენდარი მთლიანად დაემსგავსება ხონთქრის პორფირის მოსასხამს და სამუშაო დღე საერთოდ აღარ დარჩება... თუმცა, მართალი მოგახსენოთ, პანდურელთა უმეტესობა უმუშევარია და ისედაც ისვენებს სამუშაო დღეებში, რის გამოც დიდად ემადლიერება ხონთქრის ასეთ წყალობას...

პანდურეთის პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიამ და ვაზირთა დარბაზმა ხონთქრის მოწყალე დაგალებით საგანგებო კომისიაც შექმნა საზეიმო დღეთა გამოსათვლელად, რათა ამ დიდებული და გამორჩეული ქვეყნის “გინესის მსოფლიო რეკორდთა წიგნში” შესატანად განაცხადი გაეკეთებინათ! კომისიას სათავეში ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირი ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი ჩაუდგა, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით გაჭიანურდა: კომისიის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი – ცამეტი წევრისგან ცამეტივეს საკუთარი, ღრმად დასაბუთებული შეხედულება ჰქონდა, ცამეტი სხდომა ჩატარდა, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა, ბოლოში მომისხენებია, შედეგი როგორ არ ჰქონდა: მეცამეტე სხდომაზე მეცნიერული პაექრობა ბუნებრივად გადაიზარდა ხელჩართულ მუშტი-კრივში, რის შედეგადაც ცამეტივე საავადმყოფოში იქნა მოთავსებული (მიხვდით ალბათ – სულ სხვადასხვა პალატებში), ხოლო შემდგომ ერთი, – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, – სამწუხაროდ, ამქვეყნად ვერცერთ მომავალ სხდომას და, ცხა-

დია, ზეიმ-დღესასწაულსაც, ვეღარ დაესწრება – იმ ქვეყნად უფრო საინტერესო და მიმზიდველი მეცნიერული კამათი თუ ეგულებოდა...

იმ სხდომის თავმჯდომარეს, ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირს, ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშვანდურაშვილს, თავიდანვე გული ცუდს უგრძობდა! თუმცა, მერე უარესი დაემართა: როცა ამგვარი თავგამებებული, ფრიად ეშხიანი შერკინების შესახებ ბატონმა ხონთქარმა შეიტყო, მისვე საავადმყოფოდან დაიბარა ალიბაბლი; ჯერ მამაშვილურად დატუქსა – ასეთ წარმტაც სანახაობას რად არ დამასწარიო, შემდგომ კი ჩადენილი ცოდვის შესაბამისი წამალიც გამოუწერა – ისეთი მაღლიან-ბარაქიანი ჭიტლაყი უთავაზა, რომ... ჰა-ჰა! – უკეთესს რას ნახავდა კაცის თვალი!

ზუსტად ორშაბათი დღე იყო, სხვა მხრივაც ფრიად დატვირთული ხონთქრისთვის. ჯერ რადიო-ტელევიზიაში მისი დილის ტრადიციული ლაყობა შედგა, სადაც მან წაიკითხა გამოსვლებისა და სიტყვების შედგენის სამმართველოს მიერ წინასწარ საგულდაგულოდ დამუშავებული ტექსტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო განვლილი კვირის განმავლობაში პანდურეთის მიერ მიღწეული მორიგი არაჩვეულებრივი მიღწევები ცხოვრების ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი ყურადღება გამახვილებული იქნა ორ ეპოქალურ წარმატებაზე: პირველი – კატარსა და იემენში პანდურეთის ლიდერის, პრეზიდენტ ჩანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის დიდად ნაყოფიერი ოფიციალური ვიზიტის შესახებ, სადაც მან დადო უპრეცედენტოდ მომგებიანი ხელშეკრულებები პანდურეთიდან ჰუმუსიანი ნიადაგის ექსპორტის შესახებ საღეჭი კევისა და ახალი კრედიტების სანაცვლოდ. დიას, ნიადაგი და დარჩა გაუსაღებელი პანდურეთში, სხვა ყველაფერი პირწმინდად გაყიდულ-გაჩუქებული იყო ჩალის ფასად; ტყეები გაჩეხილი და მორებად გატანილი, ფაბრიკა-ქარხნების დაზღვა-მოწყობილობა დემონტირებული და ჯართად გასაღებული, ხოლო შენობები – დანგრეული და საშენ მასალად გაყიდული; ბავშვებისა და ახალგაზრდა ქალბატონების გაყიდვას საერთაშორისო კანონმდებლობა სასტიკად სდევნიდა, მაგრამ ამ საქმიანობაშიც იმდენად იმარჯვეს, რომ ქვეყანაში თითქმის მხოლოდ ხანშიშესული პანდურელი დარჩნენ, ხოლო ვინც ახალგაზრდა შემორჩა სასწაულებრივად, იმათ, დისტროფიისა და ფსიქიკური პრობლემების გამო, სასაქონლო თვისებები დაკარგული ჰქონდათ და აქედან გამომდინარე – ღირებულებაც...

ერთადერთი, რაც ბლომად მოიძვებოდა პანდურეთში, ურიცხვი ზეიმები და დღესასწაულები იყო, ასევე ვარდისფერი დაპირებებიც; ახლა დრო დადგა, ზეიმთა სარფიანად გამოყენებაზეც ეფიქრათ. ამ ზეიმების დიდი უმრავლესობა უკვე კარგა ხნის ჩატარებით გაფერმკრთალდა, პეწი დაჰკარგა, მორალურად გაიცვითა და საჭირო გახდა ნორჩი სისხლის გადასხმა მობეზრებულ დღესასწაულთა მომჩარულ სხეულში – ახალი დღესასწაულების მოწყობა!

დღეს ხონთქრის თავგაცობით სწორედ ერთი ახალი ზეიმის ღირსეულად ჩატარებისადმი მიძღვნილი დარბაზი უნდა შეკრებილიყო. ეს მომავალი დღესასწაული სრულიად უჩვეულო, განსაკუთრებული იქნებოდა – რამდენიმე თვეში სრულდებოდა პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის პანდურეთთა შორის პირველკაცობის ანუ გაპრეზიდენტების 30 წლისთავი! და, ბუნებრივია, ხონთქარს სურდა, მთელი მსოფლიო განეცვიფრებინა ამ ძვირფასი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ჯერ არნახული საერთო-სახალხო დღესასწაულის ზღაპრული ბრწყინვალეებითა და დიდებულებით! ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ბედნიერად დაემთხვა პანდურეთის სახელმწიფოებრიობის არსებობის 2500 წლისთავი – ბრძენთა ბრძენის პირადი ასტროლოგის ცავრია ცუგრიაშვილის მიერ აღქმული და განმარტებული, როგორც ღვთის ნება, კოსმოსურ ძალთა მიერ განპირობებული დიადი წყალობა!

პანდურეთში ყველაფერი წინდაწინ, საგულდაგულოდ, დიდი რუდუნებით შედგენილი, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის მიხედვით კეთდება, ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, ხონთქარმა სასახლეში მოიწვია დარბაზის შეკრება დიდის წესითა ანუ გაფართოებული სხდომა, რომელსაც, ნაზირ-ვაზირთა გარდა, ესწრებოდნენ აგრეთვე სხვა დიდად პატივცემულნი გვამნი.

როცა დილის 11 საათის შესრულების აღსანიშნავად უზარმაზარი კედლის საათის სარკმელი გიღო და იქიდან გამომხტარმა ჩიტმა ფრთები მკვირცხლად ააფართქალა და თერთმეტჯერ წაიმღერა (ნეტა როგორ არ დაიდალა ან არ მობეზრდა?): “დიდება და დღევრძელობა ბრძენთა ბრძენს!”, სეფედარბაზში შეკრებილი დარბაზის მონაწილენი ერთსულოვნად ფეხზე წამოხტნენ (გარდა ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირისა, რომელიც ისედაც ფეხზე იდგა – მხოლოდ ერთი დღე იყო გასული, რაც მან მეუფისგან სრულიად დამსახურებული ამოპანდურება მიიღო ჯილდოდ და კიდევ რამდენიმე დღეს სკამისკენ გახედვაც კი არ ესიამოვნება – ახია, აწი მაინც ისწავლის ჭკუას!) და პლაცზე საპარადოდ ჩამწკრივებული გვარდიელებით საზეიმოდ გაიჭიმნენ.

სეფედარბაზის ორფრთიანი, ლომის წყვილი ნაჭედი ფიგურით შემკული, მძიმე კარები ნელ-ნელა გაიღო და შემოანათა მათმა უდიდებულესობამ, პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა და ირგვლივ გამეფდა ნათელი – თვით წითელ ხალიჩაზე დიდებულად მოგოგმანე ხონთქარს შარავანდი დაადგა გვირგვინად!

სეფედარბაზი კიდევ უფრო გაჩახჩახდა!

პანჩურ-ჩანჩურამ გაიარა მეწამული გრძელი ხალიჩა, ძვირფას ოქროჯედილ, მბრწყინავი ქვებით მოოჭვილ სპილოს ძვლის ტახტთან გაჩერდა და მის ხასხასა წითელ, მაღალჭვინტებიან ჩექმებს, თავდახრილნი, მოწიწებით მიჩერდნენ იქ მყოფნი, გარდა პირადი მდივნის ჭუკია ჭუკაჭუკა-

ლაშვილისა და პირადი დაცვის უფროსის დემირხან დევიაშვილისა, რომლებიც აქეთ-იქიდან, ოდნავ უკან, ამოუდგნენ მეუფეს.

ღიახ, ნაზირ-ვაზირნი თვალს ვერ აშორებდნენ ხონთქრის ფეხსაცმლის ზევით ამაყად აპრეხილ ჭვინტებს.

ბატონი პრეზიდენტმა ინება ტახტზე დაბრძანება.

ბატონ პრეზიდენტს პირადმა მდივანმა ჭუკია ჭუპჭუკელაშვილმა მოწიწებით მიაართვა ნაწერი – ვარდის წყლით პკურებული ვარდისფერი ქაღალდის ფურცელი – და იმანაც მოწყალებდ განახუნა ბაგენი თვისი:

– ჩემო ერთგულო და...

უცებ ბატონ პრეზიდენტს ხმა ჩაუწყდა და ფეხზე ფიცხლად წამოხტა, ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ...

დიდად მეუხერხულება ამის თქმა, მაგრამ მოუსყიდველი მემბტიანის დანიშნულებას ვერ ვუღალატებ და მოგახსენებთ: ბატონ პრეზიდენტს სეფესიტყვა შეაწყვეტინა ცერემონიულით გაუთვალისწინებელმა ერთმა სურნელოვანმა წვეთმა, რომელიც – წკაპ! – სრულიად მოულოდნელად დაეწვეთა ცხვირსა ზედა მისი უდიდებულესობისა!

აფარფლდა ზევით-ზევით – სეფედარბაზის მაღალი ჭერისკენ, სადაც ბრძენთა ბრძენის ნათელმოსილი სახე იყო გამოსატყული კარის მხატვრის ზელიმხან წირპლაშვილის უკვდავი ფუნჯით, – მტრედი მთლად თოვლივით თეთრი, ბრძენთა ბრძენის დამაჯილდოებელი, – საიდან და როგორ მოხვდა აქ, ღმერთმა უწყის!

სხვა მხრივ სეფედარბაზში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა, ნაზირ-ვაზირნი გაქვავებული სახეებით იდგნენ, მხოლოდ კედლებზე ჩამწკრივებული პორტრეტები უტიფრად და სრულიად მოურიდებლად იკრიჭებოდნენ, ფრიად გახალისებულნი, გარდა, ცხადია, თვით მეუფის სახისა.

– დალატია!.. სახელმწიფოს წინააღმდეგ ბინძური შეთქმულება!..

ბატონ პრეზიდენტს დაემანჭა მშვენიერი სახე იგი; ვარდისფერი ქაღალდით, რომელიც სწორედ რომ ფრიად დროულად აღმოჩნდა მის მარჯვენაში, მაშინვე მსწრაფლ მოიწმინდა უწმინდურება რამ იგი, – მდაბიურად რომა ვთქვათ, სკინტლი მომწვანო-მონაცრისფრო, – მისი უდიდებულესობის ცხვირთაგან; შემდგომ ამისა სეფესიტყვიანი ქაღალდი ზიზლით მოჭმუჭნა და მოისროლა გვერდზე.

აჩოჩქოლდა სეფედარბაზი – რისი მაცნე იყო მტრედი იგი სპეტაკი? სულ არ სდიოდა ზეთისხილის სურნელი მის ნამოღვაწარსა – მომაგალი შფოთის მომასწავებელი ხომ არ გახლდათ?

პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსმა და იმავედროულად უშიშროების ვაზირმა დემირხან დევიაშვილმა დაუყონებლივ დაიწყო მომხდარის მიზეზების გამოძიება; მაშინვე უხმეს პირად ასტროლოგსაც ბატონ პრეზიდენტისა, განსამარტავადა ამა საქმისა სასწრაფოდა, მით უმეტეს, პანჩურ-ჩანჩურა სეფესიტყვას ვეღარ აგრძელებდა ჯერჯერობითა – წაბილწულ იმა ქაღალდზე რაც კი ეწერა, წაკითხვა აღარ ეწერა, ხოლო ზეპირად წარმოთქმას საკუთარი ძვირფასი აზრებისა ხონთქარი გაუბოდა: ვაითუ დაუფიქრებელი რამ სიტყვა გაჰპარგოდა ანაზღეულადა, მოულოდნელადა, თვისი ღრმად დამარხული ვნებანი და ჭეშმარიტი ზრახვანი უნებურად გამოეაშკარავე ბინა და ამით ზიანი მისდგომოდა ფრიადი სრულიად პანდურეთის უსაფრთხოებასა...

ასტროლოგი იგი – დიდად განსწავლული დღენიდავ ბრძნულ წიგნებში ჭერეტითა, რასაც ადასტურებდა ღრმად დაფიქრებული სახე, სხივთა სარკესავით ამრეკლავი მელოტი თავი და სათვალის იქიდან მომზირალი წვრილი, მოჭუტული თვალები – მისნობის დოქტორი ცაგრია ცუგრიაშვილი მალე მოცუნცულდა, მდაბლად დაუკრა თავი მეუფესა ფრიადი მოწიწებითა; კუდი, სამწუხაროდ, არ ჰქონდა, თორემ იმასაც სიამოვნებით გააქიცინებდა; შემდგომ იდლიიდან გამოიღო წითელყდიანი დავთარი რამ დიდი, მოიხსნა ერთი სათვალე, გაიკეთა მეორე – მთლად უკეთესი და რიხიანად დაიწყო:

– თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო სასოებავ და დიდო იმედო, პატივცემულო ბატონებო! დღეს ორშაბათი გახლავთ, თარსი დღე; როგორც მას სჩვევია, მეტ-ნაკლებად გაგვიფუჭებს განწყობილებას, მაგრამ აშკარად იკვეთება ახალი კეთილი პერსპექტივებიც... არ უნდა დავწვირდმანდეთ და მოვლენათა მართვის სადავეები ხელიდან არ უნდა გავუშვათ! ამას გვეუბნება დღევანდელი ჰოროსკოპი! დღეს თავი უნდა შევიკავოთ რაიმეს შექმნისგან, აგრეთვე თავგადასავლებისგან, სარისკო წამოწყებისგან... წარმოიშობა მწვავე პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა, შესაძლოა, დიდი მოვლენის მომსწრე გახვდეთ, რასაც ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა შეგხვდეთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას და სულიერი წონასწორობის დაცვას... ამიტომ ადრინად დაწეით მოსასვენებლად და დასაძინებლად და შეეცადეთ, ლამაზი სიზმრები ნახოთ დასამშვიდებლად...

ჯმუხა ხელჯოხიანთა მომლოდინე თვალებით შეხედა ბატონ პრეზიდენტს, იმან ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა და ხელჯოხიანთა ვაზირმა მაშინვე დაიგრგვინა:

– რაებს მიჰქარავ აქა, რას ბოდავ, რას მიედ-მოედები! ამ მოვლენათა შესახებ რას გვეტყვი კონკრეტულად?... არაფერს?... შენდა სამწუხაროდ, ღიახაც გაგიფუჭებ განწყობილებას და დაწვივრილმანდები კიდევ: ჩააყუდეთ ეს უმაქნისი მოლაქლაქე ვარსკვლავთმრიცხველი ყველაზე ღრმა ხაროში –

იქიდან ვარსკვლავებს უკეთ დააკვირდება!

– აგაშენა ღმერთმა! – იყვირა რიჩარდ მესამის პორტრეტმა და ლამის კედლიდან ოთახში გადმოვიდა.

– მოგიზიგოე კოცონზე შებრაწეთ! – აჰყვა ლოიოლას პორტრეტი, ხელებს ფეთიანივით იქნედა.

– არა, მოიცათ! – თავის მხრივ უყვირა ბატონმა პრეზიდენტმა ვარსკვლავთმრიცხველთან მივარდნილ ხელჯოხიანებს. – ფანჯარა გაადეთ და დამნაშავე აქ მომგვარეთ!

როცა მისი უშუაღვლესი ბრძანება აღსრულებულ იქნა, ჩანჩურ-პანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა ინება ტახტიდან წამოდგომა და ჩვეული ოსტატობით ამოჰკრა თავისი წითელი ჩექმის მაღალი ჭვინტი საჯდომსა მისსა მისნისა ბედნიერისა (ასრულდა მისი წინასწარმეტყველება – ორშაბათი თარსი დღე გამოდგა!) და გაფრინდა იგი ლაღადა და ბედნიერადა – გაღებულ ფანჯარაში გაძვრა კონტად და ლამაზადა.

სეფედარბაზში დამსწრენი გაღიმებასაც ვერ ბედავდნენ, მხოლოდ კედელზე ჩამწკრივებული ყველა პორტრეტი ერთსულოვნად ახარხარდა, გარდა ნერონისა, რომელიც რატომღაც მოიღუშა და წაიბურტყუნა:

– ჯობდა, საწამლაგი მიგეცათ!

– ესეც ასე! – კმაყოფილებით მოიფშენიდა ხელები ხონთქარმა და ტახტზე დაბრძანდა. – შემდეგი?

იქ მყოფთ ფერფური წაუვიდათ (კედლებზე პორტრეტებმა შეწყვიტეს სიცილი და, შეშინებულა, თვალები დააჭყიტეს, გარდა, რა თქმა უნდა, ხონთქარისა, რომელმაც, განხარებულმა, კბილები დაკრიჭა) – ვინ იქნება ის ბედნიერი, ვისაც პატივი ერგება, მეუფის ჭვინტის წყალბა და იმსახუროს?

– შემდეგი საკითხი! – კეთილად გაიღიმა ჩანჩურ-პანჩურამ და წვრილი კბილები გამოაჩინა. – ახალ დიდ დღესასწაულზე უნდა გვესაუბრა, ასე არ არის?

– ჭეშმარიტებას დადადებთ, ჩვენო პრეზიდენტო! – მოიხარა წელში შენდაუკარ-ტაშვანდურაშიგილი; კიდევ კარგი, ძალიან ახლოს არ იდგა ბრძენთა ბრძენთან, თორემ ბატონი პრეზიდენტი მოხრილი ადამიანის დანახვისას ცდუნებას ნამდვილად ვერ გაუძლებდა და აუცილებლად ამოაპანდურებდა! – თქვენი მეუფების ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაულის ყოველი მსხვილმან-წვრილმანი ზუსტად გაანგარიშებულ-გათვლილია, მხოლოდ თქვენი დასტურია საჭირო გემის სისრულეში მოსაყვანად. ჯერ არნახული, გრანდიოზული, გასაყეყეპელი, მსოფლიო რეზონანსის მქონე დღესასწაული უნდა ჩავატაროთ!

– მერედა, თუკი მზად ყოფილა ყველაფერი, რატომ მომაცდინეთ სახელმწიფო საქმეებს? საქმეს მიხედეთ! – ხონთქარმა იქ მყოფთ გადახედა და რატომღაც ჩვეული აღფრთოვანება ვერ დაინახა მათ სახეებზე. – რა მოხდა, რაიმე გაბრკოლებთ?

– მოწყალეო მბრძანებელო! ხაზინაში მხოლოდდა ცამეტი თეთრია დარჩენილი! – ამოიკნაგლა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ.

ბოკასამ კედლის პორტრეტზე მსუქან ტუჩებზე მსუნაგად მოისვა ენა და ნერწყვი გადაყლაპა: “შენ საყოველთაო გადატაკება საბედნიეროდ არაფრით დაგეტყო, ჩემო მშვენიერო, შემოდგომის მწყერივით ჩააუტკუნებულხარ!.. ეჰ, ერთი შენი თავი მომცა, რა დიდებულ სუკის მწვადებს მივრთმევდი!”

– რაო?! – ბატონმა პრეზიდენტმა თვალებიდან სულ ნაპერწკლები ჰყარა და პირიდან ნაკვერჩხლები გადმოსცვივდა.

ასევე, ყვარყვარესაც პორტრეტზე კინაღამ გადმოუცვივდა, ოღონდ თვალები – შიშისგან; სეფედარბაზის ჭერმა და იატაკმა ოხვრა-ჭრიალით ჩაბუქნეს და ამობუქნეს, ჩაბუქნეს და ამობუქნეს, ჩაბუქნეს და ამობუქნეს – ვაჰ-ვუჰ ვაჰ-ვუჰ!.. ვაჰ-ვუჰ!.. ნაზირ-ვაზირ-დიდებულთა გულებმა კი იწყეს სიამით ფრიალი და ხტუნვა-ტრიალი: ვის უთავაზებს მეუფე მორიგ პანდურს? აგერ საკაცეებიც შემოარბენინეს – რამდენიმე ვერ გაუძლო საკუთარი თავის ამოპანდურების შესაძლო ბედნიერებას, მოჭარბებული საზეიმო მღელვარებისგან ჩაიკეცა და ისინი ციმციმ გაიტანეს-გააცუნცულეს...

ჩანჩურ-პანჩურა კი განაგრძობდა ღრიალს:

– 150 ქვეყნის პრეზიდენტი და მეფე დავპატივე და ახლა რომ შევრცხვეთ, დაგაყრვენივთ ყველას თავებს! სულ ცოტა, კიდევ ასზე მეტი უცხოური ორდენით დაჯილდოება მელოდა, უკვე შეკერილ ახალ საზეიმო ქულაჯაზე მათთვის დასამაგრებელი ადგილებიც განსაზღვრულია და შესაბამისად გახვეტილიც; თქვენი საყვარელი პრეზიდენტი ორდენ-ჯილდოთა რაოდენობით “გინესის მსოფლიო რეკორდთა წიგნში” უნდა შესულიყო – ვინ ამინაზღაურებს ამ დანაკარგს? მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი ქვეყნის სახელი და ღირსება შეილახება, მე ამას არ შევურიგდები, არ დაუშვებ!

– ჩვენი დიდო საჭეთმპყრობელო, ფული სად უნდა ვიშოვოთ? ქვეყანა გაძარცულია, პანდურეთში ყველაფერი შეჭმული და განიაგებულია; რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა, უკლებლივ საზღვარგარეთ გაგზიდეთ... მოსაპარი აღარაფერი დარჩა, მადა კი უფრო და უფრო გვემატება, რა უნდა ვქნათ? მალე ხალხი აგვიჯანყდება... – შვებკადრა ბრძენთა ბრძენს ხრახრა ვირთხაძემ.

– აქამდე არ იცით, რა უნდა ვქნათ? გავჩეხოთ დარჩენილი ტყეები, ვენახები და ბაღები, გადავიდეთ მომთაბარე მეცხოველეობაზე – ხალხმა მიწის მოვლა აღარ იცის. მიწაც გავყიდოთ. პჰუმუსი, მიწის ზედა, ყველაზე ნაყოფიერი ფენა, მოვხსნათ და გემებით გავზიდოთ არაბეთის ქვეყნებში. ჩვენი წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მხოლოდ მწვემსებად ივარგებენ – მომთაბარე მეცხოველეობა დიდად მომგებიანი იქნება, მისი უმაგალითო აღმავლობა გარანტირებული გვაქვს. ყველა ოჯახს შევაწერთ: ცალკე – ყველსა და კარაქს, ცალკე – ხორცსა და ტყავს; ყველაფერს საზღვარგარეთ გავყიდით – მთელ მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ძვირად ფასობს!

– რაღა გავჩეხოთ, მოწყალეო მეუფეო, – შეპასუხება ისევ გაბედა ხრახრა ვირთხაძემ, – თქვენი შორსმჭვრეტელობის წყალობით, მთელ ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე ხელა დარჩა, ისინიც თქვენს სასახლეს ამშვენებს...

– გააღეთ ფანჯარა! – ისევ იღრიალა ხონთქარმა (ყვარყვარემ შიშით თვალები დახუჭა) და ორიოდ წუთში ზუსტად გათვლილი გემრიელი ჭიტლაყით დაჯილდოებული მეჭურჭლეოვაზირი მერცხალივით გაფრინდა დასახული მიმართულებით, ხოლო კედლის პორტრეტებზე ხარხარით მხოლოდ ყვარყვარე არ გამოხმაურებია ამ დიდებულ მოვლენას – ჯერ შიში არ განელებოდა.

პრეზიდენტის პირადი მდივანი ჭუკია ჭუკუჭუკელაშვილი გამალებით აღნუსხავდა საგანგებო სქელ დაეთარში ბრძენთა ბრძენის მორიგ გმირობას; საერთო წესად დადგენილი იყო, რომ მონაგლისთვის შეენახათ ხონთქრის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა; შემდგომ, ადგილის დაზოგვის მიზნით, ამ მხრივ ჭუკიას ფასდაუდებელ მოღვაწეობას აღარ აღვნიშნავ, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

ჯან!

კარი IV. ცხვირი ჩამოგიშვია – გადაიხადე!..

სეფედარბაზში მძიმე სიჩუმემ დაისადგურა (პორტრეტებზე კი განაგრძობდნენ ხარხარს, მაგრამ მათი ხმა დარბაზში არ აღწევდა). ყველანი გაშეშებულინი, თვალებშიშტერებულინი იყვნენ პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის მოღიბარ სახეს – ის ჯერჯერობით ტახტზე არ ჯდებოდა. ეტყობა, მეუფეს ფეხი ისევ ექავებოდა – გაიარ-გამოიარა და იქ მყოფთა მზერაც დაჰყვებოდა მის წითელ ჩექმებს; სახეში შეხედვას ვით გაუბედავდნენ! და თავებიც ოდნავ მოძრაობდნენ მეუფის სვლის თანახმად.

– რა ვიდროთ? – იკითხა მეუფემ, თან ისევ წინ-უკან მიმოდიოდა. – ყველამ სამ-ოთხსართულიანი კერძო სასახლეები წამოჭიმეთ, კაზინო-სამორინეებში ათიათასებს ფანტავთ ერთ შესვლაზე, ქორწილ-დღეობებს ოკეანის ეზოტიკურ კუნძულებზე იხდით, საზღვარგარეთ იახტები და ვილები შეიძინეთ, ბანკებში მსხვილი ანგარიშები გახსენით და კიდევ მიმტკიცებთ, ფული არ გვაქვსო? მთლად პირწმინდად შეჭამეთ ხაზინა, სულ აღარაფერი დარჩა? სავაზიროებს, დეპარტამენტებს, კომიტეტებს, სამმართველოებს და სხვა მსხვილმან-წვრილმან უწყებებს თვლა არ აქვს, ათიათასობით უსაქმური მოხელე გეყავს სახელმწიფო სამსახურში და მუქთამჭამელებმა ახლა მაინც გაანძრიონ ტვინი – ან ფულის შოვნის გეგმა წარმოადგინეთ სასწრაფოდ ან თქვენ პირადად დაგაყაჭვინებთ!

– დიდო მეუფეო, ეგ ჩვენი პირადი ქონებაა, თქვენს ერთგულ სამსახურში ორიოდ გროში ვიშოვეთ და უდიდესი უმადურობა და უსამართლობა იქნება, თუ ძმრად ამოგადენთ ცხვირში... – შეჰკადრა ჯმუხა ხელჯონხაძემ.

– ჰი-ჰი-ჰი!.. – ჩაიქირქილა ხონთქარმა. – ხუმრობა რომ აღარ გესმით, მაშინ წახდა საქმე.

– ჩვენო დიდო მბრძანებელო, – კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ გაისმა სეფედარბაზში ჯმუხას ხმა, – მომრავლდნენ ყაჩაღები და გამომძალველები, ადამიანთა გამტაცებლები – მოფოტხოვოთ, ყველამ დროულად და სრულად მოგვცეს ჩვენი წილი! გარდა ამისა, ზოგი ბიზნესმენი, ფულის ტომარა ბანკირი თუ საქმოსანი მაყუთს ღუნავს, ჩვენ კი წილში არ გავყავართ, აქაოდა, გადასახადებს წესიერად ვიხდითო. ეგ თავხედები მოვიტაცოთ ხოლმე, ჩავაყუდოთ ხაროში და განთავისუფლებისთვის გამოსასყიდი გადავახდევინოთ. ბევრი ჩვენი თანამემამულე საზღვარგარეთ არის წასული, მაგარ ფულს შოულობს, ჩვენ კი არ გვიწილადებს... დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ცოტა ქონს ჩამოვათლით... როგორ? ძალიან უბრალოდ: აქ და, ძმა, მშობლები ხომ ჰყავთ? მოვიტაცოთ და ისინიც ხაროში ჩავაყუდოთ. სანამ გამოსასყიდს არ გადაიხდიან, იყვნენ იქ გამომწვედეულები თავგებივით... გარდა ამისა, ხომ იცით, არიან ფათერაკების მაძიებელი ადამიანები, რომლებიც დიდ სიამოვნებას ნახულობენ ხიფათის განცდით, ჰოდა, მოვაწყოთ მათთვის ტერორისტული აქტები ან გატაცება შორს, მთებში... ტურისტული რეკლამა მთელ მსოფლიოში: “განუმეორებელი, დაუვიწყარი მოგზაურობა პანდურეთში – განუკითხაობისა და ტერორიზმის, ადამიანთა გატაცებისა და ნარკომანიის საუფლოში!” ისინიც კმაყოფილნი იქნებიან და ჩვენც!.. მშვენიერი გეგმები ჰქონდა შემუშავებული მეჭურჭლეოვაზირ ხრახრა ვირთხაძესაც, მაგრამ არ დასცადა მათი წარმოდგენა...

– მოიყვანეთ! – ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა.

ხელჯოხსაძე მსწრაფლ დაიძრა, რათა პირადად ადესრულებინა ხონთქრის ბრძანება, მაგრამ ბრძენთა ბრძენი მოუთმენელი გახლდათ და ისევ იდრიალა:

– გააღეთ ფანჯარა! ჯმუხავ, მობრძანდი აქ! როგორც კი ხრახრას მონახავ, მაშინვე პანდური უთავაზე და ფანჯარაში შემოაფრინე, მე ამდენს ვერ მოვიცდი!.. გაიგე? კარგად გაიგე?.. შენი იმედი მაქვს, სანაქებო ამომპანდურებელი ბრძანდები!

– გავიგე, დიდი მბრძანებელი!

– მაშინ დაიხარე! – და ამოპანდურებული ჯმუხა ხელჯოხსაძე წამში ხრახრას გზას გაუყვა – ფანჯრის იქით აღმოჩნდა.

აღოღოჟ ჰიტლერმა და ნაპოლეონმა ტაში დასცხეს, სტალინმა კი კმაყოფილებით გადაისვა უღვაშზე ხელი.

კიდევ ცოტა ხანი გავიდა, პოდა, ფანჯარაში შემოფრინდა მეჭურჭლეთვაზირი ხრახრა ვირთხაძე და ხონთქრის წინაშე დაეძინევა მეწამულ ხალიჩაზედა – ბაყ!..

– მშვიდობა შენს მობრძანებასა! – თბილად გაუღიმა ხონთქარმა. – ხომ კეთილად იმგზავრე – იქითაც და აქეთაც?

– მადლობას გწირავთ, მეუფევე მწყალობელი!

– მადლობა მერე ბრძანე, თუ ცოცხალი გადაიმჩნი, ახლა კი მოგვახსენე, რა გეგმებიც გქონია ხაზინის შევსებისა!

– ჩვენო სასოებაჲ და იმედო, თქვენით გვიდგას სული! – დაიწყო ხრახრამ. – რამდენიმე ახალი პროექტი შევიმუშავეთ მსოფლიოს წამყვან ფინანსურ-საბანკო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. საყოველთაო კეთილდღეობის, სამართლიანობისა და ბედნიერების დღესასწაული მოვაწყოთ: ჩამოვატანინოთ გლეხებს სოფლური ნობათი პანდურეთის ყველა კუთხიდან, ფაბრიკა-ქარხნები გამოიტანენ ფასდაკლებით თავიანთ ნაწარმს, პოეტები წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს, გაიმართება კონცერტები ცეკვა-სიმღერითა და ბრძენთა ბრძენის მმართველობის ქება-დიდებით...

– შენ კარგადა ხარ, აი! – დაცინვით წარმოსთქვა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირმა ჩიჩი ფეტვიკენკაძემ. – მშვენიერი აზრია, ოღონდ შენვე არ თქვი ახლა, სადღაა სოფელიო; სახნავ-სათესი, ბაღჩა-ბაღები საძოვრებად ვაქციეთო; აღარც პოეტები გვყავს – ნაწილი შიმშილით გაწყდა, გადარჩენილნი თავიანთი ბიბლიოთეკიდან ჰყიდიან წიგნებს და მით შოულობენ პურის ფულს... მომღერალ-მოცეკვავეები კი ყველანი საზღვარგარეთ გაიხიზნენ, თავს უშველეს...

ამ სიტყვების წარმოთქმისთანვე ჩიჩი ფეტვიკენკაძე კინაღამ თვითონაც ხიზნად იქცა – მეუფემ მარჯვენა ჩექმის ჭვინტი აათამაშა, მაგრამ ამოპანდურება რატომღაც გადაიფიქრა.

ხრახრამ მოწიწებით შეხედა მბრწყინავ ჩექმას და ხმის კანკალით განაგრძო:

– საქვეწმედო განთქმულია თქვენი მომხიბლავი, მომაჯადოებელი ღიმილი, თქვენი ხუმრობა ხომ სწორუპოვარია! ამიტომ თქვენს გარდა ხუმრობას პანდურეთში ვერაფერს ბედავს, შესაბამისად – ღიმილსაც, სიცილზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! სიცილის საოცრად ფართო გამას ფლობთ: ექიდნური ღიმილი, ნეტრების ქირქილი, თვითკმაყოფილი ჩაცინება, გულიანი ხარხარი, ისტერიული გადაფრინება... გააჩნია, ვის ამოპანდურებთ! თქვენი მრავალფეროვანი სიცილი პანდურეთის ეროვნული სიმდიდრეა, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ! გამოვცეთ მდიდრულად დასურათხატებული წიგნის სახით თქვენი მოღიპარე ფოტოები, აგრეთვე თქვენი პირადი მდივნის ჭუკია ჭუკჭუკელაშვილის იშვიათი რუდუნებით შეკრებილი საუცხოო მარგალიტები – თქვენი ოხუნჯობები და ფრთიანი გამონათქვამები, ვთარგმნოთ მსოფლიოს ყველა ენაზე!.. გარწმუნებთ, მსოფლიო სიცილით მოკვდება! ხაზინის შევსებასაც ეშველება...

– ისევ პანდური მოგენატრა? – შესცინა ხონთქარმა. – მოკლედ მოგვახსენე!

– დიახ, თქვენო აღმატებულებაჲ! პანდურეთი ზეიმების ქვეყანაა და, ამის მიუხედავად, რატომღაც ყველა დაბღვერილი და სახემოჟამული დადის... მოვაწყოთ ხუმრობის დღესასწაული, მეუფისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ზეიმი, ხელის ჩამორთმევისა და ღიმილის დღესასწაული – სახელი თქვენ დაანათლეთ, როგორც ჩვენმა საყვარელმა მბრძანებელმა. იმავდროულად გავმართოთ პანდურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის სახელობის გრანდიოზული საერთაშორისო შეჯიბრი პანდურის ამორტყმაში – პანდურეთს მთელი მსოფლიოდან მოაწყდებიან ტურისტები! იქიდან ამოღებული სახსრებით კი შემდგომ დიდი, საიუბილეო ზეიმი გავმართოთ – თქვენი ზეობის 30 წლისთავი!

– კარგია ამდენი ახალი ზეიმი – ბლომად ამოსაპანდურებელი გამოჩნდება! – გაუხარდა ბრძენთა ბრძენს. – მანამდე როგორ შეგავსოთ ხაზინა?

– ბატონო პრეზიდენტო! ყოველ ფეხის ნაბიჯზე ფული დევს, ჩვენ კი ამას ვერ ვხედავთ, – განაგრძო ბრძენული აზრების მარგალიტთა ბნევა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ. – მუდმივ დევიზად უნდა გავიხადოთ: “გადაიხადეთ!” ყველაფერს ნიხრი დავადოთ: წყალს, ჰაერს, მიწას, ქონებას... საფლავს, მზის ამოსვლას, წვიმიან დღეს, კერძო საკუთრებაში მყოფ ყოველ ძაღლსა და კატას, იადონსა და თუთიყუშს... ძირმაგარა ამოუვა? გადაიხადოს! ცხვირს დააცემინებს – გადაიხადოს! დაამთქნარებს – გადაიხადოს! აირის გაშვებაზეც! თუ ჩუმიდ იმამაძაღლებს – ორმაგად!

- თან პანდურიც – პრემიად! – დაამატა გახარებულმა მეუფემ.
- ყოველ გაცინებაზე – გადაიხადოს! – განაგრძო მეჭურჭლეთვაზირმა. – ხუმრობის დღესასწაული მისწრება იქნება: თითო გაცინებაზე – გადაიხადე!
- მაგ ბოლოზე ტყვილად შევიწუხებთ თავს – ხალხი გადიმებასაც კი გადაეჩვივა...
- მაშინ – დადრეჯილობაზე! ცხვირი ჩამოგიშვია – გადაიხადე! ხალხსაც დავასაქმებთ, უამრავი ახლი გადასახადის ამკრეფი დაგეჭირდება!
- მერე, მე სად ვუცადო, ვინ სად და როდის ინებებს ძირმაგარის ამოსვლას?! – უკმაყოფილოა ბრძენთა ბრძენი. – გინებთაც აგვიკლებენ...
- მით უკეთესი – ყოველ გინებას დაგებერავთ! – გაუხარდა ხრახრა ვირთხაძეს. – გინებით აივსო ქვეყანა, დიდ-პატარა ბილწისტიყვანებს და იცოცხლე – ნიჩბით მოხვევტო ფულს!
- ხომ გითხარი, ვერ მოვიცდით, ახლა, ახლავე რა ვიღონოთ? – წითელი მარჯვენა ჩექმის ჭვინტს დააცქერდა ბატონი პრეზიდენტი, რაც ცუდად ენიშნა მეჭურჭლეთვაზირს და საჩქაროდ არატრატდა:
- უმოკლეს ვადაში სახსრების მოსაზიდად ჩავატაროთ რამდენიმე დონისძიება: პირველი – საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება, რომელზე დასწრებაც ფასიანი იქნება; მეორე – ამ დღისთვის უკვე დაგეგმილია პანწურთქალაქის მთავარ მოედანზე საზოგადოებრივი ფენსალაგის საზეიმო გახსნა, აქედანაც საკმაო შემოსავალს ველით; თანაც ეს შემოსავალი ერთდროული არ იქნება, შემდგომ დღეებში და წლებშიც სტაბილურად გაგრძელდება...
- თუ მანამდე პანდურელი საბოლოოდ არ გადაშენდნენ! – ჩაიციხა პორტრეტზე აღა მამად ხანმა. – ფენსალაგში წამსვლელიც აღარ დარჩება!
- დიდო მეუფეო! – სიტყვა აიღო ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირმა ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილმა. – ხაზინის შევსების კიდევ ერთი ხერხი არსებობს, თანაც წელიწადში ცხრა თვის განმავლობაში შეგვიძლია გამოვიყენოთ... დიახ, ჩვენი ღრმად პატივსაცემი მეჯლისის სესიები ჩავატაროთ ცირკის შენობაში – ყოველდღე ჩხუბი და ცემა-ტყეპაა მაინც, საქმისთვის ვერ იცლიან, ხალხი კი გაუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს და დიდი ხალისით მოელის – აბა დღეს რა მოხდება, ვის დაუღწევან ყბებს, ვის გაუტეხავენ ოსტატური თაურით ცხვირს, ვის გაუხეთქავენ წარბს! ჩემი წინადადებაა: მეჯლისის სხდომების დროს ცირკის ასპარეზზე დაიდგას რინგი მოძიბილავე დეპუტატთათვის, ნიღბოსანთა მანჭვა-გრეხას, გაწვრთნილი მაიმუნების ხტომა-ტრიალს, ეკვილიბრისტა რგოლებით თუ ბურთებით თამაშს, კლოუნთა უნიჭო მადაყებს და უკბილო ხუმრობებს ხომ სჯობს ჩვენი სანაქებოდ ნასუქი დეპუტატების ქშენით ურთიერთ გაწეგ-გამოწევა და გინების კორიანტელი! საზღვარგარეთიდანაც მოაწყდებიან ზღვა ტურისტები, ვალუტა შემოვა ოხრად!
- მე, მე ვიქნები მთავარი მსაჯი!!! – იყვირა ხონთქარმა და ტახტიდანაც კი წამოხტა. – არ დავიზარებ, დიდი სიამოვნებით ვიკისრებ რეფერის მოვალეობას, ხომ იცით, ამგვარი შერკინებები წესების გარეშე დიდად მიყვარს! გამარჯვებულთათვის ჩემი სახელობის ჯილდოებსაც დავაწესებ! მეგობრებო, ხშირ-ხშირად უნდა ვიმხიარულოთ, ამქვეყნად მეტი რა შეგვრჩება!
- თან შემოსავალიც გვექნება – გაყვიროთ ბილეთები მეჯლისის სხდომებზე დასასწრებად, ხალხიც დიდად კმაყოფილი დარჩება, აღარ იქნება შფოთი და ჯანყი! – აღზნებულმა ჯმუხა ხელჯოხნაძემ ამ სიტყვების შემდეგ რამდენიმე საჩვენებელი ჰუკი და აპერკოტი აჩვენა იქ დამსწრეთ.
- ვერიკა! – ტაში შემოჰკრა ეშხში შესულმა ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირმა ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილმა.. – კიდევ უკეთესი – გადავიტანოთ მეჯლისის სხდომები ჩვენი სახელოვანი პრეზიდენტის პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, იქ ასი ათასი ადამიანი ეტევა!
- კარგი ჩანაფიქრია! თან წრიპა, დალეული ადამიანები ვეღარ გაბედავენ მეჯლისის დეპუტატობაზე კენჭისყრას, აზრადაც ვერ გაივლებენ! და ეს დადებითი მოვლენაც გასათვალისწინებელია! – პანწურ-ჩანწურას ტახტზე დასაჯდომად არ ეცალა, წინ-უკან გამალებული მიმოდინდა მეწამულ ხალიჩაზე. – ნაირ-ნაირი შეჯიბრის მოწყობა შეიძლება. ხომ იცით, თუ ყოველდღე – დილას, შუადღეზე, საღამოს, – სულ ტორტს მიირთმევ, ადრე თუ გვიან მოგყირჭდება და ფეტივის ან შერის უბრალო ფაფა, ან ლობოს შეჭამანდი მოგენატრება... დიდად სასიხარულოა ჩვენი უდიდესი წარმატებები, საყოველთაო კეთილდღეობასა და სიამტკბილობაზე საუბარი რადიო-ტელევიზიაში, პრესის ფურცლებზე, საჯარო გამოსვლებში; მაგრამ მოდიოთ, ახლა შეჯიბრი-ზეიმები მოვაწყოთ თვალთმაქცობაში! სიცრუეში! ცილისწამებაში! აყვიაობაში! დაბეზღებაში! შურში! დაცინვასა და აბუჩად აგდებაში!.. ნუ გეშინიათ, ყველა ჯილდო ისევ თქვენ, ჩემს ერთგულ ვაზირებს გერგებათ: ამჯერად ამ შეჯიბრებებში მე არ მივიღებ მონაწილეობას და მოვცემთ საშუალებას, თავი გამოიჩინოთ – მე ვიქნები უმადლესი მსაჯული და გამარჯვებულებს პირადად გადავცემ ჩემს მიერ დაწესებულ ჩემი სახელობის ჯილდოებს! ძალიან საინტერესო, მძაფრი, ძმრიან-პილპილიანი სანახაობები იქნება! საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი სად არის?

– აქ გახლავარ, ბატონო პრეზიდენტო! – მეუფის წინ დაერჭო და წელში მოიხარა ჩინი ფეტიკენკაძე.

– გაგარდი ახლავე და მოელაპარაკე ოპოზიციური პარტიების ლიდერებს, საჩქაროდ დასხდნენ ერთად და შეადგინონ მეჯლისში საპარლამენტო დებატების წარმართვის გეგმა. ჯერ შემარჯვენე რადიკალთა პარტიის სახელით მისი თავკაცი ხვალა ხვალაძე და შემარცხენე ლიბერალთა პარტიის სახელით მისი თავმჯდომარე დღესია დღეისაშვილი დაიწყებენ პაექრობას ერთმანეთის მიმართ კომპლიმენტების ტყორცნითა და ძმობა-ერთგულების ფიცილით, ლამის სიყვარულის გამოცხადებით – ასე რომ, ერთიანი კოალიციის შექმნამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებთ თითქოს... მერე ნელ-ნელა გადავლენ ურთიერთ საყვედურებზე, ურთიერთ ბრალდებებზე, მერე – ლანძღვა-გინებასაც გამოურევენ... წამოაძახებენ: ერთი – “აი, შე გამყიდველო! შენს პარტიაში რომ ქურდ-მამაძაღლი ზის, ყოფილი კორუმიპირებული ვაზირი, რით დააგროვა მილიონები? ჩვენს ბრძენთა ბრძენთან ხართ ყველანი შეკრულნი!"; მეორე პარტიის წარმომადგენლები პასუხობენ: “თქვენს რიგებში მოიკითხეთ უნამუსო ხალხი! თუნდაც მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერი რომ გყავთ – ნამდვილი შარაგზის ყაჩაღი! ძარცვა-გლეჯით იშოვა ფული, ბანკი დააარსა, ახლა მეჯლისშია მოყუნებული და დაჭერის აღარ ეშინია – უკვე პრეზიდენტობაზე ოცნებობს!” მოკლედ, ხან ერთიანობას აღარაფერი უკლიათ და ხან ცემა-ტყეპით არკევენ ურთიერთობას – პირველად ისინი გაეყვანოთ რინგზე! დანარჩენი ახლა თქვენ ერთობლივად მოიფიქრეთ, ტყუილად გიხდით ფულს? ერთნაირი აფერისტები და მამაძაღლები არიან აქაც და იქაც, არ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა... აბა, ცქვიტად!

– ახლავე, ბატონო! – კიდევ უფრო მოიხარა წელში ჩინი ფეტიკენკაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი, და იმ წამსვე ფანჯრისკენ გაფრინდა, მეუფის ნატიფად შეკერილი წითელი ჩექმის ჭვინტის მოხერხებული ამოპანდურების გამო, ასე რომ, “ბატონო” უკვე ჰაერში მიმქროლავდა წარმოსთქვა. აწი მაინც ეცოდინება, რომ უქმად არ ჩაივლის მეუფესთან ძალიან ახლოს დგომა, მით უმეტეს, თუ წელში მეტისმეტად ხარ მოხრილი!

– ესეც ასე! – კმაყოფილმა ჩაილაპარაკა ბატონმა პრეზიდენტმა. – სხვა? ყველა პროექტი კარგია, მაგრამ მათ განხორციელებას დრო სჭირდება...

– მოწყალეო მბრძანებელო, მოგეხსენებათ, ამ დღესვე გეგმით გათვალისწინებული ახალი საზეიმო ღონისძიება გველის, გარკვეული თანხაც უნდა შემოვიდეს... უახლესი საზღვარგარეთული ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე უმაღლესი ღონის კონდიციონერებით აღჭურვილი კომფორტული ფეხსაღაგის გახსნაა გათვალისწინებული პანჩურთქალაქის მთავარ მოედანზე. ხომ არ ინებებთ, თქვენო უდიდებულესობავე, თქვენი დასწრებით გააბედნიეროთ და ბრწყინვალეობა შესძინოთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას?

რა თქმა უნდა, ამას ყასიდად შეეკითხა ხონთქარს ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირი ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშვანდურაშვილი – მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ბატონი პრეზიდენტი მოვალედ რაცხდა თავს, არც ერთ დიდ თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ღონისძიებას არ დაჰკლებოდა, თუნდაც ეს ყოფილიყო მანქანის მიერ ქუჩაში მაწანწალა ძაღლის გატანა (პირადად დაათვალიერებდა შემთხვევის ადგილს და გასცემდა ძვირფას ხელმძღვანელ მითითებებს) ან მარტოხელა პენსიონერი დედაბრისთვის ერთადერთი ქათმის მოპარვა (გულითადად მიუსამიძიებდა და ახალი ქათმის ყიდვას დაჰპირდებოდა, – რა თქმა უნდა, მომავალი წლის ბიუჯეტიდან) და ამ ფეხსაღაგის გახსნის საზეიმო ცერემონიალს არ დაესწრებოდა? მით უმეტეს, ამ დიდებულ მოვლენას ქალაქი უკვე თითქმის ოცდაათი წელია, რაც ელოდებოდა და მადლიერი ხალხი ბლომად შეიკრიბებოდა.

ჯან!

კარი V. კიდევ ერთი ზეიმი!.. მეორეცა!..

მთელ პანდურთქალაქში სახლთა კედლები, ღობე-მესრები, ბოძები და სანაგვე ყუთებიც კი, აჭრელდა მათზე გაკრული ნაირფერი ლამაზი პლაკატებით. პლაკატებზე მაღალხარისხოვანი ფერადი საღებავებით აღბეჭდილია სიხარულით სახეგაბრწყინებული, მოღიმარი, პუტკუნა სახეები: ბავშვთა თუ მოხუცთა, ქალთა თუ კაცთა; ასევე, წითელი, მსხვილი ასოებით აწერია: “ძვირფასი მადლობა საყვარელ პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენს ჩვენზე მამობრივი ზრუნვისთვის – ერთობლივად მივალთ ახალ ზეიმზე!”, “გაუმარჯოს ხელისუფლებისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, გაუმარჯოს ახალ ზეიმს!” და მისთანანი.

ღიახ, ფრიად ღირსშესანიშნავ მოვლენას, ახალ საზეიმო ღონისძიებას – პანდურთქალაქის მთავარ, დიდი პანდურის, მოედანზე ახალი საზოგადოებრივი ფეხსაღაგის გახსნას – მოუთმენლად ელოდა დიდ-პატარა და სადღესასწაულო ადგილზე მართლაც უამრავი ხალხი შეიკრიბა.

ზღვა ყვავილებით შემკულ და ომახიანი ღოზუნგ-ტრანსპარანტებით დახუნძლულ მშვენიერ ვარდისფერი მარმარილოს შენობას ირგვლივ ხელჯოხიანთა გაძლიერებული რაზმი იცავდა.

შუადღეზე ქალაქი გააყრუა მოკივანი სირენების ხმამ: დიდი პანდურის მოედანზე შემოგრი-აღდა შავად მბზინავი ავტომანქანების გრძელი ქარავანი – საზეიმო ცერემონიაში მონაწილე-

ობის მისაღებად მობრძანდა მისი უდიდებულესობა, პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა ჩანჩურ-პანჩურა I ბრძენთა ბრძენი მრავალრიცხოვანი ამალითა და თანმხლები პირებითურთ.

ჩაჰბერეს ბუკთა და ღორტოტოთა, დაჰკრეს ნაღარათა, დასცხეს დაფდაფთა! მთელ ქვეყნიერებას ამცნეს საზეიმო წუთის დადგომა: დაჯავშნული მანქანის გაჩერებისთანავე, მისი წინა კარი გაიღო, ფიცხლად გამოვარდა შავსათვალიანი ორმეტრიანი ჯეელი და უკანა კარი გამოაღო. დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა და ასოციაციანმა შერეულმა გუნდმა დააგუგუნა საზეიმო ქორალი “ღმერთო, აღდეგრძელე პანჩურ-ჩანჩურა და განადიდე სახელი მისი მარადისით მარადისამდე!”, მანქანიდან გადმობრძანდა ბრძენთა ბრძენი, რომლის სიასამურის ქულაჯვაც დახუნძლული იყო მსოფლიოს 53 ქვეყნის უმაღლესი ჯილდოებით: ბრილიანტის ქვებით, ლალ-ზურმუხვით, საფირონ-იაგუნდით შემკული დიდი ვარსკვლავებით, ჯვრებით, ორდენებით, ყელსაბამებით; დიდებული ჰანგები მიაცილებდნენ მეწამულ ძვირფას ხალიჩაზე დინჯად მიმავალ პრეზიდენტს სრულიად პანდურეთისა და მიორხეოდა მეუფის მარცხენა გვერდზე მბზინავ-მოკაშკაშე ოქროს გრძელი ხმალი, ვადა-ქარქაშზე ერთიანად დაფარული ძვირფასი ქვებით... მის უდიდებულესობას თან ახლდნენ პანჩურთამორცემის მთავარგაზირი ჯმუხა ხელჯოხაძე, პირადი მდივანი ჭუკია ჭუჭუკუელაშვილი, პირადი აქიმი ღრუტუნა ღრუბელიძე, პანდურთქალაქის მოურავი მარდია დარდიმანდაძე, კარის ლაურვატი პოეტი და მარჯვენა ჩექმის გამკრიალებელი ტრიფინ ტრაბახაული, კარის პოეტი და მარცხენა ჩექმის გამკრიალებელი ბაქარ ბაქიაშვილი და ხონთქრის პირად მცველთა უფროსი დემირხან დევიაშვილი ოთხას ოცდათორმეტ შეიარაღებულ ზორბა შავნიდობიანთან ერთად.

გუგუნებდა საზეიმო მუსიკა!

დიდებულად მიგოგმანობდა მისი უდიდებულესობა ბატონი პრეზიდენტი!

უკან მიჰყვებოდნენ ერთგული თანამებრძოლნი...

რიტმულად მოძრაობდნენ ბატონ პრეზიდენტის დაბალყელიანი, ხასხასა წითელი ჩექმები – დამსწრენი აღტაცებულ, მოწიწებით აღვსილ მზერას ვერ აცილებდნენ მის ამაყად აპრეზილ ჭვინტებს! (ამ ჭვინტებს დიდი ჯაფა ადგათ დღენიდაგ – განსაკუთრებით, მარჯვენა ჩექმისა – და ამიტომ მეუფე თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ ჩექმებს იცვამს).

ვაშა!..

დიდება!..

ბატონი პრეზიდენტი მივიდა საგანგებოდ მოწყობილ წითელი ხის ამაღლებულ ტრიბუნასთან, თანამებრძოლნი აქეთ-იქიდან ამოუდგნენ გვერდზე.

ბრძენთა ბრძენის წინ ხალხით ავსებული მოედანი ზიმზიმებდა, უკან კი ამართულიყო ნაზი ვარდისფერი მარმარილოთი აგებული ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ნაგებობა – პრეზიდენტის პირადი მხატვრის ზელიმხან წირპლაშვილის გენიოსური ნიჭით შექმნილი პროექტის მიხედვით განხორციელებული.

პანდურთქალაქის მოურავი მარდია დარდიმანდაძე, ჩასუქებული, ფრიად ნაპატივები სახით, მიკროფონთან მივიდა:

– დედაქალაქის მოქალაქენო და პატივცემულო სტუმრებო! თქვენი ბედნიერი თვალებით ყველანი ხედავთ, რომ ჩვენმა ყოვლისშემძლე პრეზიდენტმა დიდებული, ჩვენი დღევანდელი ზემის ჭეშმარიტად შესაფერისი სადღესასწაულო ამინდი გამოგვიგზავნა! დიდი მადლობა მას! შესანიშნავი დღე გავითენდა – ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის დაუცხრომელი ზრუნვით პანდურეთის მოსახლეობაზე და, კერძოდ, პანჩურთქალაქელებზე, დღეს ვზეიმობთ სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქალაქის მატრიანეში: რამდენიმე წუთის შემდეგ ხალხის სამსახურში ჩადგება კიდევ ერთი ახალი ბრწყინვალე ნაგებობა – ბედნიერნი ვართ, რომ გვაქვს პატივი, დავესწროთ თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი, მსოფლიო დონის უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით აგებული, კონდიციონერების ავტომატური სისტემით აღჭურვილი, სანიმუშო-საჩვენებელი საზოგადოებრივი ფესხალაგის საზეიმო გახსნას, რომელსაც მეტ ბრწყინვალეობას მატებს ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის მობრძანება. აქ დამსწრეთა სახელით, ამისთვის უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადოთ მის უდიდებულესობას! ნება მიბოძეთ, სიტყვა გადავცე ზემ-დღესასწაულთა ვაზირს ბატონ ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშვანდურაშვილს!

ტრიბუნასთან მივიდა ჩამრგვალებულ-ჩაკურატებული ვაზირი; გაბუშტული ღოყები ხშირი ხუჭუჭა წვერით ჰქონდა შემოსილი, წვერილი თვალები ძლივს მოჩანდნენ ქონმორეულ სახეზე.

– თქვენო უდიდებულესობაგ ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო დამსწრე საზოგადოებაგ! ამ საზეიმო დღეს უნდა გამცნოთ კიდევ ორი სასიხარულო ამბავი: პირველი – ამიერიდან პანდურთქალაქის მთავარ მოედანს მიენიჭება ჩვენი დიდი მამულიშვილის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, მისი უდიდებულესობის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის სახელი!.. ტაში, ამხანაგებო!.. მეორე – მისი უდიდებულესობის კარის მხატვარს ზელიმხან წირპლაშვილს, რომლის პროექტითაც აიგო ეს დიდებული შენობა, თანამედროვე ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე, ხელთუქმნიელი შედევრი, – ჩვენი პრეზიდენტის ბრძანებულებით მიენიჭა ამა წლის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის სახელობის პანდურეთის სახელმწიფო ჯილდო! ტაში, ამხანაგებო!..

როცა გამაყრუებელი ტაშისცემა და ჟვიღ-ხივილი მიწვდებოდა, კვლავ პანდურთქალაქის მოურავი აგრძელებს სიტყვას:

– ახლა კი, დამსწრე მაღალი საზოგადოებისა და მადლიერი ხალხის სახელით, ნება მიბოძეთ, ვთხოვო ჩვენს ძვირფას სტუმარს, ბატონ პრეზიდენტს, ინებოს საზეიმოდ გახსნას აშენებული ობიექტი, – ჩვენი ქალაქის ახალი მშენებელი და სიამაყე, – სანიმუშო-საჩვენებელი საზოგადოებრივი ფუნქსიალი!.. ტაში, ამხანაგებო!..

დადგა ზეიმის კულმინაციური მომენტი. ბატონ პრეზიდენტს მიაწოდეს ოქროს მაკრატელი, ისიც გაღიმებული მივიდა ფუნქსიალის შესასვლელთან გაჭიმულ წითელ ბაფთასთან. ისევ გაისმა ტაში და სტვენა, დასცხეს ღორღოტოთა და ბუკთა, ნაღართა და დაფდაფთა საზეიმო ტუში, მათ მიეხმარა დიდი სიმფონიური ორკესტრი; დიდმა შერეულმა გუნდმა დააგუგუნა: “იხარე!” ბატონმა პრეზიდენტმა მოიმარჯვა გახსნილი მაკრატელი, მიაღო ბაფთას და წუთით გაჩერდა, რათა კინო და ტელეოპერატორებსა თუ ფოტოკორესპონდენტებს სამარადჟამოდ აღებეჭდათ მომავლისთვის განუმეორებელი წამი, შემდგომ დააწკაპუნა მაკრატელი...

ბაფთა არ გაიჭრა!

ბატონმა პრეზიდენტმა ხელმეორედ მოსინჯა მაკრატლის სიბასრე თუ ბაფთის სიმაგრე – ამჯერადაც ბაფთამ გაიმარჯვა... ისევ და ისევ დაძაბა ნებისყოფაც და ხელის კუნთებიც – ხან ნელა მოსინჯა გაჭრა, ხან – ჩქარ-ჩქარა, ორივე შემთხვევაში – ფუჭი მცდელობა გამოუვიდა...

აქა-იქ ჩაიფხუუნეს, თუმცა პანდურეთში ამგვარი საქციელი ფრიად საშიში გახლდათ – სიცილის უფლება მხოლოდ ერთ პიროვნებას, ბრძენთა ბრძენს, ჰქონდა. მეუფე ოფლად გაიღვარა, ვერც დახმარების თხოვნა იკადრა; მხლებელნი დაბნეულნი შესცქეროდნენ ხან მის ცოდელობას, ხან – ერთმანეთს და ვერ მოესაზრებინათ, რით ეშველათ...

ამ გაჭირვების ჟამს იმარჯვა პანდურეთის პრეზიდენტის მთავარვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ, მეუფის ხელი თავის ხელისგულებში მოაქცია და შეეცადა, გაერთიანებული ძალებით დაეძლიათ ბაფთის სიჯიუტე, მაგრამ ამაოდ – აქ ძალა უძლური იყო, მაკრატელი ბლაგვი გამოდგა... მაშინ ჯმუხამ ბაფთა ორთავ ხელში ჩაბღუჯა, დაიძაბა, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა ძალისხმევისგან, ერთი დაიდრიალა და გაგლიჯა შეუპოვარი მეტოქე...

მისმა უდიდებულესობამ პანდურეთის პრეზიდენტმა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა მადლიერების ნიშნად გაუღიმა ჯმუხას და ცალი თვალით ოდნავ მიანიშნა იქვე მდგომ თავის პირად აქიმზე ღრუტუნა ღრუბელიძეზე. ჯმუხამაც არ დაახანა, მეუფეს თავი დაუკრა და მძლავრი ამოპანდურებით ღრუტუნა, ჰაერში სამჯერ ყირამალა ამოტრიალების შემდგომ, ქალაქის მთავარი მოედნის გარშემო მდგარი ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე კოხტად შეაფრინა. ახლა ღრუტუნა ღრუბელიძეს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლეოდა, სახურავზე ზეიმის სანახავად თავმოყრილ ბიჭბუჭობასთან ერთად, ყველაზე მაღლიდან მოხერხებულად დამტკბარიყო არა მარტო ხალხით სავსე მთავარი მოედნის დათვალიერებით, არამედ – ბარე ნახევარი პანდურთქალაქის სახურავების შესანიშნავი ხედითაც; ასე რომ, ბედს ნამდვილად არ ემდუროდა, ოღონდ ის უღრღნიდა გულს, რომ ვერაფრით მიმხვდარიყო – ვინ შეცვალა მის სააქიმო ჩანთაში არსებული ბასრი მაკრატელი ოქროს ბლაგვი მაკრატლით?

ამასობაში ისევ დააგუგუნეს მუსიკა, ბატონი პრეზიდენტი საზეიმო ნაბიჯებით შებრძანდა ფუნქსიალში, რასაკვირველია, მარტოდმარტო და პირადი დაცვის გარეშეც კი, რათა პირადად შეემოწმებინა, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს ის მონაცემები სანიმუშო-საჩვენებელი ფუნქსიალის კომფორტზე, რომლის შესახებაც ამომწურავი ინფორმაციის გავრცელებით იყო დაკავებული პანდურეთის მთელი პრესა და რადიო-ტელევიზია ერთი თვის განმავლობაში.

მეუფე არავის დაუთმობს პირველ მოსაქმებას – აქაც პირველი უნდა იყო!

ორკესტრი დაუღალავად აგუგუნებდა სახალისო მუსიკას, ყველანი სულგანაბრულნი მოელოდნენ მეუფის გამობრძანებას და მის შეფასებას – ხომ არ გაუცრუვდა იმედი? მანამდე კი იმედი მოედანზე შეკრებილთ უცრუვდებოდათ – ბატონი პრეზიდენტი ყველა გათვლებით უკვე კარგა ხანია, უნდა გამოჩენილიყო ხალხის წინაშე თავისი განაჩენით, მაგრამ დრო მიდიოდა, მისი უდიდებულესობა კი არა და არ ჩანდა. ხალხში მღელვარება დაიწყო: ჩვენს საყვარელ ხონთქარს რაიმე ხიფათი ხომ არ შეემთხვა? თუ განცხრომაშია და ღროის სრბოლას ვეღარ ამჩნევს? მაგრამ შესვლას აბა ვით გაბედავდნენ!

ასეთი გაურკვეველობის მიმე სურათი ნახევარ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და როცა პირადი დაცვის უფროსმა დემირხან დევიაშვილმა მოიხმო თავისი მამაცი არწივები და პირადი რისკის ფასად გადაწყვიტა, გადაეღახა რუბიკონი, როგორც იქნა, გამოჩნდა თვით მღელვარების მიზეზიც...

წარსდება აღელვებული და შეშფოთებული საზოგადოებრიობის წინაშე, – ჟინმობანილი, გაბადრული, – უმაღლესი დონეა! ასეთი დონე მართლაც მხოლოდ პანჩურ-ჩანჩურას ეპოქაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო! მისი 53 ქვეყნის მიერ ბოძებული ორდენ-ჯვარ-ვარსკვლავები მხიარულად ბრჭყვიალებდნენ და თვით მოლოდინით გაბეზრებული მზეც გაღიმებული დასცქეროდა პანდურთქალაქის მთავარ, დიდი პანდურის, მოედანს, რომელსაც ამიერიდან სრულიად დამსახურებულად ეწოდებოდა ახალი სახელი – სრულიად პანდურეთის სახელოვანი მბრძანებლისა!

ორკესტრმა დასცხო ტუში, გაისმა საარტილერიო ბათქი ოცდაცამეტი ქვემეხიდან; აღტაცებულ ყიჟინას შეუერთდა მაღლა ატყორცნილი ურიცხვი მტრედის ფრთათა ფარფატი, თვალს იტაცებდა ათასობით განთავისუფლებული ფერად-ფერადი საჰაერო ბურთის მაღლა-მაღლა ლტოლვა; ქალაქის თავზე გრიალით გადაიარა თვითმფრინავთა რაზმმა, რომელიდანაც გადმოსხმულმა პარაშუტისტებმა ცაში შექმნეს წარწერა: “დიდება ბრძენთა ბრძენს!”

დაფაცურდნენ ჟურნალ-გაზეთთა კორესპონდენტები, მიმდინარეობდა პირდაპირი ტელე და რადიორეპორტაჟი განსაკუთრებული მოვლენის დაწვრილებითი გაშუქებით – მთელი პანდურეთი და მრავალი საზღვარგარეთის ქვეყანა აღტაცებით აღევნებდა თვალს დიდებული ღონისძიების ბრწყინვალე მსვლელობას.

ტრიბუნასთან ისევ დაიკავეს ადგილი გამარჯვებულმა ბატონმა პრეზიდენტმა და ნაზირ-ვაზირებმა; ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ვაზირმა ჩიჩი ფეტვიკენკაძემ ჩასძახა მიკროფონში:

– ძვირფასო პანდურელებო! ვიდრე დაიწყება დიდი სახალხო სვირნობა, რომელიც საღამოს დაგვირგვინდება საზეიმო კონცერტითა და გრანდიოზული ფოიერვერკით, გაცნობებთ მანამდე ჩასატარებელ ფრიად საინტერესო ღონისძიებათა შესახებ. უპირველესად გთხოვთ, დაიცვათ სანმიუშო წესრიგი ამ საზეიმო მოვლენისადმი მიძღვნილი მდიდრულად დასურათხატებული წიგნი-ალბომის – “პანდურთქალაქის მშენებება” – შექმნისას, რომელსაც, ფეხსაღაგის ექსტერიერისა და ინტერიერის გამოსახულებების გარდა, ამშვენებს ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის ფერადი ფოტოპორტრეტი და ყოველ ეგზემპლარს ახლავს მისივე პირადი ავტოგრაფი... ეს უნიკალური გამოცემა ძვირფასი საჩუქარია და ჭეშმარიტად დაამშვენებს ყოველი პანდურელის ოჯახს. იგივე ითქმის მეორე ძვირფასად გამოცემულ წიგნზეც – ჩვენი საყვარელი პრეზიდენტის ფრიად ორიგინალურ მემუარებზე “ჩემი მარჯვენა ჩექმის ჭვინტი”, რომელიც გამოუშვა პანდურეთის პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ სერიაში “ოქროს მემუარები” და მან უკვე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა პანდურეთის ფართო საზოგადოებრიობაში, მაშინვე სწრაფად ითარგმნა საზღვარგარეთის ასზე მეტ ქვეყანაში, მიენიჭა საერთაშორისო პრემიები... ამჯერად გთავაზობთ მის მეცამეტე, საფუძვლიანად შევსებულ და ახალი ფაქტებით გამდიდრებულ გამოცემას; მასში წარმტაცად, დიდი მხატვრული ძალით, ამაღლეველად არის გადმოცემული პრეზიდენტის სრულიად პანდურეთისა, მისი უდიდებულესობის პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენის საარაკო მიღწევები პანწურთამორტყმის დარგში. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის გამოჩენილ მეცნიერს, პანწურ-ჩანწურმცოდნეობის დამფუძნებელს სეფე სეფედავლაძეს, ბოლოსიტყვაობა – პანდუროლოგიის კორიფეს საველე საველედავლაძეს, ხოლო სამეცნიერო კომენტარების ავტორია პანდურეთის პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანწურ ჩანწურიშვილი... უნდა სიხარულითა და ღრმა კმაყოფილებით გრძნობთ გაუწყლოთ აგრეთვე, რომ ბატონ ბრძენთა ბრძენის კეთილი ნებითა და გადაწყვეტილებით წიგნის გაყიდვიდან შემოსული მოგების ათი პროცენტი გადაეცემა ამოპანდურებისგან დაზარალებულთა თერაპიისა და რეაბილიტაციის სამეცნიერო ცენტრის მშენებლობას, რაც ერთხელ კიდევ გამოხატავს ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის კაცთმოყვარეობას, დაუცხრომელ ზრუნვას ყოველი პანდურელის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და საყოველთაო კეთილდღეობაზე!..

გაისმა ერთსულოვანი ტაში, მოწონებისა და აღტაცების შეძახილები; მხოლოდ ერთი კაცი დარჩა ცხვირჩამოშვებული – პრეზიდენტის პირადი მდივანი ჭუკია ჭუკაჭუკელაშვილი, რომელმაც საკუთრივ დაწერა მთელი ეს წიგნიც, მისი წინასიტყვაობაც, ბოლოსიტყვაობაც და სამეცნიერო კომენტარებიც დაურთო, სამაგიეროდ, ერთი თეთრიც არ არგუნეს.

ინფორმაციისა და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის ვაზირი ჩიჩი ფეტვიკენკაძე კი განაგრძობდა გალობას:

– ჩვენო ამაღლებული სულის ზნეკეთილო ხალხო! თქვენ ყოველთვის გქონდათ საშუალება, შეუზღუდავად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, გამოგეთქვათ თქვენი პირადი დამოკიდებულება ქებითა თუ მაგარ-მაგარი სიტყვებით, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების, ასევე საოჯახო თუ პიროვნული ურთიერთდამოკიდებულებების მიმართ. ამიერიდან, ქვეყნის მაღალი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მეჭურჭლეთუხუცეს ხრახრა ვირთხადის გადაწყვეტილებითა და პანდურეთის პრეზიდენტის მოწონებითა და დასტურით, ყოველი გინება დაიბეგრება და ბილწსიტყვაობაში შემჩნეულმა ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ერთიდან ხუთ ლარამდე – გინების ხანგრძლივობისა და ხარისხის კვალობაზე. დამეთანხმებით, ეს ღონისძიება ფრიად დროულად ხორციელდება და იგი დიდად შეუწყობს ხელს პანდურეთის როგორც ეკონომიკურ, ისე ზნეობრივ გაჯანსაღებას. კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გამცნოთ: როგორც ახლახან გახდა ცნობილი, სულ ერთი წუთის წინ მეჭურჭლეთუხუცეს ხრახრა ვირთხადეს დაებადა მორიგი ბრწყინვალე იდეა – მისი უდიდებულესობის, პანდურეთის პრეზიდენტის ბრძნული მმართველობის 30 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებათა სათანადო დონეზე წარმართვის მიზნით, პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენი ახლავს მოაწყობს მეორე ზეიმს – ხელის ჩამორთმევის დღესასწაულს! ბატონი პრეზიდენტი დათანხმდა, ხელი გულისთადად ჩამოართვას ყოველ მსურველს, რომელიც გადაიხდის სიმბოლურ თანხას. ასევე, მეგობრებო, ყველას ალბათ გაგიჩნდათ უამრავი კითხვა დღევანდელ ზეიმებთან დაკავში-

რებით, განსაკუთრებით კი გაინტერესებთ ჩვენი პრეზიდენტის შთაბეჭდილებები. თქვენ საშუალება გექნებათ, მიიღოთ ამომწურავი პასუხი ყველა შეკითხვაზე, მაგრამ გთხოვთ გაითვალისწინოთ ერთი გარემოება... საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჩვენი ბრძენთა ბრძენი დიდი დემოკრატია, ხალხის მოყვარული, მაგრამ ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი, მისი სიკეთე და უშურველობა ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ! წინდაწინ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ, სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველი ჟურნალისტური შეკითხვა ფასიანია – პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი თავის წილ უზარმაზარ შრომას დებს და ის ხომ ნაწილობრივ მაინც უნდა ანაზღაურდეს! ჩვენი ხალხის მტრები ავრცელებენ ღვარძლით აღსაგსე ჭორებს, თითქოს ქვეყანა შიშმა და სასოწარკვეთამ მოიცვა. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ჩვენი საყვარელი მბრძანებელი და ხალხი – ერთია, ერთიანია, ამიტომ, ყოველგვარი გესლიანი მონაჩმანის გასაქარწყლებლად, ამიერიდან კვირაში სამ-ოთხ დღეს, განსაზღვრულ საათებში, მოეწყობა მოსახლეობის ფართო ფენების მიღება მეუფის მიერ, ოღონდ ზემოხსენებულ გარემოებათა გამო, მისი უდიდებულესობის ხილვა ფასიანი იქნება. ორმაგი ფასი ექნება მისთვის ხელის ჩამორთმევას, სამჯერ გაზრდილი ნიხრი დაეღება ხელზე კოცნას, ხუთჯერ მეტი – ბრძენთა ბრძენთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღებას. სკოლის მოწაფეები, სამხედრო მოსამსახურენი და პენსიონერები ფულს გადაიხდიან განახევრებული განაკვეთით; თანხათა კონკრეტული ოდენობის დასადგენად უკვე ტარდება ინტენსიური კონსულტაციები კომპეტენტურ და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, რომლის შედეგებსაც ათიოდ წუთში მოგახსენებთ, მანამდე კი, მაესტრო, – მუსიკა!

კარი VI. სამწუხაროდ, ცუდი ამბავი უნდა გაუწყოთ...

დამსწრე საზოგადოება გრძელ რიგებად გაიჭიმა: ერთნი – ფეხსალაგის დასაჭაშნიკებლად, მეორენი – წიგნ-ალბომის “ჩვენი ქალაქის მშვენება” შესადენად, მესამენი – პანჩურ-ჩანჩურას მემუარების “ჩემი მარჯვენა ჩექმის ჭვინტი” საყიდლად, მეოთხენი – ბატონ პრეზიდენტისთვის ხელის ჩამორთმევის, მასთან სურათის გადაღების და ასე შემდეგ მსურველნი; ბოლო რიგი ჯერჯერობით ადგილიდან არ იძროდა, რადგან ჯერ უნდა დადგენილიყო ფასები. ამ საკითხის გადასაწყვეტად ბჭობდნენ ტრიბუნაზე მყოფი ნაზირ-ვაზირები, ბატონი პრეზიდენტი კი ამ დროს ტკბებოდა თავისი ჩექმების ჭვინტთა ყურებით – გადაწყვეტილების მიღებაში ის მონაწილეობას არ იღებდა; საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი ჩიჩი ფეტვიკენკაძე კი ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმით იყო დაკავებული – მუხლჩახრილს ხელთ ორი ჯაგრისი ეპყრა და საყვარელი ხონთქრის წითელ ჩექმებს კიდევ უფრო აკრიალებდა. იქვე მდგომი კარის პოეტები და იმავდროულად მეუფის ჩექმების გამკრიალებელი ტრიფონ ტრაბახაული და ბაქარ ბაქიაშვილი შურით და განაწყენებით უყურებდნენ ჩიჩის საქმიანობას.

ბატონი პრეზიდენტი მიუბრუნდა ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირს ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშ-ფანდურაშვილს:

– მომწონს, მშვენივრად გაგიაზრებია ზეიმი. პანდურის ამორტყმის საქმეში როგორიღა ხარ?.. სუსტი? მაშინ, ინტენსიური ვარჯიში ხომ არ დაგეწყო? ხომ იცი, მოკლე ხანში ყველა სახელმწიფო სახელს, მათ შორის – ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირისას, საკონკურსო წესით გავცემ – ვინც ამოპანდურებაში იმარჯვებს. ყველაზე დიდი დღესასწაული სწორედ სრულიად პანდურეთის ამოპანდურების ჩემპიონატია და სირცხვილია, ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირს ხეირიანი პანდურის ამორტყმა არ ეხერხებოდეს! იცოდე, შენისთანა ნიჭიერი კაცის დიდი იმედი მაქვს. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელ: ვფიქრობ, პანდურთამორტყმის მთავარვაზირის სახელს ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი შეიძლება გახდეს. ვატყობ, ჯმუხა ხელჯოხაძე მეტისმეტად თავს გავიდა, მეც კი მეჯობრება და დროა, მის შემცველზე ვიფიქრო... ჰა, როგორ გადაწყვიტე, ივარჯიშებ?.. იფიქრე!

ამასობაში კი ბჭობა სახსრების მოპოვების თაობაზე გრძელდებოდა.

– თითო ხელის ჩამორთმევაში რომ ათი თეთრი დავადგინოთ, დღეში... მოიცა, ვიანგარიშო... – ბუტბუტებდა მეჭურჭლეთვაზირი ხრახრა ვირთხაძე, დანარჩენები ყურადღებით უსმენდნენ. – თითო ხელის ჩამორთმევა – ორი წამი, ფულის გადახდა – ერთი წამი, სულ – 200 თეთრი ანუ 2 ლარი... საათში – 120 ლარი, რვასაათიან სამუშაო დღეს თუ გავითვალისწინებთ – ათას ლარამდე გამოდის დღეში!

– შენ ხომ არ გავიჟდი! – დატუქსა პანჩურთამორტყმის მთავარვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ. – რა ამბავია ასეთი დაბალი ნიხრი – ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის ხელის ჩამორთმევას ხომ არ გავაუფასურებთ ამით? დავადლოთ ჭეშმარიტი ფასი – ერთი ლარი თითო ხელის ჩამორთმევაში, დღეში რამდენი შემოგვივა?

– 10 000 ლარი! – მაშინვე იანგარიშა მეჭურჭლეთვაზირმა.

– ცოტაა! – თქვა ჩიჩი ფეტვიკენკაძემ. – მე ამ ბრწინვალე იდვის განსახორციელებლად კიდევ ვხედავ რეზერვს, კერძოდ – ერთი წამი ფულის გადახდაში არ არის საჭირო: ვისაც სურს, ისტორიული ფაქტის მონაწილე გახდეს, კეთილ ინებოს და წინასწარ გადაიხადოს, ჩვენს ძვირფას პრეტენდენტს ძვირფას დროს ნუ წავართმევთ! გარდა ამისა, ვისაც სურვილი ექნება, ხელის

ჩამორთმევის ოფიციალური საბუთი იქონიოს, იქვე გაცემით ამ მოვლენის დამადასტურებელ საპატიო სიგელს – 5 ლარად, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მხატვრულად შესრულებულს, ძვირფას ჩარჩოში ჩასმულს...

– სურვილისამებრ, შეიძლება, მივცეთ დამადასტურებელი ვიზუალური საბუთიც: ფოტოსურათი – 10 ლარად, ვიდეოჩანაწერი – 20 ლარად! – შემდგომ განავითარა ახალი იდეა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ.

– კოცნა რომ მოინდომოს?... რა ნიხრი დავადოთ? – იკითხა ჩიჩი ფეტვიკენკაძემ.

– გინ რომ ისურვოს – ბატონმა პრეზიდენტმა თუ ხელის ჩამორთმევის მსურველმა? – ვერ გაიგო ხრახრა ვირთხაძემ.

– რა თქმა უნდა, მსურველმა, თუმცა... თუ ლამაზი ქალიშვილი იქნება, ბატონ პრეზიდენტსაც შეიძლება, გაუჩნდეს კოცნის სურვილი, ჰა-ჰა-ჰა!.. – გამხიარულდა ზეიმ-დღესასწაულთა ვაზირი ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი.

– ჩუმად, შე მუდრეგო, ბატონმა პრეზიდენტმა არ შეგამჩნიოს სიცილი ან პანდურთამორტყმის მთავარვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ, თორემ... – წასჩურჩულა ხრახრა ვირთხაძემ.

– მაშინ ალბათ პირიქით – ბატონ პრეზიდენტს მოუწევს ფულის გადახდა, ჰა-ჰა-ჰა!.. ხაზინას დააცარიელებს, ჰა-ჰა-ჰა!.. – ვედარ გაჩერდა ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი.

ამის თქმალა მოასწრო, რომ ალიბაბლი უცებ გაფრინდა და, ჰაერში რამდენიმე მაღაყის შემდეგ, ხუთიოდ წამში ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე აღმოჩნდა ხონთქრის პირადი აქიმის ცაგრია ცუგრიაშვილის გვერდით – ჯმუხა ხელჯოხაძის მიერ განხორციელებული პანდური ამჯერადაც უნაკლო გამოდგა და ბატონ პრეზიდენტის ქებაც დაიმსახურა:

– ასეთი ოსტატობა მართლაც პანდურთამორტყმის მთავარვაზირის საკადრისია! – მაგრამ გუნებაში კი დაიბოდმა: “სახალხოდ ორჯერ წარმოაჩინა, რომ... ჩემთან გატოლებას ფიქრობს?... თუ – ჯობნასაც კი აპირებს? ასეთ თავხედობას არ შევარჩენ!”

– ახი იყო, ალიბაბლი უფრო შორსაც უნდა გატყორცნილიყო! – წამოიძახა შეშინებულმა ხრახრა ვირთხაძემ.

– მე დიდი ხანია, ვამჩნევდი – არ იყო წმინდა წყლის კაცი!.. – მხარი აუბა ჩიჩი ფეტვიკენკაძემ.

– ეგ არ არის თქვენი გასარკვევი, ხალხი ელის, მეუფისთვის ხელის ჩამორთმევის რიგში დგას, დროზე მიხედეთ საქმეს!.. ბატონ პრეზიდენტს ოქროს წუთებს უქმად ახარჯვენებო!

– კაცო, ჯმუხავ, არაფერი გაგიგია? – ეუბნება ბრძენთა ბრძენი მის ერთგულ პანჩურთამორტყმის მთავარვაზირს, – ჩემამდე მოვიდა ხმა და შენ როგორ გამოგეპარა? თურმე ალიბაბლი დიდიდან საღამომდე ვარჯიშობს ამოპანდურებაში და შენი შეჯიბრში გამოწვევა უდევს გუნებაში... როგორ ფიქრობ, გაჯობებს?

– ევრიკა! – წამოიძახა ამ დროს ჩიჩიმ. – კიდევ ერთი რეზერვი არსებობს – ჩვენი სათაყვანებელი პრეზიდენტის რამდენიმე ორეული გაფუშვით ამგვარ საშოვარზე ქალაქის სხვადასხვა ნაწილში; შემოსული თანხა, შესაძლებელია, გავასამაგოთ, გავაოთხმაგოთ!

– ყოჩაღ, – მოუწონა ჯმუხამ, – ამით ბატონ პრეზიდენტის უსაფრთხოებაც მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი, ქვეყნის უშიშროებაც დაცული იქნება. ყველამ ვიცით: მომრავლდნენ ათასგვარი სახის ტერორისტები, ადამიანთა გამტაცებლები და ყოველ წამს მოსალოდნელია დესტაბილიზაცია! ორეულთა გამოყენების შესახებ ჩინებული აზრია იმითაც, რომ ბატონი პრეზიდენტი სახელმწიფოებრივ საქმეებს არ მოწყდება!

თან გუნებაში აწონ-დაწონა: “ეს მამაძაღვლები – ხრახრა და ჩიჩი – მაღე ჩემს მდგომარეობას წყალს შეუყენებენ, თუკი დროულად არ მოვუკუბრე პირი! სულ იდეებით აქვთ ტვინები გამოტენილი, მე კი რომ ვერაფერი მოვიფიქრე? სამაგიეროდ, უფრო ფასეული რამ გამაჩნია – უბადლო ამოპანდურების უნარი!” – ამის გაფიქრება იყო და ჩიჩის მაშინვე ამოჰკრა გემრიელი ჭიტლაყი და გააფრინა, შემდგომ კი, სულ რამდენიმე წუთში, დარწმუნდა რა, რომ საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი მშვიდობით დაეშვა დიდი სახლის სახურავზე და ალიბაბლისა და ცაგრიას დაუმშვენა გვერდი, ერთხელ კიდევ გაისარჯა და ამჯერად მათ ხრახრაც შეუერთდა.

კარის ლაურეატმა პოეტმა და იმავდროულად მეუფის მარჯვენა ჩექმის გამკრიალებელმა ტრიფონ ტრახახაულმა და კარის პოეტმა და მარცხენა ჩექმის გამკრიალებელმა ტაში დასხცეს და ორივე ბუტბუტს მოჰყვა – მეუფის ძლევა მოსილი პანჩურთამორტყმის შესხმა-შექების სიტყვებს დიდებულ სტიქონებად ჰკინძავდნენ.

“ღიახ, უეჭველია, – ჯმუხა საშიშ სრულყოფამდე მივიდა პანჩურთამორტყმაში, ემანდ აზრად არ მოუვიდეს ჩემი ამოპანდურებაც!” – შფოთიანი ფიქრი უბურღავდა ტვინს ბატონ პრეზიდენტს; მის მარჯვე პანდურთამორტყმის მთავარვაზირს გაუღიმა:

– ბარაქალა, ჩემო ჯმუხა, სიჩაუქისა და ერთგულებისთვის ჩემგან ჯილდო გეკუთვნის!.. კარგად გაგვამხიარულე!.. შემდეგი!

– შემდეგი მარდია დარდიმანდაძე!

პანდურთქალაქის მოურავს ფერფური წაუვიდა, თვალები დახუჭა და წელში მოიხარა კიდეც, მაგრამ “ჯილდოს” მოლოდინი არ გაუმართლდა. ჯმუხამ მხოლოდ იდაყვი წაჰკრა და მიკროფონთან მიაგლო:

– დაგავიწყდა, რა უნდა გეთქვას?

მარლია დარდიმანდაძე უცებ გამოცოცხლდა, უბეში მარდად ჩაიყო ხელი, დაკეცილი ქალადლი ამოიღო, გაშალა და წაიკითხა:

– პანდურთქალაქის ღირსეულო მოქალაქენო და მოწვეულო ძვირფასო სტუმრებო! მრავალი და მრავალი თქვენთაგანის დაჟინებული მოთხოვნით, მსურს, გამოვაცხადო პანდურეთის ხალხის ნების ურყევი გადაწყვეტილება: პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა მისი უდიდებულესობა პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა-ბრძენი უნდა გამოცხადდეს ერის მამად, პანდურეთის მუდმივ მმართველად და წინამძღოლად – მარადიულ პრეზიდენტად!.. ვაშა, ამხანაგებო!..

ბატონმა ხონთქარმა მორცხვად დახარა თავი და ამ დროს მის ყურს მიუახლოვა ტუჩები ჯმუხა ხელჯოხნაძემ:

– გთხოვთ, მაპატიოთ, იძულებული ვარ, შეგაწუხოთ – სამწუხაროდ, ცუდი ამბავი უნდა გაუწყობთ: ამ დღესასწაულის დღეს თქვენი უდიდებულესობის, ხალხისა და სახელმწიფოს მტრებს ავი საქმე ჩაუფიქრებიათ... როგორც სანდო წყაროდან ახლახან შემატყობინეს, ქალაქის სატუსალოდან “არწივთა საბუღაროდან” პატიმრები გაქცეულან... ოთხნი... გვირავი გაუთხრიათ... ზემის დასრულებამდე ვერ ბედავდნენ თქვენთვის ამ სამწუხარო მოვლენის მოხსენებას...

პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა, მისი უდიდებულესობა პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი ყოვლთვის მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა, დღენიადაგ სულ იკრიჭებოდა, ახლა კი სახე საავდრო ღრუბელივით მოელუშა (ცაც პანდურთქალაქის თავზე მაშინვე მუქი ღრუბლებით დაიფარა):

– ოთხი ტუსადი გაიქცა? საიდუმლოდ გაყვანილი გვირავით? როგორ მიბედავთ ამის თქმას! ქვეყნის შრომისუნარიანი მამაკაცების თითქმის ნახევარი ხელჯოხნიანთა რაზმებში მსახურობს, მეორე ნახევარი – საიდუმლო მსტოვრებია და მაინც მოახერხეს გაქცევა? – და დაიდრიალა: – დაიჭირეთ!.. გასკვანჩეთ!..

მთელი ქალაქი მძლავრმა მიწისძვრამ შეაზანზარა!..

ცამ ქუხილი დაიწყო!..

ენაჩაგარდნილი ნაზირ-ვაზირნი, მობუზულნი, მისჩერებოდნენ პირთაგან ცეცხლის მფრქვეველ მეუფეს...

მდინარისპირა სალი კლდე ჩამოინგრა და კაი ხნით გადაკეტა მდინარე წვინტლა, დატბორა ქალაქის ნახევარი, მეორე ნახევრის მცხოვრებნი კი გახარებულნი იჭერდნენ ატივტივებულ, თეთრი მუცლებით ზემოთ ამოტრიალებულ, დაყრუბულ თევზებს... მაგრამ შეწვა კი ვეღარ მოასწრეს და ვერც მოხარშვა: პანჩურ-ჩანჩურას მგრგინავი სიტყვა-ბრძანება – “დაიჭირეთ!.. გასკვანჩეთ!” – მშვენივრად გაიგონეს პანდურთქალაქის ყველაზე მიყრუბულ გარეუბნებშიც კი, ასე რომ, შიკრიკ-მაცნეთა დაგზავნა აღარ იყო საჭირო – მაშინვე დაფაცურდნენ ხელჯოხნიანები და გადარჩენილი მოქალაქენი დაჭერილ თევზებიანად წინასწარ არსებული სიების მიხედვით თითქმის ყველანი გაკოჭეს და ბნელ საკნებში მიაბრძანეს. სახლების უმრავლესობისგან განსხვავებით, მედგრად გაუძლეს ბრძენთა ბრძენის ჭექა-ქუხილს პრეზიდენტის სასახლემ, ნაზირ-ვაზირთა ცინე-დარბაზებმა და სატუსალომ – “არწივთა საბუღარმა”, თუმცა ამ უკანასკნელში ხვრელი არსებობდა; ლამაზ ვაშლსაც, მოგესხენებათ, ზოგჯერ ჭია ხვრეტს...

– მთელ პანდურეთში ვაცხადებ საგანგებო მდგომარეობას! ეცნობოს მთელ მოსახლეობას!.. სად არის საზოგადოებასთან ურთიერთკავშირისა და ინფრასტრუქტურის... ჯანდაბა, სად გდია ჩიჩი ფეტვიკენკაძე? – ჯმუხას შეჰყეფა ბატონმა პრეზიდენტმა. – როგორც ააფრინე სახურავზე, ისე მომგვარე ახლავე აქ!.. სხვებიც ყველანი – სასწრაფოდ! ხომ იცი, ჩემი ნერვიულობა დაუშვებელია, შეიძლებოდა ჩემი დატოვება პირადი აქიმის გარეშე?.. ეს დანაშაულია!

ბატონმა პრეზიდენტმა ჯმუხასადმი სულ ცოტა ხნის წინ მიცემული პირობა, ჩემგან ჯილდო გეკუთვნისო, პირნათლად გაანადგო – პანჩურთამორცემის მთავარვაზირს ლაზათიანი პანდური უთავაზა და დიდი სახლის სახურავზე ზუსტად დანიშნულების ადგილზე გააგზავნა.

პასუხად ჯმუხამ მეუფის ბრძანება ასევე პირნათლად შეასრულა: ჯერ პანჩურ-ჩანჩურას პირადი აქიმი ღრუტუნა ღრუბელიძე ამოაპანდურა, შემდეგ – საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი ჩიჩი ფეტვიკენკაძე, ზემ-დღესასწაულთა ვაზირი ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი და ბოლოს – მეჭურჭლეთვაზირი ხრახრა ვირთხაძეც არ დავიწყებია.

ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ბატონი პრეზიდენტი კვლავ დაიბოღმა – პანჩურთამორცემის მთავარვაზირმა ზემოხსენებული ოთხი პიროვნება წითელი ხის ტრიბუნაზე საგანგებო სიმარჯვით ზუსტად იმ ადგილებზე დააბრუნა, სადაც სახურავზე გამგზავრებამდე იდგნენ...

“ჯმუხას რაღაც უნდა მოეუხერხო... – გაიფიქრა ბრძენთა ბრძენმა, – უეჭველად!”

კარი VII. ოთხი გმირი თხრის გვირაბსა!

კაცო, ნაღდი ქართლელი ტეტი ვარ, თან ზანტი, აუჩქარებელი კამბეჩივითა – ძლივ არ მივა-
დექი პირდაპირ გვირაბსა?! წიგნის სათაურად მაინც არ გამომეჭენებინა და!

ცოტა კი მეშინიან, ხომ იცი! ხუმრობაა, თავი შერგო გვირაბშია, ბნელში, კაცო, ჯოჯოხეთი-
ვითა, რო არც იცი, გააღწევ კია ბოლოში! რა ვი, მე კი ვცდი და რა გამოვა ჩემი ნაჯახირევი
რომან-გვირაბიდანა, მე და ჩემი მომთმენი მკითხველი ვნახავთ!

ღიახ, ბატონო, კი მივადექი გვირაბსა, მაგრამა... საიდან დავიწყო, ჰა?

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საოცრად მიყვარს ამგვარი ამბების მოსმენა თუ წაკითხვა; იოლი
საქმე ხომ არ არის გვირაბის გათხრა და გაქცევა! თუ თქვენც თანახმა იქნებით, შევეცდები,
წერილად მოგიყვებო, როგორ მოახერხა ოთხმა კაცმა თამამი გადაწყვეტილების მიღება და მისი
განხორციელება...

ჰო, ჯერ იმას მოგახსენებთ, ის ოთხი გაქცეული ტუსადი ვინ იყო, ვინ ჩაიდინა ესოდენ მოუ-
ლოდნელი და დიდად გამირული საქციელი?

უპირველესად, მახარე უნდა დავახსენო. მართალი მოგახსენოთ, გაქცევაზე გადაწყვეტით
არ უფიქრია. კი, სადღაც გულის სულ შორეულ კუნჭულში, თითქოს კიაფობდა მცირე სხივი თა-
ვისუფლების ნატვრისა... მაგრამ როგორ გაიფიქრებდი გაქცევას, როცა ცხრაკლიტულში იჯექი,
ცხრა მაღალი კედელი გერტყა ირგვლივ და ცხრაჯერ ცხრა წყვილი თვალი დღედაღამ გდარა-
ჯობდა! ჰოდა, უცებ მესამე სართულის თითქმის ბნელი საკნიდან (სარკმლები ამოშენებული
ქქონდა) მოულოდნელად გადაიყვანეს პირველ სართულზე შედარებით მონათლულ დილეგში, სა-
დაც უკვე აღარც მარტოობას გრძნობდა – კიდევ სამი პატიმარი დახვდა იქ: ფილო სოფოსიძე,
გეო დეზისტოქე და რეცი დივისტიძე. ახლა, მართალია, დრო შეუმჩნევლად მიდიოდა, ახალ ნაც-
ნობებთან საუბარში, ხუმრობა-პაექრობებში და, განსაკუთრებით, თავისუფლებაზე ოცნებებში,
მაგრამ, მეორეს მხრივ, მახარეს ხელიც ეშლებოდა პოეტური ფანტაზიების ფრთების გაშლაში, –
საერთოდ, საკანში გამოკეტვა ნაკლებ აწუხებდა, – მისთვის მარტოობა აუცილებელი იყო ახალი
ლექსების თხზვისას.

მეორე გამირთა გამირი, ვინც მოახერხა საგანგებოდ დაცული მკაცრი რეჟიმის ციხიდან თავის
დაღწევა, გახლდათ ფილო სოფოსიძე – მეცნიერ-ფილოსოფოსი, რომელიც დაპატიმრებული იყო
თავისუფალი აზროვნებისთვის და უფრო კი – ამ აზრების თავისუფალი გამოთქმისთვის. ასე,
მაგალითად, იგი დაუფარავად ამბობდა, რომა ჩვენი ძველთა ძველი, – ბოდიში, ბრძენთა ბრძენი,
– პრეზიდენტი დაგვიბერდა, კაცო, ხშირად ავიწყდება, რა თქვა გუშინ და დღეს იმის საწინააღ-
მდეგოს ამბობს, თუმცა, სამართლიანობა მითხროვდა ამის აღნიშვნასაც, რომ ეს თვისება, მრავ-
ალრიცხოვან მოწმეთა ცნობით, ბატონ პრეზიდენტს ბავშვობის დროიდან ახასიათებდა (ტყუი-
ლის უბოდიშოდ თქმას მრავალნი მამებელნი მის განუმეორებელ ჰუმორის გრძნობას მიაწერ-
დნენ); ფილო არც იმას მაღაგდა, რომ ყველას მოგებრდა ხონტქრის დვარძლიანი, დამცინავი
ღიმილი, აღიზიანებდა სრულიად უსაფუძვლო თავდაჯერებულობა საკუთარი პიროვნების შეუც-
ვლელობისა – რომ ის ყველაზე ჭკვიანია, ყველაზე საყვარელია, ყველაზე ზრუნავს: დღეღამ
მხოლოდ ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობს, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიძლიერე და აყვა-
ვება ადარდებს... ყელში ამოუვიდათ მისი ცინიზმი, მისი უნიჭო ტაკიმასხარობა, მისი უფიცობა,
მისი ნარცისიზმი, მისი ყოველად ზღვარგადასული აბუნად აგდება ხალხის მოლოდინისა... მისი
მაღალფარდოვანი, დაუსრულებელი ბაქიაობა, – რომ მისი ხელმძღვანელობით ყველაფერი
ბრწყინვალედაა, პანდურეთი წარმატებას წარმატებაზე აღწევს, – უკვე მართლაც სასაცილოდ
ჟღერს... პანდურეთთ მათი მოსმენა აღარ შეუძლიათ, მწვავე შეურაცხყოფად აღიქვამენ – უამრავი
ადამიანი ჭკუას გადადის, ჭლექიანდება, მომრავლდა გულის შეტევები და ტვინში სისხლის
ჩაქცევები, გაათმაგდა თვითმკვლელობები... სადაც ის გაივლის, ყველგან შხამა და დვარძლი
ამოდის... ხალხში მატულობს ბოღმა, ბრაზი – ჯერ წვეთ-წვეთად გროვდება, მერე – ნაკადულად
იქცევა, ნაკადული – მბორგავ, აღიდებულ მდინარედ, ბოლოს – მშფოთვარე ნიაღვრად გადაიქ-
ცევა... ნუ მოგვატყუებს იღუზია, რომ დრო და მოვლენები თითქოს გაჩერებულია – დღეს თუ
ხვალ ხალხის გულისწყრომა ჯებირს გადმოხეთქავს და ბატონ პრეზიდენტს მის დამქაშებიანად
წაღეკავს...

რა გასაკვირია, რომ სათვალისანი, კაფანდარა ფილოსოფოსი პანდურეთის ყველაზე სახელ-
განთქმულ სატუსაღოში “არწივის საბუდარში” მოხვდა და იძულებული გახდა, ამჯერად თავისი
მაღალი აზრები გაეაზრებინა ფრიად შეზღუდული აუდიტორიისთვის – სამად სამი კაცისთვის;
გულის უწყალებდა მათ მაღალ მატერიებზე და ხელისუფლების დანაშაულობებზე გაუთავებელი
მსჯელობით.

საკნის მესამე ბინადარი, კაკლის საბერტყი ჭოკივით აწოწილი მეცნიერი, გეო დეზისტოქე,
კაცმა არ იცოდა, რატომ და რისთვის მოხვდა სატუსაღოში. დაუდასტურებელი ცნობების მიხედ-
ვით, მისი დაჭერის მიზეზი გახდა ის, რომ, საკუთარ მეცნიერულ ფიქრებში ჩადრმავებულს, პან-
დურეთის პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, რომელიც მიძღვნილი
იყო პანწურ-ჩანწურთმცოდნეობაში მიღწეული ახალი წარმატებების შეჯამებისადმი, რამდენჯერ-
მე დაავიწყდა შესაბამის დროს აწყლოდა მქუხარე ერთსულოვან ტაშისცემას... ცხადია, ესოდენ
გამომწვევი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩა და შესაბამისი დასკვნებიც დაუყონებლივ იქნა
გამოტანილი – გულმაგიწყობის და დანაშაულებრივი გულგრილობის მეურნალობისთვის გამოა-

პანდურეს პირდაპირ ციხის მიმართულებით... სხვაგვარადაც ამბობდნენ: თითქოს გეო დეზისტები იმიტომ დაისაჯა, რომ მეტისმეტად მაღალი იყო, ყველას ზემოდან დაჰყურებდა; მრავალს ეს დიდად არ ეხატებოდა გულზე და, რაც მთავარია, პანდურის ამოსარტყმელად მეტად მოუხერხებელი იყო... ოდნავ ჩაჯდომაზე ან ნახევრადმოხრილი ფეხებით სიარულზე კი ვერაფრით დაითანხმეს – არ მჩვევია სხვის ჭკუაზე სიარული და არც სხვა მხრივ გაგუწევ ანგარიშს სულელურ მოთხოვნებს და თუგინდ – თხოვნებსაც...

საკანში მეოთხე ტუსადი გახლდათ რეცი დივისტიძე – “ძველი ბიჭი”, რომელსაც უკვე ცხოვრების მეტი წელი 20 წელი! – ციხეებში ჰქონდა გატარებული, თუმცა თვითონ ჯერ 40 წლისაც არ იყო. გარეგნობით მაიმუნს ჰგავდა: დაბალი იყო, გამხდარი; მის ერთიანად გაბანჯგვლულ სახეს ამშვენებდა წვრილი, ცოცხალი თვალები. საკანში თავს ისე გრძობდა, როგორც თევზი წყალში – თითქოს შინ იყო, ციხის ადათ-წესები ზეპირად იცოდა, დიდად დაოსტატებული იყო ათასგვარ მამაპაღლობაში; იცნობდა ციხის ყველა დიდ-პატარა თანამშრომელს, ზედამხედველები ხომ თითქმის ყველანი მისი ძმაკაცები იყვნენ. გამოუღვლეად ჰქონდა ფული, თამბაქო, არაყი, რომლებსაც ხელგაშლით სთავაზობდა დანარჩენ სამსაც, თუმცა ისინი არ ეწეოდნენ და არც სასმელზე გიჟდებოდნენ მაინცდამაინც. სამაგიეროდ, სამივეს რაღაც მანქანებით უშოვა მათთვის საინტერესო წიგნები წასაკითხად, ასევე – ქაღალდი და ფანქრებიც კი... ძალიან ემაღლიერებოდნენ – მართლაც კარგი ბიჭი იყო!...

თუ დანარჩენებს დროდარო ერთმანეთში მეცნიერულსა თუ საზოგადო საკითხებზე ცხარე კამათიც მოუვიდოდათ, – განსაკუთრებით, ფილოსა და გეოს, – რეცი არასდროს ჩაეროდა; ანდა, რა უნდა ეთქვა, წერა-კითხვა ძლივს იცოდა; სამაგიეროდ, ყველას ყოველთვის ყურადღებით უსმენდა, მეცნიერთაგან განსხვავებით – ისინი პაექრობისას ერთმანეთს ნაკლებ უსმენდნენ, თავისას მიერეკებოდნენ...

რეციმ პირველმა ჩამოაგდო სიტყვა ციხიდან თავის დადწევაზე. დიდხანს ბჭობდნენ და, ბოლოს, რეციმ ყველანი დაარწმუნა, რომ თავის შველის ერთადერთი გზა გვირაბის გაყვანა იყო. მისივე საოცარი მოხერხებულობის წყალობით საკანში მოხვდა პანდურთქალაქის იმ უბნის დაწვრილებითი რუკა, სადაც ციხე იდგა.

გეოს არ გასჭირვებია გვირაბის ყველაზე მოხერხებული გზის დასახვა-გაანგარიშება: რა მოცულობის სამუშაოები იყო ჩასატარებელი და დაახლოებით რამდენ დროს დაიჭერდა; ისიც კი დათქვას, ვის საით უნდა გაეწია თავისუფლების მოპოვების შემდგომ – მეტი რა საქმე ჰქონდათ!

რა თქმა უნდა, საოცნებო შედეგზე სერიოზულად არავინ ფიქრობდა – თავს იქცევდნენ სასიამოვნო თემაზე საუბრებით – ეს ყველაფერი უფრო ლამაზ ზღაპარს ჰგავდა... მაგრამ ერთი მათგანი, რეცი, არ დაკმაყოფილებულა მარტოდენ თეორიული მსჯელობითა და თავისუფლებაზე ოცნების რაშით ჰაერში წარმოსახვითი ფრენა-ნავარდით – თანდათან საქმის მატარებელი პრაქტიკულ რელსებზე შეაყენა და წინ-წინ დაძრა კიდევ, თანდათანობით დაძლია დანარჩენთა უიმედო განწყობა და მათ ყოველ კითხვას სათანადოდ დასაბუთებულ პრაქტიკულ პასუხსაც სცემდა: სად ვიშოვოთ სატყეები? ვედრო? წერაქვი? სანთლები? გამოთხრილი მიწა სად გადავყაროთ? გვირაბი რით გავამაგროთ ჩამოქცევისგან? რა თანმიმდევრობით ვიმუშაოთ და როგორი სიფრთხილის ზომები დავიცვათ, რომ ზედამხედველებმა ვერაფერი შეამჩნიონ?

რეციმ ნელ-ნელა ყველა საკითხი მოაგვარა და მანძილის გასაზომად კვანძებიანი თოკიც კი იშოვა.

– რეცი, შე მართლა ძველო, რა მაგარი ხარ! – უკვირდა მახარეს. – ჩვენ შარვლის დასამაგრებელი ქამარიც კი არ გეჭონდა!

– ეს ჩემი მეოთხე გაქცევა იქნება! – ამაყად პასუხობდა რეცი.

– ეს თოკი მერე თან წავიღოთ, პანჩურ-ჩანჩურას ხეზე ფეხებით ჩამოვკიდებთ!

გეო კი წარმატებით წყვეტდა სხვა საკითხებს: როგორ გააკონტროლონ გვირაბის გაყვანის სწორი მიმართულება და ზუსტად გაზომონ მანძილი? სულ რამდენი მეტრის გათხრა მოუწევთ?

– ჩემი ანგარიშით, სულ დაგვჭირდება 63 მეტრის გაყვანა, ამას დავმატებ გვირაბში ჩასაძრომი შვეული ჭაური: სამნახევარი მეტრის სიღრმისა – აქ და ამოსაძრომი შვეული ჭაური – დაახლოებით ორნახევარი მეტრი – იქ, გვირაბის მეორე ბოლოში.

რამდენიმე დღის განმავლობაში ყველას მეტრები ეკერა პირზე, გეგონებოდა, ართმეტიკის გაკვეთილს ამზადებენ ამხელა ბიძიებით: “აქედან ციხის კედლამდე... ციხის კედლიდან კიდევ ამდენი და ამდენი... სულ...” მერე გეომეტრიაზე გადავიდნენ და აქ კი მხოლოდ გეო იძლეოდა პასუხებს.

– თავიდანვე დახრილი გვირაბი უნდა გავიყვანოთ – ზუსტად ათგრადუსიანი ქანობით, რადგან ციხის ტერიტორია საგრძნობლად მაღლაა ქუჩასთან შედარებით...

– თარაზული გვირაბის გაყვანა უფრო ადვილი არაა?

– მაშინ ალბათ შუა ქუჩაში გავალოთ – მიწის ზედაპირზე... ვიფიქროთ, ვიანგარიშოთ, იქნებ ასეც სჯობდეს? ამ შემთხვევაში ბევრად ნაკლები სიგრძის გვირაბის გაყვანა დაგვჭირდება, ოღონდ უადრესი სიზუსტით უნდა დავგეგმოთ ბოლო რამდენიმე მეტრის გაყვანის დრო – ღამე უნდა გავიდეთ ზედაპირზე და შორს წასვლაც მოვასწროთ... გვირაბს პატარა დახრა მაინც უნდა მიეცეს – იქნებ საიდანმე წყალმა გამოჟონოს და არ დაგვახრჩოს წრუწუნებით...

მერე საქმეზე გადავიდნენ.

ჯერ ქველა საწოლიდან, სადაც რეცი იწვა (საკანში ორსართულიანი საწოლები იდგა) გვერდით კედელში ნელ-ნელა გამოანგრიეს გასაძრომი – ღამდამობით ბურღით ხვრეტდნენ – და გვიდნენ მიტოვებულ საკუჭნაოში. შემდგომ საკუჭნაოს კუთხეში იატაკი ამოანგრიეს და შევეულად ჭა ამოთხარეს ზუსტად სამნახევარი მეტრის სიღრმისა, იქიდან კი ნელ-ნელა გვირაბის გაყვანაც დაიწყეს ციხის გაღავნის მიმართულებით.

ღლისით ჭის თავს ძველმანებს აფარებდნენ, საკნის კედელში ნახვრეტს კი რეცის სასთუმალთან აკრავდნენ კედლის კალენდარს, რომელსაც ამშვენებდა პანდურთამორტყმის მთავარგახიროს ბატონ ჯმუხა ხელჯოხაძის მშვენიერი ფერადი ფოტოპორტრეტი.

– ბელი გქონია, შედარებით ახლოს არის ჩვენი საკანი ციხის გაღავანთან! – უხაროდა გეოს. – პირდაპირ ჯმუხა ხელჯოხაძის პირადი დაცვის უფროსის პირადი შოფრის კუთვნილ კერძო სახლის ეზოში ამოვყოფთ თავს, იქ არავინ დაგვიწყებს ძებნას!

– ნელა მივიწვევთ წინ, სამი თვე მაინც დაგვიჭირდება, მანამდე კი ნაღდად გაგვიგებენ, მაშინვე დაგვიჭერენ... – წუწუნებდა ფილო.

– აფსუს, ჯმუხა არ გეყავს აქ, ერთი ამოპანდურებით თავისუფლად გადაგვაფრენდა ალიბაბას ქუჩაზე! – ხუმრობას არ იშლიდა მახარე.

კარი VIII. გვირაბი ბნელი ადგილია...

გვირაბში ორ-ორნი წყვილად მუშაობდნენ, მეტი ვერ დაეტეოდა. ერთი რომ მიწას თხრიდა, მეორე მონათხარს ვედროში ჰყრიდა და შევეულ ჭამდე მიჰქონდა; იქ კი მესამე იდგა და თოკით ვედრო ზევით ამოჰქონდა. ყოველ საათში მომუშავენი ადგილს იცვლიდნენ, ერთ-ერთი მათგანი დასასვენებლად საკანში ბრუნდებოდა, მის ადგილს კი იქ მყოფი დამკვირვებელი იკავებდა. მოთხრილი მიწას ნელ-ნელა დიდ ვედროში ჰყრიდნენ, რომელიც ღამის ქოთნის მაგივრობას სწევდა და ყოველ დილა-საღამოს საკანიდან გაჰქონდათ გადმოსაცლელად. მეოთხე ტუსადი საკანში რჩებოდა საღარაჯოდ. ისე მოხდა, რომ გვირაბში მუშაობა მუდმივ წყვილებს არ უნდებოდათ. თუ გეო და ფილო იყვნენ ერთად, გვირაბი წინ შედარებით ნელა წაიწვევდა, რადგან მეტი დრო მათ მეტნიერულ საუბრებსა და კამათს ხმარდებოდა.

ფილო. თურმე დედამიწაზე არის ადგილი, სადაც საათი ჩერდება, დრო იყინება და უკანაც კი მიდის!..

გეო. ჰო, ეს არის გვირაბი! აქ მარადი ღამეა და მარადი სიჩუმე, დროის მდინარეებს ვერ შეიგრძნობ.

ფილო. იგივე შეიძლება ითქვას პანდურეთზეც, ხომ კი? პარადოქსი არ არის განა, რომ თავისუფლები მხოლოდ ციხეში ვართ – რასაც გვინდა, იმას ვლამაპარაკობთ და რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ, ახლა მაინც... მართალს ვამბობ: მე პანდურელი ვარ და ხუმრობა არ მიყვარს! იქნებ მიყვარს კიდევ, მაგრამ გადამაჩვიეს.

გეო. მთლად ვერ დაგეთანხმები – დრო პანდურეთში მართლაც თითქოს გაიყინა, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, დრო მხოლოდ მცონარისთვის, უსაქმურისთვის არის გაჩერებული. აი ახლა, ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ და ეს საუკეთესო საშუალებაა, რომ ებრძოლო ტვინის გამყინვარების პერიოდს... თუნდაც ჩვენი ჩირთიფირთობიდან არაფერი გამოვიდეს, მაინც ღირს ცდად – ქმედებას, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი... გაავსე ვედრო? ჰო, დროულად გაიტანე, ასე მეტი აზრი ექნება! იქ მახარე დაგხვდება, ალბათ შენს ცდაში ახალი კაფია გამოაცხხო და წამოიძვანე!

როცა გვირაბში მახარე და რეცი მუშაობდნენ, მათ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი იმართებოდა.

რეცი. ბიჯო, მახარე, შენ აქ ახლა რა გინდა, შინ უნდა იჯდე, მაგიდასთან, და ლექსებს წერდე, ოღონდ გიჯობს, მთავრობას არ ამასხარავებდე.

მახარე. მაგიდასთან ლექსი არ იწერება; იქნებ ვინმე სხვა წერს, მე – არა.

რეცი. მაშ როგორა? დადიხარ და წერ? ან ხინკალს მიირთმევ და მეორე ხელში კალამი გიჭირავს?

მახარე. ზოგჯერ... შესაძლოა, დიდ ქორწილში სუფრასთან ვიჯდე, გარშემო ასი კაცი ყაყანებდეს და მე მაინც მარტო ვიყო და ამ დროს სულ სხვა რამეზე ვფიქრობდე, მოულოდნელად მოფრენილი ფრთიანი სტრიქონი მესტუმროს... თუ იმ წუთში არ ჩავიწერე, შემდგომში, შესაძლოა, ვეღარ გავიხსენო და მომავალი ლექსი არ დაიბადოს, დამეკარგოს.

რეცი. როგორა, კაცო, ქაღალდის ფურცელს იღებ და ზედა წერ? ქორწილში, კაცო? გიჟად არ ჩაგთვლიან?

მახარე. ჰო, ასეც ხდება... ოღონდ ფურცელზე კი არა, უბის წიგნაკი ყოველთვის თან დამაქვს და ფანქრის მონარჩენი პატარა. სულ რამდენიმე სიტყვის ჩაწერა მჭირდება; ეს არის მარცვალი, რომელიც შემდგომ გაღვივდება, გაიზრდება და შესაძლოა, ნაზ, ღამაზ ყვავილად იქცეს ან კელიან ბუჩქად...

რეცი. ეგ ყველაზე უკეთ გეხერხება...

მანარე. ...ან მძლავრ მოშრიალე ხედ...

რეცი. რა ხედ, რას ამბობ, კაცო! სიტყვიდან ხე როგო გაიზრდება?!

მანარე. აი ეგრე! ნაზი ყვაილი – ლირიკული ლექსია, მსუსხავი ჭინჭარი – სალადობო, საქილიკო ლექსი; შეიძლება, მაღალი, გაბარჯღული მუხაც გაიზარდოს – ეს უკვე პოემა იქნება და მის ზრდა-დავაჟკაცებას დიდი დრო დასჭირდება – რამდენიმე თვე ან წელიც.

რეცი. პოემა რა არი? შენა, მისმინე, რაღაცას ხომ არ მატყუებ? სიტყვიდან ბალახი როგო გაიზრდება, კაცო, ან ხე...

მანარე. რატომ უნდა მოგატყუო, პანურ-ჩანურა კი არ ვარ.

რეცი. რაღაცას მაინც მიმალაგ... მაშ შენა რაღაცას იწერ... ის უბის წიგნაკი სადა გაქვს ხოლმე შენახული?

მანარე. ახლა არ მაქვს, დაპატიმრებისას დავმაღე, შენს მიერ მოცემულ ფურცლებზე გწერ, პატარა რვეულად შევკარი.

რეცი. წამაკითხე, რა იქნება!.. ჰო, მე წერა-კითხვა კი არ მისწავლია, შენ ვერ წამაკითხავ?

მანარე. კი, ბატონო, მაგრამ რად გინდა, მაინც ვერაფერს გაიგებ.

რეცი. როგორ, შენ გაიგებ და მე ვერა?

მანარე. სწორედ ეგრეა. ნუ გეწყინება, მხოლოდ შენ კი არა, ვერც ვერაგინ, მხოლოდ ჩემთვისაა ის სიტყვები ფასეული, მათში მხოლოდ მარცვალა ჩადებული, მინიშნება იდეისა, გაიგე?

რეცი. გაიგე, როგო ვერ გაიგე – იქ შენ დაფარულად გაქვს ნაწერი, რომ სხვა ვერაგინ მიხვდეს...

მანარე. არა, არა, სულ სხვაგვარადაა საქმე...

რეცი. კარგი, კარგი, თუ არ გინდა მითხრა...

მანარე. კი არ ვფარავ რამეს, არც ახსნა მეზარება, მაგრამ, გულახდილად გეტყვი, შენთვის მოსაწყენი იქნება, გაუგებარი...

რეცი. ახლა ცოტა მოწყენილი ვარ – შენისთანებთან პირველად ვზივარ; ვერც ყომარს გააგორებ თქვენთან, ბანქოც კი არ გაქვთ... მინდა, ცოტა გავნათლდე, გამიგე? წამაკითხე შენი ნაწერები!

მანარე. ხომ გითხარი, კაცო, იქ მეტწილად ჩემთვის გასაგები და ფასეული მინიშნებებია, შენ უაზრობად მოგეჩვენება. რამდენიმე მეტ-ნაკლებად დამთავრებულიც არის, მაგრამ შენ ხომ მითხარი, მთავრობას ნუ შეეხებიო... ნუ გეწყინება, მე ახლა წავალ და თან ამ ვედროს წავიღებ, ჩემს შემცველად კი გეოს გამოვავზავნი. აბა, არ მოიწყინო, განაგრძე მუშაობა.

მანარე გვირაბში ჩასაძრომი ჭის თავზე დარჩა, მანამდე იქ მყოფი გეო კი რეცის შეუერთდა გვირაბის სათხრელად, თან ცარიელი ვედროც მიიტანა.

რეცი. ოჰ, ჩვენი ძმა – პირის ზიარება, დიდი მეცნიერის მობრძანებას გაუმარჯოს! ძაან კი გაგიჭირდა, ორმეტრიანი კაცი სულ ფორთხვით მოხვედი, სამაგიეროდ, აქ ვაჟკაციური საქმე გელის – აჰა, ეს წერაქვი დაიჭი, მოგიხდება!.. მე კი ნუ მიყურებ, მეცნიერულად დაჰკარ, მაგრა, მაგრა, ნუ ინახები; მერე აი ამ ვედროში ჩამიყარე და მე კიდენა პატივს დაგდე, – შენ გიჭირს გვირაბში ძრომიალი, – წავიღებ მანარესთანა, ყაბულსა ხარ?

გეო. შენა ძმაო, უფრო გიხდება წერაქვიცა და სატეხიც – ხელებით ოსტატურ მუშაობას ხარ მიჩვეული, მე კი თავით ვმუშაობ და, თუ გინდა, მიგითითებ, საით და როგორ უნდა დაჰკარ, რომ ძალ-ღონის ნაკლები დანახარჯით მეტი შედეგი მიიღო, თან სწორი მიმართულებაც ხომ უნდა განვსაზღვრო...

რეცი. სიცილით არ მომკლა, ბიჭო! რას მერჩი, ხომ იცი, პანდურეთში გაღიმებაც კი საშიშია! ჩემი ბედი, ისეთ ადგილას ვართ, მხოლოდ ალქაჯები და თხუნელები გვისმენენ. შენა, ჭირიმე, დიდი მეცნიერი ბრძანდები და მეცნიერულადა მსჯელობ, მაგაში როგორ დაგეტოლები, მაგრამა ისიც გაითვალისწინე, რომა აქა მეცნიერებათა აკადემია არ გახლავს, იქაური წესები დაივიწყე, ჭირიმე, დროებით მაინცა. არც იქ იქცეოდი ჭკვიანადა, თორემ აქ არ მოხვდებოდი... აქა სხვა კანონებია, შენი ტვინი არავის არაფერში არგია, დამიჯერე და მოგებული დარჩები.

გეო. მაშ გვირაბის გაყვანის გეგმა ვინ შეადგინა?

რეცი. რა მაგარი ხარ, ჭირიმე!.. უჩემოდ შენი გეგმა მხოლოდ ბებიაშენს გამოადგება ფეხსაღაგში, გაიგე? ამ საქმეში მე პროფესორი ვარ, შენ ქაღალდზე ჩხაპნი რაღაცასა, მე კიდენა სამჯერა მაქვს გათხრილი ამაზე დიდი გვირაბებიცა, აი, ამ ხელებითა, ჭირიმე! აქა ძალაუნებურად სულ წახრილი ხარ და გირჩევიან, საქმეს მიხედო, თუ არ გინდა, პანდური გიწყალობო, გაიგე? ჰოდა ლაილაის მორჩი და დროზე მოკიდე ხელი ამ წერაქვსა, მონატრე ხომ იცი! ჯანზე მოდი, თან გიხდება, ლამაზად იქნე, ჩემმა მზემ!.. აქა, ჭირიმე, ხომ იცი, ყველას ერთი თანამდებობა გვიბოძეს: საკანში – პატიმრები ვართ, აქა კიდენა – მიწის მთხრელებიცა, გაიგე? იქ თუ დიდი მეცნიერი იყავი, ახლა დიდი წერაქვის მომქნევი უნდა გახდე. უქმ ლაყობას საკანშიაც მოესწრები, სუ ხელებზე ნუ იყურები, ნუ გეშინია, ეგ წყლულები მაღე გაგიგლის, კანიც გაგიუხეშდება კამეჩის ტყავითა...

გეო. შენ კიდევ სული გაქვს კამეჩის ტყავზე უხეში. აჰა, წაიღე, გაიგოს ვედრო, ცოტა ხანს ამომასუნთქე და დამასვენე შენი ლაქლაქისგან.

რეცი. შენ რო ესეც არ გეხერხება?

გეო. ჰო, დიდი ბედენაა ცარიელი ლაყობა, მაგაში დახელოვნებული ხარ.
რეცი. მა რა გეგონა, სხვას რას ელოდი? პანდურეთში ვარ გაზრდილი!
გეო. მეც აქ დავიბადე, მაგრამ ავაზაკი არ გამოვსულვარ...
რეცი. მა აქ ჩემთან ერთად რად ატარებ მხიარულად დროსა?
გეო. ისე მხიარულად, რომ მეტი არ იქნება... გამომართვი წერაქვი, ოფლად გავისვითქე და ჩემს ტანჯვას შენი ლაქლაქი კიდევ ცეცხლს უნთებს!
რეცი. ძაან აზიზი ბრძანდები და რა ჩემი ბრალია. წუწუნს მოუკელი და წერაქვის ქნევას მოუმატე! მე თითქმის ორნახევარი საათია, აქა ვარ, შენ ნახევარი საათიც ვერ უნდა გაძლო? შენ რა, ფარშევანგის კვერცხიდან ხარ გამოჩეკილი? რაღა შენ და რაღა მახარე – ისიც კაი ჩიტია!
გეო. ეგრე რატომ ლაპარაკობ, რად არის ჩიტი?
რეცი. მა რა არი!
გეო. კაცია და ნამუსის ქუდი ხურავს, შენ კი არა გგავს.
რეცი. არა თქვა ახლა, წმინდა წყლისააო! და კაიკაცობითვინ ჩასვეს აქა!..
გეო. ღიანაც ეგრეა. ქურდ-ბაცაცებთან საქმე არასდროს ჰქონია.
რეცი. არც ხალხის მტრებთანა?
გეო. ვის უწოდებ შენ ხალხის მტრებს?
რეცი. რა ვი, შენ უფრო გეცოდინება.
გეო. ღიან მშვენივრად ვიცი, გინდა, ჩამოვითვალო?
რეცი. ჰო, მე უწიგნური კაცი ვარ, ციხისა და სხვისი ჯიბეების მეტი არაფერი მინახია, მაღლი მოისხი, განმანათლე, ჭირიმე.
გეო. რა გითხრა, აბა, ხალხის მტრები ბევრნი არიან, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მეტად მომრავლდნენ... შენ როგორ მიგაჩნია, ვინც სხვის ნაოფლარს ითვისებს, არის ხალხის მტერი? ან ტყუილუბრალად რომ ჩამწყვედევს საპყრობილეში სიმათლის მთქმელ ადამიანს...
რეცი. შენ მართლა დასაჭერი ყოფილხარ... გესუმრე, კაცო, გესუმრე, ჰა-ჰა-ჰა!.. აქ მაინც გავიცინოთ გემრიელად!.. მახარეც ეგრე ფიქრობს?
გეო. მახარე რასაცა ფიქრობს, ჯობს, მას ჰკითხო. წაიდე ეს ვედრო და წადი, ორმაგად ნუ მამუშავებ: ეს მძიმე წერაქვი და შენი ცარიელი თავი ძნელი ასატანია! დანარჩენს საკანში გაგანათლებენ, ერთ ჯერზე ხომ არ გინდა, უნივერსიტეტის სრული კურსი გაიარო! გაიარე, გაიარე!
რეცი. ახლა მახარე რომ მოგივა ჩემ მაგივრად, ქაქანი მაშინა ნახე! მოგენატრები კიდევცა!..
გეო. შენზეა ნათქვამი, საცერს წყლით ვერ აავსებო – ბრიყვი ბრიყვად დარჩება. მახარესთან დღედაღამ შემიძლია ვისაუბრო და არ მომწყინდება, იმას ედრები? წადი დროზე! თუ მომენატრები, იქ არ იქნები, საძრომის თავზე? მიწიან ვედროს მოგაწვდი, სამაგიეროდ, შენს ბრძნულ აზრებს მოვისმენ, მახარეს ფუჭსიტყვაობისგან დავისვენებ!
რეცი. მასხარა თავი გაბია!
 შემცვლელად მოსულმა მახარემ გეოს პირველად ეს ჰკითხა:
მახარე. ცოცხალი გადარჩი?
გეო. ძალიან გამიჭირდა! ციხეში იჯდე და კიდევ სულ რეცი გყავდეს გვერდით? მეტისმეტი სასჯელია...
მახარე. ახლა ყველაზე კარგი დროა, ჩვენც ვისვენებთ მისგან და ფილოც.
გეო. არასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, სრულიად განსხვავებულში. თითქოს მეც შევიცვალე...
მახარე. ყველაფერი იცვლება ამქვეყნად, მხოლოდ რეცის არ ეშველება არაფერი და, რა თქმა უნდა, ჩანჩურ-პანჩურას – კუზიანს სამარე გაასწორებსო. შენში რა შეიცვალა?
გეო. შიში მაქვს ნაკლები. წინათ მარად მთრგუნავდა ათასგვარი საწუხარი: რა ეშველება ქვეყანას? ხომ არ გადაჯიშდება და მოისპობა ხალხი? რით გამოვკვებო ჩემი ცოლ-შვილი? ახლა რატომღაც იმდენად აღარ მეშინია. თუკი პანჩურ-ჩანჩურას ჩემი შეეშინდა და ციხეში ჩამსვა, კარგად ყოფილა მისი საქმე! ზეიმ-დღესასწაულების აურზაურებით სურთ დაფარონ საკუთარი უძლურება და უუნარობა, ამიტომ იმედი გამიჩნდა. შენ და ფილოს რომ კაცი საციხედ გაიმეტებს, იმას სხვა აღარაფერი სჭირდება, მხოლოდ შიშიც მოუღებს ბოლოს.
მახარე. თუ მანამდე ბოლომდე არ დააქცია ქვეყანა...
გეო. არა, დამიჯერე, მარადიული წყვდიადის მეუფება შეუძლებელია – ქვეყანა გვირავი კი არ არის!
მახარე. შენს პირს შაქარი! რას ოცნებობ, რას აპირებ, თუ აქედან გაგადწიეთ?
გეო. რას მიქვია – თუ გავადწიეთ? საქმეს თუ დაიწყებ, მისი ბოლომდე კეთილად მიყვანის რწმენაც უნდა გქონდეს. საოცნებო ბევრი რამ მაქვს, უპირველესი კი, რა თქმა უნდა, პანჩურ-ჩანჩურასა და მისი ხროვის ამოპანდურება – მაშინ ვიქნები ბედნიერი! პანჩურ-ჩანჩურა კი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა სხვათა უბედურებას ხედავს, გადაჰკიდებს ადამიანებს ერთმანეთს, ათამაშებს მათ თოჯინებივით – პოლიტიკური მანიპულაციების ოსტატია; ამიტომ ყოველთვის ამწვავებს სიტუაციას, ხალხს არ ამოასუნთქებს – მას იზიდავს ხალხის მოთმინების გამოცდა ტანჯვით, წიკაზე მიყვანა დაძაბულობისა – ბალანსირება საშიშროების ზღვართან, როცა აფეთ-

ქებაა მოსალოდნელი... საოცარ გულგრილობასა და გულქვაობას იჩენს უბრალო, პატიოსანი, მშრომელი, დაბეჩავებული და გატანჯული ადამიანების მდგომარეობის მიმართ...

მახარე. ძალიან, ძალიან მიკვირს, ხომ იცი, რომ ასეთი ვინმე არსებობს და მასაც ადამიანი ჰქვია... შეიძლება, პანჩურ-ჩანჩურა ადამიანად ჩავთვალოთ? ხატოვნად რომ ვთქვათ, დააარსა საზოგადოებრივი ფონდი “ტირანია და დაქცევა”; მძარცველებს, ყაჩაღებს, მკვლელებს, გამომძალდელებს, ადამიანთა გამტაცებლებს – გმირებს უწოდებს, აჯილდოებს მათ ორდენებით, ირჩევს მეჯლისში, უბოძებს ვაზირის სახელოს... სამაგიეროდ, პატიოსან მშრომელებს სულს ხდის შიმშილით, სიცივით თოშავს, ტყუილებით ბერავს, დაპირებებებით აცუცურაკებს, დემაგოგიით აყუყუჩებს, აძაბუნებს ნერვიული სტრესით, უიმედობის განცდით... ჩვენთან პატიოსანი ადამიანის ხვედრია უმუშევრობა, უფულობა, მათხოვრობა, თვითმკვლელობა, ფსიქიკური აშლილობა, ხელჯონიანთა მხრივ დარბევა, უსულგულობა და აბუნად აგდება, უსამართლობა და სისასტიკე...

გეო. აქ ვინ არის ნეტავ ქვესკნელის მეუფე? ისიც რომ განგვირისხდეს?

მახარე. ცრურწმენისა გჯერა?

გეო. არა, თითქოს არა, მაგრამ მაინც... სადღაც შიში თუ შფოთვა დაბუდებულია ქვეცნობიერად... გონება ცხადად მკარნახობს ერთს, გრძნობა კი უფრო ფრთხილია, მშიშარაა და ეხვეწება ქვესკნელის ღმერთს თუ გამგებელს: “არსებაე ყოველის შემძლეე, კეთილად დაგვასრულებინე ეს ჩვენი დაწყებული საქმე! არ განგვირისხდე, რომ დაგირღვიეთ მყუდროება, შენი მოწყალე კალთა გადაგვაფარე, დაგვიცავი ყოველი ხიფათისგან!”

მახარე. შა-შა-შა! ახლა არ მიმტკიცებდი, ამ ბოლო ხანს შიში მიქრებაო?!

გეო დიახ, მაგრამ... რა იცი... გვირაბი ბნელი ადგილია, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მახარე. შეიძლება, მოჩვენებაც გამოგვეცხადოს?

გეო. მიწისქვეშეთში ირეალური სამყაროა, უჩვეულო გარემოა, მოწყვეტილია ჩვენს ჩვეულ წარმოდგენებს; არ გამიკვირდება, თუ მართლა მოხდება რაიმე სასწაული – გამოგვეცხადება ჭინკა ან კუდიანი რაღაც საშინელება...

მახარე. შეიძლება, მოჩვენებაც გამოგვეცხადოს?

გეო. კარგი რა!

მახარე. გრძელნაწნავიანი ალი რომ გადმოგისტეს უცებ და გაშლილი ვარდივით ტუჩები მაცდურად მოგიშვიროს, რას შერები?

გეო. ნაწნავს მოგჭრი და შემეშვება!

მახარე. მაკრატელი?

გეო. მაკრატელი შინ დამრჩა, რაღა მეშველება!

მახარე. არა უშავს, სინათლისაც ეშინია, სანთელი ხომ გვინთია?

გეო. ისე კი კარგი სანახავი იქნებოდა მოცეკვავე აღის ნახვა...

მახარე. გეტყობა, კაი ხანს ზიხარ ციხეში, ქალს სიზმარში თუ ნახულობ.

გეო. რა დროს ქალებზე საუბარია, წერაქვი რაღაც თეთრს გამოედო... ნახე, ძვლებია, ამ სიღრმეზე საფლავს რა უნდა?

მახარე. იქნებ ჩვენსავით ვიღაც გვირაბს თხრიდა და უცებ... მიწა ჩამოიქცა!

გეო. ხომ გითხარი, გვირაბი ბნელი ადგილია და აქ რა არ ხდება. გვირაბის გაყვანა და გამგრება რეციზე ათჯერ უკეთ ვიცი, მაგრამ... ჩვენც რომ ანაზღად დავიმარხოთ? და გავალთ გაღმა მხარეს წალკოტსა ყვაგილოვანსა...

მახარე. რა გამახარე! იქ ტურფა მოცეკვავე ასულთა ხილვით დაგტკებთ!

გეო. მოიცა, კაცო, ასული კი არა, ჩონჩხი წამოდგა და ცეკვავს!..

მახარე. არ გამაგიჟო!..

კარი IX. ვინ არის ეს მხიარული ჩონჩხა?

მახარე. ჩონჩხი?.. ცეკვავს?.. საწყალი, ვინ იცის, რამდენი წელი იძულებული იყო, გაუნძრევლად წოლილიყო; ახლა, ხედავ, წამოხტა და დაგლურს უვლის! დაბალი გვირაბია, თორემ წელშიც გაიმართებოდა.

გეო. რა ახარებს, ნეტავი, რა ცეკვა-თამაში აუტყდა?

მახარე. მაშ რა იქნება – გაგანთავისუფლეთ! ჩონჩხებსაც კი უხარიათ თავისუფლება!

გეო. მერე, ჩვენ რომ შეგვაშინა?

მახარე. არა, კაცო, პანჩურ-ჩანჩურამ ისეთი ჭირი და უბედურება დაგვმართა, იმდენი საშინელება გვიჩვენა, რომ ჩვენ აწი რა შეგვაშინებს! შეხედე, შეხედე!.. კისერზე რაღაც მრგვალი გულქანდა აქვს ჩამოკიდებული ლალის მბრწყინავი თვალით! რა მშვენიერია!

გეო. ოქროს ძეწკვით! გულქანდაც ოქროსი ჩანს.

მახარე. ეტყობა, ავგაროზია ან სამახსოვრო რამ...

გეო. თილისმამ მაინც ვერ უშველა...

მახარე. ეგ ავგაროზი გასახსნელი ჩანს, ნეტავ შიგნით რა დევს? იქნებ წერილია, მის ამბავს შევიტყობდით.

გეო. ხომ არ გამოვართვათ?

მახარე. გაჩერდი, კაცო, ხომ ხედავ არ განებებს! შეეშვი, სანამ კარგ ხასიათზეა!

გეო. თავს აქეთ-იქით აქნევს, რაღაცის თქმა ხომ არ უნდა?

მახარე. სამწუხაროდ, ხმას ვერ იღებს, ცეკვის რიტმული ნახაზი კი რა მშვენივრად გამოჰყავს ჩონჩხის ჩხარაჩხურით!.. მიდი, ჯიგარო, ტაშ-ტაშ!..

გეო. ჩვენც ხომ არ გვეცეკვა? მართლაც მშვენიერი ადგილია – ხალგათობაა, გაშალე ხელე-ბი, გაუსვი და გამოუსვი ფეხები! დროც შესაფერისია – ღამის სამი საათი მაინც იქნება... შენ მაგრად გააფრინე, აი!..

მახარე. კარგი ერთი, ნუ ბუზღუნებ! ვინ იცის, რამდენ ხანს იყო მარტო, ახლა უხარია და გვეთამაშება, მურაზი არ უნდა გაუსწორო?.. ტაშ-ტაშ!.. გავალთ მერე ამ ციხიდან და ვიტრახბა-ნებთ – თითქოს საიქიოს ვიყავით, ჩონჩხთან ვიცეკვეთ!

გეო. იმდენი ვილაპარაკეთ მოჩვენებებზე, აღქაჯებზე და უწმინდურ სულებზე, რომ – აჰა! – ჯიღდოც მივიღეთ – ჩონჩხა!.. ჩონჩხაგ, გამარჯობა შენი! როგორ ვიკითხოთ თქვენი ბრწყინვალე-ბა, ხომ კარგად?

მახარე. სახელიც დაანათლე? ნეტავ რა სახელი ერქვა წინათ, იქნებ კეთილი კაცი იყო, – ლამაზი, თავმომწონე, კეთილმშვენი, – ჩვენ კიდევ ჩონჩხას ვუწოდებთ... მხიარული კი ნამდვი-ლად იქნებოდა, სულ ცეკვაეს და, რომ შეეძლოს, ალბათ სიმღერასაც შემოსძახებდა... კარგი ხარ, ტაშ-ტაშ!..

გეო. გვეყოფა, კაცო, ნუღარ აგულიანებ! მართალი გითხრა, აქ სიმღერას არ მოვუწონებ და, მით უმეტეს, არც ცეკვას ვურჩევ; საკმაოდ სუსტი გრუნტი ჩანს, სახურავი არ ჩამოწვეს...

მახარე. და მერე, კარგა ხნის შემდეგ, ჩვენც ასევე მოგვაგნებენ გვირაბის გამყვანნი და და-იწყებენ ბჭობას: ვინ იყვნენ ეს უბედურები, რა ერქვათ, რას ისწრაფოდნენ... და დაგვარქმევდნენ სიკვდილას, გაჭყლეტილას, გვირაბას ან სხვა, ასეთივე ლამაზ, სახელს... ჩვენც გულქანდები ხომ არ დავიკიდეთ ჩვენი სახელებით?

გეო. მერე გულქანდას აქ ვინ მოგართმევს?

მახარე. რეცი ყოვლისშემძლეა, გვიშოვის.

გეო. შენზე ვერაფერს მოგახსენებ და ჩემი ჩონჩხი კი ნამდვილად არ დაიწყებდა ცეკვას, ამის პირობას გაძლევ!

მახარე. მეტისმეტად თავდაჯერებული ხომ არ ხარ? რა იცი, შენს ჩონჩხს რა ხუშტური მო-უგლის – იქნებ ჩონჩხაზე მეტადაც გაუტოს!.. თუმცა არა, ჩონჩხა იძულებულია, ორად მოხრილ-მა იძუნძულოს, შენ კი ბევრად მაღალი ხარ და ნამდვილად ვერ გაინავარდებ!

გეო. არ დაიღალა? შევულოცოთ, იქნებ დაწყნარდეს...

მახარე. აცალე, კაცო, გულის ჭია გაახაროს!.. ჯერ რა დაღლის, მრავალი წელია, აქ მოსვენების მეტს რას აკეთებდა, ტაშ-ტაშ!..

გეო. სულ არ სჭირდება შენი ტაში, ისედაც მშვენივრად ერთობა. ჩვენც გვეყო გართობა, საქმეს მივხედოთ; კაი ხანი გასულა, ჩემი შეცვლის დრო გამეპარა. გამივსე ვედრო და ფილოს გამოვგზავნი. ჩონჩხასთან მარტო დარჩენისა ხომ არ შეგეშინდება?

მახარე. არა, კაცო, პანჩურ-ჩანჩურა ამაზე ბევრად საშიშია და მის ნაზირ-ვაზირიანად არ შე-ვუშინდი, მაგრამ, მართალი მოგახსენო, ჩონჩხა აქ გვაცდენს და თან ხომ არ წაიყვან?

გეო. მე მაგის უფროსად არავის დაგუნიშნია, წამომყვება რო?

მახარე. ვკითხოთ... ჩონჩხაგ, ჩვენი ორი მეგობრის გაცნობასაც გთავაზობ, გაჰყვები გეოს?.. ხომ ხედავ, თავი დაგვიქნია თანხმობის ნიშნად. დროულად გამოგზავნე ფილო და ეცადე, ჩონ-ჩხას რომ დაინახავს, შიშით გული არ წაუვიდეს...

გეო. რეცი?

მახარე. რეცის მამალი მგელი ვერ დააფრთხოვს, შენ პირიქით, ჩონჩხას გაუფრთხილდი! მაგ ოქროს აგვაროზზე თვალებს დაპრაწავს, წართმევა არ დაუპიროს!

გეო. ეს ჩონჩხა მაგარი ვიდაც ჩანს, რეცის ერთს გაულაწუნებს მარჯვენას და იქნებ სამა-რადუამოდ გადააფიქრებინოს კიდევ მამაძალღობა!

ჩონჩხა მაინც დარჩა; როცა გეოს შემცვლელი – ფილო – მოვიდა, მახარემ ჰკითხა:

მახარე. როგორაა საქმე ჩემო ფერწასულო ფილოსოფოსო, სანთლის მკრთალ შუქზეც კი გატყობ, ვერ უნდა იყო კარგ გუნებაზე...

ფილო. დასწყევლოს ეშმაკმა, ამ ჯოჯოხეთში ეგ ჩონჩხი გვაკლდა სწორედ!

მახარე. რამ გაგაგულისა, გეომ ხომ გაგაფრთხილა? დასტურ მაკვირვებ, ჩემო ფილო: რანაი-რი ფილოსოფოსი ბრძანდები, ისედაც ერთფეროვანი ცხოვრება გვაქვს და უცებ ამ ბინდისფერი დღეების მდინარებაში ასეთი არაჩვეულებრივი მოვლენა გამოერია, შენ კი არ გიხარია... მე რომ მკითხო, ფილოსოფოსი მარად მოცინარი უნდა იყოს, გონების თვალთ ფილოსოფიურად ჭვრეტ-დეს მოვლენებს და არ დაუჯეროს იმათ, ვინც ამტკიცებს, ამქვეყნად ამოება სუფევსო. რა ყრია ტყუილ წუწუნსა და ფუჭ ჭმუნვაში? ცოცხლად თუ დაიმარხავ თავს და არ დააფასებ ცხოვრები-სეულ თუნდაც მცირე სიამეს, რას მოიგებ ამით? არაფერს!.. გაინხარე-გამახარე!

ფილო. რა გამახარებდა, თუ კაცი ხარ, ქვედა ყბა რომ გააწკაპუნა და საზარლად აცეკვდა ძვლების ჩხარაჩხურით, ციებიანივით ამაკანკალა!

მხარე. მოგესალმა, ჭირიმე, შენ კი სხვაგვარად აღიქვი, ვერ გაუგე. ეჰ, ფილოსოფოსო, ფილოსოფოსო! კი გერჩივნა, ვარდის კოკორივით ქალწული ყოფილიყო ჩონჩხს მაგივრად...

ფილო. სირინოზის ხმა რომ ჰქონოდა – მთლად უკეთესი! კიდევ კარგი, ხმას მაინც ვერ იღებს...

მხარე. ეტყობა, შენზეც იმოქმედა კარგა ხნის ყურყუტმა ამ სამოთხეში. პირადი ფსიქიატრი თუ არა, მისი პირადი ფსიქოლოგი ხომ არ გეთხოვა პანჩურ-ჩანჩურასგან? დიდ პატივს გცემს და არ დაგიჭერს.

ფილო. გააფრენ, აბა რა იქნება... გგონია, ციხეში მაინც იქნები მოსვენებული და აქაც რაღაც საშინელება უნდა გამოგეცხადოს. ისედაც სულ მოჩვენებები მეღანდება და კიდევ ჩონჩხის უშნო გრეხა-ტინგიცობა მინდოდა?

მხარე. რას წუწუნებ, თუ ძმა ხარ, რა მოხდა ისეთი. ისევ გეუბნები: ნადიად უღალატე ფილოსოფოსობას – ვერ ხარ თავისუფალი, აქაც ვერ განთავისუფლდი შიშისგან. მარადიული სიბნელე და გვირაბის დახშული სივრცე, რა თქმა უნდა, თრგუნავს ადამიანს, გინდაც კლაუსტროფობია არ გჭირდეს, მაგრამ ყოველგვარ სიბნელეს თუ დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდე, სულმოკლეობა არაფერში გარგია... ხარ ფილოსოფოსი თუ არა, ციხეშიც კი თავისუფალი უნდა იყო... გაიგე, ფილოსოფოსო? ამ სიბნელის ნუ გეშინია!

ფილო. დამე არის ბოროტი ძალების მოქმედების დრო!

მხარე. სწორედ საღებუნდ დამადე მჭმუნვარე სულის განსაქარვებლად... რას ამბობ, კაცო, მაშ ჩვენც ბოროტნი ვყოფილვართ! აჰა, დაიჭი ეს წერაქვი, ფუჭ ლაქლაქს საქმის წინ წაგდება სჯობს, შრომა შენთვისაც კარგი წამალი იქნება.

ფილო. კარგი რა, სულ საქმე, საქმე! ყელში ამომივიდა! ეგ ჩონჩხი რაღას დახტის ტყუილად, გულსაც მიხეთქავს, ფეხებშიც მებლანდება და ძალ-ღონესაც ფუჭად ხარჯავს. არ ჯობს, მონგრეული ქანის ვედროში ჩაყრაში მაინც მოგვეხმაროს? ვერ გამიგია, შენ რანაირი პოეტი ხარ? მეგონა, ჰაერში დაფრინავდი, ქარსა და ღრუბლებს ეთამაშებოდი, სიყვარულის ნაზ გრძნობას უმღეროდი, შორეულ უიმედო სიყვარულს დაჰკენესოდი... შენ კი დაკოჟრილი ხელისგულები გაქვს, მუშტიც მაგარი გექნება და მიწაზე მძიმე ნაბიჯებით დადიხარ... ყოველივეს ჩაჰკირკიტებ მეწვრილმანე გაჭარბით – აფასებ, ზომავ, წონი და ხურდად ოხუნჯობას აბრუნებ... ეგ როგორ უთავსდება პოეტობას, ჰა?

მხარე. პოეტიც, როგორც საერთოდ ადამიანი, ათასგვარია. მე ასეთი ვარ, სხვანაირი ვერ ვიქნები, სხვისი მიბადებით ვერც ვიცხოვრებ და ვერც ლექსს შევთხზავ. აი, ფილოსოფოსებიც ხომ მრავალნაირნი ხართ და ეს არის ბუნების სიბრძნე – თუნდაც ორი ერთნაირი ადამიანი მოსაწყენია... ჩვენ აქ ახლა ბრძნულ თემებზე ვსაუბრობთ, ჩემო ფილო, და იმაგდროულად თავისუფლებისკენ გზაც გაგვყავს – ეს ორი საქმე ერთმანეთს კარგად ერითმება; საუბარში თავსაც ვიქცევთ და თან მუშაობაც ისეთი მომქანცველი აღარ გვეჩვენება. გამხნევიდი, საკუთარ თავს შეუბახე: “რა საძნელო საქმე უნდა იყოს ისეთი, რომ კისერი ვერ მოფუგრიხო!”

ფილო. ისე გატყობ, შენა ხარ ფილოსოფოსი, მე კი არა.

მხარე. მაშ რა გეგონა, პოეტი უპირველესად ფილოსოფოსია, მოაზროვნე, ცარიელ გრძნობას აყოლა ფუყე, ზედაპირულ მგონად გაქცევს. ერთდროულად ბავშვივით უნდა იყო კიდევ – უშუალო, წრფელი, – და მოხუცივით ბრძენიც. ლექსს ორი ფრთა აქვს: შთაგონება და განსჯა, გრძნობა და გონება, – ისე ვერ აფრინდები, პოეტურ სიმაღლეს ვერ შეეჭიდები.

ფილო. შენ ისე მოხერხებულად გაინავარდე ცხოვრებისეული სიბრძნის ბილიკებით, რომ პირდაპირ აქ, ჯურღმულში ამოჰყავი თავი.

მხარე. ასეა, ძმაო, ხან ცაში დაფრინავ და ხანაც ჯოჯოხეთში დაფრთხავ – ესაა ცხოვრება. თუ არ გამოსცადე ტკივილიცა და სიამეც, შიშიც და აღფრთოვანებაც, იმედგაცრუებაც და სიხარულიც, – ეს ყველაფერი შენი სიმდიდრეა! – თუ შენი გრძნობა-გონების საღაროში სიცარიელეა, მაშინ შენი ლექსიც ფუჭი სიტყვების რახარხია, მეტი არაფერი.

ფილო. როგორც იმ ჩონჩხის ძვლების ჩხარაჩხური...

მხარე. არა, ის სიხარულს გამოხატავს!

ფილო. ნეტა ვინაა ეგ დამთხვეული? უფრო სწორედ, ვინ იყო სიცოცხლეში? მიდი და იმარჩიე, ვინ შეგედაგება – რაიმე ხელმოსაკიდი მისი პიროვნების შესახებ არ ჩანს და მეეჭვება, რომ გამოჩნდეს.

ჩონჩხსა შესაძლო ვინაობაზე, მის ბედზე კამათი მეორე დღესაც გაიმართა, როცა ყველანი იყვნენ შეკრებილნი საკანში, მათ შორის – დავის საგანიც, რომელიც, როგორც ჩანდა, მოპაექრებებს ყურადღებით უსმენდა და თან ხელ-ფეხის ათამაშებით ან თავის ქნევით თუ ქვედა ყბის აწევა-დაწევით გამოხატავდა საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას. აგვაროზის მოთამაშე ლაღის თვალი არცთუ ნათელი საკნის კედლებს წითელ ანარეკლს სტყორცნიდა.

გეო. ჩონჩხს ვინაობა რა საკითხავია – ქურდ-მამაძაღლის მეტი ვინ იქნებოდა! ხომ ხედავთ, გვირაბსაც თხრიდა, მაგრამ არ გაუმართლა...

ჩონჩხსამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა და ბურღივით დაატრიალა – რას ბუჭტურობს ეს ვაჟბატონი, საიდან მოიგონა ამგვარი სისულელე.

ფილო. არა, დიდი მეცნიერი იქნებოდა, ალბათ რაღაც ძვირფას განძს ეძებდა და თვითონ კი განამარხდა. ვერა, ზოგჯერ დიდს ეპოტინები და პატარასაც კარგავ... ყოფილიყო თავისთვის, არ ჯობდა?

მანარე. მივივინო, ფილოსოფოსი კაცისგან ამგვარ “სიბრძნეს” არ მოველოდი – შენ სიცოცხლე პატარა რამ გეონია?

რეცი. თუ წმინდა წყლის იყო, რას დაძვრებოდა მიწის ქვეშ თხუნელასავით, რაღაცას ხომ არ ეძებდა? ბიჭებო, იქნებ მართლა განძი აღმოვაჩინოთ, რას იტყვით, ჰა? ხომ გაგიგონიათ – თან საქმე! გარეთაც გაგაღო და – არც მთლად ჯიბეგაფხეკილები!

მანარე. ხომ გითხრეს, ყველაზე დიდი განძი სიცოცხლეაო... სიცოცხლე და თავისუფლება!.. დიახ, სიცოცხლე და თავისუფლება, შენ კი უცებ გამდიდრებაც მოინდომე.

გეო. რა ქნას, მაგის ხელობა ეგაა – ხელმწიფდობით და თაღლითობით რაიმეს შოვნა.

ფილო. იმიტომ ელანდება და თვალებს სჭრის მუქით ნადავლი – განძი.

მანარე. ნიჭი? განა ნიჭი არ არის ნამდვილი განძი?

გეო. ნიჭი რეცისაც არ აკლია.

მანარე. სხვისი ნაოფლარის წაღლეტის უნარი რა ნიჭია? მე ჭეშმარიტ ნიჭს ვგულისხმობ – კეთილი საქმის კეთების, ნაღდად ღირებულის შექმნის ნიჭს...

ფილო. აქ ჩვენი ყოველგვარი ნიჭი გამოუყენებელია, ტყუილ ქაქანში იხარჯება.

გეო. არც გარეთ, პანწურ-ჩანწურას პანწურეთში აქვს ნიჭს ფასი.

მანარე. რა თქმა უნდა, ნიჭი თავისუფლების გარეშე – დამარხული განძია.

ფილო. რატომ, ავერ გეოს ცოდნა-უნარი ხომ გამოგვადგა – გვირახს ვთხროთ...

რეცი. ბიჭებო, რა ბანზე მიგდებთ პასუხსა, გავარკვიოთ: თუ მართლა გადავეყვარეთ განძსა, ჩონჩხსა წილი ეკუთვნის? მაგას მძაბობისა არაფერი გაეგება, ავე როგორ გამოიღამაზა ლოყა...

ფილო. ბრიყვი ხარ და დაიმსახურე! რას ეპოტინებოდი მაგის ავეგაროხს? თუ განძის განაწილებაზე მიდგა საქმე, რა იცი, იქნებ ის ჩონჩხსა და წილსაც აღარ არგუნებ? ვერ გაიგე? ყველაზე დიდი სიმდიდრე ის იქნება, რომ მალე თავისუფლები ვიქნებით!

გეო. ან ვიქნებით, ან არა... ვინ იცის, რის მანიშნებელია ჩონჩხსა მოვლინება, რას მოგიტანს მისი შეამხანაგება – სიკეთეს თუ ბოროტებას, წარმატებას თუ მარცხს? იქნებ ეგ მიწისქვეშეთის ავსული მბრძანებელია... ქვესკნელში ის არის მეფე, ზვეით კი – პანწურ-ჩანწურა მბრძანებლობს... ხალხო, გვირახს გაგრძელება საშიშია! სანამ გვიანი არ არის, შევწყვიტოთ იმ ჯურღმულში ძრომიადი, ეშმაკს არ ძინავს!

მანარე. რას ამბობ, კაცო, შუა გზაზე საქმის მიტოვება რა გაუკაცობაა! აქ რა, ჯურღმულში არ ზიხარ?

რეცი (გეოს). ე-ე-ე, ჭირიმე, ადრეც გითხარი – ძაან აზიზი ბრძანდები, ახლა კი გამოჩნდა, რომ მშიშარაც ყოფილხარ!

გეო. შიში რა შუაშია, ვერ ხედავ, ჩონჩხსა რაც დაემართა?

ფილო. რამ დაღუპა ჩონჩხსა? შიმშილმა? წყურვილმა?

მანარე. ვინ იცის... ახლა აღარც აქვს ამას მნიშვნელობა, ჭკვიანი იყო თუ სულელი, სუსტი თუ ძლიერი, კეთილი თუ ბოროტი, ბებერი თუ ხანში შესული.

გეო. ძალიან ბებერიც არ იქნებოდა, შეხედე, როგორ კვიცივით დახტის!

მანარე. იქნებ ცოლ-შვილიც ჰყავდა და დღემდე ელიან...

ფილო. რას მიხვდები მის ასაკს, ჩონჩხსა არც თმები შერჩა, არც – ტანსაცმელი, მხოლოდ ავეგაროხი, არ არის საკვირველი? წითური ხომ არ იყო, უბედო? ან სულაც მოჩვენება ხომ არ არის?

რეცი. ავე, დგას და ცეკვავს, რა უგავს მოჩვენებასა? (ლოყაზე მოისვა ხელი). გეო, არც შენ უნდა უყო წმინდა წყლისა... ბიჭო, როცა ნახე ჩონჩხსა, პირში ვერცხლის ან თქროს ფული ხომ არ ედო, ჰა? ხომ არ შეიტყაპუნე?

გეო. შეხედეთ, ჩონჩხსა მოიწყინა ჩვენი მაღალფარდოვანი ლაქლაქის მოსმენით, რეცის ბოლო სიტყვებზე კი ისევე აცეკვდა, მგონი, იცინის კიდევ... დასცინის?

მანარე. სისულელეებზე ჩონჩხიც კი მხიარულობს! გარდა ამისა, ალბათ მასაც უნდა, ციხის კედლებს დაემშვიდობოს – ჩონჩხსაც კი სწყურია თავისუფლების ჰაერის ჩასუნთქვა!

რეცი. რეებს მიჰქარავთ აქა, ე-ე!.. ამ დამთხვეულის ცეკვასა თქვენ სხვანაირადა თარგმნით! მასხარა მაიმუნია და მეტი არაფერი, ვერა ხედავთ?

მანარე. შენ რა იცი, ვინ იყო და რა იყო ჩონჩხსა? შენზე უსაქმური კი ნაღდად არ იქნებოდა.

რეცი. თუ ეგეთი მშრომელია, დავაყენოთ და თხაროს და თხაროს გვირახი, მე შენ გეტყვი, დაიღლება ან ოფლი დაუწვავს თვალებსა! თუ თავისუფლება უნდა, როგორც თქვენა ბრძანებთ, ხელიც გაანძროს! არც ჭამა-სმა უნდა, არც – ძილი... მართლა, რა კარგი ვინმე ყოფილა – ვამუშაოთ და ვამუშაოთ!.. მაგას დამარხული განძის ამბავიც ეცოდინება, ხომ კი, ჩონჩხსა?

ჩონჩხსა უარის ნიშნად თავი გააქნია, მკლავიც აიქნია – მომწყვდი თავიდანო.

რეცი. ხედავთ, გვიმაღავს, არ უნდა, ჩვენც გვიწილადოს... აბა, კიდევ გკითხო: აქა ახლომანლო განძი არი დამალული?

ჩონჩხსა იგივე პასუხი გასცა.

მახარე. დაანებე თავი, ხომ გითხრეს: მთავარ განძს, თავისუფლებას, მაღლე მივადწევთ. ჩონჩხს ყელში ამოუვიდა იქ ყოფნა და ალბათ ამიტომაც აღარ სურს გვირახისკენ გახედვა, არამცთუ იქ მუშაობა. ეყოფა, რაც იქ იწვალა და მერე იწვა არცთუ მოხერხებულად და თუ დაბრუნდება, მხოლოდ გარეთ გასასვლელად და თავისუფლების მისაღწევად. თუ რჩევას ვთხოვთ, ამაზე კი ალბათ პასუხს არ დაგვამადლის... ჩონჩხავ, სწორად ვთხროთ გვირახსა?

ჩონჩხამ თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

გეო. რას ეკითხები, რა იცის მაგან გვირახის გაყვანისა! გაჰყავდა და ეგე – ჩონჩხი და რჩა მაგისგან. ჩერჩეტი იქნებოდა, ჭკუასუსტი.

მახარე. ხომ ხედავ, როგორი თავშეკავებულია, ზრდილობიანი და პასუხს არ გცემს შეურაცხყოფაზე... იქნებ მასთან ჭადრაკი გეთამაშა? შეამოწმე შენი დასკვნის სამართლიანობა.

გეო. ალბათ იწინიბინი არ გეგება ჭადრაკისა რეცივით.

მახარე. ახლა რეცის მისდექი... რას ერჩი, ნახე, ჭადრაკი ხომ გეაჩუქა. ჩონჩხავ, ეთამაშები?

ჩონჩხამ დასტურის ნიშნად თავი დააქნია, თან ცეკვით წრესაც ჩამოუარა, – ეტყობა, ძალიან გაუხარდა, რომ დიდი ხნის შემდეგ თამაშის შესაძლებლობა მიეცა.

კარი X. ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ გესვრით!

მაგიდაზე დახატულ ჭადრაკის დაფაზე რეცის მიერ პურის რბილობისგან საკვირველი ოსტატობით გაკეთებული ფიგურები განაღებეს. თეთრ ფიგურებს თავზე ცარცის ნატეხით გამოიცნობდი, შავებს – ჩარჭობილი ასანთის ღერის ნამწვით.

გეო. საკვირველია, რეცი – და მოქანდაკის ნიჭი?

მახარე. ყოჩად, რეცი, ოქროს ხელი გქონია! თუ მშვიდობით გავაღწიეთ აქედან, ამ ფიგურებს სამახსოვროდ თან წავიღებ!

გეო. ბიჭო, რეცი, თამაში შენ არ იცი და ფიგურები როგორღა გააკეთე, ხომ არ მოიპარე?

ფილო. შენ, ჯობს, საქმეს მიხედო, ეგე, ჩონჩხაც მოუთმენლად ცქმუტავს.

რეცი. თუ წააგებს, გვანახოს, აგვაროხის შიგნით რა უდევს!

ჩონჩხამ ხელით ანიშნა გეოს, თეთრ ფიგურებს შენ გითმობო; სკამზე დაჯდომაც არ ისურვა, ფეხდგომელა თამაშობდა.

გეომ. პირველი სვლა გააკეთა:

1. ე2 – ე4.

ჩონჩხამ მაშინვე უპასუხა:

1. . . . ე7 – ე5.

გეო. აბა ერთი, მეფის გამბიტი შევთავაზოთ, რომ მაღევე მოვრჩეთ საქმეს:

2. ფ2 – ფ4.

ჩონჩხამ არც ამჯერად დააყოვნა:

2. . . . დ7 – დ5.

გეო. უყურე შენ ამ თავხედს – კონტრგამბიტს მთავაზობს!.. პაიკს გემრიელად გადავსანსლავეთ:

3. ე4 : დ5.

ჩონჩხამ ეუღლად დარჩენილი პაიკი კიდევ უფრო წინ წასწია:

3. . . . ე5 – ე4.

გეო. მოდი, შვილო, ახლოს მოიწი ბიძიასთან, მეორე გემრიელი ლუკმა იქნები:

4. მ ბ1 – ც3.

ჩონჩხამ პაიკი დაიცვა:

4. . . . მ გ8 – ფ6.

გეო. შენ მაინც არ გაცოცხლებ!

5. დ2 – დ3!

ჩონჩხამ საპასუხოდ კუ გამოიყვანა და თეთრების მხედარი დააბა:

5. . . . კ ფ8 – ბ4.

გეო. ჩვენც დავიცავთ მხედარს:

6. კ ც1 – დ2.

ჩონჩხამ განწირული პაიკი ისევ წინ წასწია:

6. . . . ე4 – ე3!

გეო. ვაჰ, რა მოუსვენარი ჯეელია, სასიკვდილოდ გადადო თავი, მაგრამ რისთვის?.. კიდევ იტუნავებ?

7. კ დ2 : ე3.

ჩონჩხამ მოკლე როქი გააკეთა:

7. . . . 0 – 0.

გეო. მეფეს რომ დაბმული მხედარი იცავს, არ მომწონს მაინცდამაინც, კუ უნდა დავაბრუნო:

8. კ ე3 – დ2.

ფილო. უკვე მაგრად შეგბოჭა, ჩემო გეო, ვერ ატყობ? “ე” ხაზიც გახსნა.

ჩონჩხამ თეთრების მხედარი აიყვანა:

8. . . . კ ბ4 : ც3.

გეო. კი, ბატონო, გავცვალოთ! ფილოს ვენაცვალე, კარგს იზამს, თუ ყორანივით ყრანტალს თავს დაანებებს.

9.ბ2 : ც3.

ჩონჩხა საპასუხოდ ეტლით გეოს მეფეს დაემუქრა:

9. . . . ე ფ8 – ე8+

გეო. უცებ გუული არ გამიხეთქო! ფარად მეორე კუს ვიხმართ:

10. . . . კ ფ1 – ე2.

ჩონჩხა ახლა კუთი დაემუქრა მეტოქის კუს:

10. . . . კ ც8 – გ4.

გეო. გაგადლოთ ეს კუ: ჰ2 – ჰ4? არა, არ ივარგებს, ჯობს, დნ პაიკი დავიცვა:

11. . . . ც3 – ც4.

ჩონჩხა ამ პაიკს მაინც დაესხა თავს:

11. . . . ც7 – ც6!

გეომ. აიყვანა თავხედი პაიკი:

12. . . . დ5 : ც6,

რახეც ჩონჩხამ მხედრის გამოყვანით უპასუხა:

12. . . . მ ბ8 : ც6.

გეო. მეფე ცუდად გაეჩხირა, მეტოქის ეტლია დამიზნებული, უნდა გავცვალო. ორი პაიკი ხომ მოვიგე, ნელ-ნელა პარტიის დაბოლოებაში გადავალთ და მაშინ სად სიკვდილში მიბრძანდები, ჩონჩხავ?!

13. . . . მფ ე1 – ფ1.

ამ სიტყვების პასუხად ჩონჩხამ ამჯერად ხარისხიც თამამად შესწირა:

13. . . . ე ე8 : ე2!

გეო. კი, ბატონო, ამასაც გემრიელად მივირთმევთ!

14. . . . მ გ1 : ე2.

ჩონჩხამ შეტევაში მხედარიც ჩართო, მეტოქის მხედარს თავს დაესხა:

14. . . . მ ც6 – დ4.

გეომ ლაზიერი გაარიდა საფრთხეს:

15. . . . ლ დ1 – ბ1.

ჩონჩხამ თვალის დახამხამებაში გადაყლაპა მეტოქის მხედარი, თან ქიშითაც დაემუქრა:

15. . . . კ გ4 : ე2+

გეო იძულებული გახდა, მეფით ეთამაშა:

16. . . . მფ ფ1 – ფ2,

მაგრამ ახალ ქიშს მაინც ვერ გადაურჩა – ამისთვის ჩონჩხამ მხედარი შესწირა:

16. . . . მ დ4 – ფ3+

17. . . . მფ ფ2 – გ1.

თეთრების მეფე უკვე განწირულია:

17. . . . მ დ4 – ფ3+!

გეომ მხედარი აიყვანა:

18. . . . გ2 : ფ3,

სამაგიეროდ, ახალი ქიში მიიღო, ამჯერად ლაზიერისგან:

18. . . . ლ დ8 – დ4+

თეთრების მეფე აწრიალდა:

19. . . . მფ გ1 – გ2.

ფილო. რას გაჩუმებულხარ, გეო, ჰა? ორი პაიკი ზედმეტი გაქვს, ხარისხიც...

მახარე. სალაპარაკოდ სად სცხელა, მეფეს დაარბენინებს ზევით-ქვევით ტრაწიანი ხარივით.

ჩონჩხამ ლაზიერით ახალი ქიში მიართვა მოწინააღმდეგეს:

19. . . . დ4 – ფ2+,

რახეც გეომ მეფის ერთადერთი სვლით უპასუხა:

20. . . . მფ გ2 – ჰ3.

შავების ლაზიერი კი დევნას არ ეშვებოდა, თან პაიკიც შეყლაპა:

20. . . . ლ ფ2 : ფ3+

თეთრი მეფე კიდევ უფრო ზევით გაიქცა:

21. . . . მფ ჰ3 – ჰ4.

ჩონჩხამ მხედარი უკან ახტუნა:

21. . . . მ გ4 – ჰ6,

რათა თავისი ადგილი ლაზიერისთვის დაეთმო – შემდეგი საშამათო სვლით დაემუქრა. ამის ასაცილებლად გეომ პაიკი წასწია წინ:

22. 32 – 33,

პასუხად კი მორიგი ქიში მიაღწევს:

22. . . . მ 36 – ფ5+

და თეთრი მეფე უკანასკნელად განწირულად გაფართხალდა:

23. მფ 34 – გ5,

რაზეც ლაზიერისგან კოხტად დაშამათდა:

23. . . . ლ ფ3 – 35ხ.

(მაპატიოს ამ პარტიის “სესხება” გენიოსი ამერიკელი მოჭადრაკის პოლ მორფის სულმა!).

გეო გამტკნარებული სახით იჯდა.

ცხადია, ჩონჩხამ არაფერი თქვა, მხოლოდ კმაყოფილმა ქვედა ყბა რამდენჯერმე გააწკაპუნა.

მახარე. რას იზამ, ზოგჯერ დიდი მეცნიერებიც მარცხდებიან... გეო, ბატონო, ჩამოართვი ხელი მეტოქეს, მიუღოცე ლამაზი გამარჯვება.

გეო არ განძრეულა. ჩონჩხამ ცეკვა დაიწყო; როცა როკვა დაასრულა, გულქანდა მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენათი კი გახსნა და დანარჩენნი მაშინვე მასთან მიცვივდნენ.

აგეაროში სპილოს ძვლის მრგვალი ფირფიტა იდო, ფირფიტაზე კი უცნობ მხატვარს დიდი ოსტატობით იშვიათი სილამაზის მომღიმარე ქალიშვილი გამოესახა ნაზი, გამჭვირვალე ფერებით; ტურფას ყოვანივით შავ თმებში ხასხასა წითელი ვარდი ჰქონდა გარჭობილი, თეთრყირმიზ სახეზე ვუქუნა ლურჯი თვალები უცინოდნენ.

მახარე. დიდებული ნამუშევარია, ქალიშვილიც რა მშვენიერია! ვინ არის ნეტავ? სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ შევიტყობთ, თუმცა სახელი კი არის აქ მიწერილი – “მზია”! სახელიც მომწონს!

ჩონჩხამ გულქანდის სახურავი წკაპუნით დახურა და ისევ აცეკვდა.

რეცი. კაი მდიდარი ვინმე იქნებოდა მაგის პატრონი, აი!

ფილო. ქალისა თუ აგეაროზისა?

რეცი. ორივეს ერთი პატრონი ეყოლებოდა, რად უნდა ბევრი ჭიჭინი.

ფილო. 3ა-3ა-3ა!..

რეცი. რა გაცინებს?

ფილო. რა და... ჩონჩხამ ცოცხალი კაცი დაამარცხა!.. 3ა-3ა-3ა!..

მახარე. ჩონჩხა წინათ მოცეკვავე იქნებოდა და იქნებ – მომღერალიც, უყურეთ, როგორ აწკაპუნებს ქვედა ყბას და თან ცეკვის რიტმს აყოლებს! ხომ არ გტყუი, ჩონჩხავ?.. ტაშ-ტაშ!..

ჩონჩხამ ცეკვა შეწყვიტა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

რეცი. არ გჯერათ ჩემი და ჩონჩხა ნაღდად განძის მაძიებელი იქნებოდა!

მახარე. ვინც გინდა იყოს, კარგა გემრიელად კი გაგვართო და გაგვამხიარულა. მართალია, ფილოს პირველად მაგის დანახვაზე, გაოგნებულს, ყბა ჩამოუვარდა, მერე ჩონჩხამ რეცის ყბაში გაულაწუნა, გეოსაც გაუფუჭა გუნება, მაგრამ ორივეზე ახია.

ფილო. გეოს უიღბლო კვირადღე გაუთენდა.

მახარე. არა უშავს, ხვალ შეეცდება, სამაგიერო გადაუხადოს.

გეო. ხვალ? არა, ძმებო, ამ ღამეს, უფრო სწორედ – განთიადისას, გვირაბის გაყვანას დავასრულებთ!

მახარე. დგება ნანატრი დღეც – ორშაბათს თავისუფლები ვიქნებით! კარგ დროს დავამთხვოთ: პანჩურ-ჩანჩურა ახალ დღესასწაულზე იქნება – ქალაქის მთავარ მოედანზე საზოგადოებრივ ფენსალაგს გახსნის და ამ დროს მთელი ხელჯოხიანები იქ იქნებიან.

რეცი. მაშ რად ამბობენ – ორშაბათი თარსი დღეაო?

გეო. გააჩნია, ვისთვის!

ფილო. დღე დღე არის, ცრურწმენისა გჯერა?

მახარე. როგორ გეკადრება, არც მთლად მასეა საქმე. ერთი დღე მეორეს არ ჰგავს, ყოველი დღე თავისებურია. ზოგი დღე ზოლიანი გამოერევა – ნათელი და ბნელი საათებით, ზოგი – წინწკლებიანი თუ დაწინწკლული, როგორც წვიმის დაწყებისას მტვრიანი შარა... ზოგი დღე მრგვალიც არის, ზოგი – ოთხკუთხედი... არა გჯერა? აი, ხომ არის ზოგი კაცი ქოსა, ზოგი – ჩემსავით მელოტი და გრძელცხვირა, ზოგიც – დიდყურა და ასე შემდეგ. ასევეა დღეც, ჩემო ბატონო. არის კატასავით მჩხვანა, არის, ძაღლივით რომ იღრინება და ყეფს...

რეცი. რა ხართ პოეტები, რას არ იტყვიან! მაშ ჩაფსმული დღეც იქნება! პანჩურამორცემულიცა!..

მახარე. აბა არა? ოღონდ ერთისთვის თუ ის დღე პანჩურ-ჩანჩურასავით უსინდისოა, მეორესთვის, შესაძლოა, გეოსავით აწოწილი იყოს... ერთისთვის თუ მტირალა დღეა, შესაძლოა, მეორესთვის ღიმილიანი დღე გამოდგეს...

ფილო. ხვალინდელი ორშაბათი ნეტა როგორი გათენდება?

რეცი. ნავსი დღე იქნება, დათარსული...

მახარე. ელაში დღე?

გეო. უშუალოდ კაცს რაღაცას მოუხერხებ: თუ ძალით ან ჭკუით ვერ აჯობებ, ბოლოს და ბოლოს, გაეპარები, ან გაექცევი, ან სულაც დიდიდანვე გაეცლები, არ დაენახებები, უშუალოდ დღეს კი რას უზამ, სად დაემალები? გვირახში?

ფილო. ჩონჩხს რომ გკითხოთ? ჩონჩხს, ხვალ ჩვენთვის როგორი დღე იქნება?

რეცი. ხომ ხედავთ, ეგა ყველაფერზე ცეკვავს...

გეო. ჭკუამხიარული განხლავს მისი ბრწყინვალეობა!

ფილო. თუ შენი გაანგარიშება არ გამოდგა ზუსტი და გვირახი სწორად ვერ გავიდა დანიშნულების ადგილზე, მაშინ ნახე ჩონჩხს და ცინება და ცეკვა-თამაში!

რეცი. ჩონჩხს აქ დაგტოვოთ.

მანარე. რათა, კაცო, ვინ იცის, რამდენ წელიწადს ელოდა განთავისუფლების დღეს!

გეო. დაგვთარსავს.

ფილო. მორჩით ტყუილ დავას, ახლა მაინც არის თავისუფალი და თვით გადაწყვიტოს: სრული თავისუფლება სურს თუ არა.

მანარე. მართალი ხარ, ფილო, ახლა ყველამ დავიძინოთ, მღელვარე ღამე გველის წინ.

რეცი. მე და ფილოს გვიწევს ახლა მუშაობა...

გეო. შუადღამეზე ყველანი ერთად წავალთ, ერთმანეთს შეგენაცვლებით და ორ-სამ საათში მოგვრებით საქმეს.

მანარე. რომ გათენდება, უკვე შორს მოვასწრებთ წასვლას?

გეო. თუ ახლა დავიძინებთ და დასვენებულები დროულად შეგუდებით დამასრულებელ სამუშაოს – ნამდვილად..

მანარე, რა თქმა უნდა, მათ თვალს რული ვერაფრით მიეკარა. ბოლოს, ადგომა არჩიეს და მანარე, გეო, ფილო და რეცი გვირახში ჩავიდნენ. მათ უკან მიჰყვა ჩონჩხიც.

გულდაგულ შეუტყის უკანასკნელ წინაღობას. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მიწას იქვე გვირახში ჰყრიდნენ. ჩუმად მუშაობდნენ, მთელი მათი ფიქრები განდევნა სიამის მომტანმა და იმავე დროულად სულის ამაფორიანებელმა მოლოდინმა...

– ჯანდაბა! – წამოიძახა გეომ.. – აღარ დაადგა საშველი?

– შენა, კაცო, ჭკუაზე აფრატათა ხარ, აი! – აღვზნებულ იყო ფილოც. – თუ კარგად არ იცოდი, სად და როდის უნდა გავსულიყავით, ვერ განსაზღვრე წესიერად, რაღას ჰკიდებდი ხელს? რეცი უკეთ გაუძღვებოდა...

– რეცი? – აიფოფრა გეო. – რეცის მადარებ მე? მართალი ყოფილა, ფილოსოფოსები ტვინ-ნაღრძობი ხალხიანო.

– სხვების ლანძღვას, ჯობს, წერაქვი გამომართვა, – უთხრა გეოს რეციმ.

– ყველა ჩემი უფროსი და ჭკუის მასწავლებელი როგორ განხდა! – არ ჩერდებოდა გეო.

– რატომ იბოღმები, სხვისი რა ბრალია, თუ წესიერად ვერ მოზომე, ხმის ამოდების უფლებაც არ გვაქვს? – შეეპასუხა ფილო.

– დიანაც, სულელმა ენა უნდა ჩაიგდოს მუცელში! – კიდევ უფრო გაფიცდა გეო.

– სულელისგან მესმის! – უპასუხა ფილომ. – საქმემან შენმან წარმოგაჩინოს! საკუთარ სიშტერეს ჩვენ გვაბრალებს! მართლა სულელი ვყოფილვარ – ჩერჩეტს არ უნდა ედავო!

მანარე იძულებული იყო, ჩარეულიყო:

– მეგობრებო, რა ანჩხლი დედაკაცებით წაიკიდეთ... სულ მცირე დრო დაგვრჩა თავისუფლებამდე, შესაძლოა, რამდენიმე წუთში საბოლოოდ დაგშორდეთ და ნუ დავჭამთ ერთმანეთს! პანჩურ-ჩანჩურამ მთელ ქვეყანაში ყველა ერთმანეთს წაჰკიდა, იმიტომაც ვართ კარგ დღეში... ცხადია, უკიდურესად დაიღალეთ ფიზიკურად და უფრო კი – გამოიფიტეთ ფსიქიკურად, მანარე... იმიტომ გქვიათ სწავლულები, რომ ერთმანეთი ლანძღოთ?

– ჩუმად! ხომ ახი იქნება, ერთი ლაზათიანად ჩავთხლიშოთ ერთსაც და მეორესაც! – წამოიძახა რეციმ. – ჩუმად-მეთქი!.. მე და მანარე დავიღალეთ, მოჰკიდეთ წერაქვს ხელი! აბა, ცქვიტად, თორემ მამახემის სულსა ვფიცავ, მზის სინათლის ხილვას ვეღარ ეღირსებით!

ჩონჩხსაც კი, დაღონებული, მიმჯდარიყო გვირახის კედელთან და სინანულით თავს აქნევდა.

დახუთული სივრცე, დაძაბულ სიჩუმეში – წერაქვის დარტყმისა და ქშენის ჩანარებები, – მართლა დაწინწკლული დღე იყო, უფრო სწორედ – ღამე...

და აჰა! მანარეს მიერ წერაქვის ბოლო დარტყმა და დახუთულ გვირახში სუფთა, გრილი ჰაერის ნაკადმა იხუვლა!

ფილოს ხელში დაჭერილი სანთლის ალი ათამაშდა და ჩაქრა.

განსასვლელი გააფართოვეს.

რიჟრაჟამდე ჯერ შორს იყო, გვირახის ყელიდან მოჩანდა მოციმციმე ვარსკვლავებით მოქეჩილი ცა.

ყველანი სწრაფად გამოძვრნენ ხვრელიდან, შუკაში უკუნის სიბნელე მეფობდა.

რეციმ სანთელი ანთო და ამ დროს...

– ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ გესვრით! – იგრგვინა უცებ და შუა შუკაში გვირახის დაღებულ ხახიდან თავდაღწეული კაცების ჯგუფს ყველა მხრიდან მიანათეს ანთებული მაშხალებისა და ფარნების შუქი.

გაქცევა შეუძლებელი იყო.

თუმცა მოულოდნელობისგან გაოგნებული ტუსადები გაშეშდნენ, ატყდა სროლა. მახარემ, ფილომ და გეომ გვირაბში შეპრომა მოასწრეს.

ჩონჩხამ რეცის გამოსტაცა ხელიდან ანთებული სანთელი, მაღლა ასწია, ყბები დააწკაპუნა და უცნაური ცეკვა წამოიწყო: ტრიალებდა, ტრიალებდა, მერე უცებ ჩაბუქნა და ახლა მეორე მხარეს დატრიალდა.

ჩირადნები და ფარნები ადგილიდან მოწყდნენ, ფეხების ბრაგუნი და შფოთიანი ყვირილი სულ უფრო შორდებოდა გვირაბის ხერხელს.

როცა ხმაური მინელდა, გონს პირველი მახარე მოვიდა:

– საფლავიდან წამომდგარნი თუ ვეგონეთ და დაფრთხნენ! მაღლობა მოვასხენოთ ჩონჩხას ჩვენი შეგელისთვის და დროულად მოგვცოცხოთ აქედან!

შუა შუკაში ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ჩონჩხა – მაღლა აწეულ ხელში ანთებული სანთლით, უკან მიჰყვებოდნენ მახარე, ფილო და გეომ, რეცი კი სად გაქრა?..

ფილო ბუზღუნებდა:

– როცა ამ ჩონჩხს ვხედავ, ცუდად ვხდები... აქაც აგვეკიდა, მოგვწყდეს თავიდან!

– გზას გვინათებს, რას ერჩი! – შეეპასუხა მახარე. – ჩონჩხა რომ არ ყოფილიყო, ახლა საკანში კი არ ვიქნებოდით დაბრუნებული, ციხის ყველაზე ღრმა და ბნელ ხაროში ჩაგვაყუდებდნენ!

– კარგი ერთი! – ამრეზით თქვა გეომ. – მოშორდეს თავიდან თავის სანთლიანად, ვინმემ არ დაგვინახოს!

აღმოსავლეთით ცას ნათელი შეეპარა, გაქცეულები გამოუმშვიდობებლად სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

მახარე და ჩონჩხა ისევ ერთად მიაბიჯებდნენ, მერე ჩონჩხა დაწინაურდა, მეგზურობა ითავა.

– ჩონჩხავ, კინაღამ ხაფანგში მოგვამწყვდიეს... – ხმამაღლა უზიარებდა ფიქრებს თანამგზავრს მახარე. – საიდან გაიგეს, რომ გვირაბი გაგვეყავდა? და როგორ გაიგეს ზუსტად, როდის ვაპირებდით გაქცევას? აქ რაღაც საიდუმლო იმალება... ფილო?... არა... გეომ?... არა, არა მგონია... რეცი?... არც რეცი, იგი ხომ მოთავე იყო გვირაბის გათხრისა, მან იშოვა მთელი სათხრელი იარაღი... შენ ხომ არ ხარ გარეული ამ საქმეში? ვხუმრობ, ვხუმრობ, ჩემი იმანო, ჩვენო მფარველო, უშენოდ ხომ ახლა ისევ საკანში ვისხდებოდით ან უარეს ადგილას...

ქუჩაში გამგელელ-გამომგელელნი გამოჩნდნენ, შორიდან მოისმა ხელჯოხიანთა ცხენების ნალთა პაკიპუკი ქვაფენილზე, სტვენა.

ჩონჩხა გაიქცა, მახარე უკან მიჰყვა.

ირბინეს, ირბინეს, მერე ჩონჩხამ ერთი რკინის ცისფრად შეღებილი ჭიშკრის კუტიკარი შეადო და ორივენი სასწრაფოდ ეზოში შევარდნენ.

მოზრდილი ეზო სავსე იყო ვარდების გამაბრუებელი სურნელით...

კარი XI. ახალი დღესასწაული – დიდი გვირაბის დღე!

თუ არ ვცდები, მისი უდიდებულესობა, პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა პანურ-ჩანურა I ბრძენთა ბრძენი, იმ დროს დაგტოვეთ, როცა ესწრებოდა სანიმუშო-საჩვენებელი საზოგადოებრივი ფეხსალაგის გახსნის საზეიმო ცერემონიალს და არა მხოლოდ გააბედნიერა იქ მყოფნი თავისი ბრწყინვალეობის ხილვით, არამედ ფრიად აქტიურად მონაწილეობდა კიდევ დღესასწაულში, თუმცა დასასრულ არცთუ სასიამოვნო ამბავი ამცნეს – ოთხი ტუსადის გაქცევა პანდურეთის მთავარი ციხიდან – “არწივთა საბუდარიდან”. ისიც მოგახსენეთ, როგორი მქუხარე ბრძანებაც გასცა მეუფემ:

– დაიჭირეთ!.. ახლავე გასკვანით!..

აქეთ ეცა ბატონი ჯმუხა ხელჯოხიანთა ვაზირი და იმავდროულად პანდურეთამორტყმის მთავარვაზირი, – იქით ეცა: თავის დამქაშებს უხმო, მსტოვრები დააგზავნა ოთხივე მხარეს, იღრიალა, ივიშიშა... ყველაზე უფრო კი იმან გააცოფა, რომ სისხამ დილით მომხდარი საგანგებო ამბავი დიდი დაგვიანებით შეატყობინეს! საყვედურზე მორიდებით მოახსენეს, რომ ბატონი ჯმუხა ფრიად დაკავებული იყო დღევანდელი ზეიმის წარმატებით და უსაფრთხოდ ჩასატარებლად მრავალფეროვან საკითხთა მოგვარებით და ისეთი წვრილმანი, როგორც გახლავთ ოთხი არცთუ დიდად საშიში დამნაშავის სატუსადოდან გაქცევა, არ სცნეს ღირსად, მისთვის მყისიერად ეცნობებინათ და, რაც მთავარია, ამ შემთხვევის ფართოდ გახმაურება ერთგვარად ჩრდილს მიაყენებდა ზეიმის დიდებულებას... ისე კი, დამნაშავეთა დროულად დასაკავებლად და გაქცევასთან დაკავშირებული ყველა გარემოების შესასწავლად მაშინვე იქნა მიღებული სათანადო ზომები, კერძოდ, ქალაქის მოურავის ასასები და ხელჯოხიანები დიდიდანვე მოედგნენ მთელ ქალაქს; ამის გარდა, გამოცხადდა სათანადო ჯილდო მათთვის, ვინც რაიმე ცნობას მიაწვდიდა ხელისუფალთ გაქცეულთა ადგილსამყოფელის შესახებ... მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათ კვალს ვერ მიაკვლიეს...

ჯმუხა ხელჯოხსაძე დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა პანჩურ-ჩანჩურამ უბრძანა, დაუყო-
ნებლივ ეცნობებინა ნაზირ-ვაზირთათვის, რომ ერთ საათში გაიმართებოდა საგანგებო დარბაზო-
ბა დიდი წესითა ანუ გაფართოებული შემადგენლობით... საპატიმროდან პირველად ხომ არ გაპა-
რულან ტუსაღები, თანაც ბევრად უფრო სახელგანთქმულნი და დიდთა საქმეთა მკეთებელნი,
ვიდრე: ორი – სათვალისანი მეცნიერი, ერთი – მელოტი მეშაირე და ერთიც – ქურდობაცაცა...

და აჰა, სეფედარბაზის უზარმაზარი კედლის საათის სარკმელი გაიღო და იქიდან გამომ-
ხტარმა ფრთებჩამოყრილმა, მობუზულმა ჩიტმა ხუთჯერ საწყალობლად დაიწიკვინა: “...ღება
...ძენთა ...ძენს!” – სადამოს ხუთი საათი შესრულდა. სათათბიროდ შეკრებილი ნაზირ-ვაზირნი
მაშინვე სავარძლებიდან წამოხტნენ, გარდა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორ-
მაციის ვაზირის ჩინი ფეტვიკენკაპის, მეჭურჭლეთვაზირის ხრახრა ვირთხაპის, ზეიმ-დღესასწა-
ულთა ვაზირის ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილის და ჯმუხა ხელჯოხსაძისა, რომლე-
ბიც, ამოპანდურებით საჯდომთა სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების აუცილებლობის გამო,
ისედაც ფეხზე იდგნენ. მათგან ბატონ ალიბაბლის გამორჩეული პატივი ერგო – დღეს უკვე ორ-
ჯერ მოუხდა გემრიელი ჭიტლაყის დაგემოვნება.

არც ჩაპბერეს ბუკთა და ღოროტოტოთა, არც დაქერეს ნაღარათა და დაფდაფთა, როცა ნაჭე-
დი ლომებით შემეული დიდებული კარები გარდაიხსნა და სეფედარბაზში შემობრძანდა პრეზი-
დენტი სრულიად პანდურეთისა – ფერმიხდილი, მჭმუნვარე; მას უკან მიჰყვნენ კიდევ უფრო დამ-
წუნებულნი, თავდახრილნი: პირადი მდივანი ჭუკია ჭუკჭუკელაშვილი, პირადი დაცვის უფროსი
დემირხან დევიაშვილი მცველებითურთ, კარის ლაურეატი პოეტი ტრიფონ ტრაბახაული, მე-
მარჯვენე რადიკალთა პარტიის ლიდერი ხვალა ხვალაძე, მემარცხენე ლიბერალთა პარტიის
თავმჯდომარე დღესია დღესიაშვილი და ბოლოს – კოჭლობით მოხლახუნე პირადი აქიმი ღრუ-
ტუნა ღრუბელიძე.

დაეძნევა მეუფე ტახტზედა სპილოს ძვლისა და ყველანი დიდის ყურადღებითა და იშვიათი
გულმოდგინებით მიაჩერდნენ ბრძენთა ბრძენის ახალთახალი მბრწყინავი ჩექმების მადლა ამაყად
აპრეხილ ჭვინტებსა. ამ დიდად პატივსაცემ ჭვინტებს მიაპყრეს თავიანთი ამ დრომდე მოწყენილი
მზერა კედელზე ჩარიგებულმა პორტრეტებმაც – გამონაკლისი იოსებ სტალინი გახლდათ, რომე-
ლიც ამოდ ცდილობდა ჩამქრალი ჩიბუხის გაჩაღებას და გრძელი უღვაშის ბოლოს ნერვიუ-
ლად ატოკებდა; ნაპოლეონს კი ქუდი რატომღაც უკუღმა ესურა, ხოლო ალა მაჰმად ხანს ჩაღმა
გვერდზე ჰქონდა გადაქანებული... მხოლოდ კვაჭი კვაჭანტირაძე კრეჭდა კბილებს უღარდელად
და თვალებს აქეთ-იქით ცუღლუტურად აცეცებდა მხიარული ამბების მოლოდინში.

ბატონმა პანჩურ-ჩანჩურამ ჯერ აღაპყრო თვალნი მადლა – მტრედის გამოჩენას თუ უფ-
რთხოდა – და მერე წამოიძახა:

- იხარეთ, ხალხო, კიდევ ერთ ზეიმს ჩაეყარა დღეს საფუძველი – დღესასწაულს დიდი გვი-
რაბის გაყვანისა!

ნაზირ-ვაზირნი პირდაღებულნი შესცქეროდნენ ხონთქრის მოულოდნელად ღრუბელგადაყ-
რილ, კმაყოფილ სახეს, მან კი განაგრძო:

- ამ გვირაბის გათხრამ სულზე მოგვისწრო! “არწივთა საბუდარიდან” განსაკუთრებით საშიშ
დამნაშავეთა სენსაციური გაქცევა საიდუმლოდ გათხრილი გრძელი გვირაბის მეშვეობით მთელი
მსოფლიოს უზრუნალ-გაზეთების ფურცლებსა და რადიო-ტელევიზიის გადაცემებში წამყვან ად-
გილს დაიჭერს. ციხისა და გასაძრომი ხერყლის გამოსახულებები განდევნიან გაზეთთა ფურ-
ცლებიდან და ტელევიზორთა ეკრანებიდან უდიდეს პოლიტიკოსთა, სახელგანთქმულ კინოვარ-
სკვლავთა, გამოჩენილ სპორტსმენტთა და მისთანათა სახეებსა და საგმირო საქმეებს, ატყდება
ერთი მითქმა-მოთქმა და ათასგვარი ტყუილ-მართლის წაღმა-უკუღმა ტრიალი – პანდურეთი საქ-
ვეყნოდ გაითქვამს სახელს! უამრავი მსურველი გამოჩნდება ჩვენი ქვეყნის მონახულებისა! ჩვენ
მთელ ქვეყნიერებას დაგუმტკიცებთ, რომ ძალიან მაგრები ვართ, გამორჩეულები! დიდი გვირაბის
დღესასწაულს უეჭველად საერთაშორისო ხასიათს მივანიჭებთ! გრანდიოზული პერსპექტივები
იშლება პანდურეთის ყოველმხრივი განვითარებისთვის! ჩვენ არ დაგკმაყოფილდებით მიღწეუ-
ლით: კარგად გავიანგარიშებთ და გადავწყვეტთ, შემდგომ რა მიმართულებით წარვმართავთ
ჩვენს მოღვაწეობას – შესაძლოა, განვაგრძოთ გვირაბის გათხრა ზღვის გაღმა ქვეყნებამდის... იქ-
ნებ ამ წამოწყებამ დიპლომატიური სკანდალი და კონფლიქტიც კი გამოიწვიოს, რაც კიდევ უფ-
რო დაასხამს წყალს ჩვენს წისქვილზე – მთელ მსოფლიოს კიდევ უფრო მოეღება ჩვენი სახელი!
გვირაბი საუკეთესო საშუალება გახდება ჩვენი საგარეო დაზვერვისთვის, აგრეთვე წარმატებული
კონტრაბანდისტული საქმიანობისთვის; დიდ შემოსავალს მივიღებთ უკანონო იმიგრაციითა და
ემიგრაციით, საეჭვო წარმომავლობის ფულის გათეთრებით... ახლავე უნდა დავიწყოთ ზრუნვა
პანდურეთის სამხედრო ძლიერების გაათმაგებაზე, რადგან შემოსავლები იმას ერგება, ვინც კონ-
ტროლს დააწესებს გვირაბზე! მე მინდა, მადლობა მოვახსენო პანდურეთის პანჩურთამორტემის
მეცნიერებათა აკადემიის თავკაცს ბატონ პანჩუ ჩანჩურიშვილს, რომლის ბრწყინვალე ჩანაფიქ-
რიც გვირაბის გაყვანისა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გაპარებისა წარიმართა დასახული
გეგმის მიხედვით და თითქმის სავსებით გამართლდა. მეორე კურდღელსაც დავიჭერთ: მოსურნე-
ნი პანდურეთის აშლილობისა, განდგომილებისა, რღვევისა, ჯანყისა – სამაგალითოდ საჯაროდ
დაიხჯებიან. აქამდე ჩვენს ყველაზე საშიშ მტრებს – პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ, მეშფოთეთ,

ბორცტმზრახველთ, წესისა და კანონის გადამლახველთ – ვერაფერი მოგუხერხეთ, დანაშაულში ვერ ვამხილეთ, ახლა კი მათი საპატიმრო აღვილიდან გაქცევისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით შეგვეძლება, მივაგოთ სასტიკი სასჯელი: თვალდაწვა, გამოყვერვა, ასოთა მოკვეთა თუ ძელზე გაკერვა. როგორც მომახსენეს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ავაზაკთა გვირაბის გამოსასვლელშივე შეპყრობა ან მოსპობა, რაიც ფრიად მოულოდნელ და ჯერჯერობით აუხსნელ მოვლენას უკავშირდება – ჩასაფრებულნი დააფრთხო საშინელი განათებული ჩონჩხის მოულოდნელმა გამოჩენამ, რის შესახებაც დროულად ვერ შეგვატყობინა ჩვენმა კაცმა... თუ რატომ – ამის შესახებ ვთხოვ, მოგახსენოს დემირხან დევიაშვილს.

პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსმა მოწიწებით შეხედა მეუფის პრიალა ჩექმების ზევით ამყად აშვერილ ჭვინტებს – ჯერ მარცხენას, მერე მარჯვენას – და ენის ბორძიკით ამოილულულა:

– ბატონო პრეზიდენტო, ციხის უფროსთან ყველაფერი შეთანხმებული იყო, ოპერაციაც საგულდაგულოდ დაგეგმეთ, ხუთჯერ ნასამართლევ გამოუსწორებელ დამნაშავეს რეცი დივისტიძეს დაგვირდით, ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელების შემდგომ, თავისუფლების მინიჭებას და, თუ მახარეს ჩანაწერებსაც გადმოგვცემდა, – დამატებით ორმოც ოქროსაც...

კვაჭი კვაჭანტირაძეს პორტრეტზე თვალები აუციმციმდა, ყვარყვარე თუთაბერმა უღვაში მოიწიწა, ბოკასა სეფედარბაზში მყოფთ ათვალთვრება და ვერ გადაეწვიტა, ვინ იყო ყველაზე ჩაფუნთუშებული, – ვაზირთა უმეტესობას საკმაოდ გემრიელი იერი ჰქონდა, – ხოლო სტალინი ისევ თავდახრილი ეჯახირებოდა ჩიბუხის გაწყობას.

– მერე, თუ ყველაფერი ყოველმხრივ დაგეგმეთ, დამნაშავენი რატომ არ დაიჭირეთ? – მინაზებული ხმით იკითხა ბატონმა პრეზიდენტმა და ჯერ მარცხენა ჩექმა აათამაშა, შემდეგ – მარჯვენა: მართალი მოგახსენოთ, ძალიან მომხიბვლელად გამოუვიდა პანწურთამორტყმის ილეთის გაგარჯიშება, თუმცა ტახტიდან არც კი წამომდგარა. – შენ რომ ჯმუხა ხელჯოხნაძესთან ერთად შეთანხმებულად გემოქმედა, ეგ სასირცხო ამბავი არ დაგვემართებოდა!.. თუმცა, ბატონ ჯმუხასაც დიდი წვლილი მიუძღვის...

– დიდო მეუფეო, ჩემთვის არაფერი შეუტყობინებიათ, თორემ სულ სხვა შედეგი გვექნებოდა, გარწმუნებთ... – თავი იმართლა ჯმუხამ.

– ჯერ შენ არაფერს გეკითხები და როგორ ბედავ აქ თავხედურად სისულელეების ყრანტალს? – გაჯავრდა ბატონი ჩანწურ-პანწურა და კედლებზე პორტრეტებმაც ყველამ ბრაზიანად დააკეცა თვალები, აგად დაკრიჭა კბილები და ღრენაც კი ამოუშვა. – მობრძანდი აქ! შენც დამნაშავე ხარ, სახელმწიფოში თუ რამე შავდება, პანწურთამორტყმის მთავარვაზირო! ახლა მიბრძანდი და აქ მომგვარე რეცი დივისტიძე – სასწრაფოდ!

ბატონი პრეზიდენტი უცებ ტახტიდან წამოიჭრა, პანწური სწორუპოვრად უთავაზა ბატონ ჯმუხა ხელჯოხნაძეს და სარკმელში მოხერხებულად გასტყორცნა. კედლებზე ჩარიგებულ პორტრეტებს სიამის ღიმილი დაეფინათ მკაცრ სახეებზე, მხოლოდ სტალინი აკრატუნებდა კბილებს, რადგან გაჯიუტებულ ჩიბუხს ვერაფერი მოუხერხა.

დემირხან დევიაშვილმა შვებით ამოისუნთქა.

– ახლა კი მიგუბრუნდეთ საუკუნის გრანდიოზული პროექტის – დიდი გვირაბის – განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, – ბრძანა ბრძენთა ბრძენმა. – რა გვეტყვის მეჭურჭლეთვაზირი?

– მზეთურწყინვალესო ჩვენო მეუფეო, თქვენი ფეხთა მტვერი ვბედავ და მოგახსენებთ მთავრობის რჩეულ გვამთა გონის ნაღვაწს... მოგეხსენებათ, რა მძიმე მდგომარეობაა ქვეყნის საჭურჭლეში და ახლა კი, როგორც იქნა, გამოჩნდა გვირაბის ბოლოში სინათლე! – ომახიანად დაიწყო ხრახრა ვირთხაძემ.

– მაგ გვირაბზე დიდ იმედებს ვამყარებთ და, როგორ ფიქრობ, ალი ბაბასა და ორმოცი ყაჩაღის საგანმურთან მიგვიყვანს? – მისთვის ჩვეული ღიმილით და მარჯვენა ჩექმის ჭვინტის თამაშით შეეკითხა ხონთქარი.

– ბევრად უკეთეს შედეგს მოველოთ, ქვეყნის მშველელო და აღმაშენებლო მზეთა მზეო! – ფიცხლად უპასუხა მეჭურჭლეთვაზირმა. – თქვენ რომ ხსენება ინებეთ, იმ ზღაპრულ განმთსაცავში ძვირფასეულობის მარაგი დროთა განმავლობაში ამოიწურებოდა, ჩვენი მთავრობისა და სწავლულ კაცთა ერთობლივი ნაღვაწის ანგარიშ-ვარაუდის მიხედვით კი, უღვევი შემოსავლის წყაროს შევქმნით...

– დაწერილებით მოგახსენე! – მოუთმენლად წამოიძახა მეუფემ და ორივე ჩექმის ჭვინტები გამაღებით აცეკვდნენ. აცუნცრუდნენ პორტრეტებიც და სტალინმაც კი წუთით შეწყვიტა ჩიბუხთან ბრძოლა.

– ჩვენო დიდო სასოებავ და მარადო იმედო, როგორც თქვენი უდიდებულესობისთვისაა ცნობილი, გვირაბს შემდგომ გაგაფართოებთ, კეთილმოგაწყობთ ყოველმხრივ... ამისთვის ჩამოგაყალიბებთ შორეული... შერეული... ბოღიში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “დიდი გვირაბი”, რომელიც ექსპლოატაციას გაუწევს ციხიდან შუკამდე გაყვანილ საინჟინრო ნაგებობას. მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ უკვე კარგა ხანია, გვარიანად მოყირჭდათ ჩვეული ტურისტული გასართობები: პარიზი და რომი, ათენი და კაირო და მისთანანი... აღარ იზიდავთ ეგზოტიკუ-

რი მარშრუტებიც კი: ანტარქტიდისკენ გემით მოგზაურობა ყინულის მცურავი მთების სილამაზითა და სიდიადით დასატკბობად, ლომებსა და სპილოებზე ნადირობა ტროპიკულ აფრიკაში, ამაზონიის ჯვრაც ფენდაუდგმელ ჯუნგლებში ხეტიალი, ჰიმაღლის მთებში ბლოტვა და კოსმოსური ხომალდით გასეირნებაც კი... ჰოდა, ჩვენი უჩვეულო გვირაბი და საშიში პატიმრების სენსაციური გაქცევა უთვალავ ცნობისმოყვარეს მოიზიდავს პანდურთქალაქში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან! მოგვაწყდება ტურისტთა ნაკადი! სასწრაფოდ მუშავდება სპეციალური პროექტი, დაწვრილებით იქნება გაანგარიშებული ერთი კაცის გვირაბში გაძრომის ხანგრძლივობა და გადასახდელი თანხის ოდენობა, აგრეთვე სადაზღვევო თანხის სიდიდე გვირაბის ჩამოქცევის შემთხვევაში. ციხეს სასწრაფოდ გადავაკეთებთ კომფორტულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ, გაგხსნით იქ ფეშენებელურ დამის კლუბებს, კაზინოებს, საროსკიპოებს, ვიდუოსალონებს ეროტიკული და საშინელებათა ფილმების მოყვარულთათვის, სტრიპტიზ-რესტორნებს... ბატონი ჩიჩი განაგრძობს შემდგომ ღონისძიებათა ჩამონათვალს.

– გაგანადებთ თავბრუდამხვევ საარქელამო კამპანიას მსოფლიო მასშტაბით, ვალუტას ნიჩბით მოგხვეტავთ! – გახარებული იყო ჩიჩი ფეტვიკენკაძეც, საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი. – ჩვენი ძვირფასო ბრძენთა ბრძენო, იქნებ უკეთესიცაა, რომ პატიმართ მიახერხეს გაქცევა, ეს დამატებით პეწს და რომანტიკულ ემსს შესძენს საიდუმლოდ გათხრილ გვირაბს. კიდევ ერთი, დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობაც გავითვალისწინოთ: მოგესხენებათ, არსებობენ მწვავე განცდათა მოყვარული ადამიანები, რომელთაც ალაგზნებთ ხიფათი, უჩვეულო თავგადასასვალის... ამ ყაიდის პიროვნებებისთვის შეგვიძლია, მოვაწყობოთ ხაროები, რომლებშიც მოულოდნელად ჩავარდებიან გვირაბის დათვალიერების დროს; იქ გვეყოლებიან მძევლებად და მათ გაგათავისუფლებთ მხოლოდ სოლიდური გამოსასყიდის გადახდის შემდგომ... ასევე იქნებიან ისეთებიც, რომლებიც მოისურვებენ, თვით გამოსცადონ გვირაბის გათხრის დროს წარმოქმნილი განცდები, საკუთრივ გადაიტანონ ყოველგვარი გაჭირვება, სიძნელე – მათგანაც დიდი სარგებლის მიღება შეგვიძლია: გადავახდევინებთ საკმაო თანხას, თანაც მუქთად გაგვიყვანენ ახალ გვირაბს, რომელსაც შემდგომ ასევე შეგვიძლია, ტურისტების მისაზიდად გამოვიყენოთ! შეიქმნება ახალ-ახალი სააქციო საზოგადოებები: “დიდი გვირაბი-2”, “მიხვეულ-მოხვეული გვირაბი-3”, “სიურპრიზებით აღსავსე გვირაბი-4”, “მოჩვენებებიანი გვირაბი-5” და ასე შემდეგ... ახალი იდეა! საშინელებათა მოყვარულთათვის ცალკე გვირაბს გავაკეთებთ – მოცეკვავე ჩონჩხებით! მთელი პანდურთქალაქი კატაკომბებით დაიქსელება, გეომეტრიული პროგრესიით იმატებს შემოსავალიც...

– ოღონდ მეფუის სრასასახლის ახლოს ორ კილომეტრზე ახლოს არ გაააჯანთოთ არც ერთი გვირაბი! ტერორისტებს მეტი კი არ უნდათ, აგაფეთქებენ! – ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, დემირხან დევიაშვილს ეკუთვნოდა, პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსსა და უშიშროების ვაზირს.

პანჩურ-ჩანჩურამ ჭვინტების თამაშს დროებით თავი ანება, დარბაზის დამსწრენი ერთი წუთით, შეშინებული, გაირინდნენ და კედლებზე ჩარიგებულ პორტრეტებსაც შეშფოთება დაეტყუოთ სახეზე. ჰიტლერმა და სტალინმა თავებიც კი გამოყვეს ჩარჩოებიდან და ქვევით იატაკს ეჭვიანი მზერით ბურღავდნენ; კვაჭი კვაჭანტირაძემ და ყვარყვარე თუთაბერმა თვალები დახუჭეს და მოიკუნტნენ საშინელების მოლოდინში.

– ჰო-ო! – ამოიქმინა ჩანჩურ-პანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა, ტახტიდან წამოხტა და გაიარ-გამოიარა მეწამულ ხალიჩაზე; მედარბაზენი მზერას აყოლებდნენ ნერვიულად წინ-უკან მოსეირნე ჩექმების ბრწყინვას. – პირველ ექსკურსიას განახლებულ გვირაბში ნაზირ-ვაზირთათვის მოვაწყობთ და ღირსეულად შევაფასებთ და დავაფასებთ! ამას ალბათ დასჭირდება რამდენიმე თვის დაძაბული შრომა, მანამდე კი საჭიროა, სასწრაფოდ განვიხილოთ ყველა მსხვილმან-წვრილმანი და ხვალ დიდიდანვე დაიწყოს გადაუდებელი სამუშაოები გვირაბის უმოკლეს ვადაში კეთილმო-საწყობად, ციხის სასტუმროდ გადასაკეთებლად დასახული გეგმისა და პროგრამის შესაბამისად – ყველა დაინტერესებული და აუცილებელი უწყებისა და ორგანიზაციის მონაწილეობით!..

დაინტერესება კი მაშინვე ცხადად წარმოჩნდა და სეფედარბაზის საგანგებო შეკრება კრახანების აფორიაქებულ ბუდეს დაემსგავსა. ყველა პრეტენზიას აცხადებდა, მთავარი როლი შეესრულებინა საუკუნის პროექტის განხორციელებაში და, შესაბამისად, მომავალი შემოსავლის ლომის წილიც მას უნდა რგებოდა. ამ დროს სეფედარბაზში დაბრუნებული ჯმუხა ხელჯოხაძე გაშტერებული დარჩა: ნაზირ-ვაზირნი და სხვებიც ხმის ჩახლეჩამდე იჭაჭებოდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ხოლო ბატონი ჩანჩურ-პანჩურა მათ უყურებდა და გულიანად ხარხარებდა.

ყველაზე ხმაიადლა პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი დემირხან დევიაშვილი ყვიროდა: – მთელი გვირაბი ჩვენი საკუთარი ხელით გვაქვს გაყვანილი უკიდურესად მძიმე და საშიშ სამთო-გეოლოგიურ პირობებში და ახლა გინდათ, ჩვენს ნაოფლარზე ხელი გემრიელად მოითბოთ და ჩვენ კი პანდური ამოგვკრათ? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ფეხი არ ჩავიგავთ! გვირაბს არავის დაუთმობთ!

მეჭურჭლეთვაზირი ხრახრა ვირთხაძე წიკვინებდა:

– უკიდვანო განუკითხაობა! თუ გინდათ, ცივილიზებულ ქვეყნად ჩავთვალთ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა, ეგ გვირაბი მთელი თავისი ინფრასტრუქტურით

ჩვენ უნდა გადმოგვეცეს – ჩვენ და მხოლოდ ჩვენ, ისე ქვეყნის ბიუჯეტს კატასტროფული ჩავარდნა განაღდებული აქვს!

ჩიჩი ფეტვიკენკაძე, საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი, მთელი ხმით გაჰკიოდა:

– ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, გვირახის საკუთრებაზე განკარგვის უფლების მიმართ თვითნებობა და ძალისმიერად ხელში ჩაგდება სრულიად დაუშვებელია! მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა გამოვაცხადოთ საერთაშორისო ტენდერი და ვინც კონკურსში უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებს, ობიექტი მას უნდა გადაეცეს!

ღრუჭუნა ღრუბელიძე, პრეზიდენტის პირადი აქიმი, ხმის ჩახლეჩამდე უწევდა ხმას (საკვირველია, სულ არ უფრთხილდებოდა ხმის იოგების ჯანმრთელობას):

– ბატონებო, გთხოვთ მომისმინოთ! ერთი რამ გაითვალისწინეთ: გვირახში სპეციფიკური მიკროკლიმატური პირობებია, რაც საუკეთესო შესაძლებლობას ჰქმნის ფართო სპექტრის დაავადებათა განკურნების შემდგომ სრული რეაბილიტაციისთვის; ამასთანავე, გვირახში ფორთხვით გაძრომა იწვევს ზომიერ, დობირებულ ფიზიკურ დატვირთვას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სამკურნალო ეფექტს. გვირახი ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში უნდა ჩადგეს, ამისთვის კი მედიკოსებმა უნდა იზრუნონ, გვირახი ჩვენი უნდა გახდეს! ვისაც ერთი წლისა და მეტის ხელფასი, პენსია თუ შემწეობა არ მიუღია, შეღავათიან ფასად მოვემსახურებით!

თავისას გაიმახლოდა საგანგებოდ მოწვეული პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანჩუ ჩანჩურიშვილიც:

– პროექტის იდეაცა და დაწვრილებითი გეგმა-პროექტიც ჩვენ გვეკუთვნის, ამიტომ უნდა დაგვჩაგროთ? გარდა ამისა, გვირახის გაყვანაში გმირული შრომა ჩადო ორმა მეცნიერმაც, ამიტომ სრული მორალური და იურიდიული უფლება გვაქვს, საქმე ჩვენ ჩავიბაროთ და მეცნიერულად მაღალ დონეზე ბოლომდე უზრუნველყოთ დიდი გვირახის ჩანაფიქრის ღირსეული ხორცშესხმა!

პანდურთამორტყმის მთავარვაზირი ჯმუხა ხელჯოხაძე კი ძალუმაღ ღრიალებდა:

– მოფიქრებით, თუ გინდა, ამერიკასთან გავიყვან გვირახს, შენ შესრულება თქვი! ციხე ჩვენს გამგებლობაშია, გვირახის სამი მეოთხედიც ჩვენს ტერიტორიაზე გადის! რაც მთავარია, იგი ჩვენმა, ჩვენმა საყვარელმა პატიმრებმა გაიყვანეს! ჩემმა ხალხმა იწვალა, იტანჯა, ივაგლახა და თქვენ გინდათ, ღომის წილი მიიტაცოთ? ვინ ჭამს მაგას! აქედან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “დიდი გვირახი” ჩვენ უნდა დავაფუძნოთ! დანარჩენებს კი, თუ ინტრიგებს არ მოეშვებიან, სანანებლად არ გაუხდეთ საქმე – გარწმუნებთ, მათ მიმართ მხოლოდ პანდურის ამორტყმით არ დაგვამაყოფილდებით, სხვა ციხეებიც საკმაოდ გვაქვს!.. ნამდვილად!

პანდურთამორტყმის მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე ტრიფონ ტრაბახაული, კარის ლაურეატი პოეტი და ხონთქრის მარჯვენა ჩექმის გამკრიალებლის საპატიო სახელოს მფლობელი, ხავერდოვანი მომხიბვლელი ხმით (რომლითაც იგი მსმენელთ აჯადოებდა საკუთარი ლექსების კითხვისას) ბუბუნებდა:

– გაერთიანების მწერლებს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ქვეყნისა და ხალხის წინაშე პანჩურთამორტყმისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრული ლექსებითა და პოემებით, დრამებითა თუ რომანებით, მაღალიდური პრობლემური წერილებითა თუ ესეებით და მომავალშიც, რასაკვირველია, ძალ-ღონეს არ დაზოგავენ, რათა ლამაზი და ხატოვანი ფერებით ღირსეულად აღწერონ დიდი გვირახის ეპოპეა, ღრმად და საფუძვლიანად გააშუქონ მისი პრობლემატიკა... ამ დიდებული საქმის შესასრულებლად კი მათი გვირახთან უშუალო ურთიერთობაა აუცილებელი, უნდა ჰქონდეთ საშუალება, წყნარად, გულდასმით, გულისყურით იმუშაონ გვირახის სიმყუდროვეში, სადაც მათ შემოქმედებით წვას ხელს არაფერი შეუშლის! მწერლები მსოფლიო ასპარეზზე ღირსეულად გაიტანენ პანდურეთის, ბრძენთა ბრძენისა და დიდი გვირახის დიდებას! ამისთვის კი აუცილებელია, გვირახი მათი სრული საკუთრება იყოს!

პანდურთამორტყმის ცირკის, ფიზიკულტურის, სპორტისა და დაზელვის ასოციაციის თავმჯდომარე ხან კულბიტებს აკეთებდა, ხან – სალტო მორტალეს, ხან – ოქროს კბილებს აკვესებდა, ხანაც – კრივის ილეუებით ეპაექრებოდა არა მხოლოდ დარბაზში მყოფთ, არამედ რატომღაც – კედლებზე ჩარიგებულ პორტრეტებსაც: ნერონს, ნაპოლეონს და კვაჭი კვაჭანტირაძეს, ხოლო თავისუფალი ჭიდაობის ილეუების ჩატარება მთინდომა სტალინთან; ამ უკანასკნელმა (ამასთანავე გაბრაზებულმა ჩიბუხის ურჩობით – ვერაფრით გააჩაღა!), ისე ძალუმაღ სდრუზა ჩიბუხი კინკრისხოში, რომ ყველა ილეუი და საკუთარი თავიც კი დაავიწყა...

პანჩურთამორტყმის თეატრისა და კინოს მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამ შემოქმედებითი დარგების მოღვაწეთ დიდი დგაწლი მიუძღოდათ პანდურთამორტყმის სახიერად და თვალსაჩინოდ წარმოჩენაში ფართო აუდიტორიის წინაშე, ამიტომ სათანადო დაფასებასაც მოითხოვდა:

– გვირახი ძვირფასი ასპარეზი გახდება ახალი ორიგინალური სანახაოებების დასამკვიდრებლად – სულ პანდურის ამორტყმით გაგაძვირებთ გვირახში ჩვენი მეუფის მტრებს! მაყურებლები

გემრიელად მოიფხანენ გულს, თან – კინოსაც გადავიღებთ და მთელ მსოფლიოში ვუჩვენებთ! თეატრი და კინო დიდი ხელოვნებაა და დიდი ასპარეზიც უნდა ჰქონდეთ დიდი გვირახის სახით!

გვირახის დაპატრონების მსურველთა რიცხვი ახალ-ახალი პრეტენდენტებით ივსებოდა. მათ შორის იყვნენ: პანწურთამორტყმის შურნალისტა და გაზეთების რედაქტორთა ასოციაცია, პანწურთამორტყმის ვეჟიტა და სამართლიანობის დამკვიდრების ლიგა, პანწურთამორტყმის ახალ-გაზრდული კავშირი და სხვები. საკუთარი, ჭეშმარიტად სამართლიანი, პოზიციის დათმობას არაფერს აპირებდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ლოგიკური კატეგორიებით ჯენტლმენურ პაექრობას მალე ცხარე კამათი ჩაენაცვლა... პერმანენტულად მიმდინარე პროცესში ბოლო მაინც გამოჩნდა: წარმოიშვა ალგუნების ფიზიკური ქმედებით განმუხტვის აუცილებლობა და თანდათან ლანდგვა-გინების ნაჯერი ხსნარიდან გამოკრისტალდა მაგარ-მაგარი მუშტებიც... ცხადია, ჯმუხა ხელჯოხნაძე უპირველესად პანდურის ამორტყმის ხელოვნებასაც გამოიყენებდა საკუთარი ურყევი არგუმენტების საფუძვლიანად გასამყარებლად და ჭეშმარიტების საბოლოოდ დასამტკიცებლად, მაგრამ, ურთიერთ მოჯაჯგურე-მოძიძგილავე სიმართლისა და სამართლიანობის მაძიებელნი უნებლიედ ისე მჭიდროდ იყვნენ ჩახუტებულნი ერთმანეთთან, რომ ამას ვერაფრით ახერხებდა.

კედლებზე ჩამწკრივებულ სურათთა ბინადარნი კი, უკლებლივ ყველანი, სულგანაბრულნი ნეტარებით შესცივინებდნენ ორმტრიალს, ხელეებს უნებურად მაგრად მუშტავდნენ და ერთი სული ჰქონდათ, თვითონაც უშუალოდ გადაშვებულნიყვნენ ალგუნებულნი ბრბოს ვნებათაღელვის აბობოქრებულ ღრმა მორევში.

ჯან!

კარი XII. გამარჯობა, ხვანთქარო, რაღაც უნდა გახარო!..

დამსწრეთაგან მხოლოდ პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენი დარჩა გარეგნულად აუღელვებელი, ოღონდ ფრიად და ფრიად კმაყოფილი ჩანდა – რიტ-მულად აბაკუნებდა მარჯვენა წითელ ჩექმას და რაღაცას ღიღინებდა კიდეც. თვალგაბრწყინებულნი, ჩვეული მომხიბვლელი ღიმილით შესცქეროდა პანდურეთის ენერგიულად გარჯილ საზოგადო მოღვაწეებს და ხითხითებდა:

– ეგრე, თქვენი ჭირიძე, თავს ნუ დაზოგავთ, გააღამაზეთ ერთმანეთი, პი-პი-პი! ვნახოთ, ვნახოთ, რომელი გამოდგება თქვენგან ყველაზე ყოჩაღი! იქნებ გამარჯვებული დიდი გვირახითაც კი დაგაჯილდოვო, მაგრამ შემდეგ კი რას ვუპირებ, ჯერჯერობით საიდუმლოდ შევიინახავ!.. – უცებ ფეხზე წამოხტა და დასჯექა: – გაჩერდით!.. ვის სურს, ჩემი ამოპანდურების ხელოვნებაში ახლავე დარწმუნდეს?..

ცხადია, მსურველი არ გამოჩენილა და სეფედარბაზში სიჩუმე გამეფდა, მხოლოდ სტალინი ისევ და ისევ უშედეგოდ აპლაკუნებდა ტუჩებს და უჩინებდა ჩიბუხს.

– აბა, ჯმუხა, სად არის შენი კაცი? რას მოგვანსენებს?

ჯმუხა ხელჯოხნაძემ ხელის კვრით წინ გამოაგდო რეცი დივისტიძე.

ჩანწურ-პანწურამ ამრეხით შეათვალიერა რეცი:

– რას ჰგავს ეს უპატრონო, ერთი ინდაურის წონაც არ იქნება! მაგას რომ პანწური ვაკადრო, ვინძლო მთვარეზეც გავაფრინო! ჭკუა-გონებითაც კი რომ გამორჩეული ბრძანდებოდეს, ჩემი ჩექმების გამკრიალვებლადაც არ დაგნიშნავდი!

– მეუფეო, სამაგიეროდ, ხელი აქვს იმგვარად გაწვრთნილი, რომ გაფრენილ ბუხს ბეწვს ამოაცლის თვალთაგან! – წელში ორად მოიხარა ჯმუხა, თან, სიფრთხილეს თავი არ სტკივალ და პანწურ-ჩანწურასგან მოშორებით ამჯობინებდა ყოფნას, უნებურად კი მეუფის ჩექმების ჭვინტებს მხერას ვერ აცილებდა; შემდგომ რეცის მიმართა:

– ბიჭო, რად დაგვადალატიანე, აკი სრულად გენდეთ! როგორ მოახერხეს გაქცევა პატიმრებმა, თუკი ხელჯოხნანებით იყო ციხის გაღავანი გარშემორტყმული და მომიჯნავე შუკებშიც ყველგან ჩასაფრებულები იყვნენ, როგორც უშიშროების ვაზირი გვარწმუნებს? ჰა, რა მოხდა, ახლავე წერილად დაფქვი, თორემ მართლა ისეთ ჭიტლაყს გითავაზებ, რომ მთვარე აქეთ დაგრჩება!..

რეცი ენაგადაყლაპულივით იღვა, თავი მხრებში ჩაეძვრინა, მერე, როცა ჯმუხამ ბუღასავით დაწითლებული თვალები დაუბრიალა, დაიწრიპინა:

– მე, რაც შემეძლო, ყველაფერი პირნათლად შევასრულე, მაგრამა... ნასწავლი ხალხი გახლავთ, ბატონო, და გამაცურეს, მაშა!.. ეტყობა, არ მენდობოდნენ და გვირახის ბოლო სინამდვილეში იქ არ გაიყვანეს, სადაც ჩემი და ბატონ დემირხან დევიაშვილის ანგარიშ-ვარაუდით უნდა ყოფილიყო. მერე კიდენა, თქვენ კი გენაცვალეთ, ის ჩონჩხა გამოტყვრა საიდანღაცა და სულ აგვირია დავთრები...

– რაებს მიჰქარავ აქა, ჰა? – მარცხენა წარბი და მარჯვენა ჩექმა ერთდროულად აუთამაშდა პანწურ-ჩანწურას.

– გაგვიყიდე ხომ, შე გაოხრებულო, რისი იმედი გქონდა? – რეცის ჯმუხამ შეუტია. – როგორც მითხრეს, გეგმაში არავითარი ჩონჩხა არ ყოფილა, არც რომელიმე ეჭვიმტანილთა სიაში არის, ვინ ჯანდაბა არის ეგა? თუ მოგვატყუე, ვაი შენი ბრალი!

– არა, ბატონო, ჩონჩხა მე კი არ მომიგონია! აბა, რამ დააფრთხო და იფრინა ბატონ დემირხანის ჩასაფრებელი ხალხი?

– გეგმით შენ მახარეს ნაწერებიც უნდა მოგეპოვებინა, ეგ საქმეც ჩააფლავე? – ჰკითხა უშიშროების ვაზირმა დემირხან დევიაშვილმა. – მეუფეს განსაკუთრებით ეგ აინტერესებს.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, ახლავე მოგართმევთ! – რეციმ სასწრაფოდ ჩაიყო ხელი უბეში და იქიდან სქელი რვეული ამოაძვრინა. ამ დროს შემთხვევით გადმოუვარდა გულქანდაც – ხალიჩაზე უხმაუროდ დაცემული აგვაროხის ლალი წითლად აბღღვრიალდა.

– ეგ საიდან გაქვს? – დემირხანს დაასწრო და მაშინვე გულქანდას დასწვდა ჯმუხა.

– ეგა, ჩემო ბატონო, ჩონჩხას ავწაპნე, როცა გვირაბიდან გამოვდიოდით...

ჯმუხამ გულქანდა მოწიწებით მიართვა ჩანჩურ-პანჩურას.

– უყურე ამ ყურუშსალს! – წამოიძახა ბრძენთა ბრძენმა; აგვაროხი მოეწონა, ლალის მბრწყინავი თვალი აათამაშა, შემდეგ გულქანდა გახსნა: – იქნებ მასში არის ამ უცნაური არსების, ჩონჩხას, საიდუმლოს გასაღები? ბიჭოს, რა მშვენიერი სურათია! – შემდეგ რეცის მიმართა, თან პორტრეტის ქვეშ წვრილად ნაწერის წაკითხვას ცდილობდა: – აქ მისი სახელია აღნიშნული – მზია, ვინ არის ეს ქალბატონი?

– თქვენი წყალობა ნუ მომიშალოს გამჩენმა, არასდროს გამიგონია, ვინ არის ეგ ქალი... – შიშით მოიკუნტა რეცი.

– მაშ, შენ გინდა, დამარწმუნო, რომ გულქანდა არ გაგიხსნია და სურათიც არ გინახავს? – შეუბღვირა პანჩურ-ჩანჩურამ.

– ვნახე, ვნახე, ოღონდ მე წერა-კითხვა არ ვიცი, თქვენი თავი ნუ მომიკვდება... – ბუტბუტებდა რეცი.

– არც შენ მოგეხსენება? – ხონთქარი ახლა ჯმუხას მიუბრუნდა, – შენ ვაღდეგული ხარ, ყველაფერი იცოდე!

– გავარკვეე, გავიგებ, დავსჯი, მოგახსენებთ! – თავი დახარა ჯმუხამ.

– ასეთი გამორჩეული სილამაზის ქალიშვილი უთუოდ სულ იოლი საპოვნია, საჩქაროდ მოძებნე და სასახლეში მომგვარე! – ბრძანა პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა.

– ჩვენო დიდო მწყალობელო, თქვენი ფეხთა მტვერი გაგებდავ და მოწიწებით მოგახსენებთ, რომ, თუ აგვაროხის წარმომავლობას გავითვალისწინებთ, – იგი ხომ ჩონჩხს ეპყრა, – მაგ სურათზე გამოსახული თვალწარმტაცი არსება ამჟამად ალბათ უკბილო მიხრწილი დედაბერი იქნება, თუკი საერთოდ წერია ცოცხლებში...

ბრძენთა ბრძენი დაფიქრდა.

– თუ ამგვარადაა საქმე, მაშინ დედაბერი იპოვეთ, იქნებ ამ ჩონჩხის საიდუმლოს გაგებაში დაგეხმაროთ და გაქცეულთა დაჭერაშიც. ძალიან ჩაიხლართა საქმე, ცხოვრებაც უფრო საინტერესო ხდება!.. აბა, ახლა მასხარა მახარეს ჩანაწერებიც გადავათვალიეროთ, კიდევ უფრო გავერთოთ! რას გაჩერებულხარ, გამოთაყვანებულო, გვიბოძე რვეული!

ამ ბოლო სიტყვებით ბატონმა პრეზიდენტმა რეცის მიმართა, რომელსაც ხელში ეჭირა უბიდან ამოღებული მახარეს სქელი რვეული. ჯმუხა მივარდა რეცის, ხელიდან გამოგლიჯა რვეული და ბრძენთა ბრძენს მიართვა, მან კი, თავის მხრივ, პირად მდივანს ჭუკია ჭუკჭუკელაშვილს გაუწოდა:

– მარტო კაცი ჭამაშიაც ცოცხალი, მით უმეტეს – გართობაში! ხმამაღლა წაგვიკითხე, გამოთქმით!

ჭუკიამ ჩამოართვა რვეული, სათვალე გაიკეთა, საგულდაგულოდ ჩახველა და დაიწყო კითხვა:

“გამარჯობა, ხვანთქარო,
რალაც უნდა გახარო:
თურმე დიდი ხანია,
ხალხს აღარ უხარია!
ხარობს მუშტი მოზრდილი,
ჯმუხა შენი გაზრდილი,
ჭვინტი შენი ჩექმისა,
ფართო ჯიბე მეფისა!”

– რას გაჩერდი? გაავრძედე! – უბრძანა ნირწამხდარ ჭუკიას მეუფემ. ჭუკიამ ხმის კანკალით განაგრძო:

“პანჩურ-ჩანჩურას ბრძენული აზრები:

1. “დესტაბილიზაცია!” – სიტყვა-საფრთხობელა! ჩემთვის კი რა კეთილხმოვანი, ნეტარების მომგვრელი ხარ – შენ კი გენაცვალე! უშენოდ რა მეშველებოდა: როცა მიჭირს, მაშინვე ამ ჯადო სიტყვას – გადამჩენ მაშველ რგოლს – ვისვრი; ჩავარდება ხალხში, უამრავ წრედ ალივილივდება და მაშინ მოგეცა ღხენა! ჩემს გემოზე ვიჭერ ამრევ დიდ-დიდ ღლაგებს, წყალს რომ მიმღვრევენ და წყნარ ცხოვრებას მიშფოთებენ, შიგადაშიგ წვრილ ლიფსიტებსაც – ჩემზე ანეკდოტებისა და ბოროტი ჭორების შემთხვევლებსა და გამაგრცელებლებს – მოვაყოლებ ბადეში, რომ ჩემი შიში და რიდი ჰქონდეთ, ავი აზრები არ გაივლონ გულში, არ გაბედონ წინააღმდეგობის გასაწევად გაფაჩუნებაც კი!

2. ეჰ, ერთი ოცნება მაქვს: ნეტავ ბოლომდე მიმაცვანინა ჩემი ესოდენ წარმატებით დაწებულ მღვანელობა! მინდა, ქვეყანა გადავაქციო ერთ დიდ საძოვრად, პანდურელნი კი – მწყემსებად, ვითარცა იყვნენ დიდი, დიდი ხნის წინათ... ხელში თითოეულს ეჭიროს ფუთიანი კომბალი და მით არკვევდეს მტყუან-მართალსა! მე კი დაფჯდები კონტად და ვუყურებ, გულიანადაც ვიცინებ – მხიარულება ხომ ჯანმრთელობისთვის დიდად სასარგებლოა! თანაც კომბალთა ეშხიანი ტრიალი და გინების კორიანტელი არა სჯობს გაქნილ ვეჭილთა ლაქლაქს, მოსყიდულ მოსამართლეთა ცრუ სამართალს, ჰა?! თანაც ვარჯიშია კომბლის ტრიალი, სულის სიმედვრესთან ერთად, სხეულის გაკაჟება-გაფოლადებაა, ჰი-ჰი-ჰი!..

3. პანდურეთის ოფიციალურ ცხოველად გამოცხადდეს მარტორქა: იგია უებრო პანდურთა-მომრტყმელი, მხეცი ყოვლად უგულო და სასტიკი!

4. პანდურეთის ოფიციალურ დევიზად გამოცხადდეს: “ვერ ვენდობი – პატიოსანი კაცია!”

ჭუკია ისევ გაჩერდა, ბრძენთა ბრძენს შეხედა, იმან თავი დაუქნია და პირადმა მღვიანმა გაზაგრძო:

“პანჩურ-ჩანჩურას მონოლოგი

ანუ

ქებათა ქება ჩემი ჩექმის მაღლა აპრეხილ ჭვინტს!

შენ კი გენაცვალე, რა ლამაზი რამ ხარ, რა ამაყად აგიდერია ლამაზი ცხვირი! თავმომწონე ვაუბატონი ბრძანდები – ამაყი, ბრექია, დიდგულა, – რომელი პატივცემული გვამის საჯდომს არ უგემნია შენი ზუსტი და ძლევაამოსილი ძალისხმევის წყალობა, მაშა! ვინ არის შენზე დამსახურებული, დვაწლმოსილი, ნაჯაფი?! დიახ, სხვას მრავალს სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებ, ჩემო კეთილო ჭვინტო, შენ კი მხოლოდ უმადურობა და უპატივცემულობა გერგება ერთგულები-სა და სიმტკიცის სანაცვლოდ... საწყალიცა ხარ, მაშ არა? ერთ დღესაც არ გასვენებ, დამაშვრლო; ამდენი შრომა-წვალება გიწევს და დღის ბოლოს ისე იცვითები, შემხედვარეს თვალზე ცრემლი მოადგება... მერე ვინ გიფასებს დვაწლმოსილს ამაგს? როგორც ყოვლად უვარგის, ყაფლგასულ რასმე, უბოდიშოდ მოგისვრიან სანაგვეზე! ვაგლახ, აღარავის ჭირდები, არც აღარავის ახსოვხარ და, ჩემო საყვარელო, დაე ეს გულთბილი, კაეშნით შეზაგებული მოგონება იყოს შენთვის საუკეთესო ძეგლი! გრძნობათა სისავსისგან არ შემიძლია, ლექსი არ გიძღვნა:

ცხოვრებაში მთავარია,
რაც ყველაზე მაგარია:
პანდური და წიხლი –
სხვას რა თავში ვიხლი!
ვენაცვალე ჩემი ჩექმის
ჭვინტსა, მაღლა ამართულსა
და მართლა მაღლობა მეტქმის –
მარად მჩუქნის სიხარულსა:
ამ ჭვინტით დიდად ნაქებით,
პანდურით ფრიად მარგებით, –
მაგანი ხდება ფრთოსანი,
თუკია პატიოსანი!..”

როგორც ჩანს, ჭუკიამ გაითვალისწინა ადრე დაშვებული შეცდომა, ამჯერად აღარ გაჩერებულა და, მცირე პაუზის შემდეგ, განაგრძო:

“ჩემი ლოცვა

მაღალო უფალო, მიეც პანჩურ-ჩანჩურას, ჩვენსა მეუფეს საყვარელსა, ძალა ფეხში და სიმტკიცე სულში, რათა ძლევაამოსილად ამოაპანდუროს ყველა ამრევი და შფოთისთავი, დამბლა უწყალობე მისსა მტერთა და ავის მნდომთა!.. უმორჩილესად გვაჯები, შეისმინე თხოვნა ჩემი, მომაპყარ მოწყალე თვალი შენი, იყავ კეთილად განწყობილი ჩემი ვედრებისადმი: მუდამ გამარჯვე

ბული და გალაღებული ჰყავ მეუფე ჩვენი ყველა საქმეში სანაქებოში, იყოს ბედნიერი და განხარებული მარადჟამ, აშორე ყოველივე მზაკვრული, დაიცავ ჩასაფრებულთაგან... მასზე სალაღობო ლექსთა მთხზველებს დაუბნელე მზე, ანეკდოტებისა და შაირების მიქმელთ წაართვი მეტყველების უნარი, იქმნენ ვითარცა პირუტყვნი უგონონი...

ქებათა ქება პანღურეთს

ყველა – ბედნიერი,
ყველა – კმაყოფილი,
საზოგადოება –
ოცად გაყოფილი;
ყონალი – ხვანთქარი,
ყანად-ვაზირები,
ქურდნი – “პატრიოტნი”,
ერისკაცნი – “მტრები”;
როცა ჩექმის ჭვინტით
წესრიგი მყარდება,
თურმე მხოლოდ მაშინ
მხარე აყვავდება;
ბინძური აზრები –
სიბრძნედ გასაღდება,
გაუმარჯოს ტყუილს,
სიცრუეს – დიდება!”

მეუფეო, აქ კიდევ ბევრია ნაწერი: “პანწურ-ჩანწურას ბრწყინვალე ზეობის შესხმა”, “ვარდთა თაიგული ანუ საუბარი მის უდიდებულესთან”, “სულელთა დღესასწაული ანუ...”

– გეყოფა, გეყოფა!.. – წამოხტა ტახტიდან ბატონი პრეზიდენტი, მივარდა ჭუკია ჭუკჭუკულაშივლს და ხელიდან გამოჰგლიჯა რვეული, რომელიც შემდგომ, არ დაიზარა და დიდი მონღოებით პირადად, საკუთარი ხელით ნაკუწებად აქცია, ხალიჩაზე დაყარა და ორივე ჩექმის ჭვინტებით გამეტებით გაჰკრა და გამოჰკრა, გაჰკრა და გამოჰკრა!..

როდესაც უინი მოიკლა, გაოფლილმა, სიასამურის ქულაჯა გაიხადა და შვებით ამოისუნთქა (ჩვენში დარჩეს და, იმდენი ორდენ-ჯინჯილები ამშვენებდა, საკმაოზე მძიმე სატარებელი გახლდათ, რაღა უნდა ითქვას რიტუალურ ცეკვაზე რვეულის გასანადგურებლად); უკვე შედარებით დაწინარებული, ტახტზე დაესვენა და იკითხა:

– გაქცეულები როგორ დავიჭირთ? განსაკუთრებით მხარეა დასასჯელი! სულელური, გამრყენელი შაირების კითხვით ვერთობით, დროს ვკარგავთ, ქვეყნის დამატყვევარნი კი თავისუფლად განაგრძობენ ძირგამომთხრელ საქმიანობას! შენა, ჯმუხავ, პირადად შებრძანდები გვირაბშია, პირადად შეამოწმებ, როგორ მოხდა ეს თავხედური გაქცევა, პირადად დასჯი ამ საჯაყ საქმეში გარეულ თუ ხელისშემწყობ დამნაშავეთ და პირადად მომახსენებ ყოველივეს! უსწრაფესად!..

– ახლავე გავრბივარ, თქვენო უდიდებულესობავ! – მეუფის ჩექმის ჭვინტებს დიდის პატივისცემით სტყორცნა მზერა პანწურთამორტყმის მთავარვაზირმა ჯმუხა ხელჯოხადემ და ადგილიდან მოწყდა კიდევ, მაგრამ მეუფემ შეაჩერა:

– მოიცა, ჯერ სხვებიც გეტყვიან, რაოდენ დამნაშავე ხარ შენ თვითონაც, ასე რომ გააღაღე უკანონობა, უწესობა, მეკობრეობა, ავაზაკობა, პარვა-ქურდობა და მამაძაღლობა... ქვეყანა წალეკა ამრევთა და შფოთისთავთა ურდოებმა! ჰა, რა გვეშველება, რა ვიღონოთ? ვარსკვლავთმრიცხველთ და მოგვთ ტყუილად ვაჭმევთ პურსა, პანწუ ჩანწურიშვილი კიდევ, პანღურეთის პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, წვრილ-წვრილ თემებს გამოჰკიდებია, ერთი ეგ იყო, გვირაბის გაყვანის აზრისთვის მადლობის ღირსია, მაგრამ ამ საქმეშიც წავიფორხილეთ... სხვა?.. ამ რამდენიმე გაქცეულს დავიჭერთ და რამდენი დაგვრჩება კიდევ მტერი, ისინი როგორღა გამოვაგლინოთ და მერე – მათ მიმართ სათანადო ღონისძიებები ჩავატაროთ? აბა, გისმენთ, ამოშაქრეთ!..

– ჩვენო მაღალღირსეულო და ძვირფასო ბრძენთა ბრძენო! – გაბედა ხმის ამოდება პანწუ ჩანწურიშვილმა. – მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ ჩვენი ნიჭიერი მეცნიერების მრავალწლიანი თავდაღებული შრომის შედეგად აღმოჩენილია უებარი საშუალება, რათა სულ იოლად გამოვარკვიოთ, პიროვნებას რა მიდრეკილებები აქვს, რა სულიერ მდგომარეობას განიცდის... კლინიკური გამოცდები წარმატებით ჩატარდა...

– ეგ ვის რად სჭირდება! – წამოიძახა ჯმუხამ. – მე ერთი წამალი ვიცი, ნაღდი და საუკეთესო – კომბალი! ერთს რომ სდრუხავ ფერდში გემრიელად ან კოსროში წაუთაქებ, თავიდან მაგნე აზრებს საიმედოდ გამობერტყავ!

- ჰო, კიდევ - პანდურის მაცოცხლებელი ძალაც არ დაგავიწყდეს! - განხლისდა ბატონი პრეზიდენტი. - აბა, გვიბრძანოს, რა გადატრიალება მოახდინეს მსოფლიო მეცნიერებაში - ელექტრული კომბალი თუ განსაკუთრებული ჩექმა გაუმჯობესებული პანწურთამორტყმის ეფექტით?

- არა, მეუფეო, გამოგონებულია არაჩვეულებრივი უნივერსალური წამალი-ინდიკატორი: აბის გადაყლაპვის შემდგომ მოკლე ხანში პაციენტს თმა ედებება სხვადასხვა ფერად! თუ განხარებულია - წითლად, თუ მატყუარაა - ყვითლად, დარდით გულშეჭმულს - ცისფრად, შეყვარებულს - მწვანედ, თუ ცუდი რამ აქვს ჩაფიქრებული - ლურჯად!..

- აგაშენა ღმერთმა, გვეშველა! - გაუხარდა პრეზიდენტს სრულიად პანდურეთისა პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენს. - დავალეწინოთ ყველას ეგ წამალი და ლურჯთმიანები დავიჭიროთ!.. ბრწყინვაღელა!.. გადასარეგია!.. გასაყვეყნებელია!.. მეცნიერებმა უეჭველად დაიმსახურეს ჩემი სახელობის პრემია! ჭუკიაგ, ჩაინიშნე! ჰო, კიდევ: ვაარსებ ახალ ჯილდოს - "დიდი გვირაბის" ორდენს; პირველ კავალერად ამ ორდენისა იქნება პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანწურ ჩანწურიშვილი!.. ჩაინიშნე?

როგორც იქნა, დიდი ხნის ჯახირის შედეგად, სტალინმა ჩიბუხი გააჩადა, მოქაჩა მოქაჩა და ერთი ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, რომ მსხვილი უღვაშებიდან ქშუტუნით, ბოლქვა-ბოლქვად გამოსული თუთუნის სქელი ბოლით მთელი სეფედარბაზი დაბუნტდა; იქ მყოფნი ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ, ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდნენ ფუნთუშა ლოყებზე და ხველებით დაოსდნენ... აურზაურისგან გაღვიძებულმა პიტლერმა, შეშინებულმა, თვალები დააჭყიტა და გამხდარი მუშტით სტალინს უიმედოდ დაემუქრა.

როცა ბოლი გაიფანტა, რეცი სეფედარბაზში აღარ იყო...
ჯან!

კარი XIII. ცისფერი სახლის საიდუმლო

ღიას, ჩონჩხამ ერთი რკინის ცისფრად შეღებილ ჭიშკარში დატანებული კუტიკარი შეაღო და ის და მახარე სასწრაფოდ შევარდნენ ეზოში.

მოზრდილი ეზო ავსებული იყო ვარდების გამაბრუებელი სურნელით. ჰყვოდა ათასგვარი ვარდი: კაშკაშა წითელი, მუქი ხავერდოვანი მეწამული, უბიწო თეთრი, ნაზი ყვითელი; გალღობული ხვიარა წითელი ვარდი - წვრილი, მრავალყვავილოვანი, - იმდენად ხვავრიელად, ხანძარივით მოღებულყოფი ზევიდან ცისფერ ჭიშკარს, რომ ბრდღვიალა გვირგვინად ადგა.

მაისი ზეიმობდა! ზეიმობდა ტურფა მაისი!.. ფიქლის ბრტყელი ნატყებით მოკირწყლული აღმართიანი ბილიკით მიემართებოდნენ ჩონჩხა და მახარე მაღლობზე წამოსკუპებული კოხტა ცისფერი სახლის მარმარილოს კიბისკენ, რომელიც აქეთ-იქიდან აყვავებული იასამნის ალყაში იყო მოქცეული.

მათ უზარმაზარი ბომბორა ნაგაზი გამოეგებათ - ჭკვიანი, ყვითელი თვალები მიანათა და მისალმების ნიშნად კუდის ქნევას მოჰყვა.

მახარე შეყოყმანდა, განეგრძო თუ არა გზა; ამ დროს სახლის შემინული ფართო აივნის კარი გაიღო და ზღურბლზე ქალიშვილი გამოჩნდა. ხასხასა წითელი კაბა ეცვა და ყორნისფერ თმებში წითელი ვარდი ჰქონდა გარტობილი.

ჩონჩხა შედგა. ერთხანს ადგილზე ტორტმანებდა, შემდეგ მოწყვეტილად წაიქცა, გვერდით ვარდის ბუჩქს გადაემხო.

ქალიშვილმა და მახარემ ჩონჩხა წამოაყენეს. უცებ ჩონჩხა აცეკვდა - თავდავიწყებით დიდხანს როკავდა, ნაირ-ნაირი ილეთების მარაგი არ ელეთდა.

ქალიშვილი, გაკვირვებული და აღტაცებული, ტაშს უკრავდა. მახარე ქალიშვილს უცქეროდა, ნაგაზი ყურადღებით აკვირდებოდა მახარეს.

- გამარჯობა, თქვენ მზია გქვიათ? - ღიმილით ჰკითხა მახარემ.
- ღიას... როგორ მიხვდით? - ლურჯი თვალები გაკვირვებით მიაპყრო ქალიშვილმა.
- თქვენი გამოსახულება ჩონჩხას აგვაროზში... გულსაკიდში ვნახე. მეგონა, მხატვარმა შავ თმებს საგანგებოდ, სილამაზისთვის შეუხამა ლურჯი თვალები-მეთქი, ახლა ვხედავ, რომ ვცდებოდი, სინამდვილეშიც ასე ყოფილა.

- სად ნახეთ? არა, მე არავის დავუხატავარ... - გაკვირვება არ უნელდებოდა ქალიშვილს. - რომელ ჩონჩხზე ამბობთ, ამაზე?.. საერთოდ, ვინ ბრძანდებით და რატომ შემოდით ეზოში თქვენ და ეს უცნაური არსება? შემაშინეთ...

- ახლა დრო არ არის, შემდგომ გაგეცნობით... აგერ აქვს ჩონჩხას ჩამოკიდებული გულსაკიდი და ვნახოთ... რა უყავი აგვაროზი? - ისე მიმართა ჩონჩხას, თითქოს ამ უკანასკნელს შეეძლო, პასუხი გაეცა.

ჩონჩხა კისერზე ტყუილად აფათურებდა ხელს - გულსაკიდი უკვალოდ იყო გამქრალი.

– რეცის ოინების მსხვერპლი უნდა ვიყოთ! – წამოიძახა მახარემ და ახლა საკუთარ ჯიბეში დაიწყო ხელის ფათური. – ჩემი რვეულიც მოუპარავს!.. რვეული რაღად უნდოდა, რა თავში იხლის ჩემს ნაჯღაბს ლექსებს...

– თქვენ პოეტი ბრძანდებით? – ჰკითხა მზიამ. – რეცი ვინდაა?

– ქურდია, ქალბატონო, ერთად ვიყავით საკანში და ერთად გამოვიქცეთ, არ მეგონა, თუ...

– ქურდი აბა რის ქურდია, თუ არ მოიპარა, – “ანუგეშა” მახარე ქალიშვილმა. – ახლა მახსენდება: ბებიჩემი ჰყვებოდა, რომ ოქროს გულქანდა ჰქონდა, ლალისთელიანი, შიგ სპილოს ძვლის მრგვალ ფირფიტაზე პაპაჩემმა მისი პორტრეტი გააკეთებინა გამოჩენილ მხატვარ-მინიატურისტს. შემდეგ... აღარ ვიცი, რა ბედი ეწია...

– ბოდიში, ქალბატონო, ეტყობა, ჩონჩხა იმიტომ წაიქცა, რომ თქვენ რაღაც მოაგონეთ (ჩონჩხამ დასტურის ნიშნად თავი დაუქანა)... კიდევ ბოდიშს ვიხდი, თუ ნამეტანი არ შეგაწუხებთ, შინ ხომ არ შეგვიპატიუბდით? თუნდაც მცირე ხნით... ხელჯონიანები ქუჩებში დაძრწიან, ჩვენ გვეძებენ, სწორედ ამან გაგვაბედინა აქ შემოსვლა.

მალე მზია და მახარე დიდ ოთახში ხის მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ და საუბრობდნენ, ხოლო ჩონჩხა მიმოდოდა კედელზე ჩარიკებული სურათების გასწვრივ; დროდადრო რომელიმე სურათთან ჩერდებოდა.

– ქალბატონო მზია, თქვენს დიდებას რა ერქვა?

– მე მისი სახელი დამარქვეს.

– ასეც ვფიქრობდი! ესე იგი, გულქანდის პორტრეტზე იგია გამოსახული... ამის შესახებ რა გსმენიათ? ალბათ თქვენს დიდებას ყველაზე უკეთ ეცოდინება გულქანდის ამბავი...

– მე სულ პატარა ვიყავი, როცა ის გარდაიცვალა... არც მშობლები მყავს ცოცხალი.

– სამწუხაროა... ამხელა სახლში მარტო ცხოვრობთ?

– დიახ. თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რომ ჩემი მშობლების საქმეს ვაგრძელებ, ყვავილებს ვახარებ და მით ვარსებობ... თუმცა, ამ გაჭირვების ჟამს ყვავილებისთვის ბევრს არ სცხებლა.

– კარგი სიტყვა იხმარეთ – “ვახარებ”, ყვავილებსაც ახარებთ და სხვათა გულსაც, სილამაზეს ემსახურებით...

– დიახ, ამ მხრივ ბედნიერი ვარ.

– სხვა მხრივ?

– კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მშობლები რომ ცოცხალი მყავდეს, ან დედისერთა არ ვიყო... მშვენიერ ყვავილებთან ურთიერთობას რა სჯობს, ცოცხალი სიტყვა, ადამიანური სიტბო შეუცვლელია, – ამას ერთგვარად მოკლებული ვარ... ხანდახან ამ კედლებზე ჩამორიკებულ სურათებთან მივდივარ, პორტრეტებს ცოცხლებივით ვესაუბრები...

– როგორც ჩანს, ახლა ჩონჩხაც შინაგანად ესაუბრება მათ, უყურეთ, რამდენი ხნით გაჩერდა იმ გოროხი გამომეტყველების, უღვაშებაპრეხილი მამაკაცის პორტრეტთან. ძველი ნაცნობი ხომ არ არის?

– ეს პაპაჩემის პორტრეტია, ანტიფორე ერქვა. ძალიან ამაყი კაცი იყო. გამიგონია, ერთხელ პანდურის ამორტყმა ვერ აიტანა და... თუ... თუ ვიღაცამ აჯობა პანჩურის ამორტყმაში? კარგად არ ვიცი, ის კი მახსოვს, რომ ნამდვილად ამგვარ რაღაცას გადაჰყვა.

– მიზეზი? რა გახდა მიზეზი ესოდენ უპატივცემულო მოპყრობისა?

* * *

ახლა რაღა ვქნა, ჩემო მკითხველო? ორი კვირის შესვენების შემდეგ მივუბრუნდი წერას და მაინც არ ვიცი, საით მივღრიჯო ამბის დინების მიმართულება – აქეთ თუ იქით? რატომ ამოარტყეს პანდური მზიას პაპას ბატონ ანტიფორეს? ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ჩონჩხა? იქნებ ის მზიას პაპის მებაღე იყო, ეტრფოდა პატრონის მშვენიერ მეუღლეს, მისი სახელობის ვარდის ჯიშშიც გამოიყვანა და ანტიფორეს ეჭვიანობის მსხვერპლი გახდა?... თუ ჩონჩხა მხატვარ-მინიატურისტი იყო და მოღველი – მზია – შეუყვარდა, ვერ შეეღია მის მიერ სალოცავ ხატად ქცეული ქალის პორტრეტს და, როცა გამძვინვარებულმა დამკვეთმა – ანტიფორემ – იგი ცინეში ჩაამწყვდევინა, ეს მისთვის ესოდენ ძვირფასი ხატება საყვარელი ქალისა გულსაკიდად თან წარიტანა საპყრობილეში...

თუ...

სხვაც ათასი გზაა ამბის გაგრძელებისა, ყველა მიზიდავს და რომელს დავადგე?

“ეჭვი! – შემიძახებს მოუთმენელი მკითხველი სრულიად სამართლიანად, – შენა, ჩვენო ძმაო და მეგობარო, ჩვენში დარჩეს და, ხომ არ გვაბითურებ? ისე ჩანს, ხეირიანად თვითონაც არ იცი, რას წერ და საით მიბენტერობ, ჩვენ რაღას გვაწვადლებ? თუ უღრან ტყეში გსურს შებრძანდე და იქ უთავბოლოდ იხეტიალო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩვენ რაღას გვერჩი? ქენი სიკეთე, დააბდე კალამი, შეილოსა!”

ჰო, უნდა გამოვტყდე, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც ცამდე მართალი ბრძანდები, მკითხველო! ერთი საკუთარი ცოდვა უნდა გავამხილო: მე საერთოდ მახასიათებს იმპროვიზაციული

წერის ნიერი. გეგმის შემუშავება კარგია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ დაწერილებითი გეგმის შედგენის კირკიტა ჩემი მოთმინების საზღვრებს სცილდება და, თუნდაც გამეჭირვებინა და გეგმის მოკვარახჭინებას მოვრეოდი, მის მიხედვით შემდგომი წერის პროცესი ალბათ თველემას მომგერიდა... მე მიჩვენებია, ვიცოდე, ბოლოს სად უნდა მივიღე, მაგრამ გასაველეელი გზა წერის დროს უნდა ავირჩიო, ხანაც – შევეცვალო, ზოგჯერ ბილიკიდანაც გადავუხვიო: ასე ხომ ბევრად მიმზიდველია სიარული, ახალ-ახალ ყვავილებს-მიგნებებს ვპოულობ, რაც მახალისებს და მახარებს! იქნებ ბოლოს სულაც უცნობ ადგილამდე მივიღე, თავიდან სიზმრადაც რომ არ მინახავს – მაშინ ხომ მთლად კარგი!

ჰო, მტყუანი ვარ, უხეიროდ თავს ვიმახსრებ – ფუი, ვიმართლებ! – ვითომ ჩემი ჭკუით, განა არ ვიცი. რამდენჯერ შემიძახებია საკუთარი თავისთვის: “შე რეგენო, ლამის სამოცდაათი წლისა ხდები, მერამდენე წიგნსა წერ და, ბოლოს და ბოლოს, ჭკუა ვეღარ უნდა ისწავლო? ვის გაუგია პროექტის გარეშე გემის აგება ან სახლის აშენება? წიგნის დაწერა ხომ უფრო იოლი არ გახლავს!” რად გინდა მერე – შეაყარე კედელს ცერცვი! მე კი ბევრჯერ ვცადე დაწერილებითი გეგმის შედგენა, მაგრამ... მერე, წერის დროს, მაინც გადავუხვიე!..

სანამ მე აქ ვლაქლაქებდი, უცებ ოთახში – “ბრახ!” – რაღაც უცნაური ბრავგანი გაისმა და მას მრავალი წვრილ-წვრილი ხმაურებიც მოჰყვა – კედელზე ჩამოკიდებულმა ბატონ ანტიფორეს პორტრეტმა ვეღარ გაუძლო მის წინ ჩონჩხსა ესოდენ ხანგრძლივ დგომას, უეცრად თვალთავან ნაკვერჩხლები ჰყარა, გრძელი მარცხენა მკლავი გამოსტყორცნა (ცაცია იყო?) და მუშტის მძლავრი დარტყმით ჩონჩხსა ყბა მოუნგრია. ჩონჩხსა შეტორტმანდა, წონასწორობადაკარგული წაიქცა და იატაკს დაენარცხა, ჩხარაჩხურით ნაწილ-ნაწილ დაიშალა...

მზია და მახარე ძვლების გროვასთან მიცვივდნენ, პორტრეტზე კი უღვაშებგაფხორილი ანტიფორე გახარებულნი იკრიჭებოდა.

– ვაჰ, ეს რა დამართნია, კაცო! – წამოიძახა მახარემ. – როცა, როგორც იქნა, თავისუფლებას ეწვია, საწყალ ჩონჩხსა მსახვრალი ხელისგან საშინელმა ბოლომ მაშინ უწია!

– მაინც სული არ ედგა, ძვლების გროვად იყო მაინც და რა აზრი ჰქონდა მის არსებობას ამქვეყნად? – თქვა მზიამ.

– მისთვის, შესაძლოა, არავითარი, თუმცა ამაშიც შეიძლება ეჭვის შეტანა, მაგრამ სხვებისთვის კიდევ შეეძლო სიკეთის მოტანა... აქ რომ ხელჯოხიანები მოვარდნილიყვნენ, ხომ იფრენდა! თქვენ, ქალბატონო მზია, ჩონჩხსა შიშს, ძრწოლას გგერიდათ, ასე არ არის? მე კი სრულიად განსხვავებული გრძნობები მიჩნდებოდა მისი ხილვისას: სულ თამაშობდა, ცეკვავდა – მხიარული იყო! სიკვდილს დასცინოდა! ძლიერი სული ბუდობდა ამ უსულს, ბოლომდე დაუმორჩილებელ ჩონჩხში და ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეძლო...

– გადავყრით ამ ძვლებს და ბოლო კვალი ამ უცნაური ამბისა, რომელიც დიდდაჩემის მეღალიონთან არის დაკავშირებული, ალბათ საბოლოოდ წაიშლება...

– შესაძლოა, ასე ჯობდეს კიდევ... ჩონჩხი – ამაოების, წარმავლობის, დავიწყების, დაფერფლის სიმბოლოა, ეს ჩონჩხსა კი ებრძოდა ამ ტრადიციას, დაუდგომელი იყო, მარად მოუსვენარი, – ალბათ ცოცხლებს გვეჯიბრებოდა კიდევ, უნდოდა, ბოლომდე გახარჯულიყო... რატომ დასაჯეს? ჩონჩხსა და აგვაროზის ამბავი უპრიანია, ლამაზ, პოეტური საბურველით დაფარულ, ბოლომდე გაუხსნელ საიდუმლოდ დარჩეს, თუმცა... ისე როგორ უნდა წაიშალოს ადამიანის კვალი, რომ მისი არც სახელი ვიცით, არც რაიმე სხვა ნაშთი – სად არის მისი შთამომავლობა, რომელია მისი დარგული ხე, მისი ხელით აშენებული სახლი...

– ის სურათი დიდდაჩემისა იქნებ მისი შესრულებულია?

– ისევ და ისევ იმ გულქანდას ვუბრუნდებით... რაღაც უნდა დამიჯდეს, უნდა მოვძებნო რეცი და დიდდას პორტრეტი დაგიბრუნოთ!

– ჩემი რომ არასდროს ყოფილა? დაბრუნებად არ ჩაითვლება.

– მაშინ საჩუქარი იყოს... ერთმა რამემ შემაფიქრია: ვაითუ ბატონი ანტიფორე მეც შემომწყრეს, ჩარჩოდან გაბრაზებულმა ისკუპოს და ისეთი ცხელი მუშტი მითავაზოს, რომ ჩონჩხსა-ვით ნიხბით ასახვეტი გავხდე!

ულაპარაკოდ, უთუოდ, სავსებით და სრულიად ვეთანხმები ჩემს გმირს! აბა სხვას რას იფიქრებ, როცა ბატონ ანტიფორეს სახეს ზევით აპრეხილი ასეთი მსხვილ-მსხვილი, ჯიშინი უღვაშები ამშვენებს!.. მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი, ამ უღვაშების მაგივრად წყვილ ჭვინტაპრეხილ წაღებს მიეუხატავდი – დიდად მოუხდებოდა, ნაღდად! გავიმეორებ: ვერც იმას დავმაღავ, რომ ერთგვარად მეშინია კიდევ – ემანდ მეც არ გადმომწვდეს მისი რისხვა! ანტიფორეს მედიდურად ამართული უღვაშებისა და გოროზად გადმოკარკლული თვალების შემხედვარე, არცთუ უსაფუძვლოდ ვგარაუდობ, რომ, შესაძლოა, სანაქებო პანდური მითავაზოს!

მაგრად შეეფიქრიათ, ხომ იცი, ღირს კი ამბის გაგრძელება?!

* * *

ალბათ ამ შიშის მიზეზიც არის, რომ წერას მხოლოდ კვლავ ორი კვირის შესვენების შემდეგ ვაგრძელებ... (ბიჭო-ო-ო!.. რა ძნელად მიდის საქმეი!..).

გადავიკითხე წინა გვერდი და, დიდი ყოყმანის შემდგომ, გუბრუნდები პორტრეტებიან დიდ ოთახსა და ჩემს გმირებს – მზიასა და მახარეს.

– ერთი რამ ჩემთვის დღესავით ნათელია: ანტიფორესა და მისი მეუღლის, მზიას, პორტრეტები არ შეიძლება ერთი და იგივე მხატვრის მიერ იყოს შექმნილი, რადგან სრულიად განსხვავებული მიდგომა იგრძნობა მათი შესრულებისას... – თქვა მახარემ (ის და მზია ანტიფორეს პორტრეტის წინ იდგნენ – მახარე ცოტა მოშორებით, ემანდ მეც ანაზღად არ მომწვედეს ანტიფორეს გრძელი მკლავით). – მხატვრის მიერ შექმნილი მავანის პორტრეტი ხომ იმავედროულად ერთგვარად თვით შემოქმედის ავტოპორტრეტიცაა – საკუთარი ინდივიდუალობა გამოსჭვივის...

– მე დიდების მინიატურული გამოსახულება არ მინახავს და არ შემიძლია პაპაჩემის პორტრეტთან შედარება. როგორღა წარმოაჩინეს ამ, თქვენი სიტყვით, განსხვავებულ პორტრეტებში საკუთარი სახე მხატვრებმა? – დაინტერესდა მზია.

– შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მოდელები და მხატვრები – სავსებით თუ არა, მნიშვნელოვანწილად მაინც – შეესაბამებიან ერთმანეთს. მზიას მინიატურული პორტრეტის შემქმნელი ალბათ იქნებოდა ნატიფი გემოვნების ხელოვანი, ყველაფერში და ყველგან სილამაზისა და სიკეთის მჭვრეტელი – რა ნაზი, ჰაეროვანი, პოეტური აღმაფრენით აღვსილი მანდილოსნის სახე შექმნა! თქვენც საოცრად ჰგავხართ დიდელას, თქვენი პირველი დანახვისთანავე ვინანე, რატომ მხატვარი არ ვარ-მეთქი!

მზიამ მორცხვად დახარა თავი:

– მადლობას მოგახსენებთ ქათინაურისთვის... იმასაც გაგახსენებთ, რომ, სამწუხაროდ, იმ მინიატურული პორტრეტის შექმნამ ბედნიერება არავის მოუტანა... ამას თუნდაც თქვენი მეგობრის ბედიც ადასტურებს – მისგან მხოლოდ ძვლების გროვადღა დარჩა... პაპაჩემის პორტრეტის შემქმნელზე კი რა აზრის ბრძანდებით?

– ანტიფორეს პორტრეტი, უეჭველია, ფრიად ირონიული თვალთახედვის მატარებელი მხატვრის შექმნილია, მეტიც – დამცინავ, გამკენწლავ მუხტსაც დებს მოდელის სახეში, – უპასუხა მახარემ. – ხაზგასმულია ანტიფორეს საფრთხივით უღვაშები; კუშტად გამომზირალი, გადმოკარკლული თვალები მოუთმენლობასა და, ამავე დროს, სიმტკიცესაც გამოხატავენ...

– გეთანხმებით, ზევით ამპარტავნულად აპრეხილი წარბები ორბის გაშლილ ფრთებს მაგონებს, – თქვა მზიამ.

– თუ დაუკვირდებით, მისი წარბები ნაღდად ყანწებს წააგავს! – განაგრძო მახარემ. – ამგვარი გროტესკული ტრანსფორმაციის მიუხედავად, მაინც კარგად ჩანს, რომ ანტიფორე თავისებურად ლამაზი კაცი იქნებოდა. ბოდიშს ვითხოვ, ქალბატონო მზია, ლხინის მოყვარული ხომ არ იყო ნამეტნავად? თუმცა, თქვენ როგორ გეცოდინებათ... ანტიფორეს პორტრეტის შემქმნელი, ჩემი ფიქრით, მეტად გამბედავი უნდა ყოფილიყო და არა მხოლოდ შემოქმედებითად, არამედ პიროვნულადაც. ანტიფორეს რომ ეს პორტრეტი თვალში არ მოსვლოდა, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, ვინ იცის, რას მოაწევდა მხატვარს მოუთოკავი ბობოქარი ვნებების პატრონი! საოცარია, ალბათ საკუთარი პორტრეტი მოეწონა და კედელზე საპატიო ადგილიც მიუჩინა! არადა, აშკარად ჩანს, პორტრეტზე რა გროტესკულად არის გამოსახული – ულმობლად არის გაშიშვლებული ანტიფორეს გულზვიადობა, შეუწყნარებლობა... მეტიც – მეტად გამახვილებულად, ხაზგასმით არის გადმოცემული მისი ჭირვეული, თავნება ხასიათი, სიჯიუტესა და სიმტკიცესთან შერწყმული; ამასთანავე – უნდობლობა, ეჭვიანობა... მომწონს! ძლიერი კაცი იყო პაპათქვენი, როგორც ჩანს, და ძლიერად შესრულებული პორტრეტის ყადრი გაიგო... მაამებლური პორტრეტი, შესაძლოა, პირიქით, არც მოსწონებოდა! ძლიერი უნდა იყო, რომ დააფასო საკუთარი სახის ასეთნაირად წარმოჩენა და დააფასო მხატვრის ნიჭი. ასეთთა შემართებასა და ნებას უნდა გუმადლოდეთ, თუ ქვეყნად რამე კეთდება, წინ მივდივართ... რთული ბუნების იქნებოდა ცხონებულის.

– ღიახ, ისევ გეთანხმებით, პაპაჩემი სწორედ მასეთი ყოფილა – ძლიერი, მაგრამ მოუთმენელი, ფიცხი, მცირედ შეცოდებასაც არავის მიუტევებდა, ყოველთვის თავისი გაჰქონდა... იქნებ ამას ემსხვერპლა კიდევ თვითონ...

– ცოდვა ყველას საკმარისად გვიმძიმებს სულს, ამიტომ ვართ ასეთი მოუთმენლები, შემწყნარებლობის უნარს მოკლებულნი, თავგერძები და ზოგჯერ – სასტიკებიც...

მზია უყურებდა მახარეს და ცდილობდა, გამოეცნო, მიმხვდარიყო ბევრ რამეს, განსაკუთრებით – როგორ პიროვნებას ესაუბრებოდა, რაში შეიძლებოდა მას დათანხმებოდა და რა – საუკუნოდ მიეჩნია. მომწონსო, მახარემ რომ თქვა, ანტიფორეს ხასიათის სიძლიერეს გულისხმობდა თუ ამ პიროვნების მხატვრულად გადმოცემის ოსტატობას გულისხმობდა, მხატვრის ნახელავი მოსწონდა?

ახლა ისევ გამიჭირდა, ჩემო მკითხველო: ხომ ხედავ, მზიასა და მახარეს დიალოგი გაჭირვებით მიდოდავს... რაღაც დრამატული მუხტი აკლია, ბრძოლა... ეს ჩემი ბრალი ნამდვილად არ გახლავს – დიალოგი ყოველთვის გულისხმობს ურთიერთ ჭიდილს აზრებისა, გრძნობებისა, მისწრაფებებისა – უაზრო, უთავბოლო, “ინფორმაციის გაცვლის” მატარებელი დიალოგი თუკი არსებობს, ის რომანისთვის მაინც არ გამოდგება. მზია და მახარე კი არ არიან დაპირისპირებულნი, თუმცა მათ შორის ცხადი განსხვავებაცაა; თუნდაც ის, რომ ერთი ახალგაზრდა, ტურფა ქა-

ლია, მეორე – ორმოციოდე წლის შეუხედავი მამაკაცი... ადამიანები ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ტყუპებიც კი. რა სურს მზიას? რა უნდა მახარეს? მათი საუბარი რა ქვეცნობიერ დინებებს შეიცავს? ეს ალბათ სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია; მე თუ გავამარტივებ და გავაუბრალოებ, შეიძლება ვთქვა: მზიას სურს, ჩასწვდეს, რამდენად გულწრფელია მახარე, რა დგას მისი ერთობ ჩვეულებრივი გარეგნობის უკან – დიდცხვირა, მელოტი კაცი დამცინავი მზერით, ირონიული სიტყვა-პასუხით, – ზოგჯერ გიჭირს კიდევ გაგება, ხუმრობს თუ სერიოზულად ამბობს...

– თქვენ ხომ არ გიფიქრიათ ამაზე, აქ კედლებზე ჩარიცხულ პორტრეტებს შორის რატომ არ არის ბებიათქვენის პორტრეტი? აქაც რაღაც საიდუმლო ხომ არ იმალება? – ჰკითხა მზიას მახარემ.

– იქნებ მხატვარმა ვერ მოასწრო მისი შექმნა...

– რატომ? რაიმე მიზეზისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური?

– მე ყურს სხვა რამ მომწვდა – ახლა, ამ წუთს: ჩემი მგელია მენშიანება, რატომ დაგავიწყდა ჩემთვის ჭმევად, გესმით? თუ ახლავე არ დავაწყნარებ, მე აღარ შემომხედავს, თქვენ კი აქედან გასვლა ფრიად და ფრიად გაგიჭირდებათ. უნდა ღროებით დაგტოვოთ, მშვიერი ადამიანი საშიშია და მხეცი კი – განსაკუთრებით... ბოდიშს ვიხდი, საუბარში გავერთე და საუზმე არ შემოგთავაზეთ. თუკი ადრინადად გამოიქეცით და მერე მთელი ქალაქი გამოიარეთ, რომ აქამდე მოსულიყავით, საკმაოდ გავიდა და სადილის დრომაც კი მოაწია... ისევ ბოდიშის მოხდით უნდა გთხოვოთ, მომიტყეოთ – ჯერ მგელისა დაგაპურებ, თქვენ კი, როგორც ვატყობ, პაპაჩემის პორტრეტთან მარტოს დარჩენა მაინცდამაინც არ გეპიტნავებათ, ამიტომ გთავაზობთ, მეორე სართულზე აბრკანდეთ და საუზმეს იქ მოგართმევთ.

მახარემ იუარა სხვა ოთახში გადასვლა, იხუმრა: ანტიფორეს ჯინაზე აქ უნდა დავრჩე და თუ ერთი-ორი ჭიქა ღვინოც იქნება, ჩონჩხას მოსახსენებელ სადღეგრძელოსაც დავგლეგო.

კარი XIV. აწი ჯმუხა პანდურს ველარავის უთავაზებს!

მზიამ სახელდახელოდ ყველიანი ერბო-კვერცხი მოამზადა, მწვანე ხახვი, პომიდორი და მუავე კიტრი ჩამოარია თეფშებზე, ერთი ბოთლი თეთრი ღვინოც მოიტანა მეზობლისგან, თან ეს მეზობელიც მოიყოლია – ჩია ბერიკაცი, რომელსაც დიდი გაფხორილი უღვაშები ამშვენებდა.

– პაპა ედიშერი ჩემი კეთილი მფარველია, – გააცნო იგი მახარეს, – სუფრაზე თანამეინახელობას გაგიწევთ, თან დროულმა კაცმა ბევრი ძველი ამბავი იცის და შეძლებს თქვენი ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილებას.

ვაჟ, ეს ედიშერი ვინაა არის, საიდან გამოტყვერა? მის გამოჩენას სულ არ მოველოდი! რაღამე უკვე გამოიჭიმა ჩვენი წიგნის ფურცლებზე, ხელს ხომ ვერ ვკრავ – ასეთი მოპყრობა დიანაც არ დაუმსახურებია; უნდა შემოვუშვა, თავხედს არ ჰვავს, დარბაისელი მოხუცია და იმედი მაქვს, ხელს არ შემიშლის, პირიქით. ვნახოთ ერთი, რას გვიამბობს, როგორ წარიმართება საუბარი. ისე კი, ეტყობა, ძალიან უყვარს ლაპარაკი და ჩვენც რა გვენადგვლება, მოვუსმინოთ!..

მახარე. ბატონ ანტიფორეზე თუ შეგიძლიათ გვითხრათ რამე?

ედიშერ. ბიძიებო, ცოდვას ვერ დავიბრალდებ, ახლოს ვიცნობდი-მეთქი – მე ახალგაზრდა კაცი, თითქმის ბალანა ვიყავი, როცა მან აქ ამ გარდების ბაღის გაშენება დაიწყო, ეს სახლიც მისი აშენებულა. მოქმედი კაცი იყო, ფიცხელი – გაჩერებულს ვერ ნახავდი. ძალიან უყვარდა ლხინი და დროსტარებაც, განსაკუთრებით კი – ჭადრაკის თამაში. ხანდახან დამიბახებდა ხოლმე, შევეჯიბროთო. მაგრამ თამაშობდა, წინდაწინ მხედარს ან კუს მადღევედა საჩუქრად და მაინც ვერც ერთხელ ყაიმსაც კი ვერ მივალწვი; თამაშისას სულ ხუმრობდა. მერე მისი ცოლი, – ქალბატონი მზია, გადასარევი ქალი, – აუცილებლად ხილს გამოგვიტანდა, ან ნაყინს, ან ჩაის ძალიან გემრიელი ნამცხვრით – წელიწადის დროის კვალობაზე. ანტიფორე შესახედავად მკაცრი პიროვნება ჩანდა, გაღიმებულს ვერ ნახავდი, მაგრამ მე სრულებით არ მეშინოდა – ვგრძნობდი მის შინაგან კეთილშობილებას, უაღრესად სამართლიანი კაცი იყო, სიმართლის ბოლომდე გამტანი. ჩემი ფიქრით, ბოლოს ამის გამო დაიდუბა... არა, ძნელი სათქმელია, ბიძიებო, დაიდუბა თუ რა მოუვიდა, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ გაქრა... არა, მართლა კი არ გაქრა, წავიდა და აღარ გამოჩენილა. დაიმაღლა თუ გადაიხვეწა, რა ვიცი... მაშინ სხვა ხონთქარი იყო, – კოკობზიკა I მძლეოთა მძლე, – საერთოდ, პანდურეთში ხონთქრები მხოლოდ I გახლავან; ჰოდა, მაშინაც იკარგებოდა უგზო-უკვლოდ ხალხი, როგორც ახლა – პანდურის ამორტყმით გააფრენენ მოუსაგლეთში... ძალიან უთავბოლოდ ვლაქლაქებ, ხომ? ჰო, ბიძიებო, არც არის გასაკვირი, თითქმის ოთხმოცდაათი წლისა ვარ, არ გიკვირთ, კიდევ როგორ დავდოდავ ამ ცოდვილ მიწაზე? ამ საიდუმლოს კი გაგიმხელთ – ღვინის დამსახურებაა! ყოველდღე ორ-სამ ჭიქას გამოვწრუპავ ნელ-ნელა, ნება-ნება, ერთბაშად კი არ ვეცემი ფეთიანივით... თქვენც გასინჯეთ, ჩემი დაყენებულა, დვთიური ნექტარია! მზიას რომ პატივს არ ვცემდე, – ჩემს თვალწინ გაიზარდა და დამშვენდა, დიდებული ქალბატონია, ჩემს ღვინოს ფიცავს! – ამ ღვინის დაჭაშნიკების ბედნიერება ნამდვილად არ გექნებოდათ, ჩემო ბიძიკო! თქვენი სახელი?

მახარე. მახარეს მიწოდებენ. თუ თქვენი ღვინო თქვენს ტკბილმოუბარ ლაპარაკს შეედრება, სიამოვნებით მოვისმენ თქვენს რამდენიმე სადღევრძელს... შიგადაშიგ კი, თუ ამ ოჯახის შესახებ კვლავ გააგრძელებთ საუბარს, ორმაგად მაღლიერი დავრჩები.

მზია. მეც მესიამოვნება, ედიშერ პაპა, გთხოვთ!

ედიშერ. ბოდიში, ალბათ თავი მოგაწყინეთ, მაგრამ აღამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ ილაპარაკოს, ჩემო ბიძიებო... ჰო, ანტიფორე ბიძიას ქეიფი უყვარდა ჩემსავით, ხომ იცი – ფაეტონებით, არდნით, ქალებით! აბა! ეჰ, კარგი დრო იყო!..

მახარე. ლხინი და დროსტარება, იცოცხლე, კარგი რამ არის, მაგრამ სხვას რას საქმიანობდა ბატონი ანტიფორე, ოჯახს რით არჩენდა?

ედიშერ. ო, მაგას ნუ მკითხავთ! ცოლი ინახავდა მთელ ოჯახს, აბა! ანტიფორე ბიძიას ხელში მე მხოლოდ ჭიქა დამინახავს, ზოგჯერ – ჭადრაკის ფიგურა, სხვა, რა ვიცი, არაფერი მახსენდება. მართალი მოგახსენოთ, გააპარტახა ოჯახი... ქეიფიდან აუცილებლად ორი ეტლით ბრუნდებოდა შინ: წინა ეტლში სკამზე მხოლოდ მისი ქუდი იყო, მეორეთი თვითონ მობრძანდებოდა – მეტისმეტად თავმომწონე, ამაყი კაცი იყო. ვარდის ბაღი რომ გახსენე, ჩემო ბიძიებო, სინამდვილეში ეს ბაღი მისმა ცოლმა მზიამ გააშენა, ანტიფორეს ასეთი წვრილმანისთვის სად ეცალა – გაშლილი სუფრისკენ მიიჩქაროდა ძმაბიჭებთან მოსალხენად.

მახარე. ბატონო ედიშერ, თქვენ არ ბრძანეთ, რომ ეს სახლიც თავისი ხელით ააშენაო?..

ედიშერ. სიტყვის მასალად ვიხმარე, ჩემო იმანო, თქვენი სახელი ქე დამავიწყდა... ნახევარი საუკუნის ამბები და უფრო ძველიც გუშინდელ დღესავით მახსოვს, ახალი მავიწყდება... მართალი მოგახსენოთ, ჩემო ბიძიებო, არც გუშინდელი დღის ამბები მიჩერდება თავში... ჰო, რა გაინტერესებდათ, ჩემო იმანო?

მახარე. რა და, რით არჩენდა ცოლ-შვილს?

ედიშერ. რით და არაფრით! ცოლი არჩენდა ქმარ-შვილს. ოჯახსაც უვლიდა – ორი ვაჟი ჰყავდათ – და ამ ვარდების ბაღშიც ტრიალებდა. იმ დროს კოკობზიკა I მძლეოთა მძლე იჯდა ტახტზე, მაშინაც ჭირდა ცხოვრება, მაგრამ ასე არა, როგორც დღეს... ჰო, როცა ვარდის ბაღი გაშენდა, ანტიფორე ვეღარ პარპაშებდა ძველებურად, დაიბოღმა და მალე სადღაც გადაიკარგა თუ გადაიხვეწა, რა ვიცი... აღარ გამოჩენილა, აღარა.

მახარე. ცოტა დამაბნიეთ, ბატონო ედიშერ, თქვენი ნათქვამიდან ვერაფრით მიგხვდით, რა კაცი იყო პაპა ანტიფორე... საბოლოოდ როგორი იყო? რას უშლიდა ეს ვარდის ბაღი, მისმა ოჯახმა სწორედ ვარდების მოშენებით მოითქვა სული...

ედიშერ. რა ვიცი აბა, რა გითხრათ? ხან ასეთი იყო, ხან – ისეთი... ვინ იცის, თვითონ კი როგორი კაცია, საკუთარ თავს ვინ შეიცნობს? სხვა კიდევ სულ სხვაა, – გამოუცნობია, ბიძიებო, ვინ არ იცის ეს... მისი ცოლისთვის, მზიასთვის, რომ გეკითხათ, ალბათ ჩემგან განსხვავებულ აზრს გეტყვოდით. ჰო, მე დალაგებული და დაწყობილი ვერაფერი გითხარით, იქნებ ჯობდა, საერთოდ არაფერი მეთქვა. აი, მისი ცოლის სურათი რომ დაეკვეთა, გაუხარდებოდა ეს მზიას? რას იფიქრებდა? ჩემს თავქარიან ქმარს მაინც ვუყვარვარო, ხომ იტყვოდა?

მახარე. ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო ედიშერ, მზიაც დამეთანხმება. ჩვენს საუბარში უკვე მოსალამოვდა კიდევ და დროა, ყველას დიდი მადლობა მოგახსენოთ და დაგემშვიდობოთ, თუმცა გული ერთი რამის გამო მაინც მწყდება – ჩონჩხა უნდა დავტოვო აქ... ვერც მისი ამბავი გავარკვევ, საიდან ჰქონდა მშვენიერი ქალის პორტრეტის გულქანდა; რამდენიმე ვარაუდი გამოითქვა. ერთის მიხედვით, ჩონჩხა განთქმული მებაღე იყო, გამოიყვანა ვარდის ახალი ჯიში, რომელსაც “მზია” უწოდა; ანტიფორეს უეჭვიანია, მებაღე ციხეში ჩაუსმევიანებია... მსგავსია მეორე შეხედულებაც ჩონჩხას ვინაობის და მისი ბედის შესახებ, ოღონდ ამჯერად ანტიფორეს რისხვისა და შურისძიების მიზეზი ხდება მისი ცოლის მინიატურული პორტრეტის შემქმნელი მხატვარი... ორივე შემთხვევაში გაურკვეველია, როგორ მოხვდა ჩონჩხასთან გულქანდა...

ან დროს დაბნეულდასავით, შეზანზარდა-შექანდა ოთახი და საშინელმა ღრიალმა – “დაიჭირეთ!.. გასკვანჩეთ!..” კინაღამ გააყრუათ.

ბატონ ანტიფორეს პორტრეტი კედელს მოწყდა და იატაკზე ბრაგვანი მოაღინა; ოთახში მყოფთ ეგონათ, ვიღაცამ ქვემეხი დააქუხათ.

მზია და მახარე მიცვივდნენ ჩამოვარდნილ პორტრეტთან, რომელიც გამოსახულებით ქვევით იყო მოქცეული და საჩქაროდ ამოატრიალეს, კედელს მიაყუდეს.

მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: პორტრეტზე ბატონი ანტიფორე მთელი გულით იცინოდა და მისი ქებული უღვაშებისა და წარბების ბოლოები ზევით კიდევ უფრო მედიდურად იყო აშვერილი.

– გადავრჩით! – წამოიძახა მზიამ და ბატონ ანტიფორეს სახეს მზერა მოარიდა. მცირედ, სულ მცირედ ასცილდა პორტრეტი ჩონჩხას ძვლების გროვას იატაკზე.

მზია და მახარე სუფრას დაუბრუნდნენ. ბატონი ედიშერი ძველებურად უშფოთველად იჯდა და ღვინოს წრუპავდა ჭიქიდან – ეტყობა, იმ ხნისა მოიყარა, უკვე აღარაფერი უკვირდა და ვეღარაფერი შეაშფოთებდა.

– რა ამხიარულდება ნეტავი ბატონ ანტიფორეს? – იკითხა მახარემ. – კედლიდან ჩამოვარდა და სურათი ბეწვზე გადაურჩა დაზიანებას... თუ ისეა რატომღაც დაბოლოვდა ჩონჩხზე, რომ მის დაფშენილ ძველებსაც არ ინდობს? საოცარია, მკვლარი მკვლარს გადაეკიდა! რატომ?

– რაღაც ძველი ანგარიშები ექნებოდა, რომლის შესახებაც ალბათ ჩვენ ვეღარაფერს შევიტყობთ, – უპასუხა მზიამ. – ისე კი მიკვირს, პაპაჩემზე მე არასდროს და არავისგან გამიგონია, რომ გუგულო იყო, მისგან შურისძიება, მით უმეტეს, ამდენი ხნის შემდეგ, ვერ წარმომიდგენია...

ბატონმა ედიშერმა ანტიფორეს პიროვნების მიმართ იგივე დაადასტურა, თუმცა დასძინა, რომ ადამიანის არსი იმდენად რთული და წინააღმდეგობრივია, რომ ზოგჯერ მისი ქმედება ძნელი ასახსნელია.

ამ თემაზე ადამიანებს უყვართ დაუსრულებელი საუბარი, მაგალითების მოტანა და ამჯერადაც ასე იყო: ზოგი მხიარული ამბავი გაიხსენეს და ზოგიც – სამწუხარო.

ამ დროს ეზოში მგელიამ ატეხა ყეფა.

– უიმე, მე დასამიწებელს სულ დამავიწყდა ძაღლისთვის ჭმევა! – წამოხტა ფეხზე მზია. – ბოდიშს ვიხდი, ცოტა ხნით დაგტოვებო...

მზია გავიდა ეზოში და მიხვდა, რომ ცდებოდა, – მგელია შიმშილის გამო არ ყეფდა ასე გამწვარებით, – რკინის კარს ვიღაც გამეტებით უბრაზუნებდა მუშტს, თან ყვიროდა: “გააღეთ!.. სასწრაფოდ გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთ!”

მზიამ სარაზავი გადასწია და მაშინვე ზათქით გაიღო ჭიშკარში დატანებული რკინის კუტიკარი; ეზოში შემოვარდა რამდენიმე ხელჯოხიანი, მათ შემოჰყვა თვით პანდურთამორტყმის მთავარგაზირი ჯმუხა ხელჯოხაძე.

მგელიას გააგებებს ძლივს აოკებდა მზია, ჯმუხა და ხელჯოხიანები შედრკნენ და შეჩერდნენ, ძაღლის მოეღვარე ეშვებს მიაჩერდნენ.

– მოაშორეთ ეს ნაგაზი აქედან! – აყვირდა ჯმუხა.

– ჯერ ეს ბრძანეთ, რა გნებავთ? – ჰკითხა მზიამ. – მე ვერაფერს გავხდები, ბატონო, მეშინია მისი; სანამ პაპაჩემი ანტიფორე არ მოვა, სხვა ვერავინ დააბამს!

– დაუძახეთ პაპათქვენს, საჩქაროდ!

– საიქიოს ჯერ ვერ წავალ, თუ გნებავთ, თქვენ დაუძახეთ!

– ნამეტანი წაგიგრძელებით ენა! – დაუდრინა ჯმუხამ. – ჩვენი მუშაკების ოპერატიული მონაცემებით, თქვენთან თავი შეაფარეს საშიშმა დამნაშავეებმა! თუ ახლავე არ მიგვითითებთ, სად დამალეთ მახარე და მისი თანმხლები უცნობი პირი, თქვენ ახლავე დაგაპატიმრებთ! – გუნებაში კი გაიფიქრა: “და ეს მშვენიერი ქალბატონი სარფიანად გაიყიდება საზღვარგარეთ!”

– აქ გახლავარ, უდანაშაულო ქალს თავი დაანებეთ! – დაიძახა შემინული აივნის კარში გამოჩენილმა მახარემ; მის ზურგს უკან მოჩანდა ბატონ ედიშერის გაფხორილი უღვაშები.

მახარე სირბილით გაეშურა ჭიშკრისკენ.

– შენ აქ რა გინდოდა? – შეაგება მახარეს კითხვა ჯმუხამ.

მახარეს მაგივრად მზიამ უპასუხა:

– ადამიანს არ აქვს უფლება საკუთარ სახლში ყოფნისა?

– თქვენ ვინდა ბრძანდებით?

– მე მისი ცოლი ვარ! – არ დაიხია უკან მზიამ. – რა უფლებით შემოიჭერთ კერძო ეზოში?

გაანჩხლებულ ქალს ჯმუხამ ყურადღება არ მიაქცია და მახარეს შეუტია:

– მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ციხიდან გაქცევა! ისეთ პანდურს გითავაზებ, რომ ზუსტად ციხის ეზოში აღმოჩნდები; იქ კი უკვე გელიან, რომ ბნელ ხაროში ჩაგაყუდონ! დიდი დრო გექნება და წერე და წერე იქ ჩვენი მეუფის გასამასხარავებელი კაფიები!

და ჯმუხამ მახარეს მოუქნია მარჯვენა მაღალჭვინტიანი ჩექმა...

ოღონდ ეს ჭვინტი, ჯმუხასთვის მოულოდნელად, ისე ნაზად შეეხო მახარეს საჯდომს, რომ უფრო შეხუმრებლად აღიქმებოდა, ვიდრე დარტყმად.

– რა ამბავია, რა ხდება? – განცვიფრებამ და აღშფოთებამ ერთად ამოხეთქა ღრიალად ბატონ ჯმუხას ყელიდან. – რა მიხიანეთ აქა, ჩემი პანდური მოგენატრათ?

– აქ თქვენი უხეში და უსამართლო ძალა დაკარგულია, – უპასუხა მზიამ. – ამ ეზოში დაღვრილია ვარდის სურნელი, ბაღში შემოსულმა ჭიშკარს გარეთ უნდა დატოვოს ბოღმა, ქვენა აზრები, სული გაიკეთილშობილოს! ამ წითელი ვარდების ბრიალის ბრალია, თუ უკეთურებას აქ ძალა ეკარგება, დამნაშავეებიც ეს ყვაილებია! ეს ავი ნაგაზიც კი ამ ეზოში არავის ერჩის, ყველას კუდის ქიცინით ხვდება!

უილაჯობით გააგებულმა ჯმუხამ ახლა მგელიას მოუქნია ფეხი:

– ასეთი უმაქნისი ძაღლი კარგი ჭიტლაყის ღირსია!

მაგრამ მისი ქებული ილეოთ ისევე გაცუდდა: ამჯერად მგელიამ არ გაამართლა მზიას შეფასება – პირი დაადო და ჩექმის ბოლო მოაკენიტა მის სახელგანთქმულ ჭვინტიანად და, რასაკვირველია, ფეხის თითებიან-ტერფიანად...

აწი ჯმუხა პანდურს ვეღარავის უთავაზებს!

– და დიდი იმედი მაქვს, რომ ვერც მეორე, მარცხენა ფეხით გაბედავს სხვათა გაბედნიერებას – უკვე ფაზი მიეცა!

ჯან!

მეტი რაღა დავამატო?

გარბიან ქუჩაში კუდამოძუებული ხელჯოხიანები, უკან მათ ასკინკილათი მისდევს ბატონი ჯმუხა ხელჯოხაძე, კვალად კი მიჰყვებათ მეგლიას ბოხი ყეფა, – იგი უშუალოდ არ გამოჰკიდებია მათ, – დამარცხებულის დევნა რა ვაჰკაცობაა! – ზრდილობა და ღირსების გრძნობა არასდროს ტოვებს!

ეს თავი, ცოტა არ იყოს, იწილო-ბიწილო გამომივიდა – უსახური, დაძაბულ მოქმედების მოკლებული, ალბათ მკითხველისთვის – თვლემის მომგვრელიც... ბოლოში ოდნავ თუ გამოვაფხიზლე.

სამაგიეროდ!

სამაგიეროდ – ო-ჰო-ჰო-ო!.. – მომდევნო კარში ისეთ ამბებს მოგითხრობთ, ფრიად უჩვეულო მოვლენებით დაყურსულს! არა გჯერათ? მე კი დიდი იმედი მაქვს – ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოგიყვეთ რაღაც საინტერესო...

და დაუყოვნებლივ ვიწყებ დაპირებულის ასრულებას!

მიირთვით ცხელ-ცხელი სალაღობო თუ დაუჯერებელი ამბები – შემდეგ კარში!..

კარი XV. ლურჯი თმების ამბავი

როგორც ადრე მოგახსენეთ, პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პანჩო ჩანჩურიშვილმა პანდურეთის პრეზიდენტს, პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენს, უპატიჟა, რომ გამოჩენილ მეცნიერთა მრავალწლიანი თავაუღებელი შრომის შედეგად მოხერხდა მსოფლიოში ჯერ არნახული წარმატების მიღწევა – შექმნილია პრეპარატი “აზურიდი”, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, ძალიან ადვილად გაირკვეს, მავანი და მავანი რა მიდრეკილებების მატარებელია, რა აზრები უტრიალებს თავში? არაჩვეულებრივი უნივერსალური წამალი-ინდიკატორია... აბის მიღების შემდეგ, პაციენტს მოკლე ხანში თმას უღებავს სხვადასხვა ფერად: მატყუარას – ყვითლად, შეყვარებულს – მწვანედ, დარდით გულშეჭმულს – ცისფრად, განარებულს – ხასხასა წითლად... რაც მთავარია, თუ მავანს ცუდი რამ აქვს ჩაფიქრებული ან ჩადენილი, თავზე თმა უღურჯდება! და ამ ნიშნით ძალიან ადვილია ბოროტმზრახველთა და დამნაშავეთა გამოვლენა და დაჭერა!

როგორც უკვე თავად დარწმუნდით, პანდურეთის პირველ პანდურთამორტყმელს, პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენს, ძალიან უყვარდა წამდაუწუმ სულ სხვადასხვა საკითხის გასარკვევად ხალხმრავალი თათბირების მოწვევა: ყოველთვის ეძლეოდა საბაბი, სულ ცოტა სამი-ოთხი კაცი გაეპანდურებინა – საკუთარ ფეხს ხომ გააგვარჯიშებდა, დანარჩენ საზოგადოებასაც გაამხიარულებდა და გაახარებდა კიდევ, რომ ამჯერად სხვებს და არა მათ ერგოთ მეუფის ჭიტლაყი!

ახალი სასწაულებრივი პრეპარატის – აზურიდის – გამოყენების საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით გასარკვევად ბატონ პრეზიდენტთან შეიკრიბა რჩეული საზოგადოება: ნაზირ-ვაზირნი, ბრწყინვალე დიდებულნი, კარის მეხოტბე პოეტნი და მეცნიერ-მნათობნი.

– აბა, ჩემო უპირველესო და უბრძანესო მრჩეველო, რას გვეტყვი? – მიმართა პანჩურ-ჩანჩურამ ჯმუხა ხელჯოხაძეს, რომელიც ამჯერად ყვარჯენს ვერდნობოდა.

– დიდო მეუფეო, – თავი მდაბლად დაუკრა ხონტქარს ჯმუხამ, – ცხადზე უცხადესია, რომ ახალი სასწაულებრივი პრეპარატის ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელია: თქვენი უზენაესი ბრძანებით უნდა მომცეთ მე, პანდურთამორტყმის მთავარვაზირსა და ხელჯოხიანთა ვაზირს, საგანგებო დავალება, რათა პანდურეთის მთელ მოსახლეობას დავალეგინოთ ეს უებარი საშუალება და ჩვენ მაშინვე გაგვეხსნება ხელ-ფეხი – ადვილზე ადვილი გახდება ჩვენი ბრძენთა ბრძენის მტერთა და ქვეყნის ავის მოსურნეთა გამოვლენა და დაკავება; მათ შორის, რასაკვირველია, უპირველესად – “არწივთა საბუდარიდან” თავხედურად გაქცეული ტუსადებისა: მესტვირე-მეშაირე მახარესი, ვაიმეცნიერთა – ფილო სოფოსიძისა და გეო დეზისტძისა.

– იდეა კი ჩანს ფრიად მიმზიდველი, მაგრამ როგორ აპირებთ მის განხორციელებას? – ეჭვი გაუჩნდა პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსსა და უშიშროების ვაზირს დემირხან დევიაშვილს (ყოველთვის ცდილობს, ჯმუხას მეტოქეობას – შეფარვით მაინც!). – როგორ, რა ხერხით უნდა აიძულო, ყველამ მიიღოს ეს აბი?

– აქ პრობლემას ვერ ვხედავ! – ჩაება პაექრობაში პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანჩო ჩანჩურიშვილი. – სრულიად თავისუფლად შეგვიძლია, აბის მაგივრად გამოვიყენოთ პრეპარატის წყალხსნარი, შევურიოთ იგი წყალსადენის წყალში და...

– დიდად პატივცემულ პანჩო ბატონო, ეს ხერხი არ გამოდგება, – არ დაეთანხმა გამოჩენილ მეცნიერსა და მოაზროვნეს ჩიჩი ფეტვიკენკაძე, საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი. – წყალსადენით სარგებლობს პანდურეთის მოსახლეობის მხოლოდ მე-

თელი, უმრავლესობა ხმარობს ჭებისა და წყაროების, აგრეთვე ნაკადულებისა და მდინარეების წყალს.

– მაშინ დავიბაროთ თულუხები, მინერალური წყლის გამყიდველები, ღვინო-არყისა და ლუდის მწარმოებლები და გადასახადების შემცირებას შევპირდეთ, სამაგიეროდ, მათ უნდა შეუძლიან ეს ჯადოქრული ხსნარი თავიანთ პროდუქციაში, – ახალი გამოსავალი მოძებნა პანჩუ აკადემიკოსმა.

– არა, ეს ფინანსურად ძალიან წამგებიანი იქნება სახელმწიფოსთვის! – წამოიძახა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ. – მე ბევრად უკეთესი შედეგის მომტან, ამასთანავე, ფრიად სარფიან გამოსავალს გთავაზობთ: გავაგრძელოთ ხმა, რომ აღმოჩენილია და ხელმისაწვდომ ფასად იყიდება, მაგალითად, სურდოს წამალი, ხელად არჩენს გაცივებას!

– რა დროს სურდოა, ზამთარი და შემოდგომაც კი ჯერ შორსაა! – შეეპასუხა ხრახრას მეუფის პირადი აქიმი ღრუტუნა ღრუბელიძე.

მეჭურჭლეთუხუცესი არ ცხრებოდა:

– ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის მეშვეობით ვამცნოთ მოსახლეობას, რომ გასაყიდად გამოშვებულია საუცხოო, უნიკალური, უებარი უნივერსალური საშუალება ქალთა თუ კაცთა, მოხუცთა თუ ახალგაზრდათა სახის კანის გასანახებლად და გასათეთრებლად! ასევე იგი დიდი წარმატებით ამალღებს ტონუსს და მამაკაცურ პოტენციას, ახანგრძლივებს სიცოცხლეს, შევლის მრავალ დაავადებას: ყივანახველიდან დაწყებული – ყოველგვარ სიმსივნემდე!

ბჭობა ბატონმა ხონთქარმა შეწყვიტა:

– უმჯობესია, მთელ პანდურეთში გამოცხადდეს, რომ ქვეყანას დაემუქრა ახალი, ჯერ უცნობი, საშიში დაავადება, რომელიც შემოიტანეს პანდურეთის მტრებმა-დივერსანტებმა, მაგრამ, საბედნიეროდ, ქვეყნის პრეზიდენტის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენის შორსმჭვრეტელობისა და ხალხზე პირადი დაუცხრომელი ზრუნვის წყალობით, წინდაწინ და დროულად საკმარისი რაოდენობით იქნა დამზადებული უებარი წამალი – აზურიდი, რომელიც ძალიან იაფად დაურიგდება მოსახლეობას... ამ ხერხით მეორე კურდღელსაც დავიჭერთ – ხაზინას შევავსებთ!..

შემდგომ ამისა, პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა ინება საგანგებო ბრძანებულების გამოცემა, რომლის ძალითაც, ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ახალი წამლის დაღვევა მიჩნეულ იქნა პატრიოტულ მოვალეობად და ყველასთვის აუცილებლად – უკლებლივ ყველა პანდურეთისთვის დიდად საშურ საქმედ, მამულიშვილურ ქმედებად; ხოლო ვინც თავს აარიდებდა ახალი წამლის შეძენასა და მიღებას, ის გამოცხადდებოდა ერისა და ქვეყნის მოღალატედ და სასტიკი სასჯელი არ ასცდებოდა.

მოკლე ხანში პანჩურ-ჩანჩურამ ახალი ჩექმები ჩაიცვა და დაიბარა ჯმუხა, დემირხან და ხრახრა, იკითხა, როგორ სრულდებოდა მისი ბრძანებულება.

– ჩვენო მოწყალეო ბრძენთა ბრძენო, – მოახსენა პანჩურთამორტყმის მთავარვაზირმა ჯმუხა ხელჯოხაძემ, – შესანიშნავი შედეგი მივიღეთ: უკვე გამოვლენილია რამდენიმე ათასი შეყვარებული, უფრო მეტი – დარდიანი, კიდევ მეტი – მატყუარა-ცრუპენტელა, ხოლო უმეტესობა ლურჯთმიანია ანუ დასაჭერი! მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით აღირიცხა ბედნიერი ადამიანი. ველით თქვენს ბრძანებას დამნაშავეთა დაკავების დაწყების შესახებ. წინასწარი ვარაუდით, საჭირო იქნება ახალი ციხეების სასწრაფოდ აშენება...

– ეგ არ გავგიჭირდება, მეუფეო, წამლის გაყიდვით გვარიანი შემოსავალი შემოვიდა, – თქვა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ. – კიდევ მეტს ველით, უამრავი ადამიანი უნდა დავაჯარიმოთ წამლის დაღვევისგან თავის არიდების გამო!

– მე განსაკუთრებით მაინტერესებს, რა ფერის თმები აქვთ ჩვენს ნაზირ-ვაზირებს, აგრეთვე სხვა დიდად წარჩინებულ და ფრიად გავლენიან პირებს, მათ შორის – თვით პანდურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს მათი პრეზიდენტის თაკაცობით – ხომ არ ცუდლუტობენ რაღაცას პატივცემული მეცნიერები, ჰა?.. – ჩვეული დათაფლული ღიმილით იკითხა პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა და ასევე ჩვეულად აათამაშა მარჯვენა ჩექმის ჭვინტი.

ჯმუხა ხელჯოხაძე და დემირხან დევიაშვილი გამტკნარებული სახით გაშემდნენ, ორივე საკუთარ ჭკუა-გონებას მადლს სწირავდა, რომ დღეს განსაკუთრებული წინდახედულება გამოიჩინეს და საჯდომზე ორმაგი ტაშტის საფენი ჰქონდათ გალიფე შარვალ “სინარულაში” ჩატანებული.

– ჩვენო მოწყალეო მეუფეო, ეს აბები ვაზირებსაც ეკუთვნით განა? – იკითხა ბოლოს ჯმუხამ და ხონთქრის უდარდელად მოთამაშე ჩექმის ჭვინტს მონუსხულივით მიაჩერდა.

– მე რა ვბრძანე? უკლებლივ ყველამ უნდა მიირთვას ეს სასწაულმოქმედი აბი! ახლავე აქ მომგვარეთ ყველანი: ნაზირ-ვაზირნი, მეცნიერნი თუ დიდებულნი!.. ვისაც კი თავისი ვალდებულებისთვის თავი აურიდებია, დირსეულ პატივს მივაგებ – ჩემი საკუთარი ხელით მივართმევ სასწაულმოქმედ აბს!.. სასწრაფოდ – ნახევარ საათში ყველანი აქ განჩნდნენ! თქვენ კი მობრძანდით უფრო ახლოს და კეთილ ინებეთ, დაიხარეთ!

მოგესხნებათ, რაც მოჰყვებოდა ამ მამობრივი მზრუნველობით გამთბარ სიტყვებს – ჯმუხა და დემირხან სეფედარბაზის ფანჯარაში გაფრინდნენ, ჩანჩურ-პანჩურამ თავმომწონედ დაიხედა

მარჯვენა ჩექმაზე და ნაზად მიატყაპუნა კიდევ ხელისგული მის მბრწყინავ გვერდს მოწონების ნიშნად, ხოლო კედელზე ჩამწკრივებული პორტრეტები, დიდად კმაყოფილნი, იკრიბებოდნენ, ხოლო იოსებ სტალინი უღვაშზეც ისვამდა ხელს, – მათთვის ამოპანწურების ხმა უტკბილესი მუსიკა გახლდათ.

მაღლე დაბარებული ნაზირ-ვაზირნი და სხვა წარჩინებულნი სეფედარბაზში იყვნენ გამწკრივებული მეუფის წინაშე. პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს პანწურ ჩანწური შვილს ოქროცურვილი ლანგარი ეჭირა ორივე ხელით, ლანგარზე ეყარა ჯადო აბები. ბატონი ჩანწურ-პანწურა შეჩერდებოდა “სამკურნალო” პიროვნების წინ, ორი თითით აღებულ აბს ნაზად და პირადად სათუთად ჩაუდებდა შოშიას ბარტყივით ფართოდ დაღებულ პირში, გადაყლაპვის დასაჩქარებლად კი მარჯვენა ფეხის მოხდენილი მოძრაობით ფანჯრისკენ აფრენდა.

ბოლოს სეფედარბაზში მხოლოდ ხუთნი დარჩნენ: ხონთქარი, მისი პირადი აქიმი, პანღურთამორტყმის აკადემიის პრეზიდენტი, პირადი დაცვის უფროსი და პანღურთამორტყმის მთავარვაზირი. ბოლო ოთხ პიროვნებას ხონთქარმა აბები კი გადააყლაპა, მაგრამ, მაღლიერების ნიშნად წახრილებს, ამჯერად მხოლოდ წკიპურტი გაჰკრა კინკრიხოში. მერე რატომღაც ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ერთი აბი ჩუმად თვითონაც ჩაიღო პირში – ნეტავ რა ელოდა?

ერთი რამ კი ფრიად გასაკვირველი იყო უკვე ახლავე: სეფედარბაზის კედლებზე ჩამორიგებული პორტრეტები ისევ ვერ მაღაგდნენ დიდ კმაყოფილებას, მაგრამ ყველას – თმები ლურჯად ჰქონდა შეღებილი! განა გასაკვირველი არ არის? მათ ხომ აზურიდის აბებს მხოლოდ შორიდან თუ მოჰკრეს თვალი... ან ასე სასწრაფოდ როგორ შეეცვალათ თმის ფერი?

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა, ბრძენთა ბრძენმა ისევ დაიბარა ჯმუხა, დემირხან და სხვა ნაზირ-ვაზირნი, კარისკაცნი და დიდებულნი.

ისინი მეუფეს რატომღაც ყველანი თვალეზამდე ჩამოფხატული ქულებით ეახლნენ. თვით ჩანწურ-პანწურას კი გვირგვინის ქვეშ რაღაც ჩაჩი ჰქონდა თავზე ჩამოცმული, ეტყობა, ათასი საქვეყნო საზრუნავ-საფიქრალისგან თავის ტკივილი აწუნებდა.

– რაო, პანღურთაში ახალი მოდა შემოვიდა? – ნაზი ხმით იკითხა ბატონმა პრეზიდენტმა. – ვატყობ, ყველანი მე გამიტოლდით, მეუფესთან ქუდმოუხდელნი ბედავთ წარდგომას... ქალაქში და ქვეყანაში რა ამბავია, იქაც ყველანი ქულებით დადიან?

– დიახ, დიდო მეუფეო, – მოახსენა მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ, – პანღურთაში ქულების წარმოება ამ ბოლო დროს გაათმაგდა, გადასახადები ხაზინაში მკვეთრად გაიზარდა და კიდევ მეტ მატებას ველოთ!.. ქვეყნის ეკონომიკა არნახულ აღმავლობას განიცდის, მეზობლები შურით კვდებიან!“

– ახლავე მოიხადეთ ყველამ ქულები! – ჩვეული თავაზიანობა დაარღვია ხონთქარმა და მარჯვენა ჩექმის ჭვინტს მზრუნველი თვალით დახედა. – კვაკერები ხომ არ ხართ, როგორ ბედავთ ჩემთან ქუდმოუხდელად ყოფნას?

საჩქაროდ მოიშვლიპეს თავსაბურავები, რის გამოც საკმაოდ ძლიერმა ქარმაც დაჰქროლა; და, როგორც მიხვდით, ყველას ლურჯი თმები ამშვენებდა, მათ შორის – პანღურთამორტყმის მთავარვაზირსაც და ხონთქარის პირადი დაცვის უფროსსაც... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კედლებზე ჩარიგებულ პორტრეტებზე გამოსახულთა თმებიც კიდევ უფრო ხასხასა ლურჯად კიაფობდნენ.

– რას ჰგავს ეს? – იკითხა ბატონმა პრეზიდენტმა. – რამდენი კაცია დაჭერილი?

ჯმუხა ხელჯოხაძემ იდაყვი დემირხან დევიაშვილს წაჰკრა ფერდში, მოახსენე ბრძენთა ბრძენსო, დემირხანმა კი ჯმუხას საპასუხო ქიმუნჯი უთავაზა – შენი საქმეა ეგაო. რა თქმა უნდა, ბატონი ჯმუხა ბატონ დემირხანს ფრიად კეთილ პანღურსაც უთავაზებდა და ამით პაექრობასაც შეწყვეტდა, მაგრამ ამჯერად ორივეს ეშუქრებოდა საშიშროება და ერთად უნდა გამკლავებოდნენ მას; მთავარი მიზეზი ჯმუხას თავშეკავებისა კი ალბათ ადვილი მისახვედრია – მგელიასთან შეხვედრის შემდგომ პანღურის ამორტყმის ხელფანებას სამუდამოდ გამოემშვიდობა!

– ჩვენ, ჩვენო უზენაესო ბატონო და მბრძანებელო, – მოახსენა ჯმუხამ, – ბატონ დემირხანის ხალხთან ერთად არ ვთაკილობთ შუკა-შუკა სიარულს და მოქალაქეთა ქულების საკუთარი ხელით ძაღად მოხდას, მაგრამ მოსახლეობის ტოტალური მოცვა ამ წესით ვერ ხერხდება, თანამშრომლები არ გვეოფინის... საჭიროდ ვთვლი, ჩვენს ორგანოებში მომუშავეთა რიცხოვნობის ორჯერ მაინც გაზრდას! აგრეთვე მათთვის ხელფასის მნიშვნელოვან მომატებას – მეტისმეტად დიდი გახდა დატვირთვები, დაძაბული, თანაც არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ, ამასთანავე კვირაში შვიდ დღეს მუშაობენ! ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსების მკვეთრი მატების გარეშე საქმე ჩაგვიფლავდება!

მეჭურჭლეთვაზირს ხრახრა ვირთხაძეს კინაღამ გული წაუვიდა:

– ძვირფასო კოლეგებო, ხაზინაში ისედაც სიცარიელეა!

– ახლა არ ბრძანე, შემოსავლების არნახული მატებაა ხაზინაშიო? – პასუხად ჰკითხა ჯმუხამ.

ხრახრამ არ უპასუხა, გუნებაში კი გაიფიქრა: “ჯმუხა ბატონო, პანწურის ამორტყმაში აწი ბავშვიც გაჯობებს, მაღლე თანამდებობასაც გამოეთხოვები და მაშინ გიტირებ ყოფის დღეს! ახლაც ამოგაპანღურებდი, მარტონი რომ ვყოფილიყავით!”

ხონთქარი აკვირდებოდა გარემოებას, ელოდა, ერთი გემრიელად წაეკიდნენ, თავ-პირი დააღე-წონ ერთმანეთსო, მაგრამ იმედი როცა გაუცრუვდა, ბრძანა:

– ვბრძანებ: დღეიდან აიკრძალოს სრულიად პანდურეთში ქულების ტარება! ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ჩამოერთვას ქული და მოეკვეთოს თავი! მისი ქონება გადაეცეს ხაზინას! ქულები მოგროვდეს პანდურეთქალაქის მთავარ მოედანზე პანწურ-ჩანწურა I ბრძენთა ბრძენის სახელობისა საჩვენებელი საზოგადოებრივი ფუნსალაგის წინ და სახალხოდ საზეიმოდ დაიწვას! ორ დღეში გელით პატაკით, რომ მახარე და მისი ამფსონები კვლავ ციხის კედლებს ამშვენებენ! ახლა კი, ჩემი ძვირფასნო, გთხოვთ, ჩამწკრივდეთ ერთ რიგად და სათითაოდ ჩემს წინ მოიხაროთ, როგორც წესი და რიგია, რათა ჩემი ჩექმის ჭვინტი გაახაროთ! ეჰ, საფიქრალ-სადარდებელი არ მელევა – რა აუვა ამდენი ახალი ჩექმის შეკერვას? – ამოიხრა ბრძენთა ბრძენმა და ჩვეული ხალისით შეუდგა ჩვეულ საქმიანობას. – ერთი იმედი იმისა მაქვს, რომ პანდურეთში ჩნდება ახალ-ახალი საძოვრები, მომრავლდა საქონელი, ცხვარ-თხა თუ ღორი და ჩემი ჩექმებისთვის ტყავი არ მომაკლდება!..

პანდურეთში ცხოვრება საამური და სახალისო გახდა, განსაკუთრებით – თვალებისთვის: საითაც კი გაიხედავდი, ყველგან ნაირფერადი თავები მოჩანდა. ერთი ეს იყო მხოლოდ, რომ ლურჯთმიანებს ვერსად მოჰკრავდი თვალს. მაგრამ...

ნაზირ-ვაზირნი, კვლავ შეკრებილნი ხონთქართან, მოახსენებდნენ მეუფეს დაღრეჯით:

– მზეთა მზეო, ნახევარზე მეტი მოსახლეობისა თავგადახოტრილი დადის!

– დანარჩენნი?

– დანარჩენებს ყოველგვარს ნახავ, ლურჯთმიანის გარდა, – თქვა ხრახრა ვირთხაძემ. – რაც ლურჯთმიანებზე “ნადირობა” დაიწყო, გაკეთდნენ დალაქები! ვისაც კი ხელში სამართებლისა და საგარცხელ-მაკრატლის დაჭერა შეუძლია, ყველამ დალაქის წინსაფარი აიფარა, ლამის 3-4 წლის ასაკიდან მოყოლებული! პანდურეთს მოაწყდა დალაქები სხვა ქვეყნებიდან! სასწრაფოდ უნდა დავაწესოთ ახალი გადასახადი – თავის გადაპარსვაზე!

– თქვენ რატომღა გაქვთ გადაპარსული თავები, ჰა? – აღერსიანად მიუტყაპუნა ხელისგული კეფაში ბატონმა პრეზიდენტმა ნაზირ-ვაზირებსაც და სხვებსაც, უკლებლივ ყველას, განსაკუთრებით ეშხიანად კი წაუთაქა პანწურთამორტყმის მთავარვაზირს ჯმუხა ხელჯოხაძეს. – ახალ ბრძანებულებას გამოცემ: არ ვნახო ქვეყანაში თუნდაც ერთი თავგადახოტრილი! ერთი კვირის შემდეგ დაიწყო დამრღვევთა გამოვლენა და საკადრისად დასჯა!

– მელოტებს რაღა გუყვოთ? – იკითხა ჯმუხამ.

– ერთიანად დავიჭირეთ! პრევენციულ გამაფრთხილებელ ზომებს რომ არ ატარებთ, ამიტომაც გვაქვს შესაბამისი შედეგი, – ბრძანა ხონთქარმა. – არ დაგავიწყდეთ, მხოლოდ ერთი კვირის ვადას გაძლევთ!

– დიდო მეუფეო, თქვენი ფეხთა მტვერი ვკადნიერდები და მოგახსენებთ. რომ ერთი კვირა არ არის საკმარისი, – გაბედა ხმის ამოღება ხონთქრის პირადმა აქიმმა ღრუტუნა ღრუბელიძემ. – ერთი თვე მაინც მივცეთ თავგადახოტრილებს, ერთ სანტიმეტრზე წამოეზრდებათ თმა.

– მანამდე მოასწრებენ ქვეყნის დაქცევას! – გაბრაზდა ბრძენთა ბრძენი. – ყველგან შეთქმულება და ჯანყია! ჩემი ბრძანება ძალაში რჩება, აბა ერთი, გამწკრივდით ცქვიტად და მოიხარეთ კოხტად! ისე ვატყობ, ჩემს პირად ხარაზს საქმე გამოუღვეველი ექნება! – და სანაქებოდ შეასრულა კიდევ ჩვეული რიტუალი.

კედლის პორტრეტებზე კი ლურჯთმიანი გმირთა გმირები კმაყოფილნი იღიმებოდნენ, რასაც ვერ ვიტყვი ფანჯრისკენ ამოპანდურებულებზე; განსაკუთრებით გულგასიებული იყო ჯმუხა ხელჯოხაძე: “დახე მაგ უსინდისოს, როგორ ხშირ-ხშირად ვარჯიშობს, როგორ გინდა, აჯობო?”, ის კი ავიწყდებოდა, რომ თვით ველარავის ამოპანდურებდა – მარჯვენა ფეხით მაინც...

ჯან!

კარი XVI. დღეს ამოპანდურების რეკორდი დავამყარე!

ერთი კვირის თავზე პანდურელნი ფერად-ფერადი ოდნავ წამოზრდილი თმით იწონებდნენ თავს, ოღონდ ამჯერადაც ლურჯთმიანებს მათ შორის ვერ ნახავდით.

– მახარე და სხვა მეჯანყენი დაჭერილნი არიან უკვე თუ არა? – ბოხოქრობდა ბატონი პრეზიდენტი.

– თქვენო უდიდებულესობავ, მთელი პანდურეთი ნაირ-ნაირი პარიკებით დადის, გავწყდით წელში, რბენით ფეხები დაგვაწყდა... – უპატაკა პანდურთამორტყმის მთავარვაზირმა.

– ქუჩა-შუკები და მოედნები ცისარტყელასავითაა აფერადებული, პარიკის მკეთებელნი შეკვეთებს ვერ აუდიან... ლამის ყველა მეორე პანდურელი ამ საქმიანობას მისდევს, ხაზინას კი არაფერს არვიან კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო, – აწუწუნდა მეჭურჭლეთვაზირი ხრახრა ვირთხაძე. – საჭიროა სასწრაფოდ...

– რაც არის საჭირო, შენზე უკეთ ვიცი! – შეაწყვეტინა გაბრაზებულმა ბრძენთა ბრძენმა. – ხრახრასა და დემირხანის საყურადღებოდ! ახალი ბრძანებულებით ვკრძალებ პარიკისა და ქუ-

დის ტარებას, აგრეთვე თავის გადაპარსვას! ახლა როგორღა დაუძვრებიან მართლმსაჯულებას? თქვენ კი, ჩემო ჭკვიანო და მარად ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველო თავდადებულო მოღვაწეო, უმორჩილესად გთხოვთ, დაუწყონებლივ შეასრულოთ თქვენი საპატიო მოქალაქეობრივი მოვალეობა: მსწრაფლ ჩამწკრივდით და მოწიწებით მოიკაკვეთ წელში! გახსოვდეთ: დრო ყველაზე დიდი ფასეულობაა ამქვეყნად! ჩემი მარჯვენა ჩემის ჭკინტი უდრემს მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი თანამშრომლობისთვის! სამ დღეში ისევე აქ გელით მოუთმენლად საუკეთესო ამბებით; ვიმედოვნებ, მაშინ მაინც აღარ დამჭირდება ახალი ჩექმების შეკერვა! ჩვენი ძვირფასი პორტრეტების გმირები კი მოიწყვენენ, მაგრამ ყოველთვის ხომ არ ექნება ჩექმებს დღესასწაული! აბა, დაგიწყეთ!..

გავიდა ეს სამი დათქმული დღეც...

სეფედარბაზში შეკრებილ ნაზირ-ვაზირთ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ, სამაგიეროდ, კედელზე ჩამორიგებულ პორტრეტებზე სრულიად საწინააღმდეგო შეგვიძლია განხაროთ.

– რა განხდა სამი გაქცეული ტუსადის აღმოჩენა, ჰა? – თვალების ბრიალით დაუარა მის წინ გაჭიმულ ნაზირ-ვაზირთ ბატონმა პრეზიდენტმა, ტანტზე დაჯდომა არც უფიქრია, მარჯვენა ფეხი ექაგებოდა. – წამალს ყველა სვამს?

– დიახ, მეუფეო... – წამოიკნავლა ჯმუხა ხელჯოხნაძემ; ამ ბოლო დროს მას ფეხის დაზიანებასთან ერთად ხმაც შეეცვალა.

– თავგადახორცილი ვინმე დადის?

– არა, მეუფეო...

– პარიკები ვინმეს უკეთია?

– არა, მეუფეო...

– ქული ვინმეს ხურავს?

– არა, მეუფეო...

– ლურჯთმიანი მოქალაქენი აღმოჩენილნი და დაკავებულნი არიან?

– არა, მეუფეო...

– აბა მთელი პანდურეთი ანგელოზებით ყოფილა დასახლებული! რა ხდება, იქნებ გამაგებინოთ?

ამჯერად მეჭურჭლეთვაზირმა ხრახრა ვირთხაძემ უპასუხა:

– ჩვენო დიდო მბრძანებელო, სოკოებივით მომრავლდა თმის შესადები სახელოსნოები; ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სადღო მკვეთრი გაუარესების შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდა, რადგან კატანტოფულად იმატა საღებავების იმპორტმა... საჭიროა საგანგებო ღონისძიებათა გატარება, უპირველესად – შემოტანილ თმის საღებავებზე ბაჟის გაათმაგება!

– ბევრად უკეთესი იქნება, თუკი ბევრ ტვინს შემოვიტანოთ, თუნდაც ძალიან ძვირი დაგვიჯდეს! – ხუმრობა ინება ბრძენთა ბრძენმა. – პირველ რიგში ჩემს ვაზირებს ვუძღვნიდი, ამჯერად კი სხვა წამალი უნდა ჩამოფურიგო, რისთვისაც უმორჩილესად გთხოვთ, ერთ მწკრივად დადგეთ და წელში კარგად მოიხაროთ, – რით ვეღარ ისწავლეთ ამდენი წვრთნის შედეგად – ჩემი ახალი ჩექმების გამოცდის დრო დადგა... აბა, მხიარულად, სახეიმო მომენტის სრული შეგნებით – გაიღიმეთ! და იცოდეთ, თმაშეღებილები აწი აქ აღარ გამოიმეცხადოთ! პირველი კი დამსახურებისამებრ უნდა ამოვაპანდურო პანჩუ ჩანჩურიშვილი – პანდურთამორტყმის აკადემიის პრეზიდენტი საკუთარი გამოცდილების მიღების შემდგომ უკეთ შეძლებს მეცნიერული კვლევის გაგრძელებას. რაც შეეხება აზურიდს, გამოვცემ ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც ამ ჯადო წამლის შემქმნელებმა სიცოცხლის ბოლომდე უნდა სვან იგი, რათა ყველამ ყოველთვის დაინახოს, ვინ იყვნენ სულელური წამლის მომგონნი! ამასთანავე, ავუკრძალავ მათ, ასევე სიცოცხლის ბოლომდე, თმის გაკრეჭას, ქულისა და პარიკის ტარებას, თმის შეღებვას! აბა, რა გგონიათ, ამ მავნე გამოგონების გამო მთელი პანდურეთის მოსახლეობა უადრეს დისკომფორტს განიცდის, მატერიალურ, სულიერ და დროის დანახარჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, და ამ ვაიმეცნიერებს ამას ვაპატიებ? ჩემი ერთგული ნაზირ-ვაზირთათვის მოკლე ლექცია დამთავრებულია, ახლა გადავიდეთ პრაქტიკულ მეცადინეობაზე და, როგორც დაგპირდით, დაგიწყებ ბატონ აკადემიკოსის, პანჩუ ჩანჩურიშვილის, მომსახურებით!.. ეს ერთი!.. ეს ორი!.. ეს სამი!..

და ბატონმა პრეზიდენტმა წარმატებით გააგრძელა თავისი სანაქებო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, სანამ ბოლო ამოპანდურებულს არ ასიამოვნა; დასასრულ კი, საპატიო მოვალეობის მოხდის სასიამოვნო გრძნობით წამოიძახა:

– ესეც ოცდაცამეტი!.. მაგარი გაძლება მქონია, აი ჩექმა კი ნაღდად ისევე ახალი დამჭირდება! არც არის გასაკვირი, დღეს ამოპანდურების რეკორდი დაგამყარე!.. აფსუს, საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის ვაზირი ჩიჩი ფეტვიკენკაძე მაინც შემომენახა – მთელ ქვეყნიერებას უნდა მოეფინოს ჩემი დღევანდელი ვაჟკაცობის ამბავი! ეს პანდურეთის მსოფლიო სახელისა და პრესტიჟის საქმეა! ამ მოვლენასთან დაკავშირებით, არ დამავიწყდეს კიდევ ჩემი მორიგი ორდენით დაჯილდოების მოგვარება, “გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში” კი ადგილი უკვე დაბეჭდული მაქვს! – და პირად მიღივანს ჭუკია ჭუკჭუკელაშვილს, რომელიც პირად აქიმთან, დრუტუნა დრუბელიძესთან ერთად, გადაურჩა ამოპანდურებას, უბრძანა: – ახლავე ჩიჩი მომგვარონ აქ! აგრეთვე ჯმუხა და დემირხანიც, სწრაფად!.. ჰო, ის უტვინო პანჩუ ჩანჩურიშვი-

ლიც გამოცხადდეს, მან თათბირის დაწყებამდე მეორედ ამოპანდურება დაიმსახურა აზურიდის სულელური პრეპარატის გამოყენების არქისულელური წინადადების გამო!

იმავე დღეს რაზე ისაუბრეს ბატონმა პრეზიდენტმა, ჯმუხა ხელჯოხობამ და დემირხან დევი-აშვილმა, ადვილი მისახვედრია, პანჩუ ჩანჩურიშვილი კი კვლავ გაფრენას გადაურჩა, რადგან, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (გაანჩია – ვისთვის), დამაშვრალი ჩექმის ჭვინტი იმდენად გაცემ-თილი აღმოჩნდა, რომ თავისი საპატიო მოვალეობის შესრულება ვეღარ შეძლო. ამ თუ კიდევ სხვა მიზეზთა გამო, მეორედ ამოპანდურებას გადაურჩნენ იმ დღეს ჯმუხა და დემირხანიც – ჩანს, ამჯერად ქვეყნის ამრევთა ამოსაძირკვი ახალი “მაღამოს” გამოყენებაზე შეთანხმდნენ. ეს მეორე თათბირი ჩვეული ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა – ალბათ ისევ და ისევ ჭვინტის პენსიაზე გასვლის გამო. “დროა, კარგა ხანია, დროა, მარცხენა ფეხის გაგარჯიშება დაგიწყო!” – გაიფიქრა პანჩურ-ჩანჩურამ და, გულაჩვილებულს, თვალზე ცრემლი მოადგა. ნეტავ რატომ?

ცოტა ხანში პანდურეთში ვეღარ ნახავდით ფერადთავიანებს, სამაგიეროდ, იხილავდით ქუდი-ანებსაც, მელოტებსაც, თავგადახორცილებსაც და პარიკიანებსაც – მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, აზურიდის შემქმნელი, აგრეთვე პანდურეთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანჩუ ჩანჩურიშვილი, დადიოდნენ ლურჯთმიანები. ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, იმის მიზეზი კი ჩემთვის უცნობია, რატომ შერჩათ მარად ლურჯი თმები კედელზე გაკრულ პორტრეტებზე გამოსახულ დიდად პატივსაცემ პიროვნებებს?

მაგრამ გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს? სად არის ხსნის გზა? მახარე, ხალხის ტვინთა ამრევი რომ ვაიმეცნიერი და მათი ამყოფი კიდევ ვინ იცის რამდენი მოჯანყე, ისევ თავისუფლად დასეირნობდნენ და ავი საქმეების კეთებას განაგრძობდნენ... აგე, პანდურეთქალაქში ისევ გაფრცვლდა მახარეს ახალი შაირები, რომლებიც აზურიდის გამოყენების ისტორიას დასცინის და ხონთქარს სთავაზობს კეთილგონიერების აბის გადაყლაპვას.

ხონთქარმა პანჩურეთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანჩუ ჩანჩურიშვილი დაიბარა და ჰკითხა:

– ჰა, როგორ ხასიათზე დგები, როცა სარკეში იცქირები? შე ოხერო, მთელი პანდურეთი რომ გასაჭირში ჩააგდე, ის თუ გაითვალისწინე, რომ თავის დროზე აზურიდის მოქმედების გასა-ნეიტრალელებელი წამალი იქნებოდა საჭირო?

– დიახ, ჩვენო დიდო მწყალობელო, ანტიაზურიდის აბებიც გამოგონებულა და...

– მაშ, რამდენიმე აბი საჩქაროდ აქ მომართვი! – წამოიძახა ხონთქარმა, რომელსაც ამ ზაფხულში თავი მობეზრებული ჰქონდა ყოველდღე ჩაჩის ტარებით, რათა ლურჯი თმა დაემალა.

– კიდევ მრავალგვარი აბი გვაქვს შექმნილი, მეუფეო; თუ ნებას დამრთავთ, მოგახსენებთ მათ შესახებ...

– ბრძანე!

– ჩვენ გაგითვალისწინეთ თქვენი სურვილი, აგრეთვე პანდურეთის მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები და შევქმენით მთელი წყება აბებისა: “სოფიოლი” გარანტირებულად ანიჭებს სიბრძნეს, “მორფიოლი” ყველაზე კარგ სიზმრებს განახვინებს...

– თუ გაქვთ ისეთი აბი, რომელიც ადამიანს შაირების შექმნის უნარს წაართმევს? – იკითხა ხონთქარმა.

– როგორ არა, როგორ არა! – სიხარულით აუწყა პანჩუმ. – შემძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ პრეპარატი “ანტიინტელექტონი” ფართო სპექტრის სამკურნალო საშუალებაა, იგი იწვევს ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური დამორჩილების მძლავრ განწყობასაც... მის უდავო ღირსებად ჩაითვლება ისიც, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ხანგრძლივობის აბის გამოყენება – ერთი დღით მოქმედების, ერთი კვირით, ერთი თვით...

– ო-ჰო-ჰო!.. – გაუხარდა პანჩურ-ჩანჩურას, – მაშ, ხალხის კეთილდღეობისთვის საჭიროა, უარი თქვან ყოველგვარ საკუთარ აზრსა და ემოციაზე და მთლიანად მოგვენდონ ჩვენ; ჩვენ ყველაზე უკეთ განვსჯით, რა არის საჭირო მათთვის! ეგრეა, ჩემო პანჩუ?!

– ჭეშმარიტად! – უარს როგორ შეჰკადრებდა პანჩურეთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. – უკვე შეიძენენ შესაბამის რეფლექსს: რაკი აბს გადაყლაპავენ, ესე იგი, შესაბამის თვისებებსაც შეიძენენ; ხალხი ისე შეეჩვევა, რომ ყველას ეგონება, თითქოს აბების გარეშე ყოველგვარი ქმედების უნარი აქვს დაკარგული! წამოვიწყეთ ოფიციალური კამპანია, რომ სახელმწიფოსა და ყოველი მოქალაქის წარმატებისთვის აუცილებელია, უარი თქვან საკუთარ აზრსა და გრძობაზე და მხოლოდ მანქანის მიერ გათვლილი პროგრამით უნდა ისარგებლონ აბებით. აბებს მივაწვდით უფასოდ – აი, როგორ ზრუნავს სახელმწიფო და მეუფე ქვეშევრდომებზე, მათ ფსიქიკურ ენერგიას უფრთხილდება, იცავს უარყოფითი ემოციებისგან, ფსიქოლოგიური წნეხისგან... აი, სადამდე მიდის მათ სიკეთეზე ზრუნვა! მეუფეო, ჩვენი მთავარი შეცდომა ისაა, რომ ტაქტიკური სფეროთ ვცდილობთ წარმატების მიღწევას, მაშინ, როდესაც სტრატეგია არ გვაქვს! ჩვენ მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ და არა შედეგებს!

– მართლა? – ბრძენთა ბრძენი გაკვირვებული უყურებდა პანჩუს, როგორ გაბედა ჩემი ჭკუის სწავლებაო, მაგრამ რისხვა დაიოკა და განმუხტვა არ უცდია თავხედის ამოპანდურებით: იქნებ ამ ახალმა აბმა უშველოს? – დროს ნუ დაგეარგავთ, საჩქაროდ აქ მომართვით ყველა სახის აბი, უპირველესად კი – ანტილუიზიდი! დანარჩენი სახეობის აბებსაც წარმოების შემდგომ მაშინვე

დაუფონებელივ და მთლიანად პირადად ჩემთან მოიტანო, გასაგებია? ერთი ცალი ნებისმიერი სახის აბი რომ სხვას ჩაუვარდეს ხელში, პასუხს პირადად თქვენ აგებთ, გასაგებია? – და მარჯვენა ჩექმის კოხტად მოთამაშე ჭვინტს მზრუნველი მზერით დახედა.

პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანჩუ ჩანჩურიშვილი რას უპასუხებდა, თუ მიხვდებით?

მიხვდებით, რა თქმა უნდა, და ამიტომ სეფედარბაზში მარტოდ დარჩენილ ახალი აბების მომლოდინე ჩანჩურ-პანჩურას დაეუბრუნდეთ. იგი თავისი მეორე საყვარელი საქმით იყო გართული (პირველი, მოგეხსენებათ, ამოპანდურება გახლდათ) – კედლის გასწვრივ ჩარიგებულ პორტრეტებს ათვალთვლებდა, მომავალი საგმირო საქმეებისთვის შთაგონებითა და საკუთარი მაღალი დანიშნულების რწმენით აღივსებოდა.

– აბა მე რა ბიჭი ვიქნები, თუ თქვენზე მეტად არ გავითქვი სახელი! – ხმამაღალი ლაპარაკით ექიშპებოდა ბრძენთა ბრძენი: ხან – ნერონს, ხან – ნაპოლეონს, ხან – კვაჭი კვაჭანტირაძეს... – რით ვარ თქვენზე ნაკლები? ზოგიერთ თქვენთაგანს თუ ნახევარი მსოფლიო იცნობდა, მე მთელი მსოფლიო მიცნობს!.. თუ დღეს არ მიცნობს, მალე გამიცნობს – ჩემი სახელი მალე “გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში” იქნება შეტანილი, დიას! რომელ თქვენგანს ერგო ეს მაღალი პატივი! არცერთს!..

– შე წვინტლიანო, – უთხრა ნერონმა, რომლის წინაც გაჯგვიმული იდგა ახლა ბატონი პრეზიდენტი, – რას გვექმობ? როცა შენ წაბრძანდები პოლიტიკური ასპარეზიდან, ერთ კვირაში დაგივიწყებენ, ჩემი სახელი კი უკვე რამდენი საუკუნეა, ქუსს!

– არა, შენზე კი არ მითქვამს... – მარჯვენა ფეხის ჭვინტი ჩვეულებისამებრ აუთამაშდა პანჩურ-ჩანჩურას, მაგრამ ამჯერად განზრახულის სისრულეში მოყვანა ძალზე გაუჭირდებოდა ნერონთან მიმართებაში – დიდი-დიდი პორტრეტი ჩამოეღო კედლიდან და წიხლით შუაში გაეხია.

– რას მიქარავ აქა, ტილიანების უსტაბაშო?! – თვალები დაუბრიალა ნაპოლეონმა. – ახლა არ გვეტოლდები და მეტიც – თავზეც გადაგვახტი, შენი ჭკუით?

– მე... მე რისი თქმა მინდოდა, იცით? გაჭირვებული ვარ, ქვეყანა თავზე მენგრევა, საყოველთაო ჯანყი და შფოთი მალე წამდეკავს, თუკი რაიმე არ ვიღონე... აქ ამდენი უდიდესი პიროვნება ხართ ერთად შეყრილნი, – სხვათა შორის, ჩემი ნებით, – გამოწრობილნი სხვადასხვა დახლართული საქმეების გაჩაღებით... მე თქვენთან საჩხუბრად კი არ მოვსულვარ, რჩევა მინდა გთხოვოთ... თუმცა, აგერ სტალინი მერჩურჩულება, მაგათ რა უნდა გასწავლონ, ორივემ ცუდად დაამთავრა თავისი კარიერა... – ბატონმა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა ახლაც კი განზრახა ინტრიგების ხლართვა, – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, – ეს პორტრეტებიც კი სურდა, ერთმანეთს წაეკიდებინა!

მარად დაღვრემილი ნაპოლეონი ამჯერად ისე მოიღუშა, რომ ჩანჩურ-პანჩურამ ამჯობინა, საჩქაროდ გასცლოდა – მასაც და ნერონსაც.

– მოდი, მოდი აქა! მგონი, მახსენე, ხომ? – თვალები უფუფუნებდა სტალინს და მარჯვენა ხელის მოხრილი საჩვენებელი თითით თავისკენ უხმობდა ბრძენთა ბრძენს, მარცხენა ხელში დაჭერილი ჩიბუხიდან ბოლქვა-ბოლქვად აღარ ამოდებოდა ბოლი და, სიფრთხილეს თავი არ სტიკვა, ემანდ ჩემს თავზე არ მოინდომოს იმ ჩიბუხის გამოფერთხვაო, – მართებულად დაასკენა ჩვენმა გმირმა და არც მას მიეკარა.

– ჩემთან, ჩემთან მობრძანდი, დიდად კმაყოფილი დარჩები! – ფართოდ უღიმოდა ცნობილი გურმანი, ყოფილი პრეზიდენტი და ყოფილი იმპერატორი ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნისა კაციჭამია ბოკასა. – სხვა რამეში არაფრად ვარგინარ და ერთი მინდა, დაგაგემოვნო! სუქი-სუქი!..

უცებ ბოკასამ გრძელი ხელი გამოიშვირა, ბატონ პრეზიდენტს საყელში ჩაავლო, თავისკენ მძლავრად მიიზიდა და უზარმაზარი პირი დააღო – თეთრად მოელვარე მომხიბლავი კბილებით-ეშვებით...

ჩანჩურ-პანჩურამ შეშინებულმა შეჰყვირა და... სპილოს ძვლის ტახტიდან ძოწისფერ ხალიჩაზე ჩამოგორდა – დასძინებია!

აუჰ, სიზმარში რა შიში ჭამა!

ბატონი პრეზიდენტი პირადი აქიმის დახმარებით ისევ ტახტზე მოკალათდა და ფიქრს მიეცა: “ეს ოხერი, ირგვლივ სულ ქვეშქვეშა და მამაძაღლი, მატყუარა და გამყიდველი მახვევია, ვერც ერთს ვენდობი! მით უმეტეს – ვერ ვენდობი პატიოსანს! რაღა ვქნა? წინ კი დიდი საქმე მაქვს ჩაფიქრებული დიდ გვირაბთან დაკავშირებით და ბევრი ხალხი დამჭირდება... ახლა დიდი მოთხოვნილებაა რობოტებზე, ამ უტვინო ყაჩაღ-მძარცველების მაგივრად ისინი ხომ არ გამოვიყენო? არ მომაცყუებენ, არ მიღალატებენ, წილს არ მომთხოვენ, სულელურ ნაბიჯებს არ გადადგამენ, რაც დასამაღია, სახალხოდ არ წამოაყრანტალებენ, რაც მთავარია – უსიტყვოდ მაშინვე შეასრულებენ ჩემს ნებისმიერ ბრძანებას – მეტი რაღა მინდა!.. გადაწყვეტილია: პანჩუ ჩანჩურიშვილს ხვალვე მივცემ საგანგებო დავალებას! ამ რობოტებს დავავალებ გვირაბის მომსახურებას, ჩემს მტრებს ყველას მოვუკუპრავ პირს!..”

– დიდო მეუფე, წნევა ხომ არ გაგიზომოთ? – პირად აქიმს ღრუტუნა ღრუბელიძეს პრეზიდენტის სახის გამომეტყველება არ მოეწონა.

– ჰალუცინაციები მეწყება! – შესჩივლა ბრძენთა ბრძენმა. – ამდენი განცდისგან ჭკუაზეც კი შეიძლება გადაცდეს კაცი!

“მოგილოცავ! – გუნებაში უპასუხა აქიმმა. – თქვენ ეს ბედნიერება ბარე ოცდაათი წლის წინ გეწვიათ!”

კარი XVII. აუჰ, უამრავი საქმე დამრჩენია საბოლოოდ მოსაკვარახტინებელი!..

უჰ-უჰ-უჰ, ძლივს არ მივადექი ამ ამბის დასასრულს!

ვნახო ერთი, რის შესახებ უნდა ვიქაქანო კიდევ... უამრავი საქმე დამრჩენია მოსაკვარახტინებელი – იმტვრიე თავი ახლა, ბატონო იოსებ!

მოდო, ფურცელზე ჩამოვწერ, რა დიდ-პატარა საკითხები დამრჩა გადასატრეელი, თორემ ისე გამიჭირდება ყველაფრისთვის თავის მობმა.

მაშ ასე: უპირველესად – უნდა მივხედო მახარეს, სად არის, რასა იქმს? მერე – მზია? რისთვის გამოჩნდა ამ ფურცლებზე, თანაც საკმაოდ გვიან, თუ რაიმე როლს არ შეასრულებს? შეიძლება, მშვენიერი ქალბატონის, თანაც ერთადერთი ქალის, ასე უყურადღებოდ მიტოვება? ციხიდან გაქცეული მეცნიერები – ფილო და გეო – ნეტავ ისევ მირბიან? ნუ გეშინიათ, არ დამვიწყებია ჩანჩურ-პანჩურა I ბრძენთა ბრძენიც – ეს ხომ ყოველად შეუძლებელია! ო-ო-ო!.. ეგ ისეთი ვირეშმაკაა, ნაღდად რაღაც მამაძაღლური ექნება ჩაფიქრებული! ვნახოთ, ვნახოთ... “ეს რა გვიყავი, – იმასაც მეტყვის მკითხველი, – შუა გზაზე მიატოვე ჩონჩხას ამბავი? არ გაგვარკვევ, ვინ იყო ეგ ჩონჩხა, რა შეემთხვა?” კი, ბატონო, ცოტა მაცალეთ და შევეცდები, მაგაზეც რაღაც მოვიფიქრო... მთავარია, მთავარი გიაგბოთ – ამბავი გვირახბისა, ჰოდა, დანარჩენს ალბათ გზა-გზა მოგახსენებთ – შეძლებისდაგვარად.

მაშ გვირახბით ვიწყებ.

პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა ყველა წვრილმან საქმეს თავი ანება – ამრევთა დევნას, ინტრიგების ხლართვას და ქიშპობის ჩამოგდებასაც კი, რაც სულს ერჩინა – მთელი ყურადღება მიაპყრო მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტს – “დიდ გვირახბს”. გამოაცხადა საყოველთაო საერთაშორისო ღია კონკურსი გვირახბისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის პროექტზე, რომლის შემაჯამებელი ეტაპი გაიმართებოდა ნახევარი წლის შემდეგ. მანამდე კი საჭირო იყო, მოეწყოთ გაცნობითი ექსკურსია გვირახბში – როგორც კონკურსში მონაწილე დაინტერესებულ პირთათვის, ასევე – ჟურნალ-გაზეთთა და რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტთათვის, რათა ახალი საოცრების შესახებ უახლესი და სრული ინფორმაცია ფართოდ გავრცელებულიყო კიდით კიდემდე – ყველგან უდიდესი ინტერესი ვლინდებოდა “არწივთა საბუღარიდან” სენსაციური გაბედული გაქცევისადმი!

ბატონ ხონთქარს იმედი ჰქონდა, რომ პანჩურთქალაქში ჯგეროდ მოდენილი კორესპონდენტები მთელი მსოფლიოდან, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოისურვებდნენ ინტერვიუს ჩამორთმევას მახარესა და მისი მეგობრებისგან, აგრეთვე მათი ფოტოების გადაღებასაც... და რაც ვერ მოახერხეს ხელჯოხიანთა ვაზირის ჯმუხა ხელჯოხაძისა და უშიშროების ვაზირის დემირხან დევიაშვილის უწყებებმა, მას უეჭველად შესძლებდნენ მთელ ქვეყანას მოდებული, ყველგან ცხვირის ჩამყოფი კორესპონდენტები, – აღმოაჩენდნენ ციხიდან გაქცეულთა ადგილსამყოფელს, – მათ თავალებს რა დაემალება!

რეცი რაღა იქნა, რასა იქმს?

დაუბრუნა თუ არა გულქანდა მახარემ მზიას?

სად დაიმარხა ჩონჩხას ძეგლები? ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო ეს ჩონჩხა, რატომ მოხვდა გვირახბში?

როგორ მიდის “დიდი გვირახბის” საქმე?

აუჰ! იმდენი ამბები დამრჩა მოსაყოლი, თავბრუსხვევას ვერ გადავურჩები – რომელი ერთიდან დავიწყო!

როგორც გახსოვს, მოწყალეო მკითხველო, მახარესთან პირისპირ შეხვედრაც ჰქონდა ბატონ ჯმუხა ხელჯოხაძეს, მაგრამ როგორ პირშერცხვინილიც გამოიძურწა მზიას ეზოდან, ისიც კარგად მოგეხსენება! მეგელიამ ისე იფრინა ვარდნარი ეზოდან, რომ იქაურობას ახლოს აღარ გაეკარება, მგონი, ახლაც გარბის! (ალბათ ასკინკილათი, რადგან მისი მარჯვენა ფეხის ტერფი, მთლიანად თუ არა, თითები მაინც, დაიტოვა ნაგაზმა სამახსოვროდ).

(ახლა, როცა ამ რომან-გროტესკას თუ რომან-ბურლესკას დამთავრებაზე ვცოდვითობ, ჩემს საწოლზე ნებიერად წამოგორებული, – ასე მიყვარს წერა! – ნავთლუდის ბაზრის დალაშქვრიდან დაბრუნდნენ ცოლი და დათუნა; მოიტანეს: კიტრი, პომიდორი, ნაირ-ნაირი მწვანილი, ხახვი, ბუღგარული წიწაკა, ბადრიჯანი, ყაბაყი, სტაფილო, ჭარხალი, გაშლი, მსხალი, ქლიავი, აგრეთვე მზესუმზირა – მოვხალავთ და გემრიელად ვაკნატუნებთ!.. დალოცვილია ზაფხული! მათორიეს ორ ფუთამდე ტვირთი და დახარჯეს უფროსი ბიჭის – ბესოს – ერთი თვის ხელფასი! მერე რაღა გვეშველება? ეგ ერთი მუშაობს ჩვენს ოთხსულიან ოჯახში – ხელფასიან თანამდებობაზე,

ცხადია. ჰო, კიდევ – მოიყვანეს... კალია, ცოცხალი კალია! როცა საძინებელ ოთახში კაბის გამოსაცვლელად შემოსული ქალბატონი ღია შეშინებული წიკვინებდა, საშველად მოსულ დათუნას ცალ ხელში ჩაკბენილი ვაშლი ეჭირა, მეორეთი კი ოჯახში უბოდიშოდ შემოჭრილს დასდევდა და დასატუსაღებლად (უამრავი ნაწერი ფურცლებით გარშემორტყმულ-დატყვევებული, მელანქოლიურად ვჭვრეტდი ამ აურზაურს); მერე დაჭერილი კალია მშვიდობიანად გაუშვა აივანზე... მე კი ამაფორიაქეს და თხრობის ძაფი გამიწყვიტეს – როგორღა გაგაგრძელო წერა! ტყუილად მქონდა იმედი: პენსიონერ კაცს აწი მაინც მექნება მოსვენება და ჩემს გემოზე წერის საშუალება-მეთქი, მაგრამ გაგიგონია?... და მაინც – თავს ძალას ვატან და ამბის მოყოლას ვაგრძელებ...).

ღიახ, ბატონ ჯმუხას მახარეს სადევნად აღარ სცხელოდა – “დიდი გვირაბის” საკითხი წყდებოდა, დიდი ფულის სუნი ტრიალებდა და თუ არ ივაჟკაცებდი, პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდი! რა ბიჭი იყო ჯმუხა, თაფლით სავსე კასრი ასე ახლოს ყოფილიყო და თათი არ ჩაეყო შიგა! ჰოდა, რაც გამოვა ამ სინარბიდან, ამასაც მალე დავინახავთ მე და შენ, ჩემო მკითხველო! აქედან დასკვნა: ნუ იქნები ხარბი! ღიახ, მეც არ მინდა, ვიყო ხარბი, ამიტომ გადავწყვიტე: ამ მართალი რომანის ზოგიერთ პასაჟს შენ გჩუქნი, ჩემო მკითხველო! როგორც გინდა, ისეთნაირად მოუარე! მე ყველაფერს ვეღარ ვაგწვდი და იქნებ ზოგი ამბის გაგრძელება ჩემზე უკეთად მოახერხო – შენ თვითონ, შენი გრძობა-წარმოსახვისა და გემოვნების კვალბაზე, გადაწყვიტე! მაგალითად: სად შეიძლებაო და მარხულიყო ჩონჩხს ძვლები? (პირადად მე ვფიქრობ: ამისთვის საუკეთესო ადგილი მზიას ბაღის ერთ მყუდრო ადგილას, ვარდის მშვენიერი კოკრებითა და ყვავილებით დამშვენებული ბუჩქის ძირშია! იფიქრე: რატომ?)... რა იქნა რეცი დივისტიმე? ისევ ძველ ხელობას მისდევს? (გაგახსენებთ: რეცი პრეზიდენტის სეფედარბაზიდან გაიპარა, როცა იქ სტალინის ჩიბუხიდან მოვლენილი სქელი კვამლით ისე დაიბურა იქაურობა, რომ ერთმანეთს ვეღარ ხელავდნენ და ხველებით კინაღამ დაიხოცნენ)...

მე კი მოგიყვებით დანარჩენ ამბებს – ძალიან მოკლეა, რომ თავი არ შეგაწყინოთ.

პრეზიდენტმა სრულიად პანდურეთისა, მისმა უდიდებულესობამ პანჩურ-ჩანჩურა I-მა ბრძენთა ბრძენმა, დავალება მისცა პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს პანჩუ ჩანჩურიშიღეს: მეცნიერთა ჯგუფს საჩქაროდ დაემზადებინა უკვე გამოგონებული და გამოცდილი იდეალური უნივერსალური რობოტების მსხვილი პარტია.

– ნამდვილად ვარგა? – მასთან საიდუმლოდ დაბარებულ პანჩუს ჰკითხა ხონთქარმა.

– ნამდვილად, თქვენო უდიდებულესობაგ! სანამ თქვენ თქვენს უზენაეს სურვილს ბოლომდე გაიაზრებდეთ, რობოტი მანამდე მიხედრილია და უკვე იწყებს დავალების შესრულებას!

– არა, ეს სიზმარია! – ეჭვშერეული აღტაცებით წამოიძახა ხონთქარმა. – რა დონის ინტელექტი აქვს, ვაზირის შეცვლა შეუძლია?

– წარმატებით, თქვენო უდიდებულესობაგ! ცოტ-ცოტა კიდევ დასახვეწია და სულ მოკლე ხანში საბოლოო გამოცდას და საჭირო კონდიციამდე დაყვანას შევძლებთ.

– კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ: ყველა სამუშაო უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში უნდა ჩატარდეს! – უთხრა ბატონმა პრეზიდენტმა პანჩუს. მას ეშინოდა, რომ ინფორმაციის გაჟონვას, შესაძლოა, ვაზირთა განაწილება გამოეწვია.

“აქამდე სად იყავი, დალოცვილო! – ფიქრობდა გუნებაში ბრძენთა ბრძენი. – მაგ უნივერსალურ რობოტს პანდურის ამორტყმაც სანაქებო ეცოდინება, უპირველესად პანჩუს, ჯმუხასა და დემირხანს გაგაფრენ! მერე კი ამისთვის რობოტს აღარ გამოვიყენებ – სულ სხვა გემო აქვს, საკუთრივ რომ ლაზათიანად ამოჰკრავ ჭიტლაყს, ჰი-ჰი-ჰი!”

ბრძენთა ბრძენი გუმანით ხვდებოდა, რომ მეცნიერები მას პოტენციურ საფრთხეს უქმნიდნენ, ამიტომ განზრახული ჰქონდა, მიზნის მიღწევის შემდგომ, მეცნიერ-გამომგონებლებისთვისაც მიუხედა ანუ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე რომ მოგახსენოთ, ისინი მოისპობოდნენ, მხოლოდ რამდენიმეს დატოვებდა რობოტთა ტექნიკური მომსახურებისთვის; მათაც მანამდე, სანამ ისინი ისეთ რობოტებს შექმნიდნენ, რომლებიც სხვა რობოტებს ტექნიკურ მომსახურებას გაუწევდნენ... ხომ ღიღუბული ჩანაფიქრია?

ღიახ, ბრძენთა ბრძენს მართლაც ჰქონდა საგანგაშოდ საქმე – პანჩუს გენიოსმა მეცნიერებმა დემირხან დევიაშიღის საიდუმლო დავალებით ერთი ისეთი რობოტის მოდიფიკაციაც შექმნეს, – დიდი ელექტრონული პანჩურთამანქანა! – რომელიც პანჩურთამორტყმაში მსოფლიო ჩემპიონს – თვით ხონთქარს – ღიდად აჯობებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯმუხასა და მრავალი სხვის შესახებ...

პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პანჩუ ჩანჩურიშიღის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი საიდუმლო პროექტი მუშავდებოდა – გიხაროდეთ, პანდურელნო, მალე კიდევ უფრო მაგარი პრეზიდენტი გეყოლებათ! ხალხს ახალი სახე მოენატრა... სად ვიშოვოთ ისეთი ახალი პრეზიდენტი, რომელიც ძველის მსგავსი იქნება? მეორე მასეთი ეგზემპლარის პოვნა შეუძლებელია! არა, მშვენიერი გზა არსებობს – პანჩურ-ჩანჩურას ჩაგანაცვლებთ ახალი მუტანტი პრეზიდენტით: ხონთქარის უღვაშის ღერიდან გენური ინჟინერიის მეთოდებით ახალი, გაუმჯობესებული ახალგაზრდა პრეზიდენტი გამოვზარდოთ! შეფურვეთ გენებს ლომისა, მგლისა, მელისა, ვარსკვლავთმრიცხველისა, სპილოსი... არც პანჩუ ჩანჩურიშიღი დაიშურებს თავის გენს, აუჰ, რა მაგარი რამ გამოვა – პანჩურ-ჩანჩურა II, მართლა ბრძენთა ბრძენი და მძლეოა მძლე!

პანწურ-ჩანწურამ ამ გეგმების შესახებ ჯერჯერობით არაფერი უწყობდა და ახლა პანწურთა-მორტყმის მთავარვაზირი და ხელჯოხიანთა ვაზირი ჯმუხა ხელჯოხაძე და პირადი დაცვის უფროსი და უშიშროების ვაზირი დემირხან დევიაშვილი დაიბარა.

– აბა, ჩემო ერთგულნო, დიდი ამბების მოლოდინში ვართ – “დიდი გვირაბის” დასაპროექტებლად უკვე წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების დროა. ჰოდა, სანამ საინჟინრო გეოლოგები, გეოდებისტები, არქიტექტორები, დიზაინერები და სხვა სპეციალისტები დაათვალიერებენ გვირაბს, ჩვენ ხომ არ გაგვესეირნა გვირაბში? მართალია, ბევრი გვსმენია მის შესახებ, ფოტოებიც გვინახავს და ტელერეპორტაჟებიც, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი მაინც სულ სხვაა! მთელ დარჩენილ ცხოვრების წლებში ნათელ ზოლად გაგვეყვება დაუვიწყარი მოგონება!

– თქვენო უდიდებულესობაგ, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი! – რა თქმა უნდა, მაშინვე მისცეს დასტური ჯმუხამ და დემირხანმა.

– მაშნუღარ დაგეგმავთ ძვირფას წუთებს, დროულად მოვათავოთ ეგ საქმე!

და “არწივთა საბუღარს” ეწვივნენ: მეუფე (პირადი აქიმითა და პირადი მდივნით), ჯმუხა (პირადი დაცვითურთ), დემირხან (პრეზიდენტისა და საკუთარი პირადი დაცვითურთ), აგრეთვე პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანწურ ჩანწურიშვილი და სხვა ნაზირ-ვაზირები.

რა თქმა უნდა, მათი მობრძანების დროისთვის “არწივთა საბუღარი” უკვე დაცლილი იყო პატიმრებისგან და გაუქმებული ციხე განხლდათ, თუმცა დაცვა მაინც ჰქონდა, რადგან მრავალს სურდა, სახელგანთქმული გვირაბი დაეთვალიერებინა და არ იყო გამორიცხული, ჭყლეტაც მოყოლოდა ამას.

როცა მეუფე და მისი თანმხლები პირნი ჩაბრძანდნენ გვირაბში, იქაურობა უკვე გაჩირადნებულცი იყო ელექტროგანათებით, ასე რომ, სანთლებისა და ფანრების ტარება არ დასჭირდებოდათ.

წინ მათ პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი წარუდგათ მეგზურად.

ცოტა კი გაუჭირდა მის უდიდებულესობა ხონთქარს წელში მოხრილი სიარული და ალაგ-ალაგ გაპრომაც ვიწრო და დაბალ ხერხელში, რამდენჯერმე ქანის გამონაშვერის სიმყარეც მოსინჯა შუბლით, მერე კი მაღაროელის ჩაფხუტი ჩამოაფხატეს თავზე და შვება იგრძნო (რას იფიქრებდა ბრძენთა ბრძენი, რომ როდისმე მის უდიდებულესობის თავს ამგვარი “გვირგვინი” დაამშვენებდა!). დანარჩენები კი გულში წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ბატონ პრეზიდენტს მათი ამ ყოფაში ჩაგდებისთვის და ოცნებით კაი გემრიელი პანწურიც არაერთგზის უთავაზეს... განსაკუთრებით ჯმუხა ხელჯოხაძე იყო აღრენილი, კოჭლობაც ამწარებდა და იქ რომ დემირხან არ ყოფილიყო თავისი ავაზაკებით, ბატონ პრეზიდენტს პანწურს არ დაამადლიდა, – ალბათ მარცხენა ფეხით; უფრო კი საფიქრებელია, საიქიოსაც გაისტუმრებდა დაუნანებლად...

ამასვე ფიქრობდა ბრძენთა ბრძენის მიმართ პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი დემირხან, ოღონდ მას აჩერებდა ჯმუხასა და მისი დაცვის იქ ყოფნა. დემირხანთან საიდუმლოდ შეკრული პანწურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პანწურ ჩანწურიშვილი კი ენად გაიკრიფა: სულ დაწვრილებით აუხსნა დამსწრე საზოგადოებას (ვინც მასთან შედარებით ახლოს იყო გვირაბის სივიწროვეში), თუ რა ბრწყინვალე ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები ექნებოდა მომავალ “დიდ გვირაბს”: ბრწყინვალე განათება, ბრწყინვალე ჰაერი (ნელსურნელებსაც კი შეურევენენ!), ბრწყინვალე გაფორმება (მარმარილოს კედლები, მხატვრული მოზაიკა, ნიშებში – პანწურეთის გამორჩენილ პანწურთამომრტყმელთა ბრინჯაოს ბიუსტები), დიდებული მუსიკა... ამჯერად კი ოფლად იღვრებოდნენ დახუთულ სივრცეში, დროდადრო ჭერიდან ჩამოსული წყლის წვეთები კი კისერში ცივად ეპკურებოდათ...

ყველა გვირაბში მყოფი საკუთარ გეგმებს აწყობს (აღზევებულნიც და მათ სამსახურში მყოფნიც – თვით ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომნიც), მე კი – ჩემს გეგმებს და გასაჭირს მოგახსენებთ. რა ვუყო ამ გვირაბში ძლივძლივობით მიმფორთხავ ჩემს გმირებს? გვირაბში ათასგვარი რამ შეიძლება მოხდეს... რასაც მინდა, იმას ვიზამ, ვინ არის დამშლელი? მინდა – ფრთოსან გველეშაპს გამოვაძვრენ (თუმცა აქ როგორ გაშლის ფრთებს?), მინდა – კუდიან ჯადოქარ დედაბერს მოვაგლენ, მინდა – მოქმედ პირებად კიდევ უფრო უჩვეულო არსებებს შემოვიყვან...

ვისინჯო?

არა, უკვე დავაგვიანე, რომანი დროზე უნდა დავასრულო...

დიახ, კიდევ ბევრი რაღაც უნდა მესინჯა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი თუ ვერ შეგქელი, ჰოდა, ჩამოთვლით მაინც გაგაცნობთ იმ პერსონაჟებს, რომლებიც “სათადარიგოთა სკამზე” მყავდა და უმრავლესობა “თამაშში” ვერ შევიყვანე: ზღაპრული სასწაულმოქმედი საუნჯენი, განსაცვიფრებელი ჯადოსნური ხეები, პირიდან ცეცხლისმფრქვეველი ქაჯები, მარადიული ახალგაზრდობის მომნიჭებელი წყარო უკვდავებისა, ცაში ცეცხლოვან რაშივით მიმქროლავი დრაკონები, დამწვარ-დახრაკული და ალიდან უვნებლად აღორძინებული ფენიქსები, ჰარპიები, გრიფონები, გრიპოპოდები – ფეხებს რომ წყვილ-წყვილი ჩლიქები უმშვენებენ, მაცდური უღამაზესი გადლობით ზღვა-ოკეანეებში მოგზაურთა მომხიბლავი სირინოზები, ცინიცეფალები – ლაპარაკს არ კადრულობენ, მხოლოდ ჰყეფენ, სატირები – მარად ორაზროვნად იღიმებიან და ხუმრობა-ხუმრობით წაწვეტებული რქებით გერჩოლებიან, გოლიათები – მათი მხოლოდ ყოველი ფეხის გადადგმაც კი მიწას

ახანზარებს, ჯუჯები – სულ რომ დაფუსფუსებენ და ვერ გაიგებ, საქმეს გაგიკეთებენ თუ ჩაგიშლიან, სპიოპოდები – ერთი კინკლა ფეხი აქვთ, იმით დახტიან მხიარულად, ლუშანები – თავი არ აბიათ, მაგრამ მთლად უთავოებიც არ ეთქმით, რადგან სახე მკერდზე აქვთ, ზოგს – მხარზე ან ზურგზეც კი, ცალთვალა კიკლოპები – მათ მზეერას მაინც ვერაფერს გამოაპარებ, ობობასავით ექვსხელება არსებანი – ჰო-ჰო, რა მაგარი მომხვეჭელები იქნებოდნენ, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოკალათებულნი პანღურეთში!

რა ვიცი, სხვები თქვენც მოიგონეთ!

ღიას, სწორედ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ხელში მომხვდა კიდევ ერთი ფურცელი, რომელზედაც ჩემი მომავალი რომან-გროტესკას (აწ უკვე თითქმის დამთავრებისკენ მიმქროლავის – ალბათ სულ რამდენიმე გვერდის დაწერა და მარჩა!) მოქმედ პირებად ვფიქრობდი ჩართვას, მაგრამ უმრავლესობა წიგნის ფურცლებზე ვერ მოხვდა: ზოგი – გამექცა, ზოგი – დამემალა, ზოგი – დამავიწყდა... ჰოდა, თუ ძალიან არ შეგაწყენთ თავს, შემოიძლია, უბრალოდ ჩამოგიტვალთ; მე თვითონ მიკვირს, ისეთი უცნაური მოქმედი პირები მინდოდა მეტამაშებიან ამ რომან-გროტესკაში (მკითხველო, თუ ჩამოთვალა გრძელი მოგონებება, შეგიძლია, პირდაპირ შემდეგ აბზაცზე გადახტე): ცნებები (სამართლიანობა, სიმამხინჯე, კეთილსინდისიერება, სისასტიკე, ბოროტება, ერთგულება, ღალატი, ტყუილი, მწარე, ტყუილ-მწარე, შური, მრისხანება, მტრობა, ამპარტავნობა, სიცრუე, სიხარბე, ქურდობა, სიმუნწე, სიბრძნე, უანგარობა, სიკეთე, სამართლიანობა, სიყვარული, მუავე, მწიფე, სიგამხდრე, გულმძარვა, ტკივილი...), პარაგრაფი, რიცხვი (1, 2, 5, 21, 68 – ეს ჩემი ასაკის აღსანიშნავად, 871 – ამ რიცხვით მაქვს ჩანიშნული რომან “გვირაბის” ჩანაფიქრი დასაწერ ნაწარმოებთა სიაში...), თარიღი (23 ოქტომბერი – 2000 წლის ამ დღეს მომივიდა ჩემს გოგრაში იდეა ამ რომანის დაწერისა – ჩემი და მკითხველის საწვალელებად! 25 ივლისი – 2004 წლის ამ დღეს ვწერ ამ სტრიქონებს და ახლა ჩავსვი ეს თარიღი...), სასამართლო, მდინარე, სახლი, სამართლიანობის ქუჩა, ვარსკვლავები (სირიუსი, პოლარული, ვეგა...), პლანეტები (ნეპტუნი, სატურნი, ვენერა, მარსი...), წერტილი (ამბის ბოლოს ის ამბობს საბოლოო სიტყვას!), მძიმე (რატომ ჰქვია ასეთი უცნაური სახელი? ვითომ ძახილის ან კითხვის ნიშნებზე უფრო წონადია?), წერტილ-მძიმე (ეს რაღა ნაჯვარია?), კოლუმბი, შექსპირი, სერვანტესის მოჭრილი ხელი, ვახტანგ გორგასლის ცხენი, ერეკლე მეორის ხმალი, გურამიშვილის ლექსი, გურამიშვილის ტყვეობა (დაღესტანში თუ პრუსიაში), გვირაბი (გვირაბი გვირაბში რაღაცას შერება, ხომ მაგარია?!), ზეცა, დედამიწა, ომის კანონი, სურათი კედელზე (ეს კი მოგახერხე დიდი გადაჭარბებით – პანწურჩანჩურას სეფედარბაზში მრავალი სურათი ჩამოგვიდე და მერე როგორი პიროვნებებისა! ანტიფორეს პორტრეტიც – მზიას ცისფერ სახლში!), ტყუილების სასახლე (რომელშიც მრავალი დარბაზია: პირფერობის, მამებლობის, დაბეზღება-დასმენის, ცილისწამების, ღალატის, შეუწყნარებლობის... მხოლოდ სეფედარბაზი გამოვიყენე – გული მწყდება!), კოშკი (ყინულისგან არის აგებული და მხოლოდ გაზაფხულამდე ძლებს, შემდეგ ისევ აშენებენ სიცივის დადგომისთანავე, მაგრამ ახალი, გაუმჯობესებული პროექტით – უფრო მაღალსა და ღამაზს!), კალამი (ხანდახან ცუდლუტობს და დაუკრეფავში გადავდივარ, ჩემი გამჩერებელი და ჭკუის დამრიგებელი კი არავინ ჩანს – საბედნიეროდ!), ქალაქის სუფთა ფურცელი (რამდენიმე ასეული უჩივის უკვე ჩემს ძალადობას!), საფლაფი (იდეებისა, ჩანაფიქრებისა, ჩონჩხისა, რა ვიცი, კიდევ ვისი აღარა – ქვეყნიერება საფლაფებითაა მოფენილი...), სხივი, თოკი, ჭერი, კალიოსტრო, მეღუზა გორგონა, არისტოფანეს სიცილი, ჰეგელის დიალექტიკა, ბეთჰოვენის შინფონიე 6 -დურ “ასტორალე”, გაჭენებული ცხენის ფაფარი, სტალინის ჩიბუხი (ესეც გამოვიყენე!), სოლომონის სიბრძნე, ჰერაკლეს გმირობა, ტკიპა, არწივი (ესეც გამომადგა – ნაწილობრივ – “არწივთა საბუდარი”), მყინვარწვერი, რუკა (ჰქონდათ ტუსადებს!), ღამის ჩაჩი (ღამის არა, მაგრამ ჩაჩი კი ჩამოვაცვი ხონთქარს, როცა თმები მასაც გაულურჯდა!), საშინაო ფოსტლები, ძველი წიგნი სააქიმოი, ალვის მოცახცახე ფოთოლი, ჩექმებიანი კატა (კატისა რა მოგახსენოთ, აი ჩექმებს კი დიდი ასპარეზი დაგუთმე!), ბადრიჯანი, კვახი (შიგნით ბევრი თესლი აქვს, თითოეულიდან უცნაური ამბავი გამოიჩეკება – ჯადოსნური მცენარე?), ჭიანი კბილი, ნაპრალი ასფალტში, ფშაური კაფია (მახარეს აგვიდე ჩემი ნაცოდვილარი!), მაგარი ყავის სურნელი, საზეიმო ტორტის ნახატი, ოქროს დუკატი, ბაყაყის ყიყინი, კოხტა ხალი ღამაზი ქალის ლოყაზე, ლუდის ქაფი, შიმშილის გრძნობა (ძალიან აგრესიულია!), მოქნარება (სულ მთლად მომწვარულია!), მამლის ყივილი, გუდასტვირი (მახარეს კი შევაჩეჩე, მაგრამ აღარ მასსოგს – დაუკრა?), ქალაქი თავდაყირა (ყველაფერი თავდაყირა: სახლი, ხე, ქუჩა; ადამიანები ხელებით დადიან, თანაც ჭერზე და არა იატაკზე...), ცალი კალწი (ცაში დაფრინავს, შიგ სხედან.. ვინ?)...

ძალიან ხომ არ გაგაფრინე?

ალბათ დროა, შევჩერდე, შემდგომ ჩამოთვლას შევეშვა.

ჯან!

კარი XVIII. რაც იყო – იყო, აწი ვიწყებთ ახალ ცხოვრებას!..

გვირაბში მიმბობლავი ჩემი გმირები არცთუ კომფორტულად გრძნობენ თავს, მეცოდებიან და ვჩქარობ, მათი ბედი დროზე გაგარკვიო.

ახალი, უჩვეულო გმირის შემოყვანისგან თავს შევიკავებ, ჩვეულებრივ შიკრიკს დავაკისრებ დიდად საპასუხისმგებლო საქმეს – ბრძენთა ბრძენს მოახსენა (ისედაც ორად იყო მოკაკული დაბალ გვირაბში და მეტად წელში მოხრა აღარ იყო საჭირო):

– დიდად მეუფეო, უნდა შეგატყობინოთ, რომ ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე მოითხოვს თქვენი უდიდებულესობის სასწრაფოდ სასახლეში დაბრუნებას!

– ჩემო ჯმუხა, შენ მოგიწევს გვირაბის დათვალიერების უჩემოდ გაგრძელება; მე იძულებული ვარ, გადაუდებელი საქმის გამო, მცირე ხნით სასახლეში დავბრუნდე. იმედი მაქვს, გვირაბის მეორე ბოლოში გასულეხს იქ დაგხვდებით და შთაბეჭდილებების გაზიარებისა და წინადადებების წამოყენების დროც გვექნება – სეფედარბაზში!

პრეზიდენტი სრულიად პანდურეთისა პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენი, მისი უდიდებულესობის პირადი დაცვის უფროსთან დემირხან დევიაშიღლთან და დაცვის წევრებთან, აგრეთვე პირად აქიმთან და პირად მდივანთან ერთად, უკან გამოემართა.

გზაში პრეზიდენტი ესაუბრებოდა დემირხანს:

– შენ ერთგულად მემსახურები, ჩემო დემირხან, ჰოდა, მინდა, ერთ საკითხზე მოგელაპარაკო, უფრო სწორედ – შენი შეხედულება მაინტერესებს... როგორ ფიქრობ, ჯმუხას ნდობა შეიძლება?

– ჯმუხასი? თქვენო უდიდებულესობა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ და მშვენივრად ამჩნევთ, რომ ამ ბოლო დროს ჯმუხა ხელჯოხაძე თავს გავიდა! თქვენც კი გიბედავთ გაპაექრებას პანჩურთამორტყმაში! ნამდვილად ღირსია, უსასტიკესად დაისაჯოს და თუ თქვენი მოწყალე ნებაც იქნება, მე მომანდეთ ამ საპატიო სახელმწიფოებრივი დავალების შესრულება! გეფიცებით, თავს არ დავზოგავ, მოვუკუპრავ პირს!..

– შენი დიდი იმედი მაქვს, ჩემო დემირხან! პანჩურთამორტყმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტზე რაღას იტყვი? საშიშია?

– თუ თქვენი ნებაც იქნება, პანჩუ ჩანჩურიშიღლს ცოტა ხანს ვაცალთ, სამეცნიერო საქმეები ჩაათავოს და მერე მისი მოცილება არ გაგვიჭირდება – მთავარია, მასთან დაკავშირებული, ბევრად საშიში და ძლიერი ჯმუხა მოვსპოთ...

ბატონმა ხონთქარმა ჩაიციინა:

– გნახოთ, გნახოთ!..
მიადგნენ გვირაბის ბოლოს და... პირკატა ეცათ – გვირაბიდან გასასვლელი საგულდაგულოდ იყო ამოქოლილი!..

– დალატია! – იყვირა ბატონმა პრეზიდენტმა. – რაღა გვეშველება? ჩვენ თვითონ მოგვიკუპრეს პირი!

– გვირაბის მეორე მხრეს გავიდეთ, მეუფეო!

– არა, ეს შეუძლებელია! ადრევე გავეცი განკარგულება და ის ბოლო საიმედოდ ამოვაშენებინე... ჩვენ რომ აქედან გავიდოდით, ეს მხარესაც უნდა დაგვეგმანა და ჯმუხა ხელჯოხაძეცა და პანჩუ ჩანჩურიშიღლიც ვირთხებივით გამოგვემწყვდია...

ენაჩავარდნილმა დემირხანმა, ბოლოს, როგორც იქნა, საპასუხოდ ამოდერდა:

– ჰო, მართალია... იქით რომ წავიდეთ, ჯმუხასა და მის ხალხს შევეჩვენებით, გაავებულნი იქნებიან და ერთმანეთს ამოფუჭავთ... ალბათ უკვე ჩვენსკენ მოდიან... რაღა ვქნათ?

რაღა დარჩენიათ? ახალ გვირაბს თუ გათხრიან!.. შეძლებენ? აი, გვერდით ყოვლის მშოვნელი რეცი რომ ჰყავდეთ, მეცნიერ-კონსულტანტად – გეო დეზისტისტი და ჭკუის დამრიგებლად – მანარე და ფილო სოფოსიძე, იქნებ დაეხსნათ კიდევ თავი... ნამდვილად მიჭირს მათი შველის გზის მოძიება... როგორც ჩანს, დაავიწყდათ ძველი შეგონება: სხვას ორმოს ნუ უთხრი, თვით ჩავარდებიო...

არ ვიცი, ამგვარ ფილოსოფიურ დასკვნაზე ფიქრობდნენ თუ არა გვირაბში გამომწყვდეულნი; ამ დროს იქ სინათლე ჩაქრა და მე ვტოვებ მათ ამ სიბნელესთან, გაურკვევლობასთან და თავიანთ დარდთან ერთად...

აქ ხომ არ დავსვა წერტილი?
ცოტაც მოვითმინოთ, ბატონო...

ბევრი უცნაური რამ მოგიყვით და ბარემ კიდევ ერთს მოგახსენებთ.

რა შეიძლება იყოს ციხეში ყოფნაზე საზარელი? არადა, როცა პანდურეთში ხმა გავარდა, ბრძენთა ბრძენი მისი დამქაშებით უკვე კარგა ხანია, გამომწყვდეულია გვირაბში და ქვეყანაში ახალი დროება დადგა – ახალი ხელისუფლებით, ახალი სამართლით, ახალი კანონებით, – მანარეს, ფილო სოფოსიძესა და გეო დეზისტისტიეს, ერთად შეხვედრისა და ორმაგი განთავისუფლების (პირადი და ქვეყნის) აღსანიშნავად გემრიელი პურის ჭამის შემდეგ (მზიას ვარდნარში იყო გაშლილი სუფრა ცისფერი სახლის წინ!), უცნაურმა სურვილმა მოუარათ: ენახათ მათი ძნელბედობის კერა – ციხე-სატუსაღო “არწივთა საბუდარი”!

ქალბატონმა მზიამ სურვილი გამოთქვა, მათთან ერთად წამოსულიყო, ხოლო მეგობრებმა გადაწყვიტეს, რეცისთან გაველოთ და ისიც თან წაყვანათ.

აქ ორ კითხვას უნდა გავცე პასუხი: მოუძებნა მზიას მახარემ ის გულსაკიდი, რომელიც ოჯახურ რელიგიას წარმოადგენდა?.. მეორე – რეცი სადღა იყო ამ დროს, მათთან ერთად რატომ არ ნადიმობდა? ბოლო კითხვაზე პასუხით დავიწყებ: რეცის საღებნად არ ეცალა, თავფეხიანად შემოქმედებითი ექსტაზით იწვოდა – ქანდაკებას ძერწავდა! ვისი? ვისი და, მისი უდიდებულესობის, სრულიად პანდურეთის პრეზიდენტის პანჩურ-ჩანჩურა I ბრძენთა ბრძენისა, მაშ! წინდაწინ ვიტყვი, რომ ბრწყინვალე გამოუვიდა! ჩემი თუ არ გჯერათ, წაბრძანდით პანდურეთში და პანდურეთქალაქის მთავარ მოედანზე, რომელსაც ახლა ვარდების მოედანი ეწოდება (სხვათა შორის, ამჟამად პანდურეთსაც სხვა სახელი ჰქვია და მის დედაქალაქსაც), იხილეთ რეცი დივისტიპის კიდევ ერთი ნიჭის გამობრწყინების ნაყოფი. ვინც იქ წასვლას ვერ მოახერხებს, ქანდაკების შესახებ ერთგვარი წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას ძეგლის ესკიზის ნახვით, რომელიც მოთაფსებულია ამ წიგნის კონტრტიტულზე. შესაძლოა, ზოგი რამ არ მოგეწონოთ დამწვები ხელოვანის ამ ნაღვაწში, მაგალითად, ორდენ-ჯილდოთა მეტისმეტად მცირე რაოდენობა მისი უდიდებულესობის მეგრულზე, ასევე, ჯიბეთა სიმბოლური რაოდენობა (სულ ორია გამოსახული 365-ის მაგივრად), მაგრამ უდავოა, რომ იგი შესრულებულია დიდი რუდუნებითა და გულწრფელი გატაცებით. მე, მაგალითად, განსაკუთრებით მომწონს ორი უზარმაზარი ჩექმა მაღლა ამაყად ამართული ჭვინტებით!

თუ იცით, სად მუშაობდა ქანდაკებაზე ბატონი რეცი? ვერაფრით მიხვდებით – პანდურ-ჩანჩურას ყოფილ სასახლეში! იქ უკვე ეროვნული მუზეუმის გახსნა იყო გათვალისწინებული, რეცის კი სამუშაო დროებით (სანამ პერსონალურ სახელსნოს აუგებდნენ!) გამოუყვეს სეფედარბაზში – უზარმაზარი ქანდაკება უნდა შეესრულებინა! იქ მშვენიერი პირობები ჰქონდა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის და ხელს ისიც კი არ უშლიდა, რომ შემოჩვეული აბეზარი მტრედი წამდაუწუმ მაინცდამაინც ბატონ ხონტქრის (ყოფილის!) ზუსტად თავზე ასაქმებდა. კედლებზე ჩარიგებულ დიდ ადამიანთა პორტრეტებზე გამოსახულნი ყოველ ასეთ ფაქტს დიმილით ხვდებოდნენ, – სხვა გასართობი აღარაფერი დარჩენოდათ, – თუმცა საღიმილოდ რეცის ნამუშევარიც ჰყოფნიდათ.

როცა მახარე, მზია, ფილო და გეო სეფედარბაზში შევიდნენ, კედელზე ჩარიგებულ პორტრეტებზე გამოსახულმა უდიდესმა პიროვნებებმა, მოწყენილებმა, თავიანთი კეთილმოსურნე მზერა მათ მიაპყრეს და მოწონების ნიშნად ტაში დაუკრეს – მზია ძალიან მოეწონათ! სხვათა შორის, რეცის მუშაობას ისინი დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ; როცა მოქანდაკე მარჯვე გადაწყვეტას მიაგნებდა, ტაშს უკრავდნენ და შიგადაშიგ უმურველად რჩევებსაც აძლევდნენ.

რეცისაც ძალიან მოეწონა მზია, ქათინაურიც უძღვნა და მხატვრის თვალით მაშინვე მიხვდა, ვინც იდგა მის წინ:

- თქვენ მზია გქვიათ?
- დიახ! – დაბნეული მზია ხან რეცის შეხედავდა, ხან – მახარეს. – როგორ მიხვდით? მახარემ...

რეციმ წინადადების დასრულება არ აცალა:
 - მახარეს ჩემთვის არაფერი უთქვამს თქვენს შესახებ; თუ ნებას დამრთავთ, ერთ საჩუქარს მოგართმევთ და თქვენს კითხვაზე ჩემი პასუხიც ეს იქნება!

რეციმ მოიხსნა ოქროს ყელსაბამი და მზიას გაუწოდა.
 - ჩვენამდე ხმა მოვიდა, რომ რეცი დაიჭირეს და სასახლეში მიჰგვარეს ხონტქარს, რომელმაც გულქანდა წაართვაო! – წამოიძახა მახარემ.

- დიახ, სწორედ ვერე იყო, – დაუდასტურა რეციმ. – ჩანჩურ-პანჩურამ კისერზეც ჩამოიკიდა, მაგრამ როცა ამხანაგმა სტალინმა, განარებულმა, რომ, როგორც იქნა, გაჯიუტებული ჩიბუხი გააჩაღა, ბოლქვა-ბოლქვად ბოლი გამოუშვა და სეფედარბაზში ბინდიც კი ჩამოწვა, მე ხონტქარს ავწაპნე ეს გულქანდა და იქიდან სასწრაფოდ ავითესე...

პორტრეტზე გაღიმებულმა სტალინმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და ხსენებაზე ჩიბუხის გაწყობას შეუდგა.

მზიამ მოწიწებით ჩამოართვა რეცის გულქანდა.
 - უღრმესი მაღლობა... ერთი სული მაქვს, სანამ ჩემი დიდების სურათს ვიხილავ... ნუთუ მას ასე ვგავარ?... შესანიშნავია! – ბოლო სიტყვა გულქანდის გახსნის შემდგომ წამოიძახა მზიამ.

ირგველი ყველანი კმაყოფილნი იღიმებოდნენ, მათ შორის – პორტრეტებზე გამოსახულნიც (მხოლოდ ჩანჩურ-პანჩურა, ნერონი, პოლ პოტი და ბოკასა იბღვირებოდნენ)...

ვინ თქვა, ამ რკინის კაცებს გული არ აქვთო? განსაკუთრებით სტალინი გამოირჩეოდა: ამჯერად მაშინვე გააცალა ჩიბუხი და ისე თავგამოდებით ურტყამდა ღრმა ნაფაზებს, რომ სეფედარბაზი ბოლით გაივსო. მაღე ერთმანეთს კი არა, ხონტქრის მონუმენტურ ქანდაკებასაც ძლივს ხედავდნენ და ხველებ-ხველებით საჩქაროდ დატოვეს იქაურობა, ასე რომ, რეცის ნამუშევრის ჯეროვნად შეფასება ვერ მოასწრეს.

- გზად მახარემ მაინც უთხრა რეცის:
- კაცო, ამ ორ დღეში როგორ მოასწარი ქანდაკების დაწყება და ლამის დამთავრებაც უკვე მასალაში? გამოცდილი მოქანდაკენიც კი წლობით მუშაობენ თითო ქანდაკებაზე...
- ციხეში მეტი რა საქმე მქონდა, დროს უქმად არ ვკარგავდი – სულ ამაზე ვფიქრობდი.

– დიდებული ნამუშევარი გამოვივა, დარწმუნებული ვარ. შენ ქურდობაშიც დიდი ხელოვანი იყავი, ამის წყალობით გადაარჩინე გულქანდა. ეტყობა, ძალიან მოგწონს დახელოვნებული მინიატურისტის მიერ შექმნილი მზიას დიდების დიდებული პორტრეტი, ხომ არ დაგენანა მისი გაჩუქება?

– არა! მშვენიერი ქალბატონისთვის რაიმეს ჩუქება დიდი სიამოვნებაა, მით უმეტეს – წესითა და რიგით ეს გულქანდა მას უნდა ეკუთვნოდეს. მე ისე ჩავეფალი ჩემს ახალ საქმიანობაში, რომ უკვე მრავალი ჩანაფიქრი მაღელვებს. პანჩურ-ჩანჩურას ქანდაკებას რომ დაგასრულებ, მაშინვე მზიას პორტრეტზე უნდა დავიწყო მუშაობა. – შემდეგ რეცი მზიას მიუბრუნდა: – ქალბატონო მზია, დიდ პატივს დამდებთ, თუ დამთანხმდებით პოზირებას – თქვენი პორტრეტი მინდა შევქმნა!

– მე და მახარე საქორწინო მოგზაურობას ვაპირებთ, როცა დაგბრუნდებით, ვნახოთ... – უპასუხა მზიამ.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო მზია, – დაამშვიდა რეციმ, – ხონთქრის სახე თუ სასაცილო მინდა გამომივიღეს, თქვენი პორტრეტი იქნება სილამაზის, სინაზის, სითბოს, სიკეთის განსახიერება – სულ სხვანაირი მიდგომით გავაკეთებ. ხონთქარი მოვატყუე, თქვენც, ყველას, მგონი, გეგონათ, რომ მთლად უწიგნური ვარ... სხვა დროს ვიამბობთ, როგორ გავხდი ის, ვინც თქვენთან საკანში შემოგზავნეს. მახარე, შენი ლექსების რვეული საგანგებოდ შენახული მაქვს და მერე გადმოცემე. ხონთქართან მხოლოდ ჩემი ხელით გადაწერილი ნაწილი შენი ლექსებისა მივიტანე და იმან თუ გააცოფა, წარმომიდგენია, მთელი შენი რვეული რას უზამდა! იქნებ ჯობდა კიდევც, სრულად მიმერთმია, ალბათ წნევა დაარტყამდა საწყალს და ახლა გვირაბში გამომწყვდევას გადაურჩებოდა. ჰა, რას იტყვი? – რეცი ახლა გეოს მიუბრუნდა: – გახსოვს, ამბობდით: ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს, მხოლოდ რეცის ვერაფერი შეცვლისო...

გეომ უპასუხა:

– ზოგჯერ ბრძენიც შეცდებოა, ჩვენ ხომ – მით უმეტეს, რამდენიმე თვე ერთად ვიჯექით საკანში, თითქოს უკვე დაგძმაკაცდით, ერთად გავთხარეთ გვირაბი... შენ კი ხან ჩვენსკენ იყავი და ხან – ხონთქრისკენ... კარგი მსახიობიც გამოდექი – მესამე ხელობა გქონია!

– ნუღარ მახსენებ, რაც იყო – იყო, აწი ვიწყებთ ახალ ცხოვრებას და ძველი ცუდი დავიწყებას მივცემთ... – თქვა რეციმ.

– ჰო, პანჩურ-ჩანჩურას დროს ყველაფერი ყალბი იყო: ცრუ საიდუმლო გვირაბი, ცრუ გაქცევა ცრუ ტუსადებისა – შენი მაინც, რეცი, სიტყვაც ყალბი იყო, დაპირებებიც და თვით ოქრო და ვითომ ძვირფასი თვლებიც ხონთქრის გვირგვინსა და ყალბად მბრწყინავ ორდენ-სამკაულებში... ყველგან და ყველაფერში – ტყუილი, ტოტალური სიცრუე, ქვემძრომობა...

– როცა ჩონჩხს აგვაროხი ვნახე, გამიკვირდა – ნამდვილი ოქროსია! – თქვა რეციმ. – ვითომ საიდუმლოდ გათხრილ გვირაბში გამომწყვდეულ ცრუ ხონთქარს რაღა ბედი ელის?

როცა იმ საკანში შევიდნენ, სადაც რამდენიმე თვე დაჰყვეს ერთად, მერე გვერდით არსებული ის საკუჭნაოც მოინახულეს, საიდანაც გვირაბის თხრას შეუდგნენ – იქაურობა ნაგავ-ძველმანისგან დაგვილ-დასუფთავებული დახვდათ.

– დახე, ჩვენს მიერ გათხრილი შეეული ჭა ამოვსებულია! კარგ დროს კი გაატარებდნენ ბნელ გვირაბში ბატონი პრეზიდენტი – ბოდიში, ყოფილი ხონთქარი – და მისი დამქაშები... თუ აქამდე არ დაიხრჩნენ, ორ დღეში მაგრად გახდებოდნენ! – თქვა რეციმ.

– დაჭამდნენ ერთმანეთს! – თქვა მახარემ. – აქ ნახვრეტია დატანებული, უპაერობით არ ამოწყდებოდნენ, მაგარი მოშივებულები კი იქნებიან და წონაშიც გვარიანად დაიკლებდნენ! ახლა ბატონ პანჩურ-ჩანჩურასთან გვერდით დადგომა უშიშრად იქნება შესაძლებელი და არც შარვალი-გალიფე დაგჭირდება შიგ საჯდომზე მიფარებული ტაშტით – პანდურის ამორტყმის სურვილი კი იქნებ დიდიც ჰქონდეს, მაგრამ ვერც გაბედავს, ფეხშიც ძალა ექნება გამოცლილი და ჩექმებიც უკვე დაღეჭილ-შეჭმული ექნება...

– თუ, რასაკვირველია, გვირაბი წყლით არ გაივსო, – დაამატა გეომ.

– საჩქაროდ უნდა გავხსნათ გვირაბის კარი, გადავარჩინოთ ეგ უბედურები! – წამოიძახა მახარემ.

– რატომ? – დაინტერესდა რეცი.

– იმიტომ, რომ მათ სხვა ადგილას გამწესება უფრო მოუხდებათ!..

– სადა, კაცო?!

– პანდურთქალაქის მთავარ მოედანზე – ჩანჩურ-პანჩურას მიერ შთამომავლობისთვის ძღვნად დატოვებული ერთადერთი ღირებული რამეს – სამაგალითო-საჩვენებელი საზოგადოებრივი ფეხსაღაგის – გვერდით!

– იქვე დაიდგმება ჩემს მიერ გამოქანდაკებული მისი გამოსახულება! – დაამატა რეციმ.

– შენი ქანდაკების გვერდით დადგამთ ზოოპარკის რკინის გალიებს, შიგ იქნებიან გამომწყვდეულნი ჩვენი ჩანჩურ-პანჩურა I ბრძენთა ბრძენი, ჯმუხა ხელჯოხნაძე, დემირხან დევიაშვილი, პანჩუ ჩანჩურიშვილი, ხრახრა ვირთხაძე, ალიბაბლი შენდაუკარ-ტაშფანდურაშვილი და სხვანი; გამგლეულ-გამომგლეულნი გაჩერდებიან მათ გალიებთან და თუ არ შეაფურთხებენ და არ შეაგინებენ, ზიზღით აღსავსე მზერით მაინც დაასაჩუქრებენ... საკვებს მათ არ მისცემენ: პატარა ბავშვე

ბი რომ სამადლოდ გადაუგდებენ გალიაში ჩაკბენილ ჭიან ვაშლს ან ბანანის კანს, იმით დაკმაყოფილდებიან, ეს იქნება მთელი მაგათი საზრდო...

აქ კი ალბათ დროა, წერტილი დავსვა, შემდგომი მოვლენები ადვილი წარმოსადგენია.

აუჰ, მეგონა, როგორც იქნა, მოვრჩი საქმეს-მეთქი, მაგრამ ისევ მიწევს გაგრძელება.

საქმე ის გახლავთ, რომ რეცის მიერ შესრულებული ქანდაკებაც დაიდგა ქალაქის მთავარ მოედანზე (და მტრედების გუნდიც კეთილსინდისიერად ახერხებდა, პირდაპირ ფრენის დროს გაელამაზებინა პანჩურ-ჩანჩურას მონუმენტი), გალიებიც და იმ გალიებში მეტად პატივსაცემი პიროვნებებიც მომდგარიყვნენ გისოსებთან და ერთმანეთს ექიშპებოდნენ, რომ ზემოთ აღნიშნული ვაშლის ნაფცქვენი თუ ბანანის კანი მათთვის ებოძებინათ გამგლელებს, მაგრამ...

მაგრამ პანდურელნი ამით არ დაკმაყოფილდნენ, ბრძენთა ბრძენს ეს პატივისცემა არ აკმაყრეს...

მაინც რა მოხდა?

ერთ მშვენიერ დღეს მოქალაქეთა მოზრდილმა ჯგუფმა საგანგებოდ მიაშურა ვარდების მოედანს, დაცვის წინააღმდეგობის მიუხედავად, გახსნა ბატონ პანჩურ-ჩანჩურას გალია (დააფასეს – პერსონალური გალია ჰქონდა ბოძებული), გამოიყვანა იქიდან გალიის საპატიო მღვმური და...

და ყველას სურდა, პანჩურთამორტყმის დიდოსტატისთვის ეგრძნობინებინა, როგორ ხასიათზე დგება პანდურის ამორტყმის მსხვერპლი: “ხვანთქარო-ქირქილაჲ, შენ სულ ერთობლი და ახლა ჩვენ ჩვენებურად გავერთობით, გაჩვენებთ თამაშასა!” მდაბიურად რომ მოგახსენოთ, ყველას და თითოეულს სურდა, ბრძენთა ბრძენისთვის საკუთარი, პერსონალური პანჩურის ამორტყმა! მაგრამ იქ შეკრებილი რამდენიმე ათასი მსურველი ამას როგორ მოახერხებდა? ძალიან რომ მოენდომებინათ და ერთ წამში ერთ კაცს ეთავაზებინა პანდური ხონთქრისთვის, მარტივი გამოთვლები ცხადად გვიჩვენებს, რომ წუთში დიდი-დიდი 60 კაცის სურვილის დაკმაყოფილება გახდებოდა შესაძლებელი, საათში კი (თუ რიგს წესიერად დაცავდნენ და დროს რაციონალურად გამოიყენებდნენ) – 3600 კაცი შეძლებდა სხვათა აბურად ამგდებისა და ღირსების დამამცირებლისთვის საკადრისად გადახდას (სხვათა შორის, უამრავი ადამიანი იყო შეიარაღებული ფოტო და კინოგადამღები აპარატებით, რათა შთამომავლებსაც ჰქონოდათ საშუალება, ენახათ ისტორიული კადრი – მისი წინაპრის მიერ ხონთქრის გაპანდურება!), დღე-ღამეში დროის მაქსიმალურად მკაცრად დისციპლინირებული გამოყენებით ალბათ... ჰო, ახლა ანგარიშისთვის არ მცალია, თვით გამოიანგარიშოს დაინტერესებულმა მკითხველმა. ისედაც ადვილი მისახვედრია, რომ ყველა მსურველის მიერ მისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა, თუნდაც უქმე და სადღესასწაულო დღეებშიც ჩატარებულიყო ამოპანდურების პროცედურა; თანაც სამაგიეროს გადახდას მაშინ აქვს გემო, როცა ამ სიამოვნებას ყველა ესწრება; ისიც გასათვალისწინებელია, რამდენ პანდურით დაჯილდოებას გაუძლებდა ბატონ ხონთქრის ნაპატივები საჯდომი?

ამ ჯიკაგ-ძიბილაობაში მახარემ იყვირა:

– ხალხო, ერთმანეთს რომ არ აცლით, ხონთქრისა და მისი ამფსონების შემხედვარენი, ჩვენც ხომ არ უნდა დავერიოთ ერთმანეთს და პანდურებით გავემასპინძლდეთ! ეს ხომ იმდენად სასაცილო არ იქნება, რამდენადაც სატირალი! არ ჯობს, ერთმანეთი დავინდოთ, შუღლსა და ქიშპობას შევეშვათ, გავერთიანდეთ და ჩვენს მხაგრულ წურბელებს ერთი კარგი პანდური ვუთავაზოთ! ამ ჩვენს საყვარელ ხონთქარს გაავაგებინოთ ნა-ამდვილი მუშურ-გლეხური პანდური!.. მე ვიცი გამოსავალი!

საშველი კი ის იყო, რომ გაიხსენეს პანჩურ ჩანჩურიშვილის თაოსნობით შექმნილი ელექტრული პანჩურთმანქანა. ეს მანქანა მძლავრი იყო და ის უპირატესობა ჰქონდა, რომ...

ჯობს, მოგიყვებო, რა მოიფიქრეს ერთობლივი მოქმედებისთვის: შეკრეს გრძელი ელექტრული ძეწკვი, ვარდების მოედანზე შეკრებილმა ათასობით პანდურელმა ქალაქის მეტიის შენობაზე დადგმული საათის დაწყებულ რეკვას მიაყურა და, როცა შუაღამეს მეთორმეტედ გაიხშიანა მელოდიურმა დარტყმამ, ერთდროულად მიაჭირა საკუთარ დილაკს თითი – ელექტრული წრედი შეიკრა და ჩართულმა პანდურთმანქანამ ყველას წარმოსახვითი პანჩური გააერთიანა ერთ მძლავრ პანდურად; ჰოდა, ჩანჩურ-ცანცარა I უსინდისო... რაკეტასავით აიჭრა ჰაერში!..

მთვარეზე გააფრინეს და პანდურეთს მთავარი ჭირი და სიბილწე მოაშორეს.

ამ დროს პანდურთქალაქის მთავარ, ვარდების მოედანს სავსე მთვარის უზარმაზარი ცნობის-მოყვარე თვალი დაჰყურებდა და ვერც წარმოედგინა, რომ მას პანდურეთიდან სტუმრად ეწვეოდა ესოდენ მაღალი სტუმარი: ბატონი ჩანჩურა პირდაპირ მთვარის დისკოს ცენტრში დასკუპდა – მთვარის აპენინებში ორთქლის ზღვასა და ნათელ ზღვას შორის! ნეტა მისმა პირადმა ვარსკვლავთმრიცხველმა ცაგრია ცუგრიაშვილმა თუ უწინასწარმეტყველა ბრძენთა ბრძენს ესოდენ მაღალ დონეზე მოგზაურობა?

თუ მეხსიერება არ მდალატობს, მსგავსი რამ ფამფალეთის მეფეს მსუნაგ IX-საც შეემთხვა, ოღონდ ის მთვარის მაგივრად უზარმაზარ ტორტზე აახტუნეს. თუ გაინტერესებთ ის თავშესაქცევი ამბავი, შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩემს ადრინდელ წიგნში, რომელსაც ჰქვია “ბუდნიერი ფამფალეთი და სხვა ზღაპრები”.

დამრჩა კიდევ რაიმე მოსაყოლი?

ჰო, ჩონჩხა? ჩონჩხას საიდუმლო? ადრე ორი შესაძლო ახსნა ჩონჩხას საიდუმლოსი უკვე მოგახსენეთ. სხვა? დანამდვილებით მეც არაფერი ვიცი, ისე კი ყური მოგვარი სხვადასხვა ჭორს... ერთი ვერსიის მიხედვით, ჩონჩხა წინათ ანტიფორე ყოფილა. აბა პორტრეტის ანტიფორემ რატომ დაარტყა მუშტი მის წინ მდგომ ჩონჩხას და ძვლების გროვად აქცია? იქნებ რაღაც დიდი შეცდომა ჰქონდა დაშვებული ცხოვრებაში და საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა? და იძულებული გახდა, საყვარელი ოჯახი მიეტოვებინა, მეუღლის გულქანდა კი სამახსოვროდ წაიღო... საკუთარ თავზე იყო დაბოღმილი და, გაბრაზებულმა, საკუთარ ჩონჩხსაც ასე გამეტებით ამიტომ გაუსწორდა...

სხვა ვარაუდსაც მოგახსენებთ.

ჩონჩხა გამოჩენილი მოჭადრაკე იყო, ჭადრაკის ტრფიალი გახლდათ ანტიფორეც; ისინი ხშირად თამაშობდნენ ერთმანეთთან. ერთხელ ანტიფორემ ნაძლევზე წააგო საჭადრაკო პარტია ჩონჩხასთან და იძულებული გახდა, ცოლის ძვირფასი გულქანდა მიეცა მისთვის... შემდეგ, შურისძიების გრძობით აღვსილმა ანტიფორემ შარი მოსდო ჩონჩხას და დიდი ქრთამის გაღებით იგი ციხეში გამოამწყვდევინა... ამ ვერსიას ეწინააღმდეგება ანტიფორეს, როგორც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და უშიშარი პიროვნების შესახებ არსებული შეხედულება, მაგალითად, ბატონ ედიშერისა.

ასეა თუ ისე, როგორც ადრეც მოგახსენეთ, ალბათ ჯობს, ჩონჩხას ვინაობა და მისი საიდუმლო დარჩეს ბოლომდე გაუხსნელი – რომანტიკულ, პოეტურ ნისლში გახვეული... დარჩეს ფანტაზიის აღმძვრელ გამოცანად!

მაინც რა მოულოდნელად მივაღქვი ამბის ბოლოს – როგორც იქნა, გამოვძვერი გვირაბიდან – მოვაცოდვილე ჩემი მეოთხე რომანი, თანაც – რომანი-გროტესკა, თუ რომანი-ბურლესკა, თუ რომანი-ცოცხალი ტყუილი – მისი მოკვარახჭინება ხუმრობა ნუ გგონიათ! მრავალი არცთუ სასიამოვნო პიროვნება გამოვაჯირითე ამ უდანაშაულო სუფთა ფურცლებზე, მაგრამ ისინიც ჩემნი არიან, ჩემს მიერ შექმნილნი და მიჭირს, ხომ იცი, მათთან განშორება...

მაგრამ სხვა რა გზაა: ყველაფერს აქვს დასაწყისი და უნდა ჰქონდეს დასასრულიც – მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ღმერთმა ბევრი და ამ ნაცოდვილარზე ბევრად უკეთესი საღალაბო წიგნი წაგაკითხოთ...

ჯან!

. შ. ერთხელ კიდევ გადავიკითხე დასრულებული (ვითომ?) რომანი-გროტესკა და გამაკვირვა ტექსტში ძახილის ნიშნების უჩვეულო სიმრავლემ! ეტყობა, საკმაოდ ემოციურად ამაღლებულ ტალღაზე მივსრიალებდი წინ წერის დროს, ამიტომ, იმედი მაქვს, მკითხველიც გულგრილად არ მიჰყვება სტრიქონებს და, თუ ყველაფერი არ დააკმაყოფილებს, ავტორს პანდურს მაინც არ უთავაზებს!

მართალი მოგახსენოთ, ტექსტს აღარ დაგუწყე მეტისმეტი სწორება-გამშვენეირება – რაც გამოვიდა, ეგ არი! ჩემი სიზარმაცისა თუ უპასუხისმგებლობის გარდა, ასეთი სულსწრაფობის მიზეზი ისიც არის, რომ ერთი სული მაქვს, როდის ჩაფუჯდები კარგა ხნის წინ ჩაფიქრებული ახალი რომანის წერას, რომელსაც ერქმევა “წუთისოფელი”!

მაინც, რისთვის დაიწერა ეს წიგნი? თუნდაც იმისთვის, რომ სანამ სხვას ფეხს მოუქნევ, მკითხველო, დაფიქრდი – ხონთქარსაც კი არ შერჩება უდანაშაულოს ამოპანდურება!

ამინ!

2000 წ. 23 ოქტომბერი – 2004 წ. 29 ივლისი,
თბილისი.